

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### ნათია ჭილვარია

**ნათანიელ პოთორნის რომანტიკული რომანის თავისებურება**

10.01.15 გვროპის და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი  
**ციალა თოფურიძე**

ქუთაისი  
2010

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ----- 3

თავი I. ამერიკული რომანტიზმის განვითარების სოციალ-პოლიტიკური და კულტურული თავისებურებანი ----- 9

თავი II. რომანტიკული რომანი და მისი პოთორნისეული ინტერპრეტაცია-----  
----- 43

2.1 რომანტიკული რომანის წარმოშობის საფუძვლები და სპეციფიკა

2.2 ნათანიელ პოთორნის შემოქმედების თავისებურება და რომანტიკული რომანის თეორიის მისეული ინტერპრეტაცია

თავი III. პოთორნის რომანტიკული რომანი----- 76

3. 1 რეალობა და პურიტანიზმის პრობლემა ნათანიელ პოთორნის რომანტიკულ რომანში:

3. 2 რომანტიკული რომანი, როგორც წარმოსახვისა და სინამდვილის სინთეზი.

3. 3- თხრობის სტრუქტურა და სიმბოლოები პოთორნის რომანტიკულ რომანში.

დასკვნები ----- 133

ბიბლიოგრაფია ----- 140

## შესავალი

მხატვრული მიმდინარეობა რომანტიზმი ამერიკულ ლიტერატურაში განვითარების თავისებურებებით ხასიათდებოდა. ფრენსის ოტო მატისენმა ამ ლიტერატურულ მოძრაობას მეორე ამერიკული გაზაფხული, ანუ “ამერიკული რენესანსი” უწოდა (117). ამერიკული რომანტიზმი ევროპულისაგან განსხვავებით არ წარმოშობილა სოციალური პროტესტის გამო, მისი დაბადება უფრო მეტად დამოუკიდებლობისათვის ომის ნაციონალურ თავისებურებებს უკავშირდება. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ის გახლავთ, რომ რომანტიკული ლიტერატურა ახალგაზრდა სახელმწიფოს პირველ ეროვნულ ლიტერატურას წარმოადგენდა.

ამერიკის, როგორც ახალი ქვეყნის თვითდამკვიდრება საკმაოდ სწრაფი პროცესი იყო. ვითარდებოდა ზუსტი მეცნიერებებისა და ტექნიკის სფერო, მაგრამ ეროვნული კულტურის ფორმირება გრძელი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი აღმოჩნდა. მატერიკის აღმოჩენასთან დაკავშირებულმა მატერიალურმა ამოცანებმა სულიერი ფასეულობები უკანა პლანზე გადასწიეს. ამერიკული კულტურული ცხოვრება ბევრად ჩამორჩა ევროპის სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრებს. მთელი სამი საუკუნის მანძილზე ამერიკული ლიტერატურა, ისევე როგორც ამერიკელი ერი, ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესში იყო.

ამერიკის ლიტერატურის მკვლევართა შორის გაგრცელებული შეხედულების მიხედვით, რომანტიკოსი მწერლების პირველი ნაწარმოებების გამოჩენამდე ახალი ქვეყნის ლიტერატურა მიმბაძველობით გამოირჩეოდა. მე-17, მე-18 საუკუნეებში ამერიკელი მწერლები მართლაც განიცდიდნენ ევროპული, განსაკუთრებით ინგლისური ლიტერატურის გავლენას. პოპულარული იყო სენტიმენტალური, პიკარესკული რომანის ტიპი, კლასიციზმის პოეტიკა, ისტორიული რომანი, გოთიკური რომანი.

“რომენსის”, იგივე რომანტიკული რომანის ტრადიცია ჩნდება მე-18 საუკუნის ბოლოს და ჩამოყალიბებულ სახეს უკვე მე-19 საუკუნის შეა წლებში ედგარ პოს, ნათანიელ პოთორნის, პერმან მელვილის ნაწარმოებებში აღწევს. ამ მწერლებმა მხატვრული თვალსაზრისით “რომენს”, ანუ რომანტიკულ რომანს უპირატესობა მიანიჭეს რეალისტურ რომანთან, ანუ “ნოველთან” შედარებით.

ნათანიელ პოთორნის მოღვაწეობა მჭიდრო კავშირშია მე-19 საუკუნის ამერიკის სულიერი ცხოვრების ატმოსფეროსთან და რომანტიკულ მიმართულებასთან. როგორც სტენლი ბენკი ამბობს, “იგი შეიძლება მე-19 საუკუნის ამერიკის სიმბოლოდ წარმოვიდგინოთ” (Bank 2010). პოთორნის თანამედროვეთა უმეტესობისათვის რომანტიკული რომანი მოქმედების თავისუფლებასთან, დიდ სივრცესთან ასოცირდებოდა, თუმცა მათ მიერ იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავდა ეს თავისუფლება ან რა კონკრეტული მიზნებს ითვალისწინებდა არ მომხდარა. ნათანიელ პოთორნის თანამედროვე ამერიკაში ცხარე დებატები მიმდინარეობდა რომანის ჟანრის შესახებ. ამ თეორიულ განსჯაში “რომენს” სხვადასხვაგვარი, ხშირად წინააღმდეგობრივი მნიშვნელობები აქვს. ჩვენ ყურადღებას ნათანიელ პოთორნისეულ დეფინიციაზე შევაჩერებთ, რადგან ის ერთერთი პირველთაგანია, ვინც ჩამოაყალიბა რომანტიკული რომანის თეორია, განასხვავა “რომენსი” “ნოველისგან” და თავისი ნააზრევი წარმატებით განახორციელა საკუთარ შემოქმედებაში.

ამერიკულ და ევროპულ ლიტერატურაობრივის პოთორნის შემოქმედებაზე წინააღმდეგობრივი მოსაზრებები გააჩნდა, თუმცა დღეს უკვე აღარავინ დაობს, რომ იგი მრავალმხრივი, საინტერესო შემოქმედია და დიდი წვლილი მიუძღვის რომანის განვითარების სფეროში. ალბათ ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ იგი ამერიკულ მწერალთა შორის ერთერთი პირველია, ვისი ბიოგრაფიის მიმართაც კრიტიკოსებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს. არლინ ტერნერს ეკუთვნის ნაშრომი, რომელიც ნათანიელ პოთორნის ბიოგრაფიულ ცნობებს დეტალურად მოიცავს (173). ბევრად უფრო სრულყოფილია ჯეიმს მელოუს წიგნი “ნათანიელ პოთორნი მის დროში” (120). არლინ ტერნერის მიღება უფრო ლიტერატურულია და დიდი ყურვდღება ეთმობა პოთორნის ნამუშევრების ბიბლიოგრაფიულ დეტალებს. ჯეიმს მელოუს ნაშრომი უფრო სოციალური ხასიათის გახლავთ. ინგლისში გატარებული წლების შესახებ დეტალური ინფორმაცია აქვს თავმოყრილი რაიმონა ჰალს წიგნში “ნათანიელ პოთორნის ინგლისური გამოცდილება 1853-1864” (93). აღსანიშნავია ასევე ედვარდ დავიდსონის ნაშრომი “პოთორნის უკანასკნელი პერიოდი” (57).

ნათანიელ პოთორნი იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ოდესიაც დაივიწყეს, მე-20 საუკუნეში კი ხელახლა აღმოაჩინეს და წაიკითხეს. მალკოლმ კაული აღნიშნავდა, “გასაკვირია ის ფაქტი, რომ ნათანიელ პოთორნის შემოქმედების მიმართ, რომელიც ესოდენ საინტერესო შემოქმედი გახლდათ,

მწერლები ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მის თანამემამულებზე და იმათაც, ვინც დაინტერესდა მისით, ასე ცოტა რამ დაგვიტოვეს მის შემოქმედებაზე”. (Cowley 1948: 10) რობერტ პენ უორენი ასორმოცდათი წლის შემდეგ ამბობდა: “ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ემერსონს, წინასწარმეტყველს, რომლის წინასწარმეტყველებანიც გამართლდა, მაგრამ დროს ვერ გაუძლო, რადგან დღესდღეობით ნაკლებად აქტუალურია, რის გამოც ემერსონის ნაწინასწარმეტყველები მომავალი ჩვენთვის სულ უფრო და უფრო შორეულ წარსულად იქცევა, თავად ემერსონიც დიდებულად იხევს უკან, ისტორიის სიღრმის უკანა პლანზე, მაგრამ პოთორნის მიერ კატისებური მხედველობის წყალობით წყვდიადში დანახულმა, მწერლის წინაშე მომავალი გახსნა და იგი ჩვენთვის აქტუალურად აქცია. ას წელზე მეტია რაც პოთორნი გარდაიცვალა, მაგრამ მისი შემოქმედება ჩვენ გვაძლევს ადამიანის სულის როგორ, მრავალწახნაგოვან და ნოვატორულ ანალიზს, რომელშიც ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარს. ემერსონი ქედს იხრიდა აქტუალობის წინაშე, პოთორნი თავად განასახიერებდა მას” (Warren: 1971).

ადრეულ ლიტერატურულ კრიტიკაში არსებობს მოსაზრებები, რომ მწერალი გარკვეულ გავლენებს განიცდიდა, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნათანიელ პოთორნის შემოქმედება ყოველგვარი მიბაძვისაგან თავისუფალი გახდავთ. მწერალმა სრულყოფილად წარმოგვიდგინა ახალი ინგლისის პურიტანული სამყაროს მიკროკოსმოსი, მასში არსებული ზნეობრივი პრობლემები და წინააღმდეგობები. მისი “რომენსები” არ არის მხოლოდ ფორმის სრულყოფისაკენ სწრაფგა. თავისი აზროვნებით მწერალმა ეპოქას გაუსწრო.

სამწუხაროდ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პოთორნის შემოქმედება ამ ხნის განმავლობაში ნაკლებად აქტუალური იყო. ციალა თოფურიძეს ეკუთვნის სამი მოკლე მოთხოვის ანუ “ნოველის” თარგმანი და “ამერიკული ნოველის წინასიტყვაობა” (თოფურიძე 1967: 11), აგრეთვე სტატია “რომანი, როგორც ფენომენი და მისი ნომინაცია ანგლო-საქსურ და ქართულ სამყაროში” (თოფურიძე 2007: 17).

მოძიებული მასალა, რასაც ჩვენ ვეყრდნობით და ვაანალიზებთ ეხება ამერიკული რომანტიზმის განვითარების თავისებურებებს, ნათანიელ პოთორნის ესთეტიკას, უშუალოდ რომანტიკული რომანის სპეციფიკას და მწერლის წვლილს რომანტიკული რომანის უანრის სრულყოფაში. მკვლევართა ერთი

ნაწილი, მაგალითად როჯერ მილსი (126), დევიდ ჰირში (91) თვლიან, რომ “რომენსსა” და “ნოველს” შორის განსხვავების ძიება გადაჭარბებულია. დევიდ ჰირშის სიტყვები რომ გავიმეოროთ, “რომენსისა” და “რომანის” ქანრს შორის განსხვავება ყალბია (Hirsh 1971: 74), ეს განსხვავება ეყრდნობა უფრო თემებსა და სიუჟეტებს, ვიდრე ფორმას და მეთოდს, რაც საკმაოდ არამყარი არგუმენტაცია გახდავთ.

ინტერესს იმსახურებს კრიტიკოსების მოსაზრებები მწერლის შემოქმედების შესახებ. მისი თანამედროვეები, მაგალითად ედგარ ალან პო, ჰერმან მელვილი და ჰენრი ჯეიმსი პოთორნში გამოჩენილ მწერალს ხედავდნენ, მაშინ როცა კრიტიკოსთა ჯგუფი (პარქსი, ბლეკმური, უინტერსი) ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რომ პოთორნი სუსტი მწერალია, რომელიც სპეციფიკურმა მანერამ თავისი დროის ჩარჩოებში ჩაკეტა და მხოლოდ ისტორიულად თუ დაიმსახურებს კრიტიკოსთა ინტერესს.

თანამედროვე ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა პოთორნის შემოქმედების მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებს. ერთერთი პირველი გახლდათ ფრენსის ოტო მატისენის წიგნის “ამერიკული რენესანსი” გამოსვლა, რომელშიც რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების ღრმა ანალიზია მოცემული, მატისენი ყურადღებას მეტწილად ამახვილებს პურიტანულ და სიმბოლისტურ ტენდენციებზე პოთორნის რომანტიკულ რომანებსა და მოთხოვნებში. უშაუალოდ მწერლის შემოქმედებას ეძღვნება რიჩარდ ფოგლის (72) და ჰიატ გაგონერის (173) მონოგრაფიები. ლიტერტურათმცოდნე როი მეილი თავის ნაშრომში აქცენტს აკეთებს პოთორნის დამოკიდებულებაზე რომანტიზმთან. (110) დაგიდ ტიმსი მას მოდერნისტად მწერლად მიიჩნევს (167). ჯორჯ დეკერი პოთორნის რომანტიკულ რომანს ისტორიულს უწოდებს, რაც ნაკლებად მისაღებია, რადგან ისტორიული წარსულის სიუჟეტად, თემატურ მასალად გამოყენება მწერალს აბსოლუტურად სხვა მიზნისათვის, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური პრობლემების საკვლევად სჭირდება. (Dekker 1987: 47) აგრეთვე საინტერესოა, თუმცა განსჯის საგანია გილმორ სიმსის მიერ მოცემული “რომენსის” დეფინიცია, რომელიც მკვეთრად ასხვავებს “რომენს” ინგლისური “ნოველისაგან” და აღნიშნავს, რომ თანამედროვე “რომენსი” არის სუროგატი, რომელიც შეიძლება ძველ ეპოსთან იქნეს გაიგივებული, ნაწარმოების ფორმა შეიცვალა, შინაარსი კი იგივე დარჩა. (Simms 1844: 6). კრიტიკოსის მორსე პექტემის აზრით, პოთორნის რომანებში გადაჭარბებულად არის გამოყენებული

გოთიკური რომანის ელემენტები, რაც მას რომანტიზმის ნებატიურ, ბნელ მხარედ მიაჩნია (Peckham 1951: 99) ჩემის აზრით, პოთორნის მიერ მის ნაწარმოებებში გამოყენებული რომანტიზმის ელემენტები უმეტეს შემთხვევაში ოპტიმისტურ ტრანსცენდენტალურ განწყობას ეყრდნობა, რასაც ზოგჯერ თავად ავტორიც აკრიტიკებს. მითოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ამერიკული “რომენსი” თითქმის იგივე გოთიკური რომანია. მკვლევართა ჯგუფი, მარჯორი ელდერი, (113) მილიგენტ ბელი, (Elder 1969: 34) (Bell 1962: 90) პოთორნის ესთეტიკას ტრანსცენდენტალურს უწოდებენ, რაც საგსებით სამართლიანი შენიშვნაა, თუმცა გარკვეული კორექტივების შეტანა აქაც აუცილებელია, რადგან ნათანიელ პოთორნი ზოგჯერ ეწინააღმდეგება მათ მთავარ დოქტრინას “საკუთარი თავის რწმენის” (Emerson 1841) შესახებ, ამ თემას მოგვიანებით უფრო დაწვრილებით შევეხებით ნაშრომში.

მე-20 საუკუნის მკვლევარები ასევე აქტიურად დაინტერესდნენ მწერლის თხრობის ფორმით და ტექნიკით. მაგალითად რიჩარდ მილინგტონი (125), მიშელ დიუნი (60). რიჩარდ ბროდკედი (40). ასევე საინტერესო გახლავთ პარინგტონის ნაშრომი “ამერიკული აზროვნების მთავარი მიმდინარეობანი” (131). ასოციანისტურ ფროიდისტულ კრიტიკაში არის რუდოლფ ფონ ეიბელის წიგნი “ხელოვანის სიკვდილი, პოთორნის შემოქმედების დაცემა”, რომელშიც ავტორი თავის დასკვნებს საკმაოდ არამყარ არგუმენტებზე აგებს, იგი პოთორნის “მარმარილოს ფაფნს” კაფკას ნოველებს ადარებს, ძირითადად ნაწარმოებებში არსებულ დამთხვევებზე დაყრდნობით. ამ კვლევის მიზანი გახლავთ მოდერნიზმის საფუძვლების ძიება მე-19 საუკუნის რომანტიკულ ლიტერატურაში (25). ფრედერიკ კრუსი ასევე სრულიად ფროიდისტული მიდგომით განიხილავს მწერლის შემოქმედებას (Crews 1966: 102).

ალბათ შორს წაგვიყვანს ყველა იმ ნაშრომის ჩამოთვლა, რაც გამოყენებულია ჩვენს სადისერტაციო თემაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ამერიკული კრიტიკა ძალიან საინტერესო, მრავალმხრივი და ერთგვარად წინააღმდეგობრივი ხედვის მატარებელი გახლავთ.

პოთორნის რომანტიკული რომანის ირგვლივ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ მკვლევართა უმრავლესობა სწორად განსაზღვრავს პოთორნის თეორიის მნიშვნელობასა და ლირებულებას რომანის განვითარების სფეროში. ბევრი ნაშრომი იკვლევს მისი ესთეტიკის ცალკეულ ასპექტებს. ჩვენ შევეცადეთ გვეჩენებინა როგორ ხდება ყოველივე

ზემოთაღნიშნულის განხორციელება ნათანიელ პოთორნის ცალკეულ რომანტიკულ რომანებში. პოთორნის შემოქმედება იმით გამოირჩევა, რომ მასში ერთმანეთს ერწყმის ტრანსცენდენტალური ტენდენციები და გოთიკური რომანის ელემენტები, რეალისტური და რომანტიკული ტენდენციები, ჩანს პურიტანული წარსულის გავლენა თანამედროვე ეპოქაზე, მწერლის დამოკიდებულება რეალობასთან, სიმართლესთან, ხელოვნებასთან, გმირის გაუცხოების პრობლემა რომელიც ესოდენ აქტუალური გახდა თანამედროვე ლიტერატურაში. მეტად საინტერესოა პოთორნის მიერ სიმბოლოების, ფერების, შუქის, თხრობის დონეების გამოყენება “რომენსის” სცენების მოწყობისათვის, აქტუალურია როგორ უკავშირდება ეს ყველაფერი ერთმანეთს რომანტიკული რომანის მხატვრულ ქსოვილში და როგორ იქმნება მთლიანი მხატვრული სისტემა. არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც ცალკეული რომენსების განხილვის საფუძველზე სრულყოფილად, მონოგრაფიულად იქნებოდა შესწავლილი მოცემული საკითხი.

აქედან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ მასში ნათანიელ პოთორნის შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით წარმოდგენილია მისი რომანტიკული რომანის კვლევა კონკრეტულად რომენსების ანალიზის საშუალებით. საკვლევი საკითხის ირგვლივ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში არსებულ ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ შრომებზე დაყრდნობით, ამერიკული რომანტიზმის ისტორიულ კულტურული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, განხილულია მწერლის მრავალმხრივი ესთეტიკური შეხედულებანი, მისი დამოკიდებულება უშუალოდ რომანტიზმის მიმდინარეობასთან. სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია როგორ ხორციელდება ეს ყველაფერი მის რომანტიკულ რომანში. გაანალიზებულია პოთორნისეული რომანტიკული რომანის თავისებურებანი.

ზემოთაღნიშნული განსაზღვრავს პრობლემის აქტუალობასაც, რადგან თეორიის განხორციელება პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანია. პოთორნის ესთეტიკის მრავალმხრივი ასპექტების ურთიერთმიმართების და მხატვრული დანიშნულების კვლევა საშუალებას მოგვცემს, რომ რომანტიკული რომანი აღვიქვათ, როგორც ერთერთი საინტერესო და მრავალფეროვანი რომანის ტიპი მხატვრულ ლიტერატურაში.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, რომანტიკულ რომანზე,

როგორც ცალკეულ ქანრზე მსჯელობა, მისი წარმოშობის საფუძვლების განხილვა, ნათანიელ პოთორნის ესთეტიკური ნააზრევის მნიშვნელობის განსაზღვრა რომანტიკული რომანის როგორც ქანრის განვითარებისათვის. უშუალოდ “რომენსების” მხატვრული ტექსტის ანალიზზე დაყრდნობით, ვიმსჯელებთ ნათანიელ პოთორნის რომანტიკული რომანის სპეციფიკაზე. ცალკე გამოვყოფთ მისი ესთეტიკისათვის დამახასიათებელ მთავარ ტენდენციებს და მივუთითებთ როგორ ხდება მათი გამოყენება ცალკეული “რომენსების” მხატვრულ ქსოვილში. ზოგადად განვიხილავთ მის მოთხოვნებს, რამდენადაც ისინი ერთგვარად წინაპირობას წარმოადგენდნენ რომანტიკული რომანის შექმნისათვის. განსახილველად ავიღებთ შემდეგ რომენსებს: “ალისფერი ასომთავრული” (22), “შვიდფრონტონიანი სახლი” (16), “მარმარილოს ფავნი” (18, 19) “ბლაიოდეილის რომანი” (13).

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიური და ოეორიული საფუძველია ამერიკული ლიტერატურის კრიტიკოსთა მრავალრიცხვანი სამეცნიერო შრომა, ლიტერატურული კრიტიკოსთა სამეცნიერო ლიტერატურა, სადაც განხილულია ამერიკული რომანტიზმის სპეციფიკა და კონკრეტულად ნათანიელ პოთორნის შემოქმედებითი მეთოდისა და თხრობის სტილის ძირითადი თავისებურებები.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ამერიკანისტიკაში ნათანიელ პოთორნის რომანტიკული რომანის კვლევის მცდელობას, კვლევის შედეგები და განზოგადოებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას ლიტერატურაომცოდნეთა მიერ რომანტიკულ რომანთან დაკავშირებული საკითხების შემდგომი შესწავლისათვის. ინგლისური ლიტერატურის სალექციო კურსებისა და სპეციალურისებისათვის. იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამერიკული ლიტერატურის დარგს ნათანიელ პოთორნის რომანტიკული რომანის პრობლემატიკისა და მხატვრულ თავისებურებათა გასარკვევად. საინტერესო იქნება როგორც სტუდენტთათვის, ასევე ზოგადად ამერიკული რომანტიზმის სპეციფიკით, რომანტიკული რომანის ქანრით და ნათანიელ პოთორნის შემოქმედებით დაინტერესებული პირებისათვის.

**თავი I**  
**ამერიკული რომანტიზმის განვითარების ისტორიული და  
პოლიტიკური თავისებურებანი**

ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში ამერიკული რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მოვლენის გააზრება მე-20 საუკუნის ოციან წლებში ჩამოყალიბდა. სამოქალაქო ომამდე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები რეგიონალური ნიშნებით არის დაყოფილი - ახალი ინგლისის, ნიუ-იორკის, სამხრეთისა თუ დასავლეთის.

იდეოლოგიურ-მხატვრული მიმდინარეობა — რომანტიზმი, წარმოიშვა ბურჟუაზიული რევოლუციების, ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრების ხანაში. იგი ევროპაში მე-18 საუკუნის ბოლოს, მე-19 საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად განვითარდა.

ამ დროისათვის ამერიკა ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი ეროვნული კულტურა და ლიტერატურა ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. ამერიკული რომანტიზმი შესაბამისად ხასიათდებოდა განვითარების თავისებურებებით, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რომანტიკული მიმდინარეობის ისტორიაში.

საინტერესოა როგორი ისტორიული ფონი ჰქონდა ამერიკული რომანტიზმის წარმოშობას ქვეყანაში. ინგლისელი კოლონისტები ამერიკაში 1607 წელს გამოჩნდნენ, მაშინ, როცა პირველი ინგლისური კოლონია, ვირჯინია დაარსდა. 1620 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ახალი ინგლისის პურიტანულ კოლონიებს, რომელთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. 1664 წელს ინგლისელებმა დაიპყრეს პოლანდიური დასახლება ახალი ნიდერლანდები და ნიუ-იორკი დაარქვეს. 1681 წელს უილიამ პენმა დააარსა ცნობილი კვაკერთა დასახლება პენსილვანიაში. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, მხოლოდ ინგლისელებმა შეძლეს ჩრდილოეთ ამერიკაში სრულყოფილი დასახლების შექმნა. ისინი ეყრდნობოდნენ კოლონიების სიძლიერეს და თავიანთ ძალაუფლებას ზღვაზე, რის შედეგადაც მეტოქებს ძლიერი დარტყმა მიაყენეს. მე-18 საუკუნეში ესპანური კოლონიებისათვის ომი ინგლისელების გამარჯვებით დასრულდა. 1756-63 წლებში მათ საფრანგეთს ომითვე წაართვეს მნიშვნელოვანი ტერიტორია. ასე რომ ჩრდილოეთ ამერიკის მიწაზე ინგლისური კოლონიები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ.

ამერიკელი ერის ჩამოყალიბება, მისი კულტურის ფორმირება მეტად თავისებური პროცესი გახდათ, რაც გამოწვეულია ამერიკის კოლონიალური წარმოშობით და კოლონიზაციის მრავალეროვანი ხასიათით.

ამერიკული კულტურის საეციფიკის გასაგებად ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ევროპელთა დასახლება ადამიანისაგან აუთვისებელ ბუნებაში. ეს ადამიანები ევროპულ ცივილიზაციას იყვნენ ნაზიარები. ინგლისურ კოლონიებში უმაღლესი სკოლა მათი დაარსებისთანავე ფუნქციონირებდა. იმავდროულად ახალმოსახლეებს არსებობისათვის ბრძოლა უწევდათ ჯერ ბუნებასთან და მერე მატერიკის ადგილობრივ მოსახლეობასთან- ინდიელ ტომებთან.

მაშინ, როცა მე-17-18 საუკუნეების მწერლები "კეთილშობილი კელურის" სახეს აიდეალებდნენ, ყოველივე "ბუნებრივს" განადიდებდნენ და "ცივილიზაციით გარყვნილ" ევროპელს უპირისპირებდნენ. ამერიკის კოლონისტებისათვის, მცირე გამონაკლისის გარდა, ინდიელები თავიანთი არსებობისათვის საშიშროებას წარმოადგენდნენ. იმ პერიოდისათვის მეტად პოპულარული იყო გამოთქმა: "კარგი ინდიელი მკვდარი ინდიელია". და მაინც, ინდიელთა კულტურამ დიდი როლი შეასრულა ამერიკის ეროვნული კულტურის ფორმირებაში. გაამდიდრა იგი იმ ელემენტებით, რასაც ნაციონალური თავისებურებების ნიშან-თვისებები ჰქვია. ინდიელთა მითოლოგიამ დიდი გავლენა მოახდინა კოლონისტთა მხატვრულ ცნობიერებაზე. თავისი წარმოშობით მრავალეროვანი ამერიკული ფოლკლორი ინდიური ეპოსის ელემენტებსაც ინახავს და თავად ინდიელთა თემა ორგანულად არის შერწყმული ამერიკელ მწერალთა შემოქმედებასთან.

ამერიკელი ხალხის კულტურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ზანგებმა, რომლებიც კოლონისტებმა ახალ მიწაზე აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოიყვანეს. ძველმა ზანგურმა ფოლკლორმა ახალ ქვეყანაში ერთგარი ფორმირება განიცადა და ამერიკულ მხატვრულ ლიტერატურას შეერწყა.

ამერიკის ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა შორის გავრცელებულია შეხედულება, რომ რომანტიკოსი მწერლების პირველი ნაწარმოებების გამოჩენამდე ახალი ქვეყნის ლიტერატურა მიმბაძველობითი იყო. მე-17-18 საუკუნეებში ამერიკელი მწერლები მართლაც განიცდიდნენ ევროპული ლიტერატურის, განსაკუთრებით ინგლისურის გავლენას. 1790 წლებში

იგრძნობოდა სენტიმენტალური რომანის (ცდუნების თემაზე) უძლიერესი გავლენა, ასევე პოპულარული იყო პიკარესკული რომანი, რომელიც ფილდინგისა და სმოლების მიერ გახლდათ დამკვიდრებული ბრიტანულ ლიტერატურაში. გარდა ამისა, ამერიკელები შთაგონებული იყვნენ კლასიციზმის პოეტიკით, მილტონის შემოქმედებით, უოლტერ სკოტის ისტორიული რომანებით, გოთიკური რომანით.

ამერიკის, როგორც ახალი ქვეყნის თვითდამკვიდრება საკმაოდ სწრაფი პროცესი იყო. ვითარდებოდა ზუსტი მეცნიერებებისა და ტექნიკის სფერო, მაგრამ ეროვნული კულტურის ფორმირება გრძელი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი აღმოჩნდა. მატერიკის აღმოჩნასთან დაკავშირებულმა მატერიალურმა ამოცანებმა სულიერი ფასეულობები უკანა პლანზე გადასწიეს. ამერიკული კულტურული ცხოვრება ბევრად ჩამორჩა ევროპის სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრებს. მთელი სამი საუკუნის მანძილზე ამერიკული ლიტერატურა, ისევე როგორც ამერიკელი ერი, ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესში იყო.

1820 წელს "ედინბურგის მიმომხილველის" გვერდებიდან სიდნეი სმითმა გამომწვევად იკითხა: "ვინ კითხულობს ამერიკულ წიგნებს?" (Smith 1957: 98) ეს კითხვა დამამცირებლად ჰდერდა, რადგან ახალგაზრდა რესპუბლიკას უკვე ჰყავდა თავისი ლიტერატორები. ესენი მე-18 საუკუნის განმანათლებლები იყვნენ. უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისში, ლიტერატურაში ახალი სახე, უშინგტონი ირვინგი გამოჩნდა, თავისი პირველი რომანი გამოსცა ფენიმორ კუპერმა. ბრიტანელი კრიტიკოსის ქედმაღლური კითხვა იმით აიხსნება, რომ ამერიკაში წიგნის ბაზარზე ათწლეულების მანძილზე ბატონობდა ინგლისელი მწერლების ნაწარმოებები და ეგროპულ ენებზე ნათარგმნი ინგლისური ლიტერატურა. ამავე პერიოდში, ნიუ-იორკში უკვე არსებობდა ლიტერატურული კლუბები, მაგრამ აქაც ორიენტაცია ეგროპულ კულტურაზე იყო აღებული და "ამერიკული" კულტურულ ტონად ითვლებოდა. თვით პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი აღიარებდა, რომ შეუვარებული იყო საფრანგეთზე და მის კულტურაზე, თუმცა იმედს გამოთქვამდა, რომ ახალი ქვეყანა თავის ნაციონალურ კულტურას შექმნიდა.

მე-18 საუკუნეში, თითქმის ნახევარი ასწლეულის განმავლობაში, კოლონისტების ძირითადი საკითხავი რელიგიური ლიტერატურა იყო, რადგან ამ პერიოდში იგრძნობა რელიგიური აზროვნების მოძალება პოლიტიკასა და ლიტერატურაში. "გასართობი" ბელგრისტიკის კითხვა მორწმუნეთავის მიზანშეწონილად არ ითვლებოდა. მე-19 საუკუნის ამერიკულ მხატვრულ

ლიტერატურაში გამეფებულ ამ ტრადიციას მკვლევარები ფილოსოფიური, ბიბლიური და რელიგიური მოტივების გავლენას უკავშირებენ.

ამერიკული კოლონიისათვის დამახასითებელი გახლდათ მოსახლეობის გატაცება დოკუმენტური და ნახევრად დოკუმენტური მოთხრობებით, რომლებიც გვიამბობენ გეოგრაფიული აღმოჩენების, მოგზაურობების, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების წვრილმანების შესახებ. ავტორები ცდილობდნენ მკითხველამდე მიეტანათ თანამედროვეობის ინდივიდუალური დახასიათება. ასეთი ნამუშევრები თანდათან ნახევრად ბელეტრისტულ ხასიათს იდებდა. ახალი ადგილებით, მამაცი ადამიანებით, რეალური ცხოვრების გამოცდილებით დაინტერესება მხოლოდ ამერიკული ლიტერატურისათვის არ არის დამახასიათებელი. დანიელ დეფოს რობინზონ კრუზოს ფანტასტიკური თავგადასავლები დამაჯერებლობას იძენდნენ არა მხოლოდ ალექსანდრე სელგირგის ირგვლივ შექმნილი რეალური პრობლემების აღწერით, არამედ წიგნში ჩართული გმირის ბედ-ილბლის "შემოსავალ-გასავალი" ასპექტების საქმიანი აღრიცხვით. ასეთი მიღგომა ახლო და გასაგები იყო მესამე წოდების ადამიანისთვის, ამიტომ იგი ფსიქოლოგიურად ნდობით იყო განწყობილი ასეთი ნაწარმოებების მიმართ. ზემოთხსენებული ტიპის ლიტერატურას დოკუმენტური საფუძველი ედო და ფორმაც დოკუმენტური ჰქონდა. დოკუმენტალიზმი მოგვიანებით ერთგვარი ლიტერატურული ხერხი გახდა, რომელსაც ამერიკელი რომანტიკოსები ხშირად მიმართავდნენ. ფაქტობრივი დოკუმენტალიზმის ამ ნაკადმა, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში, სპეციფიური შეფერილობა შეიძინა. იგი რომანტიზმის განვითარების პერიოდშიც არ გამქრალა, მდიდარი წარმოსახვისა და ეგზოტიკური კოლორიტის წყალობით თანდათან უფრო ფერადოვანი გახდა. ეს ტენდენცია ამერიკულ ლიტერატურაში რომანტიზმის განვითარების ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა.

ამერიკული რომანტიზმის დაბადების შემდგომი პერიოდი ქრონოლოგიურად ახალგაზრდა რესპუბლიკის მიერ ტერიტორიების გაფართოების მცდელობას ემთხვევა. 1803 წელს ფრანგებისაგან თითქმის უფასოდ შეიძინეს უმდიდრესი ლუიზიანა. 1810 წელს ესპანელებს წაართვეს დასავლეთ ფლორიდა და 1819 წელს მათგანვე შეისყიდეს მთელი ფლორიდა ხუთ მილიონ დოლარად. ანგლო-ამერიკული ომის დროს 1812-1814 წლებში ამერიკელებმა სცადეს კანადის ტერიტორიის დაპყრობა, მაგრამ მარცხი განიცადეს. 1836 წელს აჯანყების პროვინცია მოაწყვეს და ტეხასი მექსიკისაგან გამოყვეს. 1845 წელს კონგრესმა

ოფიციალურად მიიღო ტეხასი შეერთებულ შტატებში, რამაც იმთავითვე განაპირობა გამოიწვია ამერიკელი ინტელიგენციის დრმა პროტესტი.

1800 წლის 4 ივლისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მწერლები და პოეტები იძულებული გახდნენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკაზე გადასულიყვნენ. მათ უნდა შეექმნათ არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ ახალგაზრდა ერის რთული ეთნიკურ-ფილოსოფიური კოდექსი და დახმარებოდნენ მას ჩამოყალიბებაში. ევროპელი რომანტიკოსების მსგავსად, ამ მიმართულების ამერიკელმა მწერლებმა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მისია შეასრულეს. მათ შეძლეს ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის საზღვრების გაფართოება. მე-18 საუკუნის განმანათლებლური რაციონალიზმი ამისათვის საკმარისი არ იყო. ამერიკელი კოლონისტების განმათავისუფლებელი ბრძოლა, რევოლუციური ძვრები, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარება, იმ დროისათვის უფრო თამამ პოეტურ ფანტაზიას, მაღალ ეთიკას მოითხოვდა, რომელსაც შეეძლო გადატრიალებების გრანდიოზულობა და ტრაგიზმი გამოეხატა.

გამარჯვების მომტანი ბრძოლის შედეგად, ამერიკელი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. კონტინენტის კოლონიზაციის დასაწყისში ეს საკითხი არც კი დამდგარა. ახალმოსახლეები რამოდენიმე თაობის განმავლობაში ინარჩუნებდნენ თავისი ერის ნაციონალურ თვითშეგნებას. ამას მოწმობს რუკაზე გაჩენილი დასახლებებიც: ახალი პოლანდია, ახალი ინგლისი, ახალი ორლეანი... ემიგრანტები ამგვარად ინარჩუნებდნენ კავშირს ძველ სამშობლოსთან.

საჭირო გახდა გამოევლოთ ისტორიული განვითარების გრძელი გზა, სანამ ახალმოსახლეებში გაჩნდებოდა ახალ ერად ჩამოყალიბების იდეა, რაც გააურთიანებდა ინგლისელებს, პოლანდიელებს, ფრანგებს, გერმანელებსა თუ ირლანდიელებს. არც თუ ცოტა დრო გავიდა, სანამ ცალკეული კოლონიის- როდ-აილენდის, ნიუ ჰემპშირის, მერილენდის მცხოვრები გათავისუფლდებოდნენ რეგიონალური დამოკიდებულებისაგან. თითოეულს ხომ თავისი ისტორია, ეთნიკური თუ რელიგიოზური განსაკუთრებულობა და ტრადიცია გააჩნდა. ამერიკელთა შორის ნაციონალური ერთიანობის შეგრძნება დამოუკიდებლობისათვის ომის პერიოდშიც კი არ იყო საყოველთაო. მაგალითად ჯონ ადამსი თავის შტატს, მასაჩუსეტს "ჩვენს ქვეყანად" მოიხსენიებდა, მის წარმომადგენელს ამერიკულ კონგრესზე კი "ჩვენს ელჩად" (Chinard 1933: 35) და

მაინც ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი განუხორებდა მიმდინარეობდა. 1774 წელს პირველ კონტინენტალურ კონგრესზე გამოსვლისას პატრიკ ჰენრიმ განაცხადა: "განსხვავება ვირჯინიელებს, პენსილვანიელებს, ნიუ-იორკელებსა და ახალ ინგლისელებს შორის აღარ არსებობს, მე ახლა ვარ არა ვირჯინიელი, არამედ ამერიკელი" (Литературная История США 1977: 30).

ამერიკელმა ფრანგმა, ჰექტორ სენტ ჯონ დე კრევეკერმა, თავის წიგნში, "ამერიკელი ფერმერის წერილები" მთელი თავი მიუძღვნა კითხვას – "რას ნიშნავს ამერიკელი?" კრევეკერი საუბრობს საუბრობს ინგლისური კოლონიის დასახლებაზე. "ამ ჭრელი ბრძოდან ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ხალხი, რომელთაც ახლა ამერიკელები ჰქვიათ. ამერიკელი არის ის, ვინც თავისი ძველი ტრადიციები, ცრურწმენები უკან მოიტოვა და ახალი ცხოვრების წესი, ახალი პოლიტიკური წყობა, ახალი ადგილი მიიღო საზოგადოებაში" (Коренева 1981: 49)

ამერიკელი ისტორიკოსი ჸ. ფოლკნერი თავის წიგნში, "ამერიკის ეკონომიკური ისტორია" ამ პროცესს ასე ახასიათებს: "ამერიკული ხასიათი და ამერიკული იდეოლოგია წინააღმდეგობრივი გავლენის შედეგად შეიქმნა. ამერიკული ცივილიზაციის დამოუკიდებელ განვითარებას, ერთის მხრივ, ოკეანის სიახლოეს და უგროპა აფერხებდა, მეორეს მხრივ, დასავლეთისაკენ გადაადგილება, ეგრეთწოდებული ფრონტირის ცხოვრება, სისტემატიურად ასესტებდა ევროპულ გავლენას და ახალი ერის შექმნას ეხმარებოდა" (Folkner 1924: 95). ფოლკნერის მსჯელობა, ყოველგვარი ევროპულის გავლენას ამერიკული ცივილიზაციის განვითარებაზე, უარყოფითად განიხილავს, რაც ცალსახოვანია და გადაჭარბებული "ამერიკანიზმისაკენ" მივყავართ. ამერიკაში გადასახლებული ევროპელები რეფორმაციისა და განმანათლებლობის შვილები იყვნენ. ამერიკული კულტურა გარკვეულწილად ევროპულის გამოძახილი იყო. თუმცა, უდავოა, რომ ამერიკული ხალხური კულტურის ხასიათი, ტრადიცია, ფოლკლორი, ძირითადად დასავლეთში ანუ ფრონტირთა შორის ჩამოყალიბდა. ბევრი ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე ამერიკაში რომანტიზმის განვითარების საფუძვლის ჩამყრელად ფრონტირთა სამყაროს თვლის.

ვან ვიკ ბრუქსი ამტკიცებდა, რომ "ამერიკული ლიტერატურა ნაციონალური გახდა ფრონტირის სულის სუბლიმაციის წყალობით" (Брукс 1967: 50). მართალია, ფრონტირი არ წარმოადგენდა ერთადერთ მხარეს ამ როლ პროცესში, მაგრამ ის მაინც მთავარი საყრდენი იყო მე-18 საუკუნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სწორედ საზღვარზე აღიზარდნენ ის

ადამიანები, ვისთვისაც ყოველივე ინგლისური უცხო იყო, ვისგანაც ამერიკელი ხალხის ეროვნული თვითშეგნება დაიბადა.

ფრონტირის გავლენის მნიშვნელობას ამერიკელი  
ლიტერატურათმცოდნები სწორად აღნიშნავენ, მაგრამ ხშირად ამის ერთგვარ  
აბსოლუტიზირებას ახდენენ, რადგან ივიწყებენ, რომ თავად ფრონტირი  
ამერიკაში კოლონიალური ცხოვრების პირობებში წარმოიშვა და წარმოადგენდა  
ძირული გარდაქმნების შედეგს და არა მიზეზს.

ამერიკელი კრიტიკოსი ედვინ ფასელი თავის ნაშრომში, რომელიც ფრონტირის პრობლემას მიუმდგნა, თვლიდა რომ ისტორიული და სოციალური ფაქტორების მრავალსახეობიდან, რამაც ეროვნული ლიტერატურის ფორმირებაზე გავლენა მოახდინა, განმსაზღვრელი სწორედ ფრონტირი იყო და შესაბამისად ამ პრიზმაში ატარებს ლიტერატურულ მოვლენებს. (Fussel 1985: 12)

ფრონტირმა მართლაც დიდი როლი ითამაშა მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის განვითარებაში, განსაკუთრებით ფენიმორ კუპერის რომანების სერიაში, "ტყავის წინდა", მაგრამ როცა ზოგიერთი მკვლევარი ედგარ პოს ან ჰერმან მელვილის შემოქმედების სიმბოლიკაში მთავარ სახედ ფრონტირის თემას მიიჩნევს, ეს უკვე რამდენადმე არარეალური და გადაჭარბებულია.

ცნობილი ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე, ვერნონ ლუის პარინგტონი, ვინც პირველად დასვა ამერიკული რომანტიზმის საკითხი, თავის წიგნში "რომანტიკული რევოლუციი ამერიკაში", რომანტიზმის წარმოშობას უკავშირებს არა იმდენად ნაციონალურ ტრადიციებს, არამედ ევროპულს და ამის მიზეზად საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას ასახელებს. (Parington 1958: 65) მკვლევარი პოლ ჰაუფმანი მხარს უჭერდა პარინგტონის მოსაზრებას და 1928 წელს წერდა, რომ ამერიკული რომანტიზმის გაგება ევროპულის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

ამერიკულ ლიტერატურას დამკვიდრებისათვის ბრძოლა უხდებოდა უამრავ ინგლისურ წიგნთან კონკურენციის პირობებში. გარდა ამისა, ინგლისელი კრიტიკოსები ხშირად უჭირსქვეშ აყენებდნენ ამერიკული ლიტერატურის არსებობას. ბრძოლა ნაციონალური ხელოვნებისა და ლიტერატურის დამკვიდრებისათვის ბევრ ლიტერატურის კრიტიკოსს სხვა უკიდურესობაში აგდებდა. ისინი სულიერი კულტურის უნივერსალურობის იდეას ავითარებდნენ.

ნაციონალური ლიტერატურის ჩამოყალიბებისათვის აქტიური ბრძოლის პერიოდი უოლტ ჟიტმენის გამოსვლამ დაასრულა. "ბალახის ფოთლების" წინასიტყვაობა (180) გამსჭვალულია ამერიკის დიდებული მომავლის და მისი შესაბამისი ლიტერატურის ნათელი რწმენით. ეს იყო "მოწოდება ამერიკელი პოეტების მიმართ გააერთიანონ ძველი და ახალი... და მათი ბარდი ლირსი უნდა იყოს მათი ხალხისა... მისი სული მისი ქვეყნის სულს უნდა ეხმაურებოდეს, მის ბუნებას, მდინარეებს, ტბებს უნდა განადიდებდეს" (Whitmen 1855: 14). თუმცა საგულისხმოა, რომ ეს ლიტერატურული ანდერძი ბოლოში მეტად უცნაურად აყენებს ეჭვის ქვეშ ამერიკული ლიტერატურის არსებობის საკითხს. (Whitmen 1855: 14). როგორც ვხედავთ, ამერიკელ მწერლებს თავადაც დიდხანს აღელვებდათ ეს პრობლემა.

ამერიკელი კრიტიკოსი, ე. დაიკინჯი იმ ლიტერატურის სფეროში არსებულ მდგომარეობას, რაც ამერიკელებს გასული საუკუნის კოლონიალური წარსულიდან მემკვიდრეობით ერგოთ ასე ახასიათებს: "კოლონისტებს უყვარდათ თავიანთი წინა სამშობლო და მზად იყვნენ მის კანონიერ ძალაუფლებას დამორჩილებოდნენ. ეს ხალხი ძირითადად ინგლისელები იყვნენ, ინგლისური ლიტერატურა კი ყველა ინგლისელის საერთო მემკვიდრეობა გახდათ, მიუხედავად იმისა, სად იცხოვოდნენ. ისინი ინგლისურად საუბრობდნენ, დრმად იყვნენ გამსჭვალული ინგლისური გემოვნებით და არ აღიარებდნენ ინგლისურ მხატვრულ სახეზე უფრო აღმატებულ ლიტერატურულ მოვლენას. ჩვენც შევურიგდით ინგლისური ლიტერატურის უპირატესობას და მის მოსწავლეობას, იმის მაგივრად რომ გვეცადა ლიტერატურული ხელოვნების ოსტატები გავმხდარიყვით" (Литературная История США 1977: 372) მართლაც, მე-17-18 საუკუნეებში ამერიკულმა ლიტერატურამ ვერ მოიპოვა მკვეთრად გამოხატული ნაციონალური ხასიათი, თუმცა ეს მიზნად პქონდა დასახული და თანდათან იძენდა ნაციონალური თავისებურების ნიშნებს.

1836 წელს ნიუ-იორკში ოთხმა ახლგაზრდამ დააარსა ლიტერატურული კლუბი "ტეტრაქტისი", მოგვიანებით "ახალგაზრდა ამერიკა", რომელიც უშვებდა ურნალს "არქტური" (1840) (184). მან თავისი არსებობის მცირე დროში დიდი როლი შეასრულა ამერიკის ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში და მძაფრი პოლემიკის საგნად აქცია ლიტერატურული და კულტურული განვითარების პროცესი. ამ პოლემიკამ ამერიკელი კრიტიკოსები თრ ბანაკად გაჰყო: ნაციონალისტებად და უნივერსალისტებად. ლიტერატურათმცოდნე ჯონ

სტეფორდის აზრით, ამერიკული მწერლების ამ გაყოფამ დიდი გავლენა მოახდინა ნაციონალური ლიტერატურის ფორმირებაზე. "ახალგაზრდა ამერიკისათვის" ამერიკული ლიტერატურის გაგება ნიშნავდა "ახალ ლიტერატურას, ახალი ადამიანისათვის, ახალ საუკუნეში" (Stafford 1952: 82) ისინი ძირითადად დემოკრატიზმის პრინციპებს ეყრდნობოდნენ. კონსერვატორებისათვის ანუ "ვიგებისათვის", როგორც მათ უწოდებდნენ (იკრიბებოდნენ პერიოდული გამოცემების "ვიგ რევიუსა" და "ნიუ-იორკ რევიუს" ირგვლივ) ამერიკული ლიტერატურა ნიშნავდა ესოდენ ძვირფასი პატრიარქალური წყობის ნგრევას და ახალი მართლწესრიგის გამეფებას, რასაც ისინი "უმრავლესობის ანარქიას" უწოდებდნენ.

ამ ორ ბანაკს შორის პოლემიკის ახალი ტალღა გამოიწვია 1842 წელს რუსულ გრისუოლდის მიერ "ამერიკული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიის" გამოცემამ. (86) შესავალში ავტორი მიუთითებდა, რომ ამერიკულობა არ ნიშნავს ნაციონალურობის სიუჟეტში გამოვლინებას, იგი უნდა ჩანდეს ნაწარმოების სულში. ეროვნული ნაწარმოები შეიძლება პირამიდებზეც შეიქმნას. "ჩვენ უნდა ვეცადოთ, ხელი შევუწყოთ "ერის ენერგიის" გამომჟღავნებას და ლიტერატურა თავისთავად გამოჩნდება" (Griswold 1963: 88). ამ განაცხადმა კონსერვატორების აღშფოთება გამოიწვია. მათი პასუხის მიხედვით ნაციონალური ლიტერატურის მომხრეებმა თავადაც არ იცოდნენ როგორი უნდა იყოს ეს ლიტერატურა. ეს ადამიანები ამჯობინებდნენ ინგლისური ლიტერატურის სილამაზით დამტკბარიყვნენ ვიდრე რაღაც ახალი შეექმნათ.

ბრიტანული გავლენა ამერიკულ ლიტერატურაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო საყურადღებოა, როგორ შეიცვალა და ტრანსფორმირდა იგი ამერიკულ პირობებში.

ორმოცდათიან წლებში კამათი ამერიკის ეროვნული ლიტერატურის ირგვლივ ხან ქრებოდა, ხან ახალი ძალით ჩადდებოდა. 1852 წელს ქურნალი "ამერიკან ვიგ რევიუ" (156) კვლავ მიუბრუნდა ამ საკითხს და განაცხადა, რომ რამდენადაც ამერიკელთა ნაციონალური თავისებურებანი ინგლისურს ემთხვეოდა, არ შეიძლებოდა საუბარი არც ამერიკელ ხალხზე და არც ამერიკულ ლიტერატურაზე, როგორც რაიმე განსხვავებულზე". 1830 წელს ამერიკული ლიტერატურა "დეანგლიზაციამ" შეიპყრო. ომბა მეტროპოლიასთან, ანტიბრიტანული განწყობის გამწვავებამ, ხელი შეუწყო არა მხოლოდ შტატების ერთიან კავშირად გაერთიანებას, არამედ ამერიკელების სწრაფვას, ყველაფერში

ინგლისელებს დაპირისპირებოდნენ. ადრე ეს სწრაფვა მეტი აქტივობით პოლიტიკის სფეროში მყდავნდებოდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ უკვე კულტურის სფეროსაც დაუკავშირდა. დაიწყო აქტიური ბრძოლა იმ ინგლისური შტამპებისა და მხატვრული სახეების წინააღმდეგ, რასაც არავითარი შეხება არ ჰქონდა ამერიკულ ბუნებასთან. 1832 წელს ვ. ბრაიანტმა თავის ძმას, რომელმაც ტოროლაზე დაწერა ლექსი, მიწერა: "ტოროლა ინგლისური ჩიტია და ამერიკელი, რომელსაც ის თვალით არ უნახავს, მისით არ შეიძლება აღფრთოვანდეს!" იმავე წელს პენრი ლონგფელოუ ახალგაზრდა ამერიკელ პოეტებს ურჩევდა ირგვლივ მიმოეხდათ, დაენახათ მშვენიერი ამერიკული ლანდშაფტი და თავი დაეხებებინათ აკვიატებული იდეებისათვის, ანუ ტოროლებისა და ბულბულებისათვის, რომლებიც მხოლოდ წიგნებში ჰყავდათ ნანახი. პენრი თოროც მოუწოდებდა თანამედროვეებს მოფრთხილებოდნენ ამერიკულ მეჟოლიას. (Естетика Американского Романтизма 1977: 90)

ამ "ჩიტების" მხატვრული სახეების უკან ამერიკელი მწერლებისათვის ამაღლვებელი საკითხი იმაღლებოდა. ეს იყო ნაციონალური თემატიკის პრობლემა. შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ლიტერატურის ეროვნული ნიშან-თვისებები მაინცდამაინც ამერიკულ სიუჟეტში უნდა ექცებნათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ თემატიკა უნდა ეხმარებოდეს ნაციონალური პრობლემის წინა პლანზე დაყენებას და არა ინგლისური ლანდშაფტის სურათების აღწერას, არაბული ქვიშებით ან ეგზოტიკური ქვეყნებით დაინტერესებას.

ამერიკული ლიტერატურის ნაციონალიზმის ერთერთი აღრეველი და გავლენიანი ორგანო იყო ბოსტონის ჩრდილოამერიკული რევიუ (1815). (163) უილიამ ტოდორი მის პირველ ნომერში წერდა: "ჩვენ გვაქვს მდიდარი, მრავალსახოვანი მადანი, რომელიც ძლივს გაიხსნა". (Poirier 1966: 25) მე-19 საუკუნის მეორე დეკადაში წარმოშობილი ასოციანისტური ესთეტიკის ნაკადმა ახალი ლექსიკონიც წარმოშვა, რაც მხატვრულ თემებს პოეტურ თვისებებს მიაწერდა. ასოციანისტები ამბობდნენ, რომ მშვენიერება, არ არის აბსოლუტური. ის მეტწილად ასოციაციებისაგან, განსაკუთრებული იდეებისაგან წარმოიშობა" (American Literary Criticism 1981: 46) პენრი ლონგფელოუმ 1825 წელს მის ბოუდონელ მეგობრებს, მათ შორის პოთორნს განუცხადა, რომ "რაც არ უნდა იყოს კეთილშობილი და მიმზიდველი ჩვენს ნაციონალურ ხასიათში, ერთ დღეს ყველაფერი მაინც პოეზიის მაგიასთან ასოცირდება" (Longfellow 1839: 39) და მაინც, ხშირად ასოციანიზმს იმის დემონსტრირებისთვის იყენებდნენ, რომ

ამერიკულ მასალაზე შექმნილი ლიტერატურის უიმედობა დაენახებინათ. უოშინგტონ ირვინგი ევროპას ამერიკისგან განასხვავებდა, როგორც "ლგბენდარულ და პოეტურ ასოციაციას" (American Literary Criticism 1981: 17). 1810 წელს თავის ესეში შოტლანდიელი პოეტი ტომას კემპბელი ამერიკული ლიტერატურის პრობლემას ასე ხსნიდა: "ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს შემთხვევაში სინაძული შეგიპყრობს, რადგან ასოციაციების სრული დეფიციტია, იქნება ეს ისტორიიდან თუ მორალური ლიტერატურიდან. ჩვენი უზარმაზარი მთები და დიდმნიშვნელოვანი ჩანჩქერები არანაირ პოეტურ ასოციაციებს არ აღვიძებენ" (American literary criticism criticism 1981: 160). ამერიკულ ავტორებს დიდხანს გაჰყვათ იმის განცდა რომ ევროპას შეეძლო რომანტიკული მიმდინარეობისათვის იმ ფუფუნების შემოთავაზება, რის საშუალებასაც მდიდარი ისტორიული წარსული აძლევდა. ამერიკის, როგორც ახალი ქვეყნის წარსული მეტისმეტად ახლოს იყო, მას სჭირდებოდა ის ტრადიცია, რომელშიც ლიტერატურა ყვავის ხოლმე. ასეთი ჩივილი უცხო არც ნათანიელ პოთორნისათვის იყო. 1860 წელს "მარმარილოს ფავნის" შესავალში მწერალი იგივე ბრალს უყენებდა ამერიკულ მასალას. ასოციანიზმი მიუთითებდა იმ პრობლემაზე, რაც უჭირდა ამერიკულ ლიტერატურას და სთავაზობდა კიდეც მწერლებს როგორ უნდა გადაეჭრათ ეს პრობლემა. ოსტატი უნდა ეცადოს, რომ მშობლიურ მასალას თავად შთაბეროს პოეტური ასოციაცია. "შემოსოს მშობლიური სცენები და ადგილები წარმოსახვითი, ექსცენტრული, საოცარი ასოციაციებით, რაც ასე იშვიათად შეგხვდება ჩვენს ახალ ქვეყანაში" (American Literature Tradition and Innovation 1969: 56) ამიტომ აქებდნენ უოშინგტონ ირვინგს მისი თაყვანისმცემლები ბარბაროსული ამერიკის კლასიკურად გადაქცევისათვის. საზოგადოება მასალაზე უფრო ნერვიულობდა, ვიდრე შექმნის პროცესზე. ამ გაგებით ასოციანიზმი ამერიკული ლიტერატურის რაციონალიზაციას ემსახურებოდა.

ამერიკის ნაციონალური ლიტერატურის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს ამერიკელმა რომანტიკოსმა მწერლებმა. ამერიკული რომანტიზმის თაობაზე კამათი ას წელზე მეტია რაც გრძელდება. ლიტერატურათმცოდნებს შორის ბევრი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. გაი სმითის პოპულარულ სასწავლო სახელმძღვანელოში "ამერიკული ლიტერატურის ისტორია" გვხვდება მოსაზრება, რომ ამერიკული რომანტიზმი არ არის სოციალური პროტესტის გამო წარმოშობილი მოვლენა, ის უბრალოდ

ამერიკის პირველი ეროვნული ლიტერატურა. (Smith 1957: 15) როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრენსის თტო მატისენმა ამ ლიტერატურულ მოძრაობას მეორე ამერიკული გაზაფხული, ანუ "ამერიკული რენესანსი" უწოდა (119).

ედუარდ სმიტი ამერიკულ რომანტიზმს ინგლისური, ფრანგული, გერმანული ლიტერატურული მოძრაობების გვიანდელ მიბაძვად თვლიდა. მისი აზრით ფილიპ ფრენო, ჯერ კიდევ არ დაბადებული რომანტიკული მიმართულების მე-18 საუკუნის "მარტოსული რომანტიკოსი" იყო (Smith 1957. 98).

დამახასიათებელი თავისებურებების განსაზღვრისას სმითი მას ევროპულს ადარებდა და ასკგნიდა, რომ ინგლისური რომანტიზმისაგან განსხვავებით, რომელიც ცნობილი იყო სოციალური ტენდენციებით გამოწვეული სამრეწველო გადატრიალებებით, (ფაბრიკების რიცხვის ზრდა, შემოღობვის პროცესი, მუშაობა უუფლებობა...) ამერიკულ რომანტიზმს ეს თავისებურებები არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე სმითი რომანტიზმის კრიტიკულ მიმართულებას განიხილავს, როგორც ზოგადსაკაცობრიო პრობლემების კრიტიკას. მისი აზრით, ამერიკული რომანტიზმის არსი მდგომარეობს ამერიკული საზოგადოების წესწყობილების, ახალი სახელმწიფოს განდიდებაში. იგი ხომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად დაიბადა. "ამერიკელი რომანტიკოსები, წერდა სმითი, თავისი სამშობლოს ისტორიაში ვერ პოულობდნენ ვერაფერს, რაც იდეალიზაციის ლირსი იქნებოდა, მით უმეტეს აზრადაც არ მოსდიოდათ ევროპის წარსულისათვის მიემართათ, რაც სკოტმა ან სხვა ინგლისელებმა გააკეთეს. ამიტომ სცადეს გაეიდგალებინათ ამერიკული ცხოვრების უფრო თანამედროვე მოვლენები --ინდიელები, სასაზღვრო დასახლების მცხოვრები და დასავლეთის ყრუ კუთხეები" (Smith 1957: 43-44) როგორც ვხედავთ, სმითი ფაქტიურად უგულვებელყოფს ინდიელების ოქმატიკის მნიშვნელობას და ფრონტირის როლს ლიტერატურის ისტორიაში. თითქმის იგივე შეხედულებას იცავს რ. ჰერტცი, ავტორი ნაშრომისა "ინგლისური და ამერიკული რომანტიზმი" (Hertz 1965: 78)

ზოგიერთ ლიტერატურათმცოდნესთან ამერიკული რომანტიზმის ინტერარეტაცია გაოცებას იწვევს. აიპოვას შრატის უნივერსიტეტის პროფესორი კლარკ გრიფიტი, ავტორი მთელი რიგი ნაშრომებისა, ამტკიცებს, "რომ რომანტიზმის ესთეტიკური კონცეფცია უნდა აიხსნას ედგარ პოს, ჰერმან მელვილის, ნათანიელ პოთორნის წიგნების სიმბოლიკით. ეს არის ტყუილის სამეფო, სადაც "არაფერი არ არის რეალური, სადაც მომხდარი ნდობას არ

"იმსახურებს" ბოლოს ის მიდის პესიმისტურ დასკვნამდე, რომ ამერიკელმა რომანტიკოსებმა თავიანთ შემოქმედებაში მეტნაკლები სისრულით გამოხატეს ადამიანის დანიშნულება—დარჩეს გამოქვაბულის მცხოვრებად, რადგან ამქვეყნიური ყოფიერება სინამდვილისაგან ყრუ კედლით არის განცალკევებული. ადამიანი, საკუთარი არსებით შეცდომებისკენ არის მიდრეკილი და გარემომცველი ცხოვრება მას ყოველთვის ატყუებს. (Griffith 1963: 38)

ამერიკელი კრიტიკოსი ფრედერიკ კარპენტერი თავის წიგნში "ამერიკული ლიტერატურა და ოცნება" გვთავაზობს ამერიკული რომანტიზმის განვითარების თავისებურებების თეორიას. მისი აზრით, ფრანგულმა რევოლუციამ, რომელიც მიდრეკილი იყო უკიდურესობებისა და ანარქიისაკენ, ევროპული რომანტიზმი წარმოშვა, ამერიკული რომანტიზმი კი "ლიბერალიზმისა და დემოკრატიის გზით შემოიჭრა ქვეყანაში" (Carpenter 1955: 126) კარპენტერი წიგნში არცთუ მთლად სწორად განიხილავს დამოუკიდებლობისათვის ომის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არსეს და ახასიათებს რომანტიზმის ნამდვილ ბუნებას. თუმცა როგორც ხშირად ხდება, თვით ყველაზე მცდარ განსჯაშიც არის ჭეშმარიტების მარცვალი. ამერიკელ ლიტერატურულ კრიტიკოსთა შორის კარპენტერმა ყველაზე კარგად გაიაზრა რომანტიზმის მჭიდრო კაგშირი დამოუკიდებლობისათვის ომის ნაციონალურ თავისებურებებთან, რაც შემდგომ სოციალურ რევოლუციაში გადაიზარდა. კარპენტერის გამოკვლევის ეს მხარე "ამერიკული ოცნების ბედის" შესახებ გარკვეულ ინტერესს იმსახურებს.

ლუის პარინგტონი ამერიკული საზოგადოებრივი აზრის გადასვლას რომანტიზმის პოზიციებზე ფრანგული რევოლუციის იდეების ათვისებას უკავშირებს. ის წერს რომანტიზმის გემის შესახებ, რომელმაც ოკეანე გადმოცურა, რათა ამერიკაში აღმოჩენილიყო. როგორც ვხედავთ, ძალიან ცოტა მკვლევარი ითვალისწინებს ამერიკული პრობლემატიკის გავლენას რომანტიზმის დაბადებასა და განვითარებაზე (Parington 1930: 25).

თავისი არსებობის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში რომანტიკულმა ხელოვნებამ რთული ევოლუცია განიცადა. ინგლისის წინააღმდეგ ამბოხებული კოლონისტების პატრიოტული დეპლარაციიდან — აბოლიციონიზმამდე და ამერიკული ბურჟუაზიული სისტემის უკომპრომისო კრიტიკამდე.

ამერიკელ მკვლევართა უმეტესობა, რომანტიზმის ეპოქის ათვლას შეოლოდ XIX საუკუნის ოციანი წლებიდან იწყებს, თუმცა უილიამ ბრაიანტსა და

ფილლიპ ფრენოს პირველ ეროვნულ რომანტიკოსებად თვლიან. ამერიკული რომანტიზმი მოწოდებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი სოციალური ნორმები, ახალი კანონზომიერებები აესახა. ამიტომ XIX საუკუნის ლიტერატურა კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო სახესხვაობით გამოირჩევა. პურიტანული ფსიქოლოგიზმი და ტემპერამენტი შენარჩუნდა, მაგრამ ძველი დოგმების ტყვეობისაგან გათავისუფლდა. ახალი ინგლისის კალვინიზმისაგან მოვიდა უნიტარიანიზმი, შემდეგ კი ტრანსცენდენტალიზმი. პოლონიალური საზოგადოებრივი წყობიდან ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება თითოეულ ამერიკელს მეტად ეამაყებოდა, იბადებოდა პატრიოტიზმი და ამერიკული დემოკრატიის ურყევი, თითქმის ფანატიკური რწმენა. შესაბამისად ფიზიკური და პოლიტიკური ნაციონალიზმის აღმავლობამ გამოიწვია ამერიკული ლიტერატურის აღმავლობა. ერის გაფართოება და მიტაცებულის დაბრუნება იყო ფიზიკური, მატერიალური სიმბოლოები რომანტიკული სწრაფვის განუსაზღვრელი ზრდისა და განვითარებისათვის. ამერიკულ გონებას სჭირდებოდა მოენახა მისი სახლი, შეემოსა თავისი სიშიშვლე, დაესახლებინა ცარიელი ადგილი. "მიწა იყო ჩვენი, სანამ ჩვენ ვიყავით მიწის" როგორც რობერტ ფროსტმა ჩათვალა საჭიროდ ეთქვა (Frost 1916: 30).

ჩამოყალიბდა ახალი კლასი ბურჟუაზია, რომელიც ცხოვრების ბატონ-პატრონი გახდა. გაბატონდა მისი ახალი წესები და კანონები, საიდანაც აღრეული იმედგაცრუების პირველი ნიშნები წარმოიშვა.

მწერლები და პუბლიცისტები მიზნად ისახავდნენ ბუნებით ამერიკული მხატვრული ღირებულებები შეექმნათ. მოუწოდებდნენ ამერიკული საზოგადოების ზე-ჩვეულებები გამოეხატათ ხელოვნებაში. თუმცა ეს ლიტერატურული მოძრაობანი, ამერიკაში რომანტიზმის წარმოშობასთან კავშირში, ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ უარყოფილია. აიოვას უნივერსიტეტის პროფესორი ჰეიზერი ლიტერატურულ კამათში რობერტ სპილერთან წერს: "ლიტერატურული ნაციონალიზმი, არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება იმ ძალად, რომელსაც შეეძლო რომანტიზმის წარმოშობას დახმარებოდა, თუმცა კრიტიკოსები ასეთ განაცხადს ხშირად აკეთებენ" (Hallowell 1957: 59)

ამერიკული რომანტიზმის ძირითადი მიმართულება პარიზგარნმა 1812 წლითა და სამოქალაქო ომის ქრონოლოგიური ჩარჩოებით შემოსაზღვრა. "ეს იყო ძველის და უმოძრაოს ნგრევა, ახალი სამყაროების აღმოჩენა, რაც რომანტიზმს

ნაყოფიერ ნიადგად ემსახურა. არ არის საჭირო დიდი გონებამახვილობა იმისათვის, რომ ინგლისთან მეორე ომის შემდეგ ამერიკაში მომხდარი სწრაფი გარდაქმნები დაინახო. ყოველივე ამან ასაზრდოვა რომანტიზმი, რომელმაც წარმოუდგენელი სიძულვილით შეაქცია ზურგი ძველმოდურ წარსულს, როგორც პოლიტიკასა და ეკონომიკაში, ასევე ღვთისმეტყველებასა და ლიტერატურაში. ამერიკა მოულოდნელად ახალ ქვეყანად იქცა, მას ადარ აწყობდა შეზღუდული შეხედულებები და ფრთხილი წინაპრების ცხოვრების წესი. ძველი კოლონიალური პერიოდის ამერიკა მოდუნებულ, პესიმიზმისკენ მიდრეკილ, რაციონალისტურ სამყაროს წარმოადგენდა. მას ეშინოდა ყოველივე ახლის, და ებლაუჭებოდა ტრადიციებს. ადამიანებს გამოუსწორებელ, გარყვნილ არსებებად თვლიდა და ნათელ მომავალზე თცნებისათვის თავს არ იდლიდა" (Parington 1930: 27).

პოლ რეუბენი გვთავაზობს ამერიკული რომანტიზმის მოკლე და კონკრეტულ მახასიათებლებს, სადაც კარგად ჩანს რა ელემენტები განასხვავებს და ამსგვასებს ამ მიმდინარეობას ინგლისურ რომანტიზმთან. ერთერთი წამყვანი მახასიათებელი გახლავთ ფრონტირი, თავისუფლება, მეტი სივრცე და გეოგრაფიული საზღვრების უქონლობა. ამერიკულ რომანტიზმს მეტი ოპტიმიზმი ახასიათებს ვიდრე ევროპულს, რაც კრიტიკოსის აზრით ფრონტირის დამსახურებაა. (Reuben; 2009) საინტერესოა ტერნერისული ფრონტირის დემოკრატიის გავლენა. (174)

მნიშვნელოვანი იყო რასების შერევა, ანუ დიდი რაოდენობით ემიგრანტების ჩამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე ინდუსტრიალიზაციის ზრდა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლარიზაცია, ჩრდილოეთი გახდა ინდუსტრიული სამხრეთი დარჩა სასოფლო სამეურნეო. ფილოსოფიური წანამდგრების მიხედვით მე-19 საუკუნე განიცდის 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის და მისი კონცეფციების, თავისუფლება, თანასწორობა, მმობა გაგლენას. ინტელექტუალურმა და სპირიტულმა რევოლუციამ უნიტარიანიზმის აღმავლობა გამოიწვია. პოპულარული იყო კოლონიების შექმნა უტოპიური ექსპერიმენტებისათვის როგორიც გახლდათ ახალი ჰარმონია, ნაშობა, ფურიერიზმი და სხვა საზოგადოებები. მნიშვნელოვანი იყო მონობის ინსტიტუტის არსებობა სამხრეთში, ასევე მითი პატრონის და ყმის შესახებ რომლის მოდიფიცირებასაც უილიამ გილმორ სიმსის ბერძნულ დემოკრატიასთან ახდენს. (იგულისხმება პერიკლეს ათენი, სადაც მონობის

ინსტიტუტი არსებობდა, მაგრამ სახელმწიფო ყველასთვის ატარებდა კანონს კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის. ყოველივე ეს პგავდა მონობის გამართლების გზის ძიებას) (Reuben 2009).

ამერიკული რომანტიზმის მთავარი განსჯის საგანი “სუფთა სილამაზის” ძიებაა, იგი ექსპერიმენტაციულია და არადიდაქტიკური. აქტუალურია შორეულისა და არაჩვეულებრივის გამოყენება: ანტიკურის, უცნაურის სასწაულებრივის ექსცენტრიულის. იგრძნობა დაინტერება წარსულით სიძველეებით. ამერიკულ რომანტიზმს ახასიათებს გროტესკული გოთიკური შიშის განწყობა და ტერორის შეგრძნება. რა თქმა უნდა აქტუალურია გაქცევა თანამედროვე ამერიკის პრობლემებისაგან, ინტერესი ბუნების მიმართ, ინდივიდუალიზმი და ესთეტიზმი. ისევე როგორც ინგლიურ რომანტიზმში დიდი დატვირთვა აქვს ბუნების თემას, როგორც პრიმიტიულობის შეგრძნების წყაროს, როგორც თავშესაფარს ადამიანისათვის და როგორც როგორც ღმერთის შეგრძნებას ინდივიდისათვის. ამერიკული რომანტიკული მიდგომა მიმართავს წარმოსახვას, ყურადღებას ამახვილებს უფრო ემოციაზე, ვიდრე მიზეზზე, მისთვის დამახასიათებელია ოპტიმიზმი და დიდსულოვნება, სუბიექტურობა ფორმასა და მნიშვნელობასთან მიმართებაში. რომანტიკული ხერხი ითვალისწინებს პარამეტრების დროში და სივრცეში დაშორებას. ფაბულა როგორც წესი რამდენადმე დაუჯერებელია, მხატვრული სახეები არადეკატური ან ნაკლებსარწმუნო. ყოველთვის ჩანს ავტორისეული სუბიექტურობა. ხშირად დგას სოციალურად მტკიცნეული მორალურობის პრობლემა “სიცრუის სამყარო”. ფორმა გამომდინარეობს შინაარსიდან, ხდება ექსპერიმენტები ახალ ფორმებთან დაკავშირებით.

ამერიკული ლიტერატურის ყველაზე უნიკალური პერიოდი 1850-1859 დაბადა იყო. ეს ის წლებია, როცა ამერიკელმა ავტორებმა საუკეთესო ნაშრომების შექმნეს. რაღაც ემერსონმა, ნათანიელ ჰოთორნმა, ჰერმან მელვილმა, ჰარიეტ ბიჩერ სტოუმ, ჰენრი ტორომ, უოლტ უიტმენმა, ასევე აფრიკელმა ამერიკელმა მწერლებმა, ფრედერიკ დუგლასმა, უილიამ უელს ბრაუნმა, ფრენკ უებმა, მარტინ დელანიმ, ჰარიეტ უილსონმა.

ამერიკული რომანტიზმის განვითარების თავისებურებების შესწავლისას აუცილებელია მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინება— ევროპული ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ინგლისურ რომანტიზმთან მისი მიმართება. ამერიკა ინგლისთან დაკავშირებული იყო თავისი ისტორიით, ენით,

კულტურით. XIX საუკუნის ინგლისი ბურჟუაზიული პროგრესის ეტალონად იქცა სხვა ქვეყნებისათვის. ამ ორი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური განვითარების შედარებით შეიძლება აიხსნას რომანტიკული მიმდინარეობის სპეციფიკა ამერიკაში. ინგლისელი რომანტიკოსები ინდუსტრიულ პროგრესს უარყოფითად უკურებდნენ, ის სოციალურ უთანასწორობას ადრმავებდა, ამიტომ ხშირად აკრიტიკებდნენ მანქანურ ცივილიზაციას, მაგალითად რკინიგზას. ამერიკელი რომანტიკოსები პროგრესს ცივილიზებულად უდგებოდნენ. რალფ ემერსონი 1843 წელს ტომას კარლაილს წერდა, რომ რკინიგზის მშენებლობა ტყეებს აჩანაგებს, მაგრამ სამაგიეროდ "მოგზაურობის სისტრაფე" ისეთი გამოგონებაა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ამერიკისათვის (Reuben 2009).

როგორი ტრაგიზმიც არ უნდა ჟღვრდეს ამერიკელ რომანტიკოსთა ნაწარმოებში, მაინც მკვეთრად იგრძნობა ამერიკისა და მისი შესაძლებლობების რწმენა.

ამერიკული და ევროპული ლიტერატურის განვითარების შედარებისას ჩვენ ვრწმუნდებით, რომ რომანტიზმი ამერიკაში უფრო დიდხანს ბატონობდა ვიდრე ევროპაში. მართალია, მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ეს მიმდინარეობა ევროპაშიც მთავარ ლიტერატურულ მიმართულებას წარმოადგენდა, მაგრამ აქ უფრო ადრე დაკარგა წამყვანი პოზიციები. რეალისტური მეთოდის ჩამოყალიბება ევროპაში ასი წლით ადრე დაიწყო, ვიდრე ამერიკაში. უკვე 1830 წელს არსებობდა "წითელი და შავი", "პარმის სავანე", "მამა გორიო," "ეჟენი გრანდე"… მაშინ როცა ევროპაში ონორე დე ბალზაკმა შემოქმედებითი გზა დაასრულა, ამერიკულმა რომანტიზმმა თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია, რასაც მოწმობს 1850 წელს გამოცემული ნათანიელ ჰოთორნის "ალისფერი ასომთავრული" და ჰერმან მელვილის "მობი დიკი".

რომანტიზმის ასეთი ხანგრძლივი ბატონობა ამერიკაში განაპირობა ამერიკის საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებამ. კლასობრივი წინააღმდეგობები დიდი ხნის განმავლობაში დაფარული იყო გარეგნული თანასწორობის პრინციპით. კანონიერი გახლდათ არჩევნების უფლება, არ არსებობდა კლასობრივი პრივილეგიები. ხელსაყრელ ისტორიულ პირობებში აღმოცენდა მითი ამერიკელობის განსაკუთრებულობაზე და ახალი ქვეყნის უპირატესობაზე ძველთან შედარებით. მე-19 საუკუნის ევროპაში სოციალური დაპირისპირება საოცრად მწვავე გახდა. ერთმანეთს უწყვეტ ჯაჭვად მოჰყვა სახალხო აჯანყებები, ომები, რევოლუცია, ამიტომ ევროპაში ადრე დაიწყო

რეალიზმის მხატვრული მეთოდის ფორმირება, რომლის მთავარი მიზანი სინამდვილის ასახვაა. რომანტიზმს მსგავსი რამ არ ახასიათებდა. სოციალურმა პრობლემატიკამ რომანტიკულ ლიტერატურაში თავი იჩინა, მაგრამ არარეალისტური, არცთუ იშვიათად ფანტასტიკური ფორმით. ვერც ერთი რომანტიკოსი ბალზაკის მსგავსად ვერ იტყოდა: "მე ვარ დოქტორი სოციალური მეცნიერებებისა" (30). რომანტიკოს მწერლებთან საზოგადოებრივი კონფლიქტები აღიქმება როგორც ეთიკური, სულიერი, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ისტორიული განვითარების კანონებთან.

ამერიკულ რომანტიზმში არ არსებობდა მკვეთრი იდეური სხვაობა, რამაც ევროპაში ისეთი ოსტატების მსოფლიერებლობის დაპირისპირება გამოიწვია, როგორებიც იყვნენ ბაირონი და საუთი, პიუგო და შატორიანი, ნოვალისი და ჰაინრი. ამერიკაში, კონსერვატორულმა მსოფლმხედველობამ ვერ იპოვა ნიადაგი ფეოდალური ან კათოლიკური ტრადიციების სახით. ამერიკელი რომანტიკოსებისათვის უცხო იყო ის რევოლუციური, მეამბოხე ნაკადი, რომელიც ევროპულ რომანტიზმს ასულდგმულებდა. ეს აისხება ამერიკულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რევოლუციური სიტუაციის არ არსებობით, რაც ესოდენ მძაფრი იყო ევროპაში. ამერიკულ რომანტიზმთან დაკავშირებული ყველაზე რადიკალური მოძრაობა იყო აბოლიციონიზმი, რომლის წარმომადგენლები მონობის გადასაგდებად იბრძოდნენ. სამოქალაქო ომის პერიოდში მათ მთავრობაც მხარს უჭერდათ (26).

ამერიკული რომანტიზმის თაობაზე კამათი დიდი ხანია გრძელდება. იყო მცდელობა, ამერიკელი რომანტიკოსები გარკვეული ნიშნების მიხედვით დაჯგუფებინათ: ქრონილოგიური, გეოგრაფიული, თემატური, ჟანრობრივი, სტილური, რელიგიური, ფსიქოლოგიური... არსებობს მოსაზრება რომ რომანტიზმი არ იყო ერთიანი მიმართულება ამ ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში.

პეტერბურგელი მკვლევარი, იური კოვალიოვი, თავის შრომაში, "პერმანენტული და ამერიკული რომანტიზმის ზოგიერთი პრობლემა" ამბობს: "არ შეიძლება ერთი ფილოსოფიურ-ესთეტიკური სისტემის ჩარჩოში ჩაისვას ირვინგის ნოველები, ჰომერის რომანები და მოთხოვნები, ჰოს ნოველები, უიტტიერის ლექსები, კუპერის "ტყავის წინდა" ან მელვილის "მობი დიკი". უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკულ რომანტიზმში არ არსებობდა მეთოდოლოგიური სოციალური და ესთეტიკური ერთიანობა". (Ковалев 1972: 47)

მიუხედავად ამ მოსაზრებისა, ზემოთხსენებულ მწერალთა მხატვრული თავისებურებების მსგავსება უდავოა. ჯორჯ გორდონ ბაირონი და პერსი ბიში შელი, ფენიმორ კუპერი და ჰერმან მელვილი, ედგარ პო და უოშინგტონ ირვინგი, როგორც ყველა დიდი მწერალი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ მათი შემოქმედება შესაძლებლობას იძლევა ვისაუბროთ საერთო რომანტიკულ ნიშნებზე მე-19 საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში. მთავარი რომანტიკული ნაკადი მოდის რალფ ემერსონის, პენრი თოროს, უოლტ უიტმენის შემოქმედებიდან, უფრო განსხვავებული სახით, თუმცა არა ნაკლებად ნათანიელ პოთორნის, ედგარ პოს, ჰერმან მელვილის, ნაკლებად იგრძნობა პენრი ლონგფელდუს, უიტტიერის, ლოუელის ნაზრევში.

რომანტიკული მოძრაობას ექსპანსიური იდეალიზმი ახასიათებდა. ის ბევრად არის დავალებული ინგლისური და გერმანული რომანტიზმისაგან. გერმანელმა ფილოსოფოსებმა: კანტმა, ჰერდერმა, ფიხტემ, შელინგმა შეცვალეს ნიუტონის მექანიკური სამყარო და პობსისა და ლოკის მატერიალური ფსიქოლოგია. ინგლისში კოლრიჯმა და უორდსვორსმა ადამიანის ბუნების ახალი შესაძლებლობები დაამტკიცეს. კოლრიჯის გავლენა მეტად შესმჩნევი იყო ამერიკულ ლიტერატურულ კრიტიკასა და მეტაფიზიკაში. 1840-იანი წლების "ოქროს პერიოდის" საუკეთესო უურნალებში ყველგან ჩანს კოლრიჯის გავლენა. კარლაილის შემოქმედებას ემჩნევა მისი დაძაბული იდეალიზმის კვალი, უორდსვორსის პოეზია თავისი ბუნების წარმოსახვით ერთგვარი მეტრი თუ ნორმა იყო ბრაიანტისათვის, რომელსაც "ამერიკულ უორდსვორსსაც" უწოდებდნენ. უალტერ სკოტისა და ჯორჯ ბაირონის გავლენა იგრძნობოდა სამხრეთელ მწერლებზე, ასევე ნათანიელ პოთორნზე და ახალგაზრდა ედგარ პოზე.

ევროპისაგან განსხვავებით, სადაც ესთეტიკურ აზროვნებას ასსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა, ამერიკაში ნაციონალური ესთეტიკური სკოლის ჩამოყალიბება რომანტიზმის ეპოქაში დაიწყო. თავიდანგვე გამოიკვეთა ამ განვითარების ორი წამყვანი ტენდენცია, დემოკრატიული და კონსერვატიულ-მიმბარებელობითი. ეს ომის შემდგომ ამერიკაში ორი კულტურის არსებობას მოწმობდა და რომანტიზმის ბატონობის მანძილზე შენარჩუნდა.

ინგლერესს იმსახურებს რომანტიზმის კავშირი წინამორბედ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან. ამერიკაშიც და ევროპაშიც რომანტიზმის მიმართება განმანათლებლობასთან წინააღმდეგობრივი იყო. რომანტიზმი ერთის

მხრივ უარყოფდა მას და თან ავითარებდა მის ზოგიერთ ტენდენციას. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამერიკაში. ამერიკელ რომანტიკოსთა უმეტესობა აგრძელებდა განმანათლებელთა ბრძოლას დემოკრატიისათვის, უბრალო ადამიანის დირსების დაცვისათვის. თუმცა რომანტიკოსები მიღწეულნი იყვნენ ირაციონალურისაკენ, მისტიციზმისკენ, ინტუიციის კულტისაკენ. მათთვის უცხო არ იყო ადამიანის და საზოგადოების მუდმივ დაპირისპირებაში ყოფნა, პიროვნების მარტოსულობა, არსებული გარესამყაროს გამოწვევა... განმანათლებლურ კონცეფციას, რომ ადამიანი დასაბამიდან სრულყოფილია, ჩაენაცვლა რომანტიკული პიროვნების გაორება, ცნობიერების გახდება. რომანტიკოსთა ნაწილმა გააიდეალა შუასაუკუნეების ეპოქა, რომელიც განმანათლებელთა აზრით უგუნური იყო. თუმცა ამერიკულ რომანტიზმში ეს ოპოზიცია ბევრად უფრო სუსტად გამოიხატა, ვიდრე ევროპაში. ადრეულ რომანტიკოსებთან (უილიამ ბრაიანტი, უოშინგტონ ირვინგი, ჰოლდინგი, ფენიმორ კუპერი) ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობის დოქტრინა ეჭვს არ იწვევს. მცირე შესწორება შეიტანეს მასში ტრანსცენდენტალისტებმა. გვიანმა რომანტიკოსებმა (ედგარ პო, ნათანიელ ჰოთორნი, ჰენრი მელვილი) კრიტიკა გააძლიერეს, მაგრამ სრულ უარყოფამდე არავინ მისულა, თვით პოც კი, რომელიც ყველაზე მეტად იხრებოდა ირაციონალურისაკენ. ედგარ პოს ეს თვისება გონების, მეცნიერების, ცოდნის რწმენით ირაციონალურისაკენ სწრაფვა შენიშნა დოსტოევსკიმ და ამერიკული ნაციონალური ხასიათის თვისებად ჩათვალა. (Достоевски 1930: 523-524)

ანტიგანმანათლებლური	პოზიცია	გვიანდელ
რომანტიკოსებში ყველაზე ნათლად ეთიკის სფეროში გამოჩნდა, ბოროტების არსის და ადამიანური ბუნების ზნეობრივი შეფასებისას. განმანათლებლები აღიარებდნენ ადამიანური ბუნების დაბადებისთანავე სრულყოფილების იდეას და ბოროტების პრობლემას ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ის არასწორი აღზრდის და გაუნათლებლობის შედეგი იყო. ედგარ პო, ნათანიელ ჰოთორნი, ჰერმან მელვილი მძაფრად გრძნობდნენ ბოროტების ძალას და აღიარებდნენ, რომ მისი პირველწერო განუსაზღვრელ სიღრმეებში იმაღლეოდა და არა განმანათლებელთა მიერ დასახელებულ მიზეზებში. ისინი თვლიდნენ, რომ ბოროტება ადამიანურ ბუნებასთან ერთად იბადება. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა ამან ზოგი რომანტიკოსი დრმა პესიმიზმამდე მიიყვანა.	ამერიკელ	

ამერიკულმა რომანტიზმმა განვითარების რამოდენიმე ეტაპი განვლო, რაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების შესაბამისი იყო.

წინარომანტიკული, ანუ პირველი ეტაპი ეპუთვნის მე-18 საუკუნის ბოლოს, დამოუკიდებლობისათვის ომის პერიოდს. რომანტიზმის პირველი ნიშნები თავს იჩენენ ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის, ესთეტიკის სფეროში. ამერიკული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მშრალი დიდაქტიზმი და რაციონალური კლასიციზმი რომანტიკულ ფანტაზიას უთმობს ადგილს. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ფიგურა გახლავთ ფილიპ ფრენო. მისი სტატია "რჩევა შემთხველებს" ამერიკული რომანტიზმის პირველი ლიტერატურული მანიფესტია. ფილიპ ფრენოს თანამედროვენი იყვნენ ბენიამინ ფრანკლინი და თომას პეინი, რომელთა შეხედულებებმა არსებითი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა რესპუბლიკის ესთეტიკურ აზროვნებაზე.

ამერიკული რომანტიზმის პირველ ეტაპზე შეინიშნება "ნატივიზმის" ძლიერი ნაკადი. (Holt 2002) ეს ტერმინი ფართოდ გავრცელებული არ გახლავთ ლიტერატურაობრივი აშში. "ნატივიზმი" იყო რომანტიზმის ჩარჩოებში არსებული კულტურული და ლიტერატურული მოძრაობა, რომლის მთავარ მამოძრავებელ იდეას "ამერიკის აღმოჩენა" წარმოადგენდა. ეს აღმოჩენა ითვალისწინებდა ქვეყნის ბუნების, ისტორიის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ზნეობის შესწავლას, მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების დახვეწას. ეროვნული ლიტერატურის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე "ნატივიზმი" გარდაუგადი და აუცილებელი მოვლენა გახლდათ. რადგანაც ეს ლიტერატურა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების საფუძველზე ვითარდებოდა. ეს თვითშეგნება აუცილებელად ითვალისწინებდა ამერიკის, როგორც ერთიანი გეოგრაფიული, ეთნიკური, სოციალურ-ისტორიული, პოლიტიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კომპლექსის ზოგად ცნებად არსებობას. იგი თითოეული ამერიკელის ცნობიერებაში უნდა ყოფილიყო სამშობლო და არა კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ტერიტორია.

ქრონოლოგიურად "ნატივიზმი" რომანტიკული მოძრაობის ჩარჩოში არ ეტევა. მისი ფესვები განმანათლებლობის ეპოქაში უნდა ვეძებოთ. თუმცა მძლავრი განვითარება მან რომანტიზმის თანმიმდევრულად პპოვა და უმაღლეს წერტილს თვ-თვდაათიან წლებში მიაღწია. მოგვიანებით "ნატივიზმის" ნიშნები შეინიშნებოდა პენრი ლონგფელოუს და უოლტ უიტმენის პოეზიაში, ნათანიელ

პოთორნისა და პერმან მელვილის რომანებში, პენრი თოროს ნარკვევებსა და ადგილობრივი კოლორიტის ლიტერატურაში.

რომანტიკოსთა პირველი თაობა დიდი გატაცებით მოეკიდა ამერიკის ათვისებას. ახალი ქვეყანა შეუსწავლელი და მოულოდნელობებით აღსავსე გახდდათ.

ამერიკულ ლიტერატურაში "ნატივიზმი" შთაგონებული იყო არა მხოლოდ ეროვნული ბუნებით, არამედ ყოფა-ცხოვრების წესისა და საზოგადოების ზნეობის უჩვეულო სახე-სხვაობით. ინდიელი ტომების ცხოვრება ევროპელთა ცნობიერებაში რომანტიკულ ლეგენდად არსებობდა, ამერიკელთათვის კი ეს რეალობა იყო, გამოუცნობი, თავის თავში ჩაკეტილი, მაგრამ ეროვნული ყოფა-ცხოვრების თანმდევი ფაქტი. ინდიელთა სამყაროს, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ხასიათის კვლევა ახალი ქვეყნის ათვისებაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ფრონტირი— ცივილიზაციის მოძრავი საზღვარი— მისი განუმეორებელი სპეციფიკით, თავისებური საზოგადოებრივი, ეკონომიკური, იურიდიული ურთიერთობებით, სადაც ადამიანური არსებობა განუწყვეტლივ გადაადგილებასთან, ველურ ბუნებასთან, ყოველდღიური ყოფის სიმკაცრესთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ეს ხელს უწყობდა თავისებური ადამიანის ტიპის ჩამოყალიბებას, რომელიც ამერიკელთა ცნობიერებაში "პიონერის" სახელით შევიდა. ფრონტირი და პიონერები ამერიკული ეროვნული მოვლენა გახდდათ.

ზღვაოსნობა, იყო კიდევ ერთი სფერო, რომელიც ნაციონალური ცხოვრების მხატვრული ათვისებისათვის დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა. კოლონიის მცხოვრებთათვის ზღვა იყო მთავარი გზა, რომელიც ატლანტის ოკეანის სანაპირო ქალაქებს ძველ სამყაროსთან აკავშირებდა. საზღვაო ცხოვრების ლიტერატურულ დამუშავებას ამერიკის ათვისებაში მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა.

"ნატივიზმის" ნაკადმა რომელიც ჯერ წერილებში, ნარკვევებში, მოგზაურის ჩანაწერებში იჩენდა თავს, მხატვრული ლიტერატურის ძირითად ჟანრებშიც შეაღწია: პოემაში, რომანში, მოთხოვნაში და დრამაში.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში ეს მოძრაობა შეინიშნება სამხრეთელი მწერლების შემოქმედებაში (დ. ფენელი, უ. სიმსი), მოგვიანებით კი ახალი ინგლისის ლიტერატორებთან. (პენრი თორო, დავიდ უიტჩერი, ნათანიელ

პოთორნი, პენრი ლონგფელდუ) მწერლებმა ინტენსიურად დაიწყეს ამერიკის ბუნების, ისტორიული მოვლენების, ფრონტირის ცხოვრების აღწერა. დაინტერესდნენ ინდიელთა ტომების ცხოვრებით, ზღვაოსნობით.

მე-19 საუკუნის ოციანი წლების შემდგომ რომანტიზმის აღმავლობა შეინიშნება. ევროპულმა, მეტწილად კი ინგლისურმა რომანტიზმმა ამ პროცესში არსებითი როლი შეასრულა. ამერიკაში ლიტერატურული მოძრაობა მსოფლიო რომანტიკული მიმდინარეობის ნაწილი გახდა. ოცი, ოცდაათიანი წლების ამ ეპოქას ამერიკული რომანტიზმის მეორე პერიოდს უწოდებენ. მწერლები უკვე იყენებდნენ ევროპული რომანტიზმის გამოცდილებას. ბევრი განიცდიდა შლეგელის, კოლრიჯის ესთეტიკური კონცეფციების გავლენას. ამერიკული ლიტერატურის ანალიზისათვის ბევრმა კრიტიკოსმა გამოიყენა შლეგელის იდეა მხატვრული ნაწარმოების ორგანული ერთიანობის შესახებ. ალბათ არცერთი ცალკეული განსაზღვრება არ განმარტავს რომანტიზმს მთელი თავისი სისრულით. ტრადიციულად ტერმინი რომანტიკული აძლიერებს საგანთა შესაძლებლობებს, რომელიც აქამდე შეუმჩნეველი იყო. რომანტიკოსებს ხომ შეეძლოთ დაენახათ "სამყარო ქვიშის მარცვალში და ზეცა მინდვრის ყვავილში" (38). რომანტიზმის მთავარი იდეა მდგომარეობს ახალ, განსხვავებულ ხედვაში, რომელშიც ყველაფერი ცოცხალია, უკავშირდება ერთმანეთს და აქვს საკუთარი დანიშნულება. აქედან მოდის "ორგანულობის" ოეორია, რომლის მიხედვითაც მთელი რეალობა ორგანულად ცოცხალ კავშირშია გაერთიანებული. ორგანულობა მხოლოდ პოეტური ან მეტაფიზიკური იდეა არ გახლავთ. ის წარმოიშვა მე-18 საუკუნის ბოლოს, ბიოლოგიური მეცნიერებების აღმავლობასთან ერთად, როგორც ცალკეული კონცეფცია. ადრე ფიზიკოსები და მათემატიკოსები აზვიადებდნენ აბსტრაქციასა და ანალიტიკურ კლასიფიკაციებს რათა უნიგერსალური შედეგები მიეღოთ. შემოქმედებმა კი პრობლემა გადაჭრეს თავად ცხოვრების ანალიზის გაკეთებით. ორგანული ერთიანობისა და ცხოვრების სრული რეალიზაცია არ შედის მეცნიერების კომპეტენციაში, რომელიც აბსტრაქციასა და კლასიფიკაციას მიმართავს შედეგის მისაღებად. ის არ ეხება საგნების უნიკალურობას, რომელიც შემოქმედის წარმოსახვაში დევს, იქნება ის პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი თუ მწერალი.

ყველაზე რთული ურთიერთმიმართებანი რომანტიკოსებისათვის აღიქმება უფრო როგორც ორგანული, ვიდრე მექანიკური. თუ ადრე რეალობა გამოხატულ იქნა როგორც კარგად მომუშავე მაჯის საათი, მოწესრიგებული

მანქანა, ახლა მის ანალოგად იქცა მზარდი ხე, ან მცენარე. ცხოვრების მდინარების შესაბამისად ზრდის მისტერიული პროცესი შექმნის ცენტრალურ კომპონენტად იქცა. ყველა საგანი მოძრაობს, ვითარდება, იზრდება და ზრდის შეწყვეტა არის სიკვდილი. რეალობა არ არის სტატიკური, ცოცხალია, მოძრაობს და იცვლება. რეალობაში შესაღწვევად აუცილებელია წარმოსახვის ნიჭი, რაც უკავშირებს კაცს ბუნებას, სუბიექტს ობიექტს, ადამიანურ გონებას მის გარემომცველ სამყაროს. რომანტიზმის მთავარი პრინციპი არის არაჩვეულებრივის არსებობა ჩვეულებრივში, რაც წარმოსახვაში მჟღავნდება. უორდსვორთი და კოლრიჯი ხშირად მიმართავდნენ ამ პრინციპს და ამერიკელი რომანტიკოსებიც ასევე.

რომანტიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი ალბათ არის ინდივიდუალიზმი, რომელიც არ უნდა აგვერიოს ეგოიზმში ან თავდაჯერებულობაში. ადამიანი პატივს სცემს მეორე ადამიანის შესაძლებლობებს. თუკი შეიძლება სამყარო დაინახო ქვიშის მარცვალში, ან კრისტალის სტრუქტურაში, მაშინ პიროვნება არის მაკროკოსმოსის, ყოფიერების მდიდარი და ამოუწურავი ინტერესის მიკროკოსმოსი. "ენდე საკუთარ თავს, ყოველი გული ვიბრირებს ამ რკინის სიმზე" ამბობს ემერსონი. (Emerson 1841). "მე დღესასწაულს ვუხდი ჩემს თავს, ვუმდერი მას... ეს უიტმენის სიტყვებია (Wittmen 1856) თავდაჯერებული ჰენრი თორო განმარტოებას ამჯობინებს, რათა აჩვენოს სხვებს ადამიანური გამოცდილების ნამდვილი სიმდიდრე. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სემუელ კოლრიჯისეული წარმოსახვის თეორია, რომლის თანახმადაც პოეტური წარმოსახვა ერთგვარი ხიდია მატერიალურ და იდეალურ სამყაროთა შორის.

რომანტიკოსები იდეალისტები არიან, ისინი თავს არ იზღუდავენ არც გრძნობათა სიცხადის და არც რეალურ შემთხვევათა წინაშე. არ უარყოფენ ღმერთის არსებობას თავიანთი თავისუფლების გულისათვის, რადგანაც ეს უარყოფა მხოლოდ აღატაკებს და არ ამდიდრებს, რამეთუ ღმერთი არის მათი შთაგონების ფრთაშესხმა უსასრულობისაკენ. ორგანული ერთიანობის სამყაროში სულის რეალობა არ არის განცალკევებული გრძნობათა რეალობისაგან. ბუნება არის ღვთიურობის სიმბოლო და მისი გამოხატულება. სიტყვაც ასევე არის ცოცხალი და სიმბოლური.

ედგარ პომ სტატიაში "პოთორნის ნოველისტის შესახებ" რომანტიზმის ესთეტიკის ერთერთი მთავარი თეზისი ჩამოაყალიბა, "თუკი

პირველივე ფრაზა არ ეხმარება მთლიანობის ეფექტის შექმნას, მაშინ მწერალმა იმთავითვე მარცხი განიცადა. მთელ ნაწარმოებში ერთი სიტყვაც არ უნდა იყოს ისეთი, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად ერთიანი, ჩაფიქრებული მიზნისკენ არ მივყავართ. ასე საგულდაგულოდ, დახელოვნებით იქმნება საბოლოოდ სურათი, რომელიც სრული კმაყოფილების გრძნობას ანიჭებს მას, ვინც ასეთი ხერხი განჭვრიტა." (Poe 1842) იგივე ედგარ პო ამტკიცებდა, რომ "არ შეიძლება ერთმანეთში აურიო პოეზიისა და ჭეშმარიტების ზეთი და წყალი" (Poe 1846). პოეზიაში ის გულისხმობდა მხოლოდ რომანტიკულ პოეზიას, ჭეშმარიტება კი იყო გარემომცველი რეალური სინამდვილე. ხელოვნება, პოეზია ყოველთვის უპირისპირდება ერთფეროვან სინამდვილეს. ჩვენს წინაშეა პოეტის ოცნებისა და რეალობის წინააღმდეგობრიობა, რაც რომანტიკული მსოფლიხედგელობის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ესთეტიკური აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მღელვარე პერიოდი იყო 1837-1855 წლები, ანუ პერიოდი ემერსონის ცნობილი ესედან- "ამერიკელი სწავლული" (Emerson 1837), უოლტ უიტმენის "ბალახის ფოთლების" წინასიტყვაობამდე (Whitman 1855). ამ პერიოდში ლიტერატურულმა პრობლემებმა ახალი ჟღერადობა შეიძინეს. ეპოქის გმირული მისწრაფებების საფუძველზე დაიბადა ისტორიული რომანი, რომლის წარმომადგენლები იყვნენ: ფენიმორ კუპერი, მეტ ბრაუნი, უოშინგტონ ირვინგი. დაიწყო ამერიკული და ევროპული რომანტიზმის ურთიერთქმედების რთული პროცესი, რომლის ისტორიაც კვლავ კვლევის საგანია.

რომანტიზმის მეორე ეტაპის ლიტერატურამ მსოფლიო გამოხმაურება პპოვა. დაიწყო კვლევა და შეგროვება ფოლკლორული და მითოლოგიური ნიმუშების, ჩამოყალიბდა მხატვრული ტრადიციები, განისაზღვრა ლიტერატურის წამყვანი თემები, რომელთაც მოგვიანებით ტრანსფორმაცია განიცადეს. ეს პერიოდი ხასიათდებოდა განმანათლებლობასთან მჭიდრო კავშირით. ლიტერატურაში ოპტიმისტური განწყობა მძლავრობდა, რადგან მონობის საკითხი ჯერ მწვავედ არ იდგა. დამოუკიდებლობისათვის ომის შედეგები საზოგადოებას ოპტიმისტურ განწყობას უნარჩუნებდა. მაგრამ ამერიკული დემოკრატიისა და ბურჟუაზიული წყობის უარყოფითმა მხარეებმა მალე იჩინეს თავი. გამარჯვებით გამოწვეული აღფრთოვანება გაუგებრობითა და დაბნეულობით შეიცვალა. გუშინდელ ჯარისკაცებს არ აკმაყოფილებდათ დამოუკიდებლობის დეკლარაციით მოპოვებული თავისუფლება. მათ მოითხოვეს მიწები და საკუთარი

არსებობისათვის შრომის უფლება. წვრილი ფერმერების პერძო მესაკუთრული მისწრაფება პატრიარქალურ ინდივიდუალიზმს დაუპირისპირდა. ერთი შეხედვით მშვიდი ცხოვრების უცან რთული კოლიზიები იმაღლებოდა. ამერიკელი რომანტიკოსები მათ მნიშვნელობას მოგვიანებით ჩაწვდნენ. ამით აიხსნება მწვავე კრიტიკული მოტივების გაჩენა ფენიმორ კუპერის, უოშინგტონ ირვინგის, ნათანიელ ჰოთორნის შემოქმედებაში. ბურჟუაზიული არსებობის ყოველდღიურობის პროზაულობის მიმართ პროტესტის გამოხატვის ერთერთ ფორმად იქცა ევროპული კულტურისა და სიძველეების გაიდეალება, რაც კარგად ჩანს ზემოთხსენებული მწერლების შემოქმედებაში.

რომანტიზმის განვითარების პირველ და მეორე პერიოდს ერთმანეთთან ტრანსცენდენტალისტების შემოქმედება აკავშირებს. 1835 წელს რალფ ემერსონის ირგვლივ შეიკრიბა ლიტერატორთა ჯგუფი. მათ გადააფასეს განმანათლებლური დოქტრინები და ბურჟუაზიულ პროზაულობას დაუპირისპირეს ადამიანური ყოფის ტრანსცენდენტალური ფასეულობები. აქცენტი გააკეთეს ადამიანურ სიკეთეზე წინა პლანზე წამოსწიეს პიროვნების კონცეფცია--"გჯეროდეს შენი თავის", (Emerson 1841) რაც თვითსრულყოფის იდეას ითვალისწინებდა და ემერსონისეული ინდივიდუალიზმის გამოხატულება იყო. ამ ერთი შეხედვით მოკლე და უბრალო ფორმულაში მეტად ლრმა და რთული შინაარსი იყო ჩადებული. ამ დოქტრინის მთავარი ასპექტი დაკავშირებულია ამერიკის საკუთარი კულტურის შექმნის პრობლემატიკასთან. ემერსონი, ისე როგორც ყველა ამერიკელი რომანტიკოსი გრძნობდა, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომელმაც ქვეყანას პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუტანა უნდა მოჰყოლოდა სულიერი დამოუკიდებლობა. ამას უკავ ითხოვდა ამერიკაში არსებული კულტურული მდგომარეობა. რადგან ლიტერატურე, ხელოვნება და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარე ევროპიდან შემოტანილი ფასეულობებით იკვებებოდა. აქედან გამომდინარე წარმოიშვა დოქტრინა "ენდე საკუთარ თავს" რომელიც ნაციონალურ მასშტაბებს მოიცავდა. ემერსონი დაუზოგავად ცდილობდა მოესპო მიმბაძველობა, აზრის სიმფრთხალე, ქედისმოხრა ევროპელი ავტორიტეტების წინაშე. "ჩვენი რელიგია, ჩვენი განათლება, ჩვენი ხელოვნება ისწრაფვის ყოველივე უცხოსაკენ, საზღვარგარეთულისაკენ" წერდა ის, "შექსპირის შესწავლით შექსპირს ვერ შექმნი" (Emerson 1841).

ტრანსცენდენტალისტები გამოირჩეოდნენ ოპტიმიზმით, ნაციონალური სიამაყის შეგრძნებით. ისინი აკრიტიკებდნენ კაპიტალისტურ პროგრესს, თუმცა ეს

კრიტიკა რომანტიკულ-უტოპიურ ხასიათს ატარებდა. მათი ლიტერატურულ-ესთეტიკური საფუძველი გახლდათ განმანათლებლური ცივი რაციონალიზმის, ცივი გონების წინააღმდეგ დაპირისპირება. ტრანსცენდენტალისტები უარყოფდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წევბის არსებულ ფორმებს. მათ მიერ შემუშავებული ლიტერატურული თეორიები ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს იძლეოდა, რაც ახალგაზრდა ამერიკული ლიტერატურისათვის უცნობი იყო. მარგარეტ ფულერი ჯერ კიდევ უიტმენამდე აღნიშნავდა ეროვნული ლიტერატურის კავშირს ამერიკული საზოგადოების მდგომარეობასთან.

რომანტიზმის მეორე, მომწიფებულ ეტაპზე დიდი გავლენა მოახდინა ორმოციანი წლების ეკონომიკურმა ძვრებმა, რადიკალურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ, შინაგანმა და გარეგანმა კონფლიქტებმა. რომანტიკოსებმა შეიმეცნეს, რომ სოციალური ბოროტება არ იყო რაღაც განყენებული ძალა, რომელიც გარედან ანგრევს იდეალურ სახელმწიფო სტრუქტურას. მათ იგრძნეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ანტიპუმანური, ანტიდემოკრატიული ტენდენციების არსებობა და აქედან გამომდინარე თრი პრობლემის პირისპირ აღმოჩნდნენ. პირველი, დაედგინათ დემოკრატიის გადაგვარების მიზეზი, მეორე მოებიათ ის გზები, რითაც დაკარგული იდეალების აღდგენა შეიძლებოდა. ამას დაუკავშირდა საერთო რომანტიკული ცნობიერების ცვალებადობა. ახლა უკვე დაინტერესდნენ თავად ადამიანით "ჰომო ამერიკანუს" (Коренева 1981: 49) "ახალ ადამში" დაიწყეს დემოკრატიული საზოგადოების ტრანსფორმირების მიზეზის ძიება, მასგა დაუკავშირეს უნივერსალური რეფორმის იმედიც, რომელიც ჭეშმარიტი დემოკრატიის დაბადებამდე მიიყვანდათ.

ყოველივე ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ რომ რომანტიკული მსოფლედგელობა, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის გნოსეოლოგიას და ეთიკას ეყრდნობოდა, პირველ რიგში კანტის, შელინგის, ფიხტეს იდეაბს. რომანტიკული ინდივიდუალიზმი, როგორც ესთეტიკური და ზნეობრივი კატეგორია, დიდი ხანია საფუძვლიანად არის შესწავლილი კულტურისა და ლიტერატურის მქვლევართა მიერ. აქედან გამომდინარე ადამიანის პიროვნებით, მისი შინაგანი შესაძლებლობებით დაინტერესება ქსოდენ დამახასიათებელია რომანტიკოსთა ცნობიერებისათვის. ამ კონცეფციას ეყრდნობა რომანტიკოსთა დიდი ინტერესი აღორძინების ეპოქის კულტურის, განსაკუთრებით შექსპირის მიმართ. ეს გამომჟღავნდა სემუელ კოლრიჯის შრომებში, რალფ ემერსონის ქსოვეტიკაში, პერმან მელვილის რომანების "შექსპირიზებულობაში".

საგულისხმოა, რომ ამერიკული რომანტიზმის ერთერთმა ქველაზე მნიშვნელოვანმა მკვლევარმა ფ. ო. მატისენმა თავის ფუნდამენტალურ შრომას "ამერიკული რენესანსი" დაარქვა, თუმცა თავადვე აღიარებდა, რომ "შ-19 საუკუნის ამერიკული კულტურისათვის აღორძინების სახელდება მოკლებულია სიზუსტეს, რამდენადაც აქ ადგილი არა აქვს ამერიკაში მანამდე არსებული ლირებულებების აღორძინებას" (Matthiessen 1968: 8). მატისენი აღიარებდა რომანტიზმისა და აღორძინების ეპოქების ერთგვარ სიახლოვეს, რადგან ორივეს მთავარი თეზისი იყო დაეყენებინათ ადამიანი იდეოლოგიური სისტემის სამყაროს ცენტრში.

რომანტიზმის მომწიფებულ პერიოდს "რომანტიკულ ჰუმანიზმსაც" უწოდებენ. მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი განსხვავება რენესანსული ჰუმანიზმისაგან. რომანტიკულ ჰუმანიზმს არ გააჩნია ამ უკანასკნელის სივრცე და უნივერსალურობა. ის ინტერესდება არა ადამიანით ზოგადად, ან მისი სამყაროს ცენტრში დგომით, არამედ კონცენტრირებულია ადამიანის პიროვნებაზე, მის ცნობიერებაზე. თვით ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების კვლევისას ანგარიშგასაწევია მხოლოდ სულიერი ასპექტი. მხატვრული ათვისების მთავარი ობიექტი არის ადამიანის ცნობიერება მის ინტელექტუალურ ზნეობრივ თუ ემოციურ გამოვლინებებში. რა თქმა უნდა საუბარია არა ზოგადად ცნობიერებაზე, არამედ მუ-19 საუკუნის ამერიკელის ცნობიერებაზე. მკვლევარები რომანტიზმის განვითარების ამ ეტაპზე უდიდეს მხატვრულ მოვლენად ედგარ პოს, ნათანიელ პოთორნის, ჰენრი ლონგფელდუს, ჰერმან მელვილის, უოლტ უიტმენის შემოქმედებას თვლიან. ინდივიდუალურ ცნობიერებაზე კონცენტრირება არ ნიშნავდა საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პრობლემების მიმართ ინტერესის დაკარგვას. ახალი ქვეყნის ლიტერატურისათვის ტრადიციულმა ანტინომამ—"ადამიანი ეს საზოგადოებაა" რომანტიკულ ჰუმანიზმში რთული, ამბივალენტური, შინაგანად წინააღმდეგობრივი ხასიათი მიიღო. მეორე თაობის ამერიკელი რომანტიკოსები ბურჟუაზიული სინამდვილის მძაფრი კრიტიკოსები იყვნენ. მათი ანალიზის ობიექტს თანამედროვე ეკონომიკური პრიციპები, პოლიტიკური ზნეობა, სოციალური წესრიგი, კანონები, ბურჟუაზიული პრესა, საზოგადოებრივი აზრი და თავად ამერიკული დემოკრატიის ზნეობრივი საფუძვლები წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში ადამიანი და მისი ინდივიდუალური ცნობიერება სინამდვილის მსხვერპლად წარმოგვიდგენდა.

საზოგადოებრივი ბოროტების ბუნებისა და პირველწეროს დადგენის მცდელობას რომანტიკოსები ადამიანთან მის ინტელექტუან, ზნეობრივ ცნობიერებასთან, მის ფსიქოლოგიასთან მიყავდა. ამგვარად პიროვნება გამოდიოდა ყოველგვარი ბოროტების სათავე და მატარებელი. ეს მხატვრული გადაწყვეტა გვხვდება ნათნიელ პოთორნთან, ჰერმან მელვილთან, ედგარ პოსთან. ისინი პრობლემას სხვადსხვაგვარად ხედავდნენ, ეძებდნენ პასუხს ადამიანური ცნობიერების სხვადასხვა სფეროში. პო ფსიქოლოგიაში, მელვილი ინტელექტუალი, პოთორნი ადამიანის გულის სიღრმეებში.

ამ პერიოდისათვის შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული კულტურის ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლა, რაც ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა, წარმატებით დასრულდა.

როცა დადგა ბოროტების დაძლევის, სოციალური რეფორმის საკითხი, რომანტიკოსებმა ადამიანის ცნობიერებას მიმართეს. რალფ ემერსონმა წამოაყენა ადამიანის ცნობიერებაში ღმერთის არსებობის იდეა და ამაზე ააგო ცნობილი თეორია "გწამდეს შენი თავის", ნათანიელ პოთორნმა შექმნა კონცეფცია "ადამიანის გულის შესახებ", რომელიც სიკეთისა და ბოროტების ზნეობრივი სუბსტანციის გადაკვეთის ადგილია. ედგარ პო დაუყრდნო ადამიანის ბუნებაში არსებულ სილამაზის ინსტინქტს. ჰენრი თორომ ეს იდეები უნივერსალურ ფორმულაში განაზოგადა--უნდა მომხდარიყო ინდივიდუალური ცნობიერების რევოლუცია, რომელიც ბოლოს მოუდებდა ბოროტებას და განახორციელებდა დემოკრატიულ იდეალებს.

მალე რომანტიკოსთა ცნობიერებაში ეჭვი გაჩნდა, რომ საზოგადოებრივი პრობლემები რომელიც უკვე ყველა სფეროში იჩენდა თავს, ამერიკული დემოკრატიის საფუძველში, მის ბუნებაში მდგომარეობდა. რაც უფრო ძლიერდებოდა ეს აზრი, მით უფრო ახლოვდებოდა რომანტიკული მეთოდოლოგიის კრიზისი. მრავალსახოვანმა ბოროტებამ, რომელიც გარემომცველ სინამდვილეში არსებობდა, რომანტიკოსთათვის ფატალური, დაუძლეველი სახე მიიღო, რამაც მათ შემოქმედებაში ტრაგიკული მხარე გააძლიერა. იდეალისტური კონცეფციის (ნებას იძლეოდა ყოფიერების კანონზომიერება ცნობიერების კანონზომიერებამდე აეყვანა) მარცხმა, რომანტიკოსებს საზოგადოებრივი რეფორმის და თითოეული პიროვნების შინაგანი რევოლუციის იმედი მოუსპო. აქედან წარმოიშვა ამერიკული რომანტიკული ცნობიერების დუალიზმი--- ახალგაზრდა რესპუბლიკის შექმნის პატრიოტული სიამაყვ, განხორციელებული

უმეტესად ისტორიულ რომანებში, შეერთებული იმედგაცრუების სევდასთან, რაც გამოწვეული იყო დემოკრეტიული იდეალების გადაგვარებით. ამერიკული რომანტიკული ცნობიერების ევოლუციაში ამ დუალისტური სისტემის ელემენტების ბალანსირება დაირღვა. ეს პროცესი ამერიკის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში შეინიშნებოდა.

ამერიკული რომანტიზმის მესამე ეტაპი სამოქალაქო ომს უკავშირდება. ჩრდილოეთის და სამხრეთის დაპირისპირება, რაც ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე არსებობდა, ომის წლებში უმაღლეს წერტილს მიუახლოვდა. ლიტერატურა ორად გაიყო: ჩრდილოეთა შემოქმედება, იგივე აბოლიციონისტური ლიტერატურა, რომელთა უურადღების საგანი იყო არა სოციალური უსამართლობა, არამედ ზნეობრივი საფუძვლების ნგრევა, რასაც უნდა ემყარებოდეს ადამიანის თავისუფალი და ჰარმონიული ცნობიერება. მათ უპირისპირდებოდა სამხრეთელი მწერლების შემოქმედება, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ მონათმფლობელთა ინტერესები.

სამოციან წლებში რომანტიზმა დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა. მისი გავლენა შესუსტდა. ამერიკელმა მწერლებმა და მოაზროვნებმა შეიცნეს, რომ რომანტიკულ მეთოდოლოგიას არ ჰქონდა ძალა გამკლავებოდა ცხოვრებისეულ პრობლემებს, მის გამოცანებს, ან ეპოვა გზა ამ წინააღმდეგობების გადასაწყვეტად.

სამოქალაქო ომის წლებში რომანტიკული ხელოვნების ნაკადში უკვე რეალიზმის ნიშნები შეიმჩნევა. თუმცა ეს გამოიხატებოდა მხოლოდ იუმორისტულ მოთხოვნებსა და ნარკვევებში. (პ. ნები, ო. რეილი, ო. კარი)

მე-19 საუკუნე ბოლო ორი ათწლეულის გამოკლებით ამერიკის ლიტერატურის ისტორიაში რომანტიზმის საუკუნედ რჩება. შექმნილმა საუკეთესო ნაწარმოებებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს და დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი მხატვრული ღირებულება.

## თავი II

რომანტიკული რომანი და მისი პოთორნისეული ინტერპრეტაცია

### 2.1 რომანტიკული რომანის წარმოშობის საფუძვლები და თავისებურებანი

ამერიკულმა რომანტიზმა შექმნა რომანის ახალი ფორმა, რომელიც ერთის შეხედვით პგავს უძველეს და ტრადიციულ რომანის ფორმას, თუმცა განსხვავება მათ შორის რა თქმა უნდა არსებობს, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ ნაშრომში. ამერიკული რომანტიკული რომანი მოიცავს როგორც კლასიკური რომანის ელემენტებს, აგრეთვე ადაპტირებულ პასტორალის თემას და გოთიკური ელემენტების გარკვეულ კომბინაციას. საინტერესოა და დიდხანს იყო დავის საგანი, რამდენად უნიკალური გახლავთ მხატვრული პროზის ეს ამერიკული ფორმა, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ ის უბრალოდ უანრების ამაღლამას წარმოადგენდა. კრიტიკოსმა ლაიონელ თრილინგმა ერთერთმა პირველმა წამოჭრა საკითხი, რომ "რომანი" ეხებოდა რეალობას და ხასიათდებოდა "სოციალური სტრუქტურით, რაც ვერასოდეს დამკვიდრდება რეალურად ამერიკაში, რადგან ამერიკელი ნიჭიერი მწერლები თავიანთ გონებას საზოგადოების სოციალური პრობლემებისაკენ არ მიმართავენ. მათი მხატვრული ნაწარმოებები არის არა "რომანები" არამედ "რომენსები" (Trilling 1975: 102). ლიტერატურის კრიტიკოსების უმრავლესობამ ეს არგუმენტი მისაღებად მიიჩნია და გაავრცელეს კიდევ. მოცემულ საკითხზე განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება პერი მილერმა და რიჩარდ ჩეიზმა. (Chase. 1957: 41), (Miller 1967: 95). ამერიკელ ლიტერატორთა შორის გავრცელებული შეხედულებით, "რომენსი" უფრო ამერიკული რომანისთვის დამახასიათებელი სახეობაა, ხოლო "ნოველი" ინგლისური ლიტერატურისათვის. შეიძლება დავადასტუროთ, რომ "რომენსი", რომელიც ამერიკულ ლიტერატურაში დამკვიდრდა, იყო განსხვავებული მიმართულების უანრი, თუმცა კი დაკავშირებული კლასიკურ რომანის უანრთან.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში "თეილმა" ადგილი დაუთმო მოკლე მოთხოვობას. ბრეტ ჰარტმა ეს ევოლუცია აღწერა სტატიაში "მოკლე მოთხოვობის წარმოშობა" (Hart. 1978: 78). სწორედ მოთხოვობა გახლავთ ამერიკელი მწერლების აღიარების ერთერთი მიზეზი. ედგარ პო ამ უანრის განუმეორებელი ოსტატია, პენრი ლონგფელდუმ და ნათანიელ პოთორნმა მას ინგლისური კლასიკის

განუმეორებელი მომხიბვლელობა მიანიჭეს, თუმცა პოთორნისათვის მოთხოვბები უფრო მოსამზადებელი პერიოდი იყო, რათა შემდგომში ცნობილი “რომენსები” ჟექმნა.

ამერიკულ მხატვრულ ლიტერატურაში “რომენსის” ტრადიცია ჩნდება 1790-1820 წლებში, ჩარლზ ბროკენ ბრაუნის, უოშინგტონ ირვინგის ნაშრომებში და კულმინაციას 1840-1850 წლებში ედგარ პოს, ნათნიელ პოთორნის, ჰერმან მელვილის დიდებულ ნაწარმოებებში აღწევს. მოდერნისტული ლიტერატურის წარმომადგენლები რომანტიკულ რომანს გამორჩეულ ფორმად თვლიან, რომელიც თავისი მხატვრული ბუნებით განკუთვნილია აბსტრაქტულის, არაისტორიულის, ასოციალურის, გამონაგონის, მითოსურის, არაცნობიერის გამოსახატავად, თუმცა პოთორნის “რომენსი” ამ მხრივ აღიარებულის წარმოადგენს, რადგან მასში თანამედროვე ეპოქის სოციალური პრობლემებით დაინტერესება აშკარად იგრძნობა. ამის დასტურად “ალისფერი ასომთავრულის” შესავალი ნარკვევი “საბაჟო” კმარა. (Hawthorne 1852: 9)

რომანის ცნება ინგლისურ ენაში ორი ტერმინით გადმოიცემა “რომენსი” და “ნოველი”. ორივე ნიშნავს რომანს, ოდონდ მხატვრული ფორმითა და შინაარსობრივად მაინც ურთიერთგანსხვავებულს. ამ ტერმინებს პირობითად ციალა თოფურიძე ასე თარგმნის: ”რომენსი ეს არის რომანტიკული რომანი და “ნოველი” ყოფითი რეალისტური ან უბრალოდ რომანი“ (თოფურიძე 2004: 17). რომანის ჟანრის ამგვარი დაყოფა ორ სახეობად და შესაბამისი ტერმინები, თავდაპირველად ინგლისურ ლიტერატურაში წარმოიშვა. შემდეგ გავრცელდა ინგლისურენოვანი ქვეყნების ლიტერატურაში. ამერიკული “რომენსი” გამოირჩევა სოციალური სტრუქტურის ნაკლებობით. ნათანიელ პოთორნმა და სხვა ამერიკელმა რომანტიკოსებმა “რომენსი” თავის ეროვნულ, ამერიკული რომანის ფორმად აღიარეს და ერთგარად კიდევაც დაუპირისპირეს “ნოველს”, სოციალურ ყოფით რომანს, როგორც ტიპიურ ინგლისური რომანის სახეობას. ამიტომ ისინი ყურადღებით მოეკიდნენ რომანტიკული რომანის პოეტიკის დამუშავებას. “რომენსის” აღიარებული მწერალი ლებულობდა და იყენებდა იმას, რასაც რომანისტი მალავდა ან უარყოფდა, ანუ იმას, რომ მისი ნაწარმოები წარმოსახვის ნაყოფი იყო. “რომენსით” მხოლოდ ამერიკელები არ დაინტერესებულან. ინგლისელმა კრიტიკოსებმა კლარა რიიგმა და უილიამ კონგრიგმა დაწერეს ნაშრომი რომანსა და “რომენსს” შორის გავრცელებული განსხვავების შესახებ, რაც ერთგვარად პოთორნის “შვიდფრონტონიანი სახლის” შესავალის პრინციპს

ინარჩუნებს (Reeve 1930: 110). მაგრამ ინგლისელი მწერლები “რომენს” განსაზღვრავდნენ უფრო ფსიქოლოგიურ, ეთიკურ საზღვრებში, ვიდრე ესთეტიკურში. “რომენსი” იყო ტერმინი ნებისმიერი მოთხოვნებისა თუ რომანისათვის, რომელიც უფრო გამოგონების ნიმუშს წარმოადგენდა, ვიდრე სინამდვილის მიბაძვას. უფრო წარმოსახვის ნაყოფი იყო, ვიდრე გონების. უოლტერ სკოტი 1827 წელს წერდა: “ჩვენ ახლა ვიყენებთ ტერმინს რომენსი, როგორც სინონიმს წარმოსახვითი ნაწარმოებისა” (Tompkins 1932: 210). იგივე აზრი ნარჩუნდებოდა იმ პერიოდის ამერიკულ ცნობიერებაშიც. გენერალმა სალივანმა განაცხადა, რომ რევოლუციის ფაქტები და სცენები “ისეთი უცნაური და გმირულია, რომ ისინი უფრო მოგვაგონებენ გამოგონილ მითებს ან რომენსებს, ვიდრე ნამდვილი ისტორიის რეალობას” (Bell: 1962: 37) ჩარლზ ბროკლენ ბრაუნმა ამიტომაც განასხვავა “რომენსი” არა რომანისაგან, არამედ ისტორიისაგან. “რომენსი” მისთვის არ იყო ერთი სახის სხვასთან დაპირისპირებული მხატვრული ლიტერატურა, არამედ ყოველგვარი ლიტერატურა დაპირისპირებული ფაქტოან. (Sullivan 1877: 85) “რომენსის” თეორიის გულში იგი დუალისტურად იყოფოდა ფანტაზიად და წარმოსახვად. ამერიკული “რომენსი” ანუ რომანტიკული რომანი ნიშნავდა განსხვავებულ მოვლენას განსხვავებული ხალხისათვის. ამერიკული, ორთოდოქსული ანუ რელიგიური აზრი ეწინააღმდეგებოდა შთაგონებით წარმოშობილ “რომენს”, რადგან წარმოსახვა თუ მკაცრად არ არის გაკონტროლებული, სახიფათოა ინდივიდუალური ბედნიერებისა და სოციალური კავშირებისათვის. მეტ ბრაუნი, უოშინგტონ ირვინგი, ჰერმან მელვილი, ნათანიელ ჰოთორნი “რომენსის” თემას საკმაოდ მტრულად განწყობილ გარემოში მიუბრუნდნენ. ეს იყო პერიოდი, როცა მხატვრული ლიტერატურა უგარგის საქმიანობად ითვლებოდა. მე-19 საუკუნის “რომენსი” პირდაპირი მნიშვნელობით სუფთა ფანტაზიის ნაყოფი იყო და საკმაოდ სახიფათოც. ამ ფაქტმა სერიოზული როლი ითამაშა ზემოთხსენებული მწერლების მიერ ნაწარმოების ფორმის შერჩევაში.

“როდესაც მწერალი თავის ნაშრომს “რომენს” უწოდებს, შეიძლება მნელი შესამჩნევია, მაგრამ ის ითხოვს მასალისა და ფორმის განსაზღვრულ თავისუფლებას” (Hawthorne 1851: 3) ჰოთორნის თანამედროვეთა უმეტესობისათვის “რომენსი” ანუ რომანტიკული რომანი თავისუფლებასთან, სივრცესთან ასოცირდებოდა. თუმცა ისინი არ შეთანხმებულან ამ თავისუფლების ზუსტი ბუნების და მიზნის შესახებ. მე-19 საუკუნის ამერიკის თეორიულ განსჯაში

რომენსს სხვადასხვაგვარი, ხშირად წინააღმდეგობრივი მნიშვნელობები აქვს. “რომენსის” ცნობილი განმარტება პოთორნის შემდეგ ალბათ პენრი ჯეიმსს გაუთვის. ორივე მწერლის მიერ გაკეთებული დეფინიცია მნიშვნელოვანია და საკმაოდ განსხვავებული. პოთორნის აზრით, “რომენსი არის განზოგადოებული, ერთიანი ფორმა, მეთოდი, რომელიც მწერლის არჩევანის მიხედვით დიდ თავისუფლებას იძლევა წარმოდგენილ გარემოებებში. ასეთი წარმოსახვითი თამაში მკაცრად არის გაკონტროლებული იმით, რასაც მაღალი მორალური რეალიზმი ჰქვია.” (Bell 1962: 30) “რომენსისტი თავისუფალია მწერლის მოვალეობისგან დაიცვას სიზუსტე, მაგრამ ის თავშეკავებული უნდა იყოს თავისი წარმოსახვის პრივილეგიის გამოყენებაში. “რომენსი”, “როგორც ხელოვნების ნიმუში მკაცრად უნდა ემორჩილებოდეს კანონებს. დარღვევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის გულის სიმართლეს არ გადაუხვევს” (James 1934: 30)

ზოგიერთი კრიტიკოსი აქტუალურ განსხვავებას ამერიკულ რომენსა და ბრიტანულ რომანს შორის გაზიადებულად თვლიდა. (Mills 1973: 78) დევიდ ჰირშის სიტყვები რომ გავიმეოროთ “რომენსა” და “რომანს” შორის დევს ჟანრის მხოლოდ ყალბი განსხვავება, რაც ეყრდნობა უფრო თემებს ან სიუჟეტს, ვიდრე ფორმის ან მეთოდის სტილს (Hirsh 1971: 34). რიჩარდ პოირიერი სინანულს გამოთქვამდა, რომ პოთორნმა აირჩია აქცენტი გაეცემობინა გარემოს განსხვავებაზე ლიტერატურულ ნაწარმოებში, რაც მხატვრული ლიტერატურის მხოლოდ ერთი ასპექტია, განსაკუთრებით როცა ჟანრების დაყოფაზე ვსაუბრობთ. ჟანრებს არ გააჩნიათ გამოხატვის საშუალებანი, განსაკუთრებით “რომენსა” და “რომანს”, ამ ეგრეთწოდებულ ჟანრებზე არ არსებობს სტილის შესახებ ზუსტი შეთანხმება, როგორც ეს ხდება ისეთ ჟანრებთან, როგორიცაა პასტორალი და ეპიკური პოემა. (Poirier 1985: 11) 1845 წლის ივნისში უურნალი “იეილ ლიტერარი მეგეზინ” წერდა, რომ განსხვავება საყოფაცხოვრებო და რომანტიკულ რომანებს შორის ისეთივე დიდია, როგორიც “პოგარტის უხეშ კარიკატურებსა და ვენეციელი ოსტატების ტილოებს შორის. პირველმა მთელი თავისი სიზუსტით უნდა გამოხატოს ცხოვრება, მეორეს ეს არ მოეთხოვება. ერთი უნდა შემოისაზღვროს რეალობით, მეორეს კი უფლება აქვს ზებუნებრივი ელემენტები გამოიყენოს. რომანი ენათესავება ისტორიას, “რომენსი” კი პოეზიას. (Faust 1939: 69).

როგორიც არ უნდა იყოს კრიტიკოსთა მოსაზრებანი, ჩვენ ვარჩევთ ვალიაროთ ეს ტერმინი ერთი მიზეზის გამო: “რომენსი” არის ის სიტყვა,

რომელსაც ნათანიელ პოთორნი, პერმან მელვილი, უოშინგტონ ირვინგი, ედგარ პო იუენებდნენ იმის ასაღწერად, რასაც ისინი ქმნიდნენ. უმჯობესია შევისწავლოთ მწერლის შემოქმედება და გამოვიკვლიოთ თუ რას გულისხმობდნენ პოთორნი და მისი თანამედროვეები ამ ტერმინის ხმარებისას.

რომენს მე-19 საუკუნის აზროვნებაში სხვა მნიშვნელობებიც ჰქონდა. რაც მოგვიანებით "კონსერვატორულ რომენსის" (McKeon 2000: 153) თეორიას შეუერთდა. იგი ხშირად გამოიყენებოდა ტერმინის ქვეტექსტის დასაფარად (Bell: 1962: 39).

“რომენსის” პოთორნისეული განსაზღვრა, რომელიც  
“შვიდფრონტონიანი სახლის” შესავალშია მოცემული, ლიტერატურასა და  
რეალურ ფაქტს რადიკალურად არ ყოფს. იგი გულისხმობს დუალიზმის  
არსებობას, რაც დაძლეულია წინასწარგანზრახული და საკმაოდ ორაზროვანი  
დაცვითი სტრატეგიით. მით უმეტეს, რომ მე-19 საუკუნის ლიტერატურაში ტერმინი  
“რომენსი” იყო არა ლიტერატურული, არამედ განუსაზღვრელად ემოციური.  
მაგალითად ედგარ პო საუბრობდა სულის “რომენსზე”, ან სარა პელენ უიტმენის  
ხასიათის “რომენსზე”. “რომენსის” ზოგჯერ მიაკუთვნებდნენ რეალობას, იმ  
მოთხოვნით რომ "სინამდვილე" იპოვონ ობიექტებში, სცენებში, ქმედებებში ან  
თვისებებში, რაც ლიტერატურულ “რომენსთან” ასოცირდებოდა. “რომენსი” ამ  
გაგებით ხშირად იყო დაკავშირებული პოეზიასთან ან თავად რეალობასთან.  
რომანტიკული და პოეტური თვისებების მინიჭებით, ამერიკელი ავტორები,  
რომლებიც ასოციანისტური ესთეტიკის გავლენას განიცდიდნენ, უოლტერ სკოტის  
მაგალითის მსგავსად ცდილობდნენ ამოევსოთ უფსკრული ფანტაზიასა და  
გამოცდილებას, ლიტერატურასა და ფაქტს შორის. მე-19 საუკუნეში ასეთი  
შესაბამისობა ისტორიული ფაქტსა და რომანტიკულ ლიტერატურას შორის  
შეიძლება მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ ბუნდოვან, შორეულ წარსულთან  
მიმართებით. ახლო წარსული, ან ახლანდები რეალობა მათი დაუინებული  
მტკიცებით ხელახლა გააჩენდა უფსკრულს ფაქტსა და ფანტაზიას შორის და  
გაამჟღავნებდა “რომენსის” ფიქტიურობას. აქედან გამომდინარეობს პოთორნის  
მობოდიშება “შვიდფრონტონიანი სახლის” შესავალში. “რომენსი კრიტიკის  
საგანი ხდება, რატომ უნდა გაქციოთ ის შეუბრალებელი და სახიფათო  
ბრალდებების სამიზნედ დღევანდელი დღის რეალობის და გამოგონილი  
სურათების გადახლართვით” (Hawthorne 1851: 5). პოთორნისათვის “რომენსი” არის  
ნეიტრალური ტერიტორია, მორალური ან ფსიქოლოგიური ბრძოლის ველი.

"რომენსის" ერთეულთი პირველი თეორეტიკოსი უილიამ გილმორ სიმსი წერდა: "თანამედროვე რომენსი არის შემცვლელი, სუროგატი, რომელსაც ადამიანები დღეს უძველესი ეპოსის ნაცვლად გვთავაზობენ. ფორმა შეიცვალა, შინაარსი კი ძალიან მსგავსია. ყოველ შემთხვევაში ის უფრო განსხვავდება ინგლისური ნოველისაგან, ვიდრე ეპოსისა და დრამისგან, იმიტომ რომ განსხვავება არის მასალაში და არა მის შეთხვაში. მკითხველი, რომელიც "აივენს" კითხულობს და თან ინახავს ფილდინგსა და რიჩარდსონს, შეცდომას უშვებს თავისი განვითარების საკითხში. ამ მწერლების ოჯახური "ნოველი" ჩვეულებრივი ყოველდღიური მოვლენების მშვიდი თხრობით არის შემოფარგლული, ხოლო რომანტიკული რომანი უფრო ამაღლებული წარმოშობისაა, ვიდრე ყოფითი რომანი. როცა მე ვამბობ, რომ ჩვენი "რომენსი" არის დრამის ან ეპოსის სუროგატი თანამედროვე პერიოდში, მე არ ვგულისხმობ იმას, რომ ეს ერთი და იგივეა. ეს მსჯელობის საკითხია. მათ შორის განსხვავება ძალიან უმნიშვნელოა. ეს განსხვავება ეყრდნობა უფრო შემოთავაზებულ მასალას, ვიდრე იმ განსაკუთრებულ მეთოდს, რომელშიც ეს მასალაა გამოყენებული. "რომენსი" უფრო ამაღლებული, დიდებული წარმოშობისაა, ვიდრე ნოველი. ის უახლოვდება პოემას. ის შეიძლება აღვიქვათ როგორც ამ ორის ნარევი. ეს იმას ჰგავს, ვინც ფიქრობს რომ პოეზია გააიგივოს სტროფთან, ან რითმა აურიოს პოეზიაში. "რომენსის" სტანდარტები ძალიან ჰგავს ეპოსისას, ის გარს ეკვრის ინდივიდს ყოვლისმომცველი ინტერესით, ის მოიცავს გეგმის, მიზნის და ნაწილთა პარმონიას. ის არ შემოისაზღვრება იმით, რაც ცნობილია ან რაც შესაძლებელია. "რომენსი" ათავსებს ადამიანურ მოქმედ ძალას აქამდე გამოუცდელ სიტუაციაში, აღწერს მის გრძნობებს ამ პროცესში..." (Chase 1957: 16).

ბევრი ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე იკვლევს ლიტერატურულ იდეაბსა და კულტურულ გავლენას, რამაც "რომენსის" ტრადიცია წარმოშვა. მართალია, უოშინგტონ ირვინგი, ედგარ პო და სხვები აქტიური მიმდევრები იყვნენ ამ ჟანრის, მაგრამ ნათანიელ ჰოთორნი და ჰერმან მელვილი ერთი ნაბიჯით წინ წავიდნენ. მათ დიად განაცხადეს ამ ფორმის სპეციფიკური პრობლემისა და მისი კანონიერების შესაბამისობის შესახებ ლიტერატურაში, მათ ახალ, ნაციონალურ კულტურაში და საბოლოო ჯამში ნებისმიერ კულტურაში. ასეთი მიდგომით რომენსისტის ფორმალური ექსპერიმენტები, მისი შიში ფორმის ხელოვნურობისა და არაგულწრფელობის მიმართ, დებულობს სპეციფიკურად კულტურულ ან სოციალურ განზომილებას. მივაქციოთ ყურადღება რომ

“რომენსი” პენრი ჯეიმსისათვის ნაკლებად არის ლიტერატურული ფორმის ან უანრის ამსახველი, უფრო ოსტატობის, გამოცდილების რაღაც სახეა, რომლის თავისუფლება არის ფსიქოლოგიური მიღგომა. ნათანიელ პოთორნის მსგავსად, პენრი ჯეიმსი უფრთხის ფანტაზიის ზედმეტობას, მაგრამ მომხრეა არა უფრო მაღალი მორალური რეალიზმის ათვისებისა, (გვთავაზობს სიმბოლურ ან მეტაფორულ კავშირს მხატვრულ ლიტერატურასა და სიმართლეს შორის) არამედ თავად ფანტაზიისათვის ესთეტიკური და ფსიქოლოგიური ეფექტურობის მინიჭების. პოთორნისათვის “რომენსი” იყო მორალურად გაკონტროლებული, სერიოზული და კონსერვატორული ჟანრი. ჯეიმსისათვის ეს არის სუფთა ფანტაზიის ხელოვნება "რომელიც მეტნაკლებად წარმატებულად გვაჩეჩებს ხელში ოსტატობის ყალბ ფაქსიმილიეს" (James 1934: 34).

## 2.2. ნათანიელ პოთორნის შემოქმედების თავისებურებანი და რომანტიკული რომანის თეორიის მისეული ინტერპრეტაცია

ნათანიელ პოთორნს და მთელ მის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამერიკული რომანტიზმის ისტორიაში. სტენლი ბენკის მიხედვით პოთორნი შეიძლება მუ-19 საუკუნის სიმბოლოდ წარმოვიდგინოთ. (Bank 2009) მას რომანტიკოსთა შორის მოიხსენიებენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეტად განსხვავებული და თავისებური შემოქმედია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ იგი ერთერთი ყველაზე თანამედროვე მწერალია. პოთორნისეული ფსიქოლოგიური ანალიზი (პრეფროიდიზმი) დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს. პოთორნი ასრულებს პურიტანულ ციკლს ამერიკულ მწერლობაში. თემებითა და სტილით პოთორნი წინამორბედია პენრი ჯეიმსის, უილიამ ფოლკნერის, რობერტ პენ უორენის. მწერალი ძალიან ფაქიზად არჩევს თემებს და მათთან მიღგომას. მისი შემოქმედების მთავარი საკითხები გახლავთ გაუცხოება: გმირი მარტოსულია ან საკუთარი მიზეზით ან გარემო პირობებიდან გამომდინარე ან შესაძლოა ორივე მიზეზი ერთად შეგვხვდეს. ინიციაცია: გაუცხოებული გმირის მცდელობა თავი დააღწიოს განმარტოებას. დანაშაულის პრობლემა: გმირის დანაშაულის შეგრძნება გამოწვეულია პურიტანული მემკვიდრეობის, ან საზოგადოების მენტალობის გავლენით. ასევე აქტუალურია ცოდვის და უმანკოების დაპირისპირება. ამ თემების განხორციელებისათვის მწერალი იყენებს ალეგორიას, სიმბოლიზმს, ეგზოტიკას, გუთურ ელემენტებს და სიძველეებს. მისი

ნაწარმოები მე-19 საუკუნის პროდუქტია და ამდენად მისი შთაგონების წყაროს მთავარი ნაკადი მეტწილად რომანტიზმისათვის დამახასიათებელი თემატიკაა.

ნათანიელ პოთორნი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში. პერმან მელვილმა, ეხლა უკვე ცნობილ მიმოხილვაში, რომელიც “ძველი სახლის ხავსი”ს შესახებ დაწერა მაშინ, როცა ასრულებდა მის “მობი დიკს”, იგი შექსპირს შეადარა. (Mellville 1850) შეიძლება დავეთანხმოთ ამ შედარებას იმ დონეზე, რომ ნათანიელ პოთორნს ამერიკის ლიტერატურის ისტორიაში ისეთივე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორიც უილიამ შექსპირს ბრიტანეთში. იგი შეიძლება ამერიკული ლიტერატურის ერთერთ პირველ კლასიკოსად ჩავთვალოთ. მისმა 1850 წელს გამოცემულმა რომანტიკულმა რომანმა ფართო გამოხმაურება პპოვა ამერიკაში. ერთერთი განხილვა საგარაუდოდ დაწერილი ჯორჯ ელიოტის მიერ “ბლაითდეილის რომენს” უწოდებს “გენიის საუკეთესო პროდუქტს მეორე ნახევარსფეროდან” (Timmes 1989: ch 2). მიუხედავად კლასიკოსის სტატუსისა, იგი არასოდეს ყოფილა პოპულარული გაყიდვის თვალსაზრისით, თუ არ ჩავთვლით “ალისფერ ასომთავრულს”, რადგან წიგნი იმ დროისათვის რამდენადმე სკანდალური გახლდათ თემატიკის გამო. ალბათ მნიშვნელოვანი იყო მისი გამომცემლის, ჯეიმს ფილდსის გამოცდილებაც, რომელმაც პოთორნი, როგორც მწერალი მოგვიანებით პოპულარული გახადა. შესამჩნევია, რომ პოთორნზე, როგორც კლასიკოსზე საუბარი დაიწყო 1850-იანებში, როცა ქვეყანაში შიდა კონფლიქტმა იჩინა თავი. ცხადია ახალ ინგლისს სწადდა წინა პლანზე წამოეწია მწერალი, რომელიც იყენებდა ადგილობრივ თემატიკას და ისტორიას.

რასაც პოთორნი წერდა, მისი თანამედროვე მასის მხოლოდ მცირე ნაწილის გემოვნებას აკმაყოფილებდა. ამერიკულ საზოგადოებას უფრო მოსწონდა სათავეადასავლო ამბები, როგორიც მაგალითად ფენიმორ კუპერის წიგნები იყო. პოთორნი ფილდსთან მიწერილ წერილში მწუხარედ აღნიშნავდა: “ჩემი აზრით მე ნამდვილად არ ვარ პოპულარული მწერალი და ის პოპულარობა, რასაც მიგაღწიე, არის სრულიად შემთხვევითი და დამსახურებაა სულ სხვა მიზეზების, ვიდრე საკუთრივ ჩემი” (Fields 1872: 87) კრიტიკოსი ნინა ბეიმი პოთორნის მოდგაწეობაზე როცა საუბრობს, ამბობს რომ ავტორი ცდილობდა ეპოვა მისი აუდიტორია და ამიტომ მის წერის სტილს წიგნიდან წიგნამდე ცვლიდა, რათა მოერგო იმისათვის, რისიც წამდა, რომ საზოგადოების გემოვნება

დაექმაყოფილებინა. (Baym 1976: 15) ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ რომ ავტორის წერის მანერა არის ალეგორიული, დიდაქტიკური და მორალისტური.

მაგრამ ეს რა თქმა უნდა არ ეხება იმ დამოკიდებულებას, რასაც პოთორნი გამოხატავს მისი “რომენსების” შესავლებში, სადაც იმის ძიებაშია, თუ როგორ ახსნას მისი ნამუშევრის სპეციფიკა და დაადგინოს “რომენსის” როგორც რომანის განსხვავებული ჟანრის სტატუსი. ის თავადაც აღიარებდა, რომ შორს იდგა საზოგადოების გემოვნების მთავარი ხაზისგან, რადგან მისი ბეჭედურისტიკა ნამდვილად არ იყო ის, რასაც მისი თანამედროვე ამერიკული საზოგადოება ითხოვდა ან მიჩვეული გახლდათ.

პოთორნი ასევე ჩამორჩებოდა მის ლიტერატურულ თანამედროვეთა უმეტესობას, მისი დროის ახალ ინგლისში პოპულარული იყო ინტელექტუალური მიმდინარეობა ტრანსცენდენტალიზმი, მაგრამ მიუხედავად მისი ჩართვისა ბრუკ ფარმის ექსპერიმენტში, პოთორნი არ გახლდათ ემერსონისეული იდეების მიმდევარი ოპტიმისტი. მწერალი, რომლისთვისაც სამყაროში ბოროტება და ცოდვა მთელი ძალით არსებობს, ძნელად თუ დაეთანხმებოდა თეზისს, რომ ბოროტება უბრალოდ სიკეთის არარსებობაა, ისე როგორც სიცივე სითბოსი. მიუხედავად იმისა, რომ განიცდიდა ტრანსცენდენტალიზმის ფილოსოფიის გავლენას, ფაქტიურად სატირულად დასცინა მას თავის ლიტერატურულ კოლაჟში, “პილიგრიმთა პროგრესი მე-19 საუკუნეში”. (Hawthorne 1854: 185)

პიატ ვაგონერის მიხედვით პოთორნის მიღგომა ზოგადად არის ირონიული, ორაზროვანი და პარადოქსული. პოთორნის “რომენსებისთვის” დამახასიათებელია ადამიანის ფსიქიკის სიღრმეების კვლევა, ცოდვის, დანაშაულის, სასჯელისა და განწმენდის პრობლემებით დაინტერესება. იგი პატივმოყვარეობას განიხილავს როგორც სატანურ ძალას და ცდილობს მკითხველს აჩვენოს ეს თვისება განსხვეულებული სხვადასხვა ხასიათებში ფიზიკურად – რობინი, (“როჯერ მელვინის დაკრძალვა), სულიერად – ბრაუნი, (“ახალგაზრდა ბრაუნი”), ეტან ბრანდი (“ეტან ბრანდი”) და ინტელექტუალურად რაპაჩინი. (“რაპაჩინის ქალიშვილი”).

გულის სიმართლის მიებაში ნათანიელ პოთორნმა და პერმანენტული მელვილმა ბევრი საერთო იპოვეს. ამას მოწმობს მელვილის წერილი პოთორნისადმი “პოო, მოდი ვიოცნებოთ ამაზე, დავიფიცოთ, რომ თუკი ოფლი მოგვდის, ეს სიცხისგანაა, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ვენახში მტევნები დამწიფდეს, უმაგისოდ ხომ შამპანური არ გვექნებოდა. მე გულის

მომხრე ვარ, ეშმაკსაც წაუდია თავი, უმჯობესია გულიანი სულელი იყო ვიდრე თავიანი იუპიტერი” (Melville 1851).

საზოგადოებაში პოთორნის პიროვნება დიდ ინტერესს იწვევდა. ედვინ ჰავილენდ მილერმა მის ბიოგრაფიას მიუძღვნა წიგნი, “სალემი ჩემი სამყოფელი” (120), ბიბლიოგრაფიაში მისი ბიოგრაფიისადმი მიძღვნილი რამოდენიმე ნაშრომი კიდევ არის მითითებული. პოთორნს ხან დიდებულ ფანტასტად აცხადებდნენ, ხან პირქუშ პესიმისტად და განდეგილად. ლიტერატორების გარდა, ფრონდისტული კრიტიკაც დაინტერესდა მწერლის შემოქმედებით. ფსიქოგრაფიული სკოლის წარმომადგენელი ვაგენკნეხტი დიდხანს იკვლევდა მის ბიოგრაფიას. მან საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა მწერლის ფსიქოლოგიურ პორტრეტს და აღნიშნა მისი განუმეორებელი ინდივიდუალურობა. (175).

პოთორნის ნაწარმოებები მკითხველს იპყრობდა ღრმა ფსიქოლოგიზმით, დაძაბული ზნეობრივი ძიებებით, ადამიანის სულიერი ღირსებების დაცვით. ფანტასტიკისა და რეალობის მისეული შერწყმა დამწევებ მწერლებზე დიდ გავლენას ახდენდა. არცერთ ამერიკელ მწერალთან არ გხევდება საყოფაცხოვრებო და ზებუნებრივი ელემენტების ასეთი გენიალური შეთავსება. ეს ირეალური ისეა გადმოცემული, რომ მკითხველს შეუძლია ორგვარად აღიქვას და ზღვარი სინამდვილესა და წარმოსახვის თამაშს შორის დაკარგოს.

როგორც ხელოვანი და მოაზროვნე პოთორნი მთელი ცხოვრება თვითიზოდაციით იტანჯებოდა. თაყვანს სცემდა მკაფიო, მაგრამ არა დავიწყებულ წარსულს. მან დაარღვია ის ჩარჩო, რომელიც პურიტანიზმა შემოავლო ახალ ინგლისს. მაგრამ მიუხედავად ამისა, კერ ტოვებდა იმ სამყაროს, რომლისგანაც გათავისუფლდა. მან უარყო პურიტანიზმი, როგორც რელიგიური მრწამსი და შემოინახა თავისი ანალიზის საფუძველისათვის. მის წარმოსახვაში პურიტანიზმი ცოცხლობდა, მაგრამ გონება მის დოგმებს არ აღიარებდა. მწერალს “დეტერმინიზმის” რწმენა პქონდა, ანუ სჯეროდა ბედისწერის კონცეფციის. დეტერმინიზმი გულისხმობს რომ თავისუფალი ნება უბრალოდ მითია, ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული. პურიტანიზმიდან გამომდინარე დეტერმინიზმის რწმენამ, რომ ადამიანთა ქმედებები და არჩევანი სრულიად განსაზღვრულია გარეშე ფაქტორებით, განაპირობა მის შემოქმედებაში სატანის არსებობის რწმენა. ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია მოკლედ განვსაზღვროთ რამ მოახდინა სერიოზული გავლენა მწერლის შემოქმედებაზე.

უპირველეს ყოვლისა სალემმა, ადრეულმა ბავშვობამ და შემდეგ საბაჟოზე გატარებულმა წლებმა, რასაც მთელი შესავალი მიუძღვნა “ალისფერ ასომთავრულში” ასევე პურიტანულმა ოჯახურმა ფონმა, ერთერთი მისი წინაპარი მოსამართლე პოთორნი მონაწილეობდა სალემელი კუდიანების სასამართლო პროცესში 1692 წელს, სადაც ერთერთმა ბრალდებულმა დაწყევლა და ამის შემდეგ ოჯახს ბევრი გაუთვალისწინებელი უბედურება დაატყდა თავს. ეს თემატიკა მწერალმა გამოიყენა მის რომანტიკულ რომანში “ალისფერი ასომთავრული”, რაც მოწმობს იმას, რომ პოთორნი მუდმივად განიცდიდა სინდისის ქენჯნას მისი წინაპრის საქციელის გამო და საკუთარი გვარის მართლწერაც სავარაუდოდ ამიტომ შეცვალა.

მკვლევარები მას რომანტიკოსად მოიხსენიებენ, მაგრამ ის მეტად თავისებური ხელოვანი გახლდათ, დაინტერესებული ზნეობრივი რომანტიკით და ადამიანის სულის სიღრმეების კვლევით. მისი შემოქმედება აზრის და ხელოვნების ერთიანობაა, ალბათ ცოტაა ისეთი მწერალი, ვინც ასე ემორჩილებოდა საკუთარ ნიჭს. ის არ ისწრაფოდა მკითხველზე მაინცდამაინც დიდი ემოციური ეფექტი მოეხდინა. არ თვლიდა კონკურენტად სხვა მწერლებს. არასოდეს აჭარბებდა თავის შესაძლებლობებს. რომანის სფეროში პოთორნმა შეძლო თავისი თეორიის განხორციელება, რაც მეტად მნიშვნელოვანია, თუ გავისენებთ ამ უანრის შესახებ მიმდინარე ცხარე დებატებს მე-19 საუკუნეში. მან განსაზღვრა სხვაობა რომანტიკულ მოთხოვნასა და რომანს შორის. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მისი იდეა, გარდაექმნა რომანი მორალური კონცეფციების ილუსტრაციად, მოგვაგონებს პურიტანულ მოსაზრებას ლიტერატურის შესახებ. მისი აზროვნების დამოუკიდებლობა არღვევდა ნაივურ შეხედულებას სიტყვის ხელოვნებაზე. როცა მის შემოქმედებით გზას გადავხედავთ ლიტერატურულ აღიარებამდე, კხედავთ მის მარტოობას, რომელიც მცირე ხნით პერმან მელვილთან მეგობრობამ შეწყვიტა. გასაოცარია, ასეთი მორიდებული ადამიანის სულიერი ძალა და დაუმორჩილებელი ხასიათი, რომელმაც მარტოობა წარმატებით გამოიყენა, რათა დაკვირვებოდა რა ხდებოდა მის სულში.

პოთორნი ძალიან ახლოს იყო მკითხველთან. რალფ ემერსონი ხშირად ჩიოდა, რომ პოთორნი “ხშირად ეპატიუება მკითხველებს თავის კაბინეტში და მთელ პროცესს გადაუშლისმ, ისე თითქოს კონდიტიური სთავაზობს კლიენტებს

ტორტის გაკეთებას” (Eigner 1980: 235). ამიტომაც გამოირჩევა მწერლის გვიანდელი ნოველები დია კომპოზიციით.

ბოსტონსა და კონკორდში ცხოვრებამ, ბრუკლინის ფურიერისტულ ექსპერიმენტში მონაწილეობამ, ტრანსცენდენტალისტების ნაცნობობამ, ამერიკული კულტურის სხვა ლიტერატორებთან თუ გამოჩენილ მოღვაწეებთან ურთიერთობამ მწერალს საშუალება მისცა უკეთ შეეცნო თავისი დროის თანამედროვე ცხოვრება. რისი შედეგიც 40-იანი წლების ნოველები აღმოჩნდა. თუმცა ისინი დიდი მხატვრული დირექტულებით არ გამოირჩევიან, მაინც ასახავენ თანამედროვე სამყაროს მზარდ ცოდნას და გადაწყვეტილებას კრიტიკულად გადახედოს თავისი დროის სოციალურ პრობლემებს.

ჰოთორნის მთელი შემოქმედება გვიჩვენებს პიროვნების და საზოგადოებას შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე და იმ კანონების არსებობაზე, რაც ამ კავშირს განსაზღვრავს. კაულიმ კარგად აღნიშნა, რომ “თავისი მარტოობის გამოცდილებით ჰოთორნმა შეძლო კარგი სოციალური გაკვეთილი მიეღო, რომლის გადაცემასაც ცდილობს ის მკითხველისათვის, რის გამოც არა მარტო მონათხოვობის მორალის მკაფიო ფორმულირებას ახდენს, არამედ მთელი თხრობის მანძილზე საუბრობს მკითხველთან და მისი მსჯელობანი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოთხოვობის შინაარსი.” (Cowley 1948: 47) ასე ჩნდება ჰოთორნის მოთხოვობებში “ლია კომპოზიცია” რამაც ემერსონის უკმაყოფილება გამოიწვია. ჰოთორნი კი თვლიდა, რომ ნებისმიერი საქმე, ნებისმიერი კვლევა უნდა იყოს ადამიანებთან ერთობის გრძნობით გამობარი, საკუთარი პასუხისმგებლობით შესრულებული, მხოლოდ მაშინ არის ის სწორი და ზნეობრივი. ამით მან ემერსონისეული დოქტრინის “გჯეროდეს შენი თავის” ამბივალენტურობა დაინახა.

კაული ჰოთორნს დრმად ამერიკულ და თან თანამედროვე მწერალს უწოდებს. მას არ განუცდია არ აღიარების სიმწარე. მისმა ნაწარმოებებმა თანამედროვეებში თავიდანვე გამოხმაურება ჰპოვეს. ედგარ პო, რომელიც რამოდენიმეჯერ მოუბრუნდა ჰოთორნის შემოქმედებას წერდა, რომ თანამედროვე ამერიკელ მწერალთა შორის ის “ფლობს ყველაზე სუფთა სიტყვას, ყველაზე დახვეწილ გემოვნებას, ყველაზე სასარგებლო ერუდიციას, ყველაზე დახვეწილ იუმორს, ყველაზე დიდ მგრძნობიარობას, ყველაზე ნათელ და უდიდეს წარმოსახვით უნარს” (Poe 1847).

ხორხე ლუის ბორხესი პოთორნის წერის სტილს ხოსე ორტეგო იგასეტისას ადარებს და აღნიშნავს, რომ მათი მხატვრული აზრი დატვირთულია გაწელილი მეტაფორებით. თუმცა სხვა დანარჩენში ეს ორი მწერალი წინააღმდეგობრივია. ორტეგას შეუძლია მსჯელობა კარგად თუ ცუდად მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ აკლია წარმოსახვის უნარი. პოთორნი განსაკუთრებული წარმოსახვის ადამიანია, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი წარმოსახვა მის აზროვნებასთან არ არის შეთანხმებული. ბორხესი ამბობს რომ ის აზროვნებდა სახეებით, ინტუიციით და არ ემორჩილება დიალექტიკის მექანიზმს. მის შემოქმედებას ზიანი მიაყენა ესთეტიკურმა დაბნეულობამ, რაც პურიტანული ეთიკისათვის არის დამახსიათებელი. ეს გამოიხატა მიღრეკილებაში, გადააქციოს თითოეული გამოგონილი სახე ქადაგებად, რაც აიძულებდა მწერალს შეეძუმშა სიუჟეტები. (Carrez 2009)

მისაღებია ი. მანის დაკვირვება, რომ "რომანტიზმის წარმოშობისას ფანტასტიკურისა და რეალურის პარალელიზმის პრინციპი ფანტასტიკური ფორმების განვითარების საერთო კანონს წარმოადგენდა" (Marjorie 1969: 345). საოცარია პოთორნის სიზმრებთან, უფრო სწორად ზმანებებთან დამოკიდებულება. უბის წიგნაკებში ჩანიშნული აქვს სიუჟეტი, როცა აღამიანი მის მეგობარს ენდობა, მაგრამ სიზმრებში მას სხვაგვარს ხედავს. საბოლოოდ სიზმარში ნანახი სიმართლე აღმოჩნდება, რეალური სინამდვილე კი მცდარი. მწერლის შემოქმედებაში ჩანს, რომ სტიმული ნათანიელ პოთორნისათვის, როგორც რომანისტისათვის იყო არა ხასიათები, არამედ სიტუაციები. ჯერ იფიქრებდა სიტუაციას და შემდეგ ეძებდა ხასიათებს, რომლებიც განახორციელებდნენ მას. ამ მეთოდით შეიქმნა მისი შესანიშნავი მოთხოვები, რადგან მათი სიმოკლის წყალობით სიუჟეტი უფრო შესამჩნევია, ვიდრე მოქმედი გმირები. ამ მეთოდით როგორც ბორხესი აღნიშნავს, კარგი რომანი ნაკლებად გამოვა, რადგან მისი საერთო სტრუქტურა მხოლოდ დასასრულში ჩანს. ერთი წარუმატებლად შესრულებელი პერსონაჟით, რომელიც არაბუნებრივია, შეიძლება ყველაფერი გაფუჭდეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბორხესი პოთორნის ნოველებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე "რომენსებს". "ალისფერი ასომთავრულის" ოცდაოთხ თავში ბევრი დასამახსოვრებელი პასაჟია გმოციურად დაწერილი, მაგრამ არცერთს არ შევუძრივარ ისე, როგორც უეკფილდის ისტორიას, ორჯერ მონათხოვი ამბებიდან" (Carres 2009).

რაც არ უნდა უცნაური იყოს, ამერიკულ კრიტიკაში ხშირად ივიწყებდნენ პოთორნის შემოქმედების რომანტიკულ ტენდენციებს, ადარებდნენ მას თანამედროვე ინგლისელ რომანისტებს. ჯერ კიდევ 1842 წელს, ორესტ ბრაუნსონი თავის სტატიაში ამბობს, რომ “პოთორნი დაჯილდოებულია საოცარი გენით და ლიტერატურის იმ ჟანრში, რომელშიც მუშაობს მეტოქე არა პყავს. თუ კი მოინდომებს, შეიძლება სრულყოს მისი ქვეყნის ლიტერატურა” (Brownson 1850: 528-32). პოთორნს ადარებდნენ ჩარლზ დიკენსს, ჯორჯ ელიოტს, ენტონი ტროლლოპს ანუ იმ მწერლებს, რომლებიც რადიკალურად სხვა მხატვრული სისტემის წარმომადგენლები იყვნენ, იგივე რეალისტური რომანის ფუძემდებლები.

ნათანიელ პოთორნმა შეძლო ფანტასტიკური ჟანრის ფორმაში ის ფილოსოფიური, სოციალური, ესოეტიკური და ეთიკური პრობლემები ჩაედო, რაც მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი და საინტერესო გახლდათ. მისი მხატვრული მეთოდი გამოირჩევა უშუალო შთაბეჭდილებების გადმოცემით, კონკრეტული ცხოვრებისეული დაკვირვებებით. მიუხედავად რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი ალეგორიისაკენ მიდრეკილებისა, სიზუსტე და სიმართლესთან სიახლოვე აღწერის დონეზე გვხვდება მის შემოქმედებაში. მისი მხატვრული აზროვნება უკავშირდება განმანათლებელთა თხრობით ტრადიციებს. რაც გამოიხატებოდა მოთხოვნების და სხვადასხვა ტიპის ესეების, სკეტჩების გამოყენებაში. მწერლის წარმოდგენები თანამედროვე სინამდვილის შესახებ პირდაპირ და უშუალოდ არის გამოხატული.

მწერლის შემოქმედების თავისებურებანი, როგორც რომანისტისა და ნოველისტის გამომდინარეობს ერთის მხრივ, ამერიკული რომანტიზმის განვითარების სპეციფიკიდან, მეორეს მხრივ შემოქმედებითი ინდივიდუალურობიდან. რომანტიკოსებისათვის ყოველივე შორეული, მიუწვდომელი შთაგონების წყარო იყო. გამონაკლისი არც ამერიკალი რომანტიკოსები ყოფილან, ჰენრი თორო “შორეულში და მშვენიერში დვთიური ინტუიციის განხორციელების საშუალებას ხედავდა” (Bodily 1987: 378) “შესაბამისი სიშორის აუცილებლობაზე” (Hawthorne 1852: 18) საუბრობდა პოთორნიც “ბლაითდეილის რომენსის” შესავალში. საგანთა უცნაურობა, გარეგან გამოხატულებასთან სიშორე მთვარის შუქით განათებულ ოთახში, აუცილებელი პირობაა “რომენსის” შექმნისათვის. მწერლისთვის, მხატვრული ნაწარმოების სამყაროს ყოველდღიურობისგან დაშორების მთავარი საშუალება იყო არა გეოგრაფიული სივრცე, არამედ დროის დისტანცია. ამის მიხედვით

შეიქმნა მისი ნოველები “ჭადარა მხედარი”, “გუბერნატორის სახლის ლეგენდების” ციკლი, “ენდიკოტი და წითელი ჯვარი”, “ახალგაზრდა ბრაუნი” და სხვები. მიუხედავად წარსულის ასე მნიშვნელოვან ასპექტად გამოყენებისა, პოთორნი არ საზღვრავდა მის მხატვრულ სამყაროს კონკრეტულად ფანტასტიკით, ან წარსულით. მის ნაწარმოებებში საგვარეულო პორტრეტების იდემალი ძალაუფლების გარდა, გვხვდება იმ ეპოქის ტექნიკური საოცრება დაგეროტიპი. მწერლის დამოკიდებულება ტექნიკური პროგრესის მიმართ გაორებულია, ის აღიარებდა რომ ტექნიკის სრულყოფა, მასთან დაკავშირებული წარმოება აუცილებელი იყო კომფორტის მოსაპოვებლად, მაგრამ როგორც ადამიანს, ასევე საზოგადოებასაც ამასთან ერთად დიდი დანაკარგიც ელოდებოდა. მის მოთხოვნებებში ჩანს, რომ ცივილიზაციის განვითარება და პირველყოფილ ბუნებასთან დაშორება, ზნეობის დაცვას და ადამიანის ბუნების დეგრადაციას იწვევს.

რჩება შთაბეჭდილება, რომ პოთორნი მიმართავდა რომანტიზმს, იმიტომ რომ ეს მხატვრული სისტემა საშუალებას აძლევდა მას ყოფილების ჭეშმარიტება უმაღლეს ფორმაში აესახა. რეალიზმს მისი აზრით ბევრის მოცემა შეეძლო სინამდვილის გარეგნული, ობიექტური მხარის გამოსახატავად. მაგრამ აქვე მთავრდება მისი შესაძლებლობები. ეს კარგად ჩანს ფილდსთან მიწერილ ცნობილ წერილში ტროლოპის წიგნების შესახებ. “იმდენად რეალურია, თითქოს ვიდაც გოლიათმა უზარმაზარი ლამპარით გაანათა დედამიწა”, თავის ნამუშევარს კი “წარმოსახვის სურათებს” ან “კოშკებს ჰაერში” უწოდებს” (Throllope 1897) მწერალი საკუთარ მხატვრულ პრინციპებს რეალისტური რომანის სისტემას უპირისპირებს და უპირატესობას თითქოს ამ უკანასკნელს ანიჭებს, ფაქტი, რომ მოიხსენიებს რეალისტურ ნაწარმოებებს “ნოველად” და თავისას “რომენსად” აქ უკვე ჩანს. ნათანიელ პოთორნი, როგორც აღვნიშნეთ რომანტიკული რომანის დეფინიციის ერთერთი პირველი განმსაზღვრელია და აგრეთვე ნოვატორი მის პრაქტიკულად განხორციელებაში. თანამედროვე კრიტიკოსები ძიებისას, თუ რას გულისხმობდნენ ამერიკელი რომანტიკოსები “რომენსში” ზოგადად ნათანიელ პოთორნის კონსერვატიულ თეორიას მიმართავნ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი რამ ცხადი იყო. მწერლები უნდა დაყრდნობოდნენ ამერიკულ მასალას. ჰერმან მელგილმა თავის შედევრებში გეშაპეტზე ნადირობა აირჩია, უოშინგტონ ირვინგმა წარსული და პოლანდიური ნიუიორკის ახლანდელი პერიოდი. ნათანიელ პოთორნმა პურიტანული ინგლისის წარსული და

თანამედროვეობა. ნათანიელ პოთორნმა და ჰერმან მელგილმა გააცნობიერეს, რომ ახალი ერი ითხოვდა ლიტერატურულ ფორმაში ახალი სიმართლის რეალიზაციას რის საშუალებასაც “რომენსი” იძლეოდა.

პოთორნი განსაკუთრებულად დაინტერესებული იყო “რომენსის” ფენომენით. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს განსაკუთრებულად პრობლემატური ჟანრი პოთორნის მიერ შეიქმნა, მაგრამ ის ახასიათებს რომანტიკულ რომანს როგორც ადმოჩენას, რასაც განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა რომ მკითხველს გააგებინო. მისი “რომენსი” ნაკლებად პგავს ლიტერატურულ ფორმას. იგი უფრო ფსიქოლოგიური, კულტურული ფენომენია, სადაც მისი ხელოვნება წარმოიშობა, სადაც მწერალი და მკითხველი ერთმანეთს ხვდება და მათ შორის გარკვეული აზრთა გაცვლა ხდება. პოთორნისათვის “რომენსის” სფერო არის ბალანსისა და შეთანხმების სფერო, როგორც ის საბაჟოში აღწერს როგორც “ნეიტრალურ ტერიტორიას....სადაც თითოეული საგანი მეორის ბუნებით ივსება” (Hawthorne 1852: 33) ნათანიელ პოთორნის რომანტიკული რომანების წინასიტყვაობები ისეა მოცემული, თითქოს ამ წარმოსახვის მოქმედების ადგილს ადგენენ. ისინი ”გზას უკვალავენ მკითხველს წიგნის შიგა შეხედულებათა სისტემაში. “რომენსის” საშუალებით მიიღწევა ბევრად უფრო რთული ეფექტი, ვიდრე ცრემლები ან სიცილია. “რომენსში” მოცემული აღწერილობითი პასაჟები ადგენენ არა ზუსტ ადგილს, არამედ კონცეპტუალურ და ფსიქოლოგიურ საზღვარს, სადაც პოთორნისეული მოქმედება ხდება. მაგალითად ძველი სახლის აღწერა: ”მოციმციმე ჩრდილები, რომლებიც წვანან ნახევრად მძინარე სახლის კარსა და პარმალს შორის, სპირიტუალურ მედიუმს მოგაგონებდათ, იმდენად, რომ მათი ყურებისას დაფიქრდებოდი, ეს შენობა მატერიალურ სამყაროს ეპუთნოდა თუ არა.” (Hawthorne 1852: 34).

ძველი სახლი, როგორც ის მოგვიანებით აღნიშნავს ”ფერიათა მიწაზეა განლაგებული, სადაც დროის განზომილება არ არსებობს.” (Hawthorne 1866: 23) ნათანიელ პოთორნის ყველაზე ცნობილი მცდელობა ამ ჟანრის გამოხატვაში არის მისი კაბინეტის აღწერა ”საბაჟოში”. უილიამ გილმორ სიმსისაგან განსხვავებით, იგი რომანის ამ ფორმაში დიდ მხატვრულ შესაძლებლობებს ხედავდა სინამდვილის გადმოსაცემად და რაც მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ”გულის სიმართლის” გამოსახატავად. ”რომენსი” არის დასრულებული ფორმა. ის დიდ თავისუფლებას იძლევა ”წარმოდგენილ გარემოებებში და მწერალს არჩევანს უტოვებს ასეთი წარმოსახვითი თამაში

მკაცრად გააკონტროლოს იმით, რასაც შეიძლება მაღალი მორალური რეალიზმი ვუწოდოთ.” “რომენსის” მწერალი თავისუფალია რომანისტის მოვალეობისაგან, თუმცა “რომენს” “ნოველთან” შედარებით რთულ ფორმად თვლის, რადგან “რომენსში” მოვლენები, ხასიათები, სახეები უჩვეულოა, ზოგჯერ ფანტასტიკურიც, თან ეს ყველაფერი იმგვარი ოსტატობით უნდა იქნეს შეთხული და განსახიერებული, რომ ცხოვრებისეულ სიმართლეს დამაჯერებლად გამოხატავდეს და არავითარ შემთხვევაში არ უდალატოს გრძნობათა მართებულ წარმოსახვას. (თოფურიძე 2004: 18) სინამდვილის პირდაპირი ასახვა, როგორც ეს “ნოველში” ხდება გაცილებით იოლია, ვიდრე გამონაგონის, შექმნილის დატვირთვა რეალობით, რაც ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებად ითვლება. ”შვიდფრონტონიანი სახლის“ შესავალში პოთორნი წერს: ”მწერალი თავის თხულებას “რომენს” როცა უწოდებს, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამით მას უნდა გარკვეული თავისუფლება მოიპოვოს, როგორც წერის მანერის, ასევე მასალის არჩევის მხრივაც. ამგვარ პრეტენზიას ვეღარ წამოაყენებს იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებს რომ წერს ”ნოველს“. ნაწარმოვბის ეს ფორმა მიზნად ისახავს ყოველი წვრილმანისადმი ზედმიწევნით ერთგულებას. არა უბრალოდ სავარაუდოს გადმოცემას, არამედ დასაშვებისა და ადამიანის ყოფა-ცხოვრების ჩვეულებრივი დინების ასახვას. “რომენსი” კი, როგორც ხელოვნების ნიმუში, მკაცრად ექვემდებარება საკუთარ კანონებს, რომელთა თანახმად ადამიანის გულის სიმართლიდან ოდნავ გადახრაც კი მიუტევებელ ცოდვად ჩაეთვლება. მას სრული უფლება აქვს ეს სიმართლე წარმოგვიდგინოს ისეთ ვითარებაში, დიდად გაზიადებული სახით, როგორსაც მწერალი თავისი ნებით შეარჩევს თუ შეთხავს. საჭიროდ თუ ჩათვლის, მწერალს შეუძლია ატმოსფერული მედიუმი ისე მოაწყოს, რომ ან გააძლიეროს ან პირიქით შეასუსტოს განათება, გააღრმავოს და გაამდიდროს ჩრდილები, ცხადია, მან იმოდენა სიბრძნე უნდა გამოიჩინოს რომ აქ მითითებული პრივილეგიები მეტად ზომიერად გამოიყენოს” (Hawthorne 1851: 3-5) პოთორნი ფილდსთან მიწერილ წერილში ცდილობს ახსნას როგორ უნდა იმუშაოს ხელოვანმა: ”რომენსის წერისას კაცი ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის უნდა ავიდეს აბსურდულობის უკიდურეს ნაპირზე და ოსტატობა ნიშნავს მასთან ახლოს მისვლას ისე, რომ რეალობასთან მიახლოებისას ფეხი არ დაგიცდეს, წონასწორობა არ დაკარგო.” (Marjorie 1969: 89). ჩანს მწერალი გრძნობს, რომ უფსკრულის პირას წონასწორობის დაცვა ყველაზე კარგად წარმოსახვის და სინამდვილის შერევით

მიიღწევა. თუკი ხელოვანი უძლურია მოქმედი სამყარო წარმოსახვითთან შეაერთოს, იგი სუსტია და არარეალური თავისი განვითარების შესაძლებლობაში." (Marjorie 1969: 91) რეალურისა და წარმოსახვის გადაკვეთა ოსტატურად არის ახსნილი "ალისფერი ასომთავრულის" შესავალში "საბაჟო", მთვარის შუქით განათებული ოთახის მაგალითზე. ავტორი თავის თავს უკაცრიელ სასტუმრო ოთახში მჯდომარეს წარმოგვიდგენს, რომელსაც მხოლოდ მოციალე ნახშირის ცეცხლი და მთვარე ანათებს. ამ უცნაურ შუქთა გადაკვეთაში "ნაცნობი ოთახის იატაკი ხდება ნეიტრალური ტერიტორია, სადაც რეალურ და ფერიათა ქვეყნის შუაში წარმოსახვა და მოქმედება შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ და შეივსონ ერთმანეთის ბუნებით" (Hawthorne 1852: 9) ეს ნაცნობი ოთახი სავსეა რეალური საგნებით. სკამები, მაგიდა, სამუშაო კალათი, წიგნები, ჩამქრალი ლამფა, წიგნების კარადა, სურათი კედელზე, ბავშვის ფეხსაცმელი, თოჯინა, რომელიც მოწნულ ეტლში ზის, სათამაშო ცხენი. თბილი ნახშირისაგან გამოცემული ცეცხლი რეალურ ადამიანურ სითბოს გამოსცემს. მაგრამ ოთახში შემოსული მთვარის შუქი, რომელიც ფერად ხალიჩაზე ეცემა, თითოეულ საგანს წამიერად ასულიერებს. მთვარის შუქი ჩვეულებრივ დღის შუქს არ გავს. "რომენსში" იგი ყველა დეტალს უკარგავს რეალობას და წარმოსახვა და რეალობა ერთმანეთს ერწყმის. ნაცნობი ოთახი ნეიტრალურ ტერიტორიად იქცევა. ცეცხლის თბილი შუქი თამაშობს "მთვარის სხივების ცივ სულიერებასთან, თოვლის სახეებს მიეცემათ გული და ადამიანური სინაზის მგრძნობელობა. ისინი ქალად და კაცად იქცევიან" (Hawthorne 1852: 14) ამ აღწერლობითი პასაჟების ენა მიუთითებს, რომ "რომენსი" მედიტაციის აღგილია, სადაც საზღვრები სინათლეს და სიბნელეს, სულიერსა და მატერიალურს, სინამდვილესა და წარმოსახვას შორის უარყოფილია. ეს საზღვრებისგან გათავისუფლება ყველა სახის აღრევის საშუალებას იძლევა. პოთორნის მტკიცება, რომ სინამდვილე და წარმოსახვა ერთმანეთს უნდა გადაეხლართნონ რათა "რომენსი" შეიქმნას, შეესაბამება ემერსონის ტრანსცენდენტალურ ხედვას ხელოვნების ნიმუშის შექმნის შესახებ.

პოთორნისული "რომენსი" განსაზღვრება და მისი განსხვავება "ნოველთან" მიმართებაში დღესაც კლასიკურ დეფინიციად ითვლება. თუმცა როგორც აღვნიშნეთ, იგი ყველასათვის ერთხმად მისაღები არ ყოფილა. მე-19 საუკუნის ბოლოს პენრი ჯეიმსმა რომანის უანრის დაყოფის შესახებ განაცხადა: "ეს ტლანქი დაყოფაა, ვფიქრობ მოგონილი მკითხველებისა და კრიტიკოსთა მიერ

მათსავე სასარგებლოდ და იმ უცნაურ დაბრკოლებათა გადასალახავად, თვითონვე რომ შეიქმნეს" (James 1934: 56). ჯეიმსის ამ შეფასებას მიმდევრები არ გამოუჩნდნენ. შემდგა შიც ცნობილი ლიტერატურათმცოდნები ვ. ბრუკსი, ვ. პარინგტონი, ფ. მატისენი და სხვანი პოთორნის ესთეტიკური აზროვნების დიდ მიღწევად თვლიდნენ მწერლის მიერ მოცემულ რომანტიკული რომანის "რომენსისა" და ყოფითი რომანის "ნოველის" განსხვავებასა და მათი პოეტიკის ფორმულირებას.

ნარკვევში "საბაჟო", რომელიც "ალისფერ ასომათავრულს" უძღვის წინ, პოთორნმა მოგვცა შემოქმედებითი პროცესის რომანტიკული გააზრება, როგორც გადასვლა რეალური სამყაროდან პირობითობის სფეროში.

პოთორნის რომანტიკული პროზა მცირე ჟანრთან მიმართებაში შეიძლება სამ ნაწილად გაიყოს: ესეე, მოთხოვბა ახალ ინგლისზე და მორალურ-ალეგორიული კრებულები. ეს ორი ჟანრი ხშირად ერთ ნაწარმოებშიც გვხვდება. მაგალითად მოთხოვბაში "მერიმაჟნტის მაისის ხე" (20) ალეგორიის საშუალებით არის გადმოცემული ეპიზოდი ახალი ინგლისის ისტორიიდან. პურიტანთა მიერ მერიმაჟნტის განადგურება, რომელიც კოლონისტებმა ადამიანებისათვის სიხარულის მისანიჭებლად შექმნეს, ბეჭისერების შესახებ ამერიკული ოცნების პირველი მარცხია.

მწერლის ნაწარმოებების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს იგი ილუზორული სამყაროს წარმოსახვისა და საქმიანი ამერიკის შუაში იმყოფება. მკითხველი მუდამ რჩება რადაც შუალედურ სფეროში, რომელიც წარმოსახვითს არსებულისაგან ჰყოფს. რეალობა პოთორნისთვის საშიში და მიმზიდველია. "როგორც დამის პეპელა, ისე მოფრინავს ხელოვნება სინამდვილის შუქზე და იღუპება უხეშ, რეალურ სამყაროსთან შეჯახებისას" ამბობდა იგი. მწერალმა საუკეთესო ნაწარმოებები შექმნა იმ მომაჯადოებელი შუალედური სამყაროს დახმარებით, რომელიც ალეგორიულ გამონაგონსა და რეალობას შორის არსებობს. ეს იდეა ხორცშესხმულია "საბაჟოს" ერთ მონაკვეთში, სადაც მწერალი მისი შემოქმედების შესახებ გვიამბობს: "ჩემი ყოველდღიური არსებობის უფერულობის ფონზე, რომელიც ასე საშინლად მაწვებოდა მე, სრული სიგიჟე იყო სხვა საუკუნეში გადასვლის მცდელობა, ან რაც არ უნდა დაგჯდომოდა უნდა შეგექმნა უხილავი ხელშეუხებელი ელემენტებისგან შემდგარი რეალური სამყაროს მსგავსი რადაც, მაშინ როცა ჩემი საპნის ბუშტების საპაერო მშვენიერება ყოველწუთს იღუპებოდა სინამდვილესთან

შეჯახებისას." (Hawthorne 1852: 34) "ორჯერ მონაყოლი მოთხოვობების" მესამე გამოცემის შესავალში ის წერს: "როგორიც არ უნდა იყოს რეალური ცხოვრების სურათები, ჩვენ უპირატესობას აღეგორიას ვანიჭებთ, თუმცა ყოველთვის გემოვნებით ვერ ვნიდბავთ მას, რომ წინააღმდეგობების გარეშე შეიჭრას მკითხველის ცნობიერებაში... თუკი ამ წიგნს მიმართავთ, უნდა წაიკითხოთ გამჭვირვალე, დამაფიქრებელ ბინდბუნდში., როგორშიც დაიწერა. თუ მას მზის კაშაშა შეუძლია გადაშლით ის ცარიელფურცლებიან ტომად მოგეჩვენებათ (Hawthorne 1866. 78) მიუხედავად ყოყმანისა რეალობასა და წარმოსახვას შორის, არ იფიქროთ რომ მწერალი გაურბოდა მისთვის თანამედროვე საზოგადოებას ან ეპოქის პრობლემებს. იგი ხედავდა, რომ ამერიკაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები ფაქტიურად ანადგურებდნენ რევოლუციით მონაპოვარ თანასწორობის პრინციპებს. ეს ფაქტი მისთვის წარმოადგენდა ბუნების კანონის დარღვევას და არა ისტორიულ კანონზომიერებას. "შექმნილი მდგომარეობა, - ირონიით აღნიშნავს იგი—ადამიანის ღირსება, განისაზღვრება მისი ადგილით გადასახადის ამკრების წიგნში, რამაც ადამიანები ბუნებრივი ურთიერთობების გაქრობამდე მიიყვანა, ეს ალბათ ადამიანის ფიზიკური ბუნებით იყო განპირობებული." (Hawthorne 1852: 35) მწერლის მთელი შემოქმედება ემსახურებოდა ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების ზეობრივი და სოციალური პრობლემების გახსნას. პოთორნი კოლეგებს უფლებას უტოვებდა აერჩიათ ნებისმიერი სიტუაცია, იმისგან დამოუკიდებლად, შეესაბამებოდა იგი გარეგნულ სიმართლის კანონებს თუ არა, ოღონდ მისი არსი არ უნდა გასცდენოდა "ადამიანის გულის სიმართლეს". ეს სიმართლე კი ხშირად დრმად არის ჩამარხული გარეგნული ფაქტების რთულ სამყაროში. ამიტომ მწერალმა არ უნდა დაიჯეროს ის, რასაც გარეგნულად სიმართლე ჰქვია. ნამდვილმა ოსტატმა უნდა შეძლოს მაცდუნებელი გარეგნობის შიგნით, ნებისმიერი საშუალებით, თუნდაც ეს ფანტასტიკური გამონაგონი იყოს, გახსნას ის, რასაც მოვლენის არსი ეწოდება, ამ მიზნის მისაღწევად პოთორნის აზრით საუკუთესო საშუალებაა "რომენსის" უანრის გამოყენება.

მოთხოვობაში "ახალი ადამი და ევა", (21) მწერალი მიუთითებს უხეში მატერიალიზმის უკიდურეს განვითარებაზე, რასაც სულიერი დამცირებისაკენ მივყავართ. სულის და მატერიის დაპირისპირება ერთეულთი მნიშვნელოვანი თემაა პოთორნის შემოქმედებაში და თხოვობის სხვადასხვა დონეებზე მეორდება.

მატერიალური ფასეულობების მოპოვების სურვილი ანადგურებს ადამიანის ბუნებას, ასასტიკებს სულს, არღვევს ზნეობრივ საზღვრებს.

ამერიკული რომანტიზმის მკვლევარი ფრენსის ოტო მატისენი პოთორნის მემკვიდრეობის აბსტრაქტულ-ესთეტიკური გააზრების წინააღმდეგია. ბევრი ამჩნევდა მისი შემოქმედების ტრაგიკულ სიღრმეს, მაგრამ ცოტამ თუ გაიგო რომ მისი იდეები და სახეები უშუალო კავშირში არიან მის თანამედროვე ბურჯუაზიულ ამერიკასთან. "ჩვეულებრივ მას განიხილავდნენ როგორც ისტორიული ჩრდილების სამყაროს მცხოვრებს, რომელიც მის თხოვნის პირქუში პურიტანების მოგონებებზე ქსოვს და ვერ ამჩნევს მე-19 საუკუნის რეალურ ცხოვრებას". (Mattiesen 1968: 192)

როცა პოთორნი თავის რომანტიკულ რომანებს ქმნიდა, სურვილს გამოთქვამდა "გაეკვლია მკითხველისათვის გზა შინაგან ხედვათა სამყაროში" გვითხულობთ "რაპაჩინის ქალიშვილის" შესავალში. (Hawthorne 1841: 372) პოთორნის ნაწარმოებების წინასიტყვაობები ოცწლიან პერიოდს მოიცავს და ავტორის ესთეტიკის გასაგებად ნამდვილად დირექტულია. წინასიტყვაობების და მოთხოვნების საშუალებით "რომენსებში" ხელოვანი-დამკვირვებელი ხდება ნაგულისხმები აზრის ნაწილი, გარდა ამისა, ავტორს საშუალებას ეძლევა თავისი თეორიის პირდაპირი, სწორი ფორმულირება მოახდინოს. მაგალითად მხატვრული გაფორმება და ხასიათები "მარმარილოს ფაგნში" საშუალებას იძლევა განისაზღვროს ხელოვანის მუშაობის პროცესი. აქვე შემოთავაზებულია ესთეტიკური თეორია შემთხვეველების ტექნიკის შესახებ. ამ ნამუშევრებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია უბის წიგნაკები, ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, სადაც თითოეული გვერდი შეიძლება აგზორის ჩანაფიქრის პირდაპირი მინიშნება იყოს. ასევე ლირებულია წერილები ჯეიმს ფილდთან, უილიამ ტიკნორთან, ეს ადამიანები მისი გამომცემლები და მეგობრები იყვნენ, ასევე პორაციო ბრიჯთან, ვის შთაგონებასაც პოთორნი ძალიან იწონებდა. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია მიმოწერა სოფიასთან, მის მეუღლესთან, ყველაზე მგრძნობიარე მსმენელთან. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა, მწერლის, როგორც ხელოვანის შინაგან სამყაროში ჩავიხედოთ.

პოთორნის ადრეული ლიტერატურული კარიერა დახლოებით 1825-დან 1849- მდე განისაზღვრებოდა „მოკლე მოთხოვნით“ ან „თეილით,“ რომელთაც ის ედგარ პოს მსგავსად, ჟურნალებსა და წლიურ გამოცემებში აქვეყნებდა. მისი მოთხოვნები იმ დროს ამერიკული ხელოვნების მიღწევად ითვლებოდა. პოთორნის

თეორია ლიტერატურის შესახებ მისი ნაწარმოებების წინასიტყვაობებშია გაბნეული. მან სწორად აღიქვა ამერიკული ცხოვრების ყოველდღიური სფერო, რომელიც არცთუ ისე ნაყოფიერი მასალაა წარმოსახვისათვის და სურდა დაუფლებოდა იმ რეალურ შესაძლებლობებს, რასაც ადამიანის სულში შეღწევა ჰქვია.

პოთორნის მხატვრული აზროვნების თავისებურება უკავშირდება განმანათლებელთა თხრობის ტრადიციას, რომლის დროსაც დასაშვები იყო სხვადასხვა ტიპის ესეების, სკეტჩების ან ჩანართების არსებობა პოთორნის ნოველისტიკის საფუძველზე ედგარ პომ შეიმუშავა თეორია "შთაბეჭდილების მთლიანობის" შესახებ, რაც მისი შემოქმედების განმსაზღვრელი გახდა. იგი თვლიდა, რომ მოთხოვნა, რომლის ორიგინალური ნიმუში მოგვცა პოთორნმა, ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ მისი კითხვა ნახევარიდან ერთი ან ორი საათი დაგჭირდეს. თუკი მას ერთი ამოსუნთქვით ვერ წაიკითხავ, ემოციური ზემოქმედება უკვე აღარ ხდება... კითხვის შუალედში საყოფაცხოვრებო საქმის კეთება მეტნაკლებად ცვლის, ახუნებს ან ეწინააღმდეგება შთაბეჭდილებას. უბრალო შესვენებაც კი არღვევს მთლიანობის ეფექტს." (Poe 1842)

დასაწყისი მოთხოვნისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომანისათვის, რადგან სტრუქტურული აგებულების მკაფიობა, სიზუსტე, უფრო არსებითი მოთხოვნაშია და არა რომანში. გრძელი, გაჭიანურებული ექსპოზიციები მეტად გავრცელებული იყო მე-19 საუკუნეში, რადგან მაშინ მოთხოვნა უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნარკეგთან. ნათანიელ პოთორნი, გილმორ სიმსი, ედგარ პოდა სხვანი ხშირად იყენებდნენ ამ ხერხს, რათა მთლიანობის ეფექტისათვის მიეღწიათ. დასასრული მეტად მნიშვნელოვანია მწერლისთვისაც და მკითხველისთვისაც, რომელიც მოუთმენლად ელოდება გაიგოს რა მოხდა. იგი მრავალსახეობრივია. დახურულ დასასრულში მოქმედება უბრალოდ არ სრულდება, ყველანაირი თხრობა ამზადებს ფინალს. ზოგჯერ დასასრულში მეორდება დასაწყისის ელემენტები, უფრო სათაური, ამით მიიღწევა ის დასასრულის შეგრძნება, რომელიც ასე დამახასიათებელია რომანტიკული მოთხოვნისათვის. მე-20 საუკუნეში ლია დასასრული ნოველისტებისათვის ჩვეულებრივ ხერხად იქცა, მაშინ როცა ნათანიელ პოთორნის, ჰერმან მელვილის, გილმორ სიმსის ნაწარმოებები დახურულ დასასრულს ატარებენ, რომლის დროსაც თხრობა მეტნაკლებად შორდება მირითად ფაბულას და გადადის ავტორის მსჯელობაში თავად მოთხოვნაზე და მის შექმნაზე. რომანტიკოსებთან

მეტად გავრცელებულია დასასრული, რომელიც იწყება ელეგიურ-საზეიმო კავშირით - "და". მაგალითად "ახლგაზრდა ბრაუნი" მთავრდება ფრაზით "....და იცხოვრა დიდხანს, და მოხუცი ჩავიდა სამარეში. როცა რწმენა, ბავშვები, შვილიშვილები, მეზობლები აცილებდნენ მას უკანასკნელ გზაზე, საფლავის ქვაზე არ ამოუქვეთავთ იმედიანი სიტყვები, რადგან პირქუში იყო მისი სიკვდილის საათი" (Hawthorne 1835: 1042).

ნათანიელ ჰოთორნმა ედგარ პოსა და დავიდ თორპის მსგავსად მიაღწია მანიპულირების შესაძლებლობას თხრობით დონეებში და ძალიან ნაყოფიერადაც გერარდ ჯენეტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ როცა მთხოვობელი გვიყვება ლიტერატურული გმირების ქმედებების შესახებ, ვინც ლიტერატურულ სამყაროში ცხოვრობს, მაგალითად მთხოვობელი ნაწარმობში "რაპაჩინის ქალიშვილი" გვიყვება სინიორ პიეტრო ბაგლიორის შესახებ ის ამ დროს არის დიეგეტიკური თხრობის, დიეგეტიკური მთხოვობელი (Dunne 1995: 75). როდესაც ერთერთი ამ მთხოვობელის ლიტერატურული გმირებიდან, ბაგლიორი ყვება მოთხოვობას ალექსანდრე დიდის შესახებ, ბაგლიორი ხდება მეტადიეგატიკური მთხოვობელი და მისი თხრობა არის მეტადიეგეტიკური. სტრუქტურალისტური პოეტიკის წარმომსახველობის მიხედვით ასევე შესაძლებელია გაქონდეს ექსტადიეგეტიკური თხრობა, რომელიც განცალკევებით არსებობს დიეგეტიკური თხრობისაგან, ისე როგორც ეს მოცემულია ლიტერატურულ კრიტიკულ ესსეში და "რაპაჩინის ქალიშვილის" ჩარჩოს წარმოადგენს. თუმცა საბოლოოდ თხრობამ მეტალეფსისის საშუალებით შეიძლება უარყოს განსხვავება დიუგეზისის ამ დონეებს შორის.. მაგალითად "რაპაჩინის ასული" და "ალისა პუუნის თხოვნა". ჰოთორნს შეუძლია შემოაბრუნოს თხრობა ჯადოქრობის, ინცესტის, მკვლელობის, მოშხამვის, სიყვარულის შესახებ.

მიუხედავად თავიანთი განსხვავებული შეხედულებებისა, ჰოთორნის თანამედროვე ამერიკელი და ევროპელი მწერლებს ერთი რამ აერთიანებდათ, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ვიზუალურ მხარეს და ხედვის შეგრძნებას. სიტყვა, რომელიც ხშირად მეორდება რეალისტების ნაწერებში არის დაკვირვება საკუთარ ნაშრომზე, მეტაფორა, რომელსაც ისინი იყენებენ თავიანთი ხელოვნების მიმართ, არის ზუსტი ამრეკლავი სარკე. რალფ ემერსონმა და პენრი თორომ იმემკვიდრეს რომანტიკული რწმენა, რომ ხედვა არის გრძნობის ინსტინქტი. რაც ზუსტად არის გამოხატული კოლრიჯის ოდაში "სვლა—ოდა" "მე ვხედავ მათ ისე ბრწყინვალედ ნათლად მე ვხედავ და არა ვგრძნობ" (Timmes 1989).

ტრანსცენდენტალისტები გრძნობდნენ რომ მსგავსად ენისა, ხედვას ჭირდებოდა ხელახლა აღმოჩენა, გახსნა. ემერსონი სურვილს გამოთქვამდა რომ “თვალის გუგა უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე” (Emerson 1908: 4). ფრენსის მატისენი აღნიშნავდა: “შეხება გარესამყაროსთან, საუკუნის ყოველი ფაზა აღინიშნა დაკვირვებისადმი მზარდი ინტერესით, რაც გამოიხატა ყველაფერში, თუნდაც ისეთი მეცნიერული მიღწევების გამოგონებაში, როგორიცაა ტელესკოპი ან მიკროსკოპი, ან მხატვრის ახალი ექსპერიმენტი შუქთან მიმართებაში, ან ფოტოგრაფების მიერ კადრის დაფიქსირება და რეალისტი რომანისტების შემოქმედება, რომლებიც ზედაპირის ყველა დეტალს აფიქსირებენ (Mattiesen 1944: 264). ამ მიდგომას ჰოთორნი მკვეთრად უარყოფდა, რასაც მივყავართ ჰოთორნისეული დეფინიციის შემდეგ ასპექტთან, მარშალ მაკლუპანის მიხედვით ეს არის ხედვის შეგრძნების იზოლაცია, რასაც განაპირობებს ბეჭდვითი კულტურა, რომელიც “ფიქსირებულ თვალთა ხედვის საშუალებას იძლევა”. (McLuhan 1962: 136) ეს გახლავთ რეალისტური რომანის მთავარი ქვაკუთხედი, თვალთახედვა, რომ არსებობს მოვლენების, ფენომენების ზოგადი სამყარო, აგტორთა მიერ მოხსენიებული ფართო სქემები არ შეიძლება არ აღვიქვათ როგორც დამოუკიდებლი ჩვენი ინდივიდუალური ადქმისგან.

ჰოთორნი ამბობს, რომ რომანტიკული რომანის წერა ავტორს იმ სიტუაციაში აყენებს, რომელშიც შესაძლებელია “მიუტევებლად სცოდო.” მიუტევებელი ცოდვისა იდეა დია თემაა მის ერთერთ ნაწარმოებში “ეტან ბრანდი”.(8) მხატვრული ნაწარმოების წერა, როგორც ესთეტიური რამის, გახლავთ მორალური საქმიანობა და აქედან გამომდინარე ურთიერთობა მთხოვობელს მის ნაწარმოებებსა და სამყაროს შორის პროტლემატურია. ავტორს ცვლილებები ისეთი დამაჯერებლობით შემოაქვს ნაწარმოებებში, რაც რეალისტი მწერლებისთვის არის დამახასიათებელი. საინტერესოა, რომ მთხოვობელი ჰოთორნის “რომენსების” და მოთხოვობების უკან არ არის გამოხატული როგორც ინდივიდუალური პიროვნება, ვინც ანაწილებს სიმართლეს.

რომანტიკული რომანის, “მარმარილოს ფავნის” გამოცემის შემდეგ ჰოთორნი ერთ მეგობარს წერდა, რომ ზოგიერთმა ბრიტანულმა რევიუმ “საშინლად იბუზდუნა მის ველურ პროზაზე” რადგან ყველა ადამიანმა არ იცის როგორ უნდა წაიკითხოს რომანტიკული რომანი (Timmes 1989). ნაცვლად იმისა, რომ ყურადღებით წაეკითხათ ავტორის მიერ ნაწარმოებისათვის დართული შესავლები, როგორც მისი სურვილის დამადასტურებელი საბუთი რომ მკითხველის ნებას

მიჰყოლოდა. ეს შესავლები უნდა აღვიქვათ არა როგორც ახსნა განმარტების მცდელობა, თუ როგორ დაიწერა ეს ყველაფერი, არამედ როგორ უნდა იქნას წაკითხული. ყოველივე ეს შესაძლოა ავტორისა და მკითხველის ურთიერთობაში იქნას შემჩნეული პოთორნის ტექსტებში, სადაც ჩანს მისთვის დამახასიათებელი თვისებები.

მოთხოვთა “როჯერ მალვინის დაკრძალვა” გვთავაზობს პოთორნის ტექნიკის ყველაზე კარგ ილუსტრაციას მის მოთხოვბებში და ასევე საინტერესოა, როგორც აღებული მაგალითი მიშელ კოლაკურციოს ანალიზისა მის წიგნში პოთორნის ადრეული მოთხოვბების შესახებ. ეს ნაწარმოები ბევრი მისი მოთხოვბის მსგავსად იწყება ახალი ინგლისის ისტორიის ერთერთი გვერდიდან. შეტაკების შემდეგ მთავარი გმირი რეუბენ ბორნი ტოვებს მის მომაკვდავ სიმამრს, როჯერ მალვინს დიდ კლდესთან, რომელიც არწმუნებს მას დატოვოს და წავიდეს. მთხოვბელი დეტალურად ყვება რეუბენის ცნობიერების განცდას, როცა ის ტოვებს მოხუცს. მოთხოვბის გმირი ერთერთ ყველაზე რთულ მორალურ სიტუაციაში აღმოჩნდება, როცა ნებისმიერი მოქმედება მცდარია. მარტივია დარჩე და დაელოდო მოხუცის აუცილებელ სიკვდილს, თუმცა გარისკო შენი საკუთარი სიცოცხლით აბსურდია. როჯერის ქალიშვილმა შეიძლება ორივე დაკარგოს ქმარიც და მამაც. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რეუბენმა შესაძლოა დამხმარე იპოვოს და დაბრუნდეს კაცის გადასარჩენად. მეორეს მხრივ დაძაბულობა რჩება, რადგან შვილობრივი ვალია დარჩეს და საკადრისად დაკრძალოს საცოლის მამა. სააბოლოოდ ის მიდის იმ პირობით, რომ დაბრუნდება. რეუბენი იპოვის თავისიანებს, გამოჯანმრთელდება და დაქორწინდება როჯერის ქალიშვილზე. თუმცა ვერ უუბნება ცოლს, რომ მამამისი ცოცხალი დატოვა კლდესთან, ვერც პირობას ასრულებს რომ დაბრუნდეს ნეშტის დასაკრძალად, რადგან ვერ გაამხელს მომხდარ ფაქტს. საბოლოდ მაინც უწევს ცოდვის გამოსყიდვა, რადგან უნებლიერ მის საკუთარ შვილს ესვრის. კოლაკურციოს მსჯელობა ასეთია, რეუბენის დანაშაული ის კი არ არის წავა თუ დატოვებს, არამედ ის, რომ არ უუბნება ცოლს და არ აღიარებს რომ მისი საქციელი არ იყო გმირული. პოთორნის ეს მიდგომა ისტორიული თვალთახედვით სწორიც არის, რადგან 1825 წელს აქტუალური იყო თეთრი ცივილიზაციის დაცვა გალურებისაგან. მთავარი ტენდენცია მოთხოვბისა “როჯერ მელვილის დაკრძალვა” ის გახლავთ, რომ ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ მათი ისტორიის მითიურობას, საიდანაც წამოიჭრება ვერსია, რომელიც აღიარებს იმ

ცოდვებს რაც შეიძლება ჩადენილ იქნას მათი წარმატების უზრუნველყოფისათვის. ზემოთხსენებული კრიტიკოსის მიღომა გამოდგება კონტრარგუმენტად პოთორნის შემოქმედების ფორმალისტი კრიტიკოსებისა, ვინც ცდილობს ბრალი დასდოს მას ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნაში. ფორმალისტები უარყოფენ მის რეალურ დამოკიდებულებას თავის დროსთან და მის ინტერესს წარსულთან მიმართებაში, მაგრამ იმის თქმა, რომ პოთორნის მოთხოვნები ხშირად მოიცავენ თავის თავში პურიტანული დოქტრინის დრმა აზრს ან ზუსტ ისტორიულ კავშირს გადაჭარბებულია. პოთორნის მოქნილობა რეალურ მოვლენებთან მიმართებაში და მის მიერ რეალური პარამეტრების გამოყენება ნიშნავს, რომ მისი ინტერესი კონცენტრირებულია პრობლემის მორალურ ასახვაში, რისთვისაც სტიმულად ისტორიას იყენებს. ნინა ბეინის აზრით პოთორნის ნაკლები ინტერესი აქვს თეოლოგიური დახვეწილობის მიმართ და ის არ არის დაინტერესებული ისტორიის შეთხვით, მისი ლიტერატურის თემატიკით ან იმით რომ ამერიკული წარსულის შესახებ იმსჯელოს.

მოთხოვნების უმეტესობას აქვს რედაქტორული სტილი, რომელიც თითქოს გვთავაზობს “კომენტარს” ტექსტებზე, მაგრამ სინამდვილეში ემსახურება მწერლის, როგორც ერთადერთი უფლებამოსილის სტატუსის იგნორირებას. ზოგჯერ ამ კომენტარს ხუმრობის ფორმა აქვს, როგორც რედაქტორის მინაწერს. პოთორნის მოთხოვნები ჟანრობრივად იოლად დასაყოფი არ არის, როგორც მაგალითად ედგარ პოსი, უმეტესობა უფრო ესეს გავს ვიდრე მოთხოვნას. მაგალითად, ვერ ვიტყვით რომ ეპიზოდი, მოთხოვნებიდან “ენდიკოტი და წითელი ჯვარი”, რომელშიც მხედარი ჯონ ენდიკოტი იდებს ინგლისის დროშიდან ეპისკოპოსის სიმბოლოს, რათა დემონსტრაციულად აჩვენოს კოლონიალური გამოწვევა ჩარლზის I სურვილის რელიგიურ საკითხებში დაქვემდებარების მიმართ, არის სუფთა მხატვრული ლიტერატურული ეპიზოდი პურიტანული ისტორიიდან, უფრო უკეთ ეს სცენა მოცემულია სალემის სკეტჩში, 1630 წელს, იქ მკითხველი ხედავს რელიგიის სახელით დამახინჯებულ ადამიანებს, პურიტანული მექანიზმი გამოყენებულია არა მხოლოდ ადგილობრივი შეფერილობისათვის, არამედ თემატური მომენტის შესაქმნელად. ნაწარმოებში მიმდინარე მოვლენები მოიცავენ ცენტრალურ თემას, მაგრამ ასევე შემოთავაზებულია დიალოგი ენდიკოტსა და პურიტანების წარმომადგენლის როჯერ უილიამსს შორის, რაც ასევე თემატური მიზნისთვის არის გამოყენებული. “ენდიკოტი და წითელი ჯვარი” არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისტორიულ მოთხოვნად. იგივე შეიძლება

ითქვას ნაწარმოებში შექმნილ ფონზე, რომელიც უანრის ერთერთი განმსაზღვრელია.

შემდეგი თემა, რაც ასევე ახასიათებს მწერლის ესთეტიკას, არის რეალობასთან მიმართება. პოთორნი, რომელიც აღიარებულია როგორც რომანტიკოსი მწერალი, უდიდეს პატივს სცემდა რეალობას. "არის რაღაც უფრო მართალი და უფრო რეალური, ვიდრე ის, რასაც ვხედავთ თვალით და ვეხებით თითოთ." (Dall 1967: 78) ამბობს პოთორნი "რაპაჩინის ასულის" ავტორისეულ კომენტარში. ამას შეიძლება ასევე დავარქვათ "უკეთესი სფერო, რომელიც ჩვენს ირგვლივ თვალთუხილავად წევს, ან ფიქრი იმ უფრო ჭეშმარიტ სამყაროზე, ვიდრე ეს ჩვენი ციებ-ცხელებით ატანილი ყოფაა, სადაც უბრალო გარეგნულ სანახაობას არაფერი გააჩნია ისეთი, რათა დააკმაყოფილოს სული, რომელიც სიმართლეს ეზიარა." (Hawthorne 1841:) გარეგანი და შინაგანი ცხოვრების განსხვავებისას პოთორნი ამბობს "უხეში ცხოვრება არის ზმანება და სპირიტუალური ცხოვრება არის რეალობა". (The selected letters of Nathaniel Hawthorne 2002: 71) ეს რეალობა იდეალური მშვენიერებაა "რომელსაც ბუნება სთავაზობს თავის ყველა თავის ქმნილებას". ამ რეალობასა და ინდივიდებს შორის ურთიერთობა არსებობს. ადამიანებს პოთორნი ადარებს "ძლიერ მთებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერთმანეთს ვერაფერს მოუხერხებენ. თითოეულს თავისთვის საკუთარი ცენტრი აქვს, მარტო თავისთვის არსებობენ. თვალისთვის, რომელსაც შეუძლია ყველა ერთად დაინახოს, ისინი ერთიანი, დიდი, მშვენიერი იდეის ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც არ შეიძლება განხორციელდეს თუნდაც ყველაზე პატარის, ან ყველაზე მაღალის გარეშე" (Lathrop 1897: 45)

პოთორნი ფიქრობს იმ რეალობაზე, რომელიც ადამიანში ირეკლება. იგი იზიარებს ტრანსცენდენტალისტების რწმენას, რომ უმაღლესი რეალობა დედამიწის საგნების ჩრდილშია მოქცეული. ის არსებობს ძველი სახლის ახლოს, მდინარის პირას და ირეკლება "თითოეული ხისა და კლდის, თითოეული ბალახის ფოთლის გამოსახულებაში, რადგან ისინი იდეალურად მშვენიერნი მხოლოდ ანარეკლში ჩანან. მთელი ცა ჩამოდის ძირს ჩვენს ფეხებთან, მსუსე ღრუბლები მოედინებიან ზეცის ფიქრების მსგავსად" (Lathrop 1897: 70) თუმცა მდინარე ბინძურია და არაწმინდა, მასში ჩანს ზეცის სურათი ავტორი ამბობს "და ეს იყოს სიმბოლო ყველაზე მიწიერი ადამიანური სულისა, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი დაუსრულებელი შესაძლებლობა და შეუძლია შეიცავდეს უკეთეს სამყაროს თავის სიღრმეში" (Hawthorne 1902: 68) ამ ანარეკლებში არის

იდეალური მშვენიერება, რომელიც სულს მეტად აკმაყოფილებს ვიდრე ნამდვილი სცენა.

"მარმარილოს ფავნში" როცა დონატელო კენიონთან ერთად მონტე ბენიში ბუს კოშგს უყურებს, აღმოაჩენენ რომ "ამინდის ცვლასთან ერთად მინდორიც სხვადასხვა იერსახეს ღებულობს, რომ ზეცის და მიწის გვერდი ფართოდ არის გადაშლილი ჩვენს წინაშე. ის რჩევას იძლევა. უბრალოდ დაიწყე მისი კითხვა და აღმოაჩენ, რომ ის თავად ხსნის თავის თავს სიტყვების დახმარების გარეშე" (Hawthorne 1866: 50) კენიონი დიდ შეცდომად თვლის, რომ "ჩვენს საუკეთესო ფიქრებს ადამიანურ ენაში ვდებოთ იმიტომ, რომ როცა ჩვენ ავდივართ ემოციისა და სულიერი ტკბობის უმაღლეს მწვერვალებზე, ისინი შეიძლება გამოიხატოს ისეთი დიდებული იეროგლიფებით, როგორიცაა ასოები ჩვენს ირგვლივ" (Hawthorne 1866: 50) რაღაც უფრო მეტი არის ჩადებული ადამიანთა მიწიერ სიამოვნებებში. ერთ დიდებულ დღეს ბუნების სიყვარულით სუნთქვა შეკრული პოთორნი წერდა, რომ ასეთი დღე "არის მარადისობის ბედნიერი დაპირება. შემოქმედი ვერ შექმნიდა ასეთ ამინდს და არ მოგვცემდა გულს, რათა დავმტკბარიყავით მისით, თუ არ გვიგულისხმებდა უკვდავებად. ეს აღებს ზეცის ჭიშკარს და ანთებს ნაპერწკალს დრმად სულში." (Hawthorne 1846) ჭეშმარიტ ბედნიერებაში აისახება "რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მიწა ფლობს. უფრო მეტი, ვიდრე მომაკვდაგთა შესაძლებლობაა მისით დატკბეს. პოთორნი დამკვირვებელი ამბობს "ბუნება უკეთესი არ არის წიგნზე? ადამიანის გული ხომ ყველა ფილოსოფიურ სისტემაზე დრმაა. დროის უდიდესი წიგნი ფართოდ არის გადაშლილი ჩვენს წინ თუ მას სწორად წავიკითხავთ ეს იქნება ჩვენთვის მარადიული სიმართლის მომცველი. ზოგიერთი ილუზიაც კი სიმართლის ჩრდილია. ჩრდილების სამყარო მარადიული სიმართლის წიგნია, მაგრამ უმაღლესი რეალობის ჩრდილები ტალახიან წყალშია არეკლილი, ზეცის სურათს ბინძური უწმინდური მდინარე ჩრდილავს. კაცობრიობა მიწისგან დამზადებული ჭურჭელია შიგნით სულით" (Passages from the American notebooks by Nathaniel Hawthorne 1868: 49) პოთორნი ადამიანის გულს ალეგორიულად გამოქვაბულს ადარებს. შესასვლელთან მზის შუქია, ყვავილები ხარობს. შეაბიჯებ შიგნით და მცირე მანძილის შემდეგ გარშემორტყმული ხარ პირქუში, საშინელი გარემოთი ჯოჯოხეთს რომ პგავს. ამით გაოცებული ადამიანი იმედის გარეშე დაწანწალებს. ბოლოს ხვდება, რომ ის აღმოჩნდა ისეთ ადგილზე, სადაც ერთდროულად შეიძლება არსებობდეს სილამაზე, სინათლე და საშინელება. ასე არის ავტორის

მიერ დანახული ადამიანის გულის სიღრმეები. მაგრამ უფრო დრმაა მარადიული მშვენიერება, რომელსაც ხშირად მიწიერი არასრულყოფილება ჩრდილავს. აი ეს არის პოთორნისათვის უმაღლესი რეალობა, რწმენა, რომ ბუნების ენა და ადამიანის სულის ჩრდილი მარადიულ მშვენიერებას ანათებს, ემერსონისა და პოთორნის მიერ გააზრებული პრინციპია, ოლკოტისათვის ყველა დანარჩენი იყო სულის ბრძოლა გადარჩენისათვის, იმის დასაბრუნებლად რაც თავისი დაცემით დაკარგა.

პოთორნის წინააღმდეგობრივი დებულებები ზმანებათა შესახებ ერთის მხრივ შესაძლოა სხვა მწერალთა გავლენის შედეგია, მაგრამ უფრო მეტად მისი საკუთარი ცხოვრების დაძაბულობიდან გამომდინარეობს. სტუდენტობის წლებში ის იტანჯებოდა შიშით, რომ ზმანებები მას საბოლოოდ შთანთქავდნენ. ის იმდენად ხშირად აღწერს თავის თავს, როგორც მეოცნებეს პირად წერილებში, "რომენსების" შესავლებში, რომ ჩვენ ალბათ უფლება არ გვაქვს ამას უბრალო სენტიმენტალური ახირება დავარქვათ. ქორწინების, მამობის აღიარების შემდეგ ის მაინც წუხდა მისი ზმანებების მნიშვნელობაზე. პოთორნი თავს იდანაშაულებდა, რომ პასიური, უსარგებლო ადამიანი და საკუთარი წარმოსახვის ტყვე იყო. ეს ძალიან კარგად ჩანს მის წერილში ლონგფელოუსადმი. "ბოლო ათი წელია მე არ ვცხოვრობ არამედ ვოცნებობ ცხოვრების შესახებ ან ზმანებებს ვხედავ ...რადაც მაგიური ძალით თუ რა, მე გამოვეყავი ცხოვრების მთავარ დინებას და უკან დაბრუნება შეუძლებელია... მე თავად დავიტყვევე თავი, ახლა კი გასაღებს ვერ ვპოულობ, რომ გავთავისუფლდე. კარი რომ კიდევაც დია იყოს ალბათ გარეთ გამოსვლა შემეშინდებოდა" (Marshal 58: 4).

მართალია, თავიდან მკითხველზე მის ნაწერს დიდი შთაბგჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ ის მწერალობას მაინც აგრძელებდა, რადგან "მას სხვა ამბიცია არ გააჩნდა" (Gollin 1979: 46) წლების მანძილზე, "უძლური მეოცნებები", როგორც ის უწოდებდა თავს ისევ და ისევ უბრუნდებოდა სალემის საწოლ ოთახს, სადაც სტუდენტობა გაატარა, როგორც ზმანებებით შეპყრობილ ადგილს. ეს სახება მის წარმოსახვაში სახლის დატოვების მერეც შენარჩუნდა. სალემში ვიზიტისას 1840 წელს ის სოფიას წერდა: "ეს ოთახი შეიძლება ითქვას, რომ მოჯადოებულია. ათასი ხილვა მესტუმრებოდა აქ და ძალიან ცოტა თუ იქნებოდა ამ სამყაროსთან დაკავშირებული. ბიოგრაფი რომ მყოლოდა, ამ ოთახს დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდა. იმიტომ რომ მარტოსული ახალგაზრდობის უმეტესობა

აქ გავატარე და ჩემი გონება და ხასიათი აქ ჩამოყალიბდა. თანდათან სამყარომ აღმომაჩინა აქ, ჩემს მარტოსულ ოთახში" (Stewart 1944. 390).

"წყეული მარტო ყოფნის ჩვეულება" მისთვის უბედურების მომტანი არ ყოფილა, პირიქით, ხელს უწყობდა მის სულიერ განვითარებას. ხასიათის ეს თვისება ცხოვრების ხმაურისა თუ პროცესისაგან იცავდა მას. 1850-52 წლები ცნობილია პოთორნის შემოქმედების საუკეთესო ხანად. ამ დროს შეიქმნა "ალისფერი ასომთავრული", (22) "შვიდფრონტონიანი სახლი", (16) "ბლაითდეილის რომანი"(13)... ეს ათწლეული დასრულდა პურიტნიზმისათვის აქტუალური ცოდვის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი რომანტიკული რომანით "მარმარილოს ფავნი"(18, 19) რომელიც კათოლიკურ (იტალიურ) საფუძველზე იყო გადატანილი.

უმშინგტონი ირვინგისაგან განსხვავებით, პოთორნი ახალგაზრდული ოცნებების ერთგული რჩებოდა. "ინგლისური დღიურები" გადმოგვცემენ მისი საქმიანი ცხოვრების, ლიტერატურული გეგმების შესახებ. ეს შენიშვნები ინგლისის შესახებ, გრძნობათა სიხალისით არის გაუდენთილი და რომანტიკულ რომანს სხვა ელფერს აძლევენ. "მარმარილოს ფავნის" კითხვისას, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ის ფანტაზიის ფრენისას რაღაც უხილავ ბარიერს ეჯახება. შავ ჩანაწერებში მწერალი კვლავ უბრუნდება უნაყოფო სიმბოლოებს, ობობას და სისხლიან პვალს. მისი მოულოდნელი სიკვდილი 1864 წელს, პირსთან გასეირნებისას წარმოგვიდგება იმ გონების სიცოცხლის დასასრულად, რომელიც დაიდალა "ზნეობრივი ლაბირინთის ხვეულებში სიარულით, სადაც მეოცნებე სეილემელი ჭაბუკი პირველად ნახევარი საუკუნის წინ მოხვდა "(Николюкин 1961: 90).

პოთორნის შემოქმედების ანალიზის განმსაზღვრელი მისი ცხოვრების ისტორიაა. პურიტანიზმი მის ცნობიერებაში ბავშვობიდანვე შეიჭრა. უკვე თხუთმეტი წლის ასაკში ის გამსჭვალული იყო ახალი ინგლისის სულით, რომელშიც მისი მკაცრი წინაპრები ცხოვრობდნენ და იწვრთნებოდნენ. პოთორნი ცოტად თუ განსხვავდებოდა მოსამართლე პოთორნისაგან, ან მაიორ უილიამ პოთორნისაგან, ამ "პირქუში წვეროსნისაგან, რომელიც ატარებდა შავ ლაბადას და შლიაპას წვეტიანი ბოლოთი. ვინც ამერიკის ნაპირებთან მახვილითა და ბიბლიით მიცურა." (Николюкин 1961: 98) წინაპრებმა დიდი დადი დაასვეს პოთორნის ხასიათს. თავისი მოწოდების შესახებ იგი ნახევრად ირონიული ტონით საუბრობდა იმაზე, თუ რას იტყოდნენ მისი პურიტანი წინაპრები, რომელთა სულებიც მის თავზე დაფრინავდნენ, მის მდაბალ და პროზაულ

საქმიანობაზე. იგულისხმება თხზვა. "მიზანი, რომლისკენაც მე ვისწრაფოდი, მათ უდირსად მოეჩვენებოდათ. წარმატება კი, თუკი ჩემს ცხოვრებაში ოჯახური წრის გარეთ რაიმე წარმატება მექნებოდა, სამარცხინოდ და საცოდავად ჩაითვლებოდა. რას აკეთებს ის? ეჩურჩულება ერთი ჭაღარა წინაპრის აჩრდილი მეორეს. რომანებს წერს. რა საქმიანობაა ემსახურო კაცობრიობას სიკვდილამდე და მის მერე. ცოტა სხვა საფუძველი რომ პქონოდა, ალბათ ქუჩის მუსიკოსიც გამოვიდოდა. ასეთი კომპლიმენტებით მაჯილდოებები ასწლეულების იქედან ჩემი წინაპრები". (Hawthorne 1850: 345) ეს ციტატაც მიუთითებს, რომ პოთორნი ყოველთვის გაორებას განიცდიდა რელიგიოზურ მრწამსსა და შინაგან აზროვნებას შორის. ახალი ინგლისის გაგება პოთორნის გარეშე შეიძლება, მისი შემოქმედების კი ამ თემის გარეშე არა. პოთორნის წიგნები სავსეა ახალი ინგლისის სურათებით და მხატვრული სახეებით, სადაც მისი წინაპრების ჩრდილები ცოცხლდებიან. პოთორნის მხატვრული ლიტერატურა ეხება წარსულს, ან წარსულის ზემოქმედებას ახლანდელზე. მისი მშობლიური განწყობილება წარსულთან მეტად განსაკუთრებული იყო. მან ძალიან კარგად იცოდა ახალი ინგლისის ისტორია, ამანაც განაპირობა, რომ მისი ფიქრი, აზრი თუ გრძნობა საგრძნობლად განიცდიდა პურიტანული მრწამსის გავლენას. ალბათ ამიტომ გამოირჩეოდა მის მიერ თანამედროვე საზოგადოების პრობლემების გადწყვეტა პურიტანული ანაბეჭდით. თვით მისი მეგობარი ჰერმან მელვილი აღნიშნავდა, რომ "პოთორნში ბევრია პურიტანული სიბნელე" და ეს ჩრდილს აყენებდა მის მსოფლიოებელობას. თუმცა მწერალი არ ღებულობდა პირველყოფილი ცოდვისა და წინასწარჭვრების იდეას კალვინისტური ფორმულირებით, მაინც არ გამორიცხავდა ადამიანური ისტორიის აღთქმაში მათ მნიშვნელობას. ტომას ელიოტი, რომლის შემოქმედებასაც მატისენი პოთორნის პირქუში მხარეების გაგრძელებად განიხილავდა, აღიარებდა, რომ პოთორნის ნაწარმოებები არის პურიტანული მორალის, ტრანსცენდენტალისტებისა და იმ სამყაროს კრიტიკა, რომელსაც ის კარგად იცნობდა" (Естетика Американского Романтизма 1977: 266) მაგრამ პურიტანული მორალის უარყოფა მწერალთან ეჯახება პურიტანული ეთიკის შინაგან გამართლებას და მისკენ ლტოლვას. ამიტომ მისი დამოკიდებულება პურიტანობასთან გაორების ნიშნით არის აღბეჭდილი. სურვილით, მიიღოს ის, რასაც შინაგანად არ ეთანხმება. როგორც თავად ამბობდა "მათი ბუნების თვისებები მძლავრად არის ჩემში გადახლართულნი" (Dekker 1987: 150) ერთ ადრეულ ნოველაში პოთორნის მსჯელობა მიუთითებს

როგორ უნდა გავიგოთ მისი ნაწარმოებების შინაგანი დიალექტიკა. "რა არის დანაშაული"? კითხულობს მწერალი და პასუხობს დალაქავებული სინდისი. საინტერესოა, რჩება თუ არა სინდისზე ეს საზიზდარი ჩამოუბანელი ლაქები თუ დანაშაულია როგორც ჩადენა აგრეთვე ჩაფიქრება.

მწერალს აინტერესებდა ახალი ინგლისის ისტორია და ამან გავლენა მოახდინა მის ოსტატობაზე. იგი ჩაძირული იყო უხილავ სამყაროში, რომლის არსებობაში, ისე როგორც რალფ ემერსონს და ჰენრი თოროს ეჭვი არ ეპარებოდა. ის არ ეხებოდა ძველი და ახალი ინგლისის ფილოსოფოსთა აზრებს, თავად განსჯიდა სულიერი ცხოვრების განვითარების გზას. სხვა მწერალთა მსგავსად, ამჟღავნებდა ინტერესს ურთიერთობის ორი ფორმის მიმართ: ადამიანის მიმართება დმერთან და დმერთისა ადამიანთან. მისი მსჯელობა ამ კუთხით გამოირჩეოდა განუსაზღვრელობით, ბოლომდე უთქმელობით, პესიმიზმითაც კი. იგი დიდი დაინტერესებით და გაგებით მოეკიდა ტრანსცენდენტალისტების მიერ აღიარებულ ჯონათან ედუარდსის სწავლებას ჩვენი ცხოვრების მორალური საფუძვლის შესახებ. (61) სინათლის წყარო იგივე იყო, მაგრამ ის პოთორნის გონებაში განსხვავებულად ტრანსფორმირდა.

რალფ ემერსონისა და ჰენრი თოროსაგან ნათანიელ პოთორნი თავისი შეუდარებელი ოსტატობით განსხვავდებოდა, რაც მას საშუალებას აძლევდა ისტორიული მოვლენები ჯადოსნური ფანტაზიით გამოეხატა, რომელსაც განსხვავებული ფერების, შუქის, განათების მოწყობით ასრულებდა. მისი სიმბოლიკა, ხანდახან აბსურდული და არა ყოველთვის კანონზომიერი, გამოხატავს მორალის დაფარულ კანონებს. ის ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან ქმნიდა მორალური კოლიზიების, რთულ ჯადოსნურ სიუჟეტებს. ცოლთან საუბარში პოთორნმა თავის თავს დაუყოლიერებლი ადამიანი უწოდა, ვისი ინტერესებიც ეყრდნობა ოჯახს, სამუშაოს და მისთვის ძვირფას ახალი ინგლისის მიწას. ყოველივე ამასთან ერთად იგი ადამიანის სულის საიდუმლოებების ძებნაში თავისი პრინციპების ერთგული რჩებოდა. ეს კარგად ჩანს მის 160 მოთხოვნაში, რომანტიკულ რომანებსა და ნარკევეში. იგი ინარჩუნებდა განსაკუთრებულ სკრუპულოზულობას ადამიანის გულის კვლევაში და მისი პურიტანული აზროვნება ღრმა, გამჭრიას დაკვირვებას ექვემდებარებოდა. პირველად ჰენრი ჯეიმსი შეეცადა შეეფასებინა პურიტანიზმის როლი ამერიკული ლიტერატურის განვითარებაში. ამ დამოკიდებულებით, ნათანიელ პოთორნი ახლოა ედგარ პოსთან, აღემატება ჰენრი ჯეიმს და გახლავთ ერთგვარი

ფსიქოლოგიური ეანრის ფუძემდებელი ამერიკაში. ახალი ინგლისის პურიტანული მემკვიდრეობის მიმართვისას, რომელიც ესოდენ ახლობელი იყო მისთვის, პოთორნმა თითქოს უპასუხა ჯონ უინტროპის მრისხანე გაფრთხილებას, როცა ის პირველ კოლონისტებთან ერთად გემით მოცურავდა ახალი ქვეყნის ნაპირებთან, "ამერიკული ოცნების იდეალური ქალაქი გორაკზე- ტყუილად შეიძლება გადაიქცეს....(Winthrop 1864: 309-311) მასაჩუსეტის პირველი გუბერნატორის, უინტროპის სახე ჩნდება რომანის "ალისფერი ასომთავრულის" ფურცლებზე, რომლის მოქმედებაც უინტროპის სიკვდილის წელს ხდება. იმ დამეს, როცა ჰესოურ პრინი და დიმსდევილი ბავშვთან ერთად სამარცხვინო ბოძთან დგანან. მწერალს აქ რომანტიკულ პათეტიკამდე აჟყავს სინამდვილის ემბლემატური ხილვა, რომელიც მეტეორის შუქზე მდგდლის თვალებში ირეკლება და უინტროპის სიკვდილის შემდეგ მთელ ბოსტონს ანათებს.

პურიტანიზმი გამსჭვალავს პოთორნის "რომენსებს", მოთხოვნებს და ჩრდილავს მთელ მის მსოფლიო გეოგრაფიულ ბრაუნი, რომელიც ჰერმან მელვილმა დაახასიათა ლრმა, როგორც დანტე, ჰენრი ჯეიმსმა უწოდა "პატარა ბრწყინვალე რომენსი" (Miller 1991: 119) პოთორნი ქმნის ყოვლისმომცველ, კაცობრიობისათვის სამარცხვინო სურათს, რომელშიც ბოროტება მეფობს. დამის შეკრებაზე, უწმინდურთა ტყეში, ახალგაზრდა ბრაუნი ხვდება ყველას, ვისაც ბავშვობიდან პატივს ცემდა, ასე ამობრუნდება რეალობა და თავის შინაგან სახეს გვიჩვენებს, იმას, რაც ადამიანის თვალთა ხედვიდან დაფარულია. კეთილისმქნელი ცოდვილია, პატიოსანი გარყენილი, სიკეთე ბოროტებას მაღავს... სიუჟეტიც კი ორმაგ შუქზე ხდება, ძნელი გასარკვევია გმირს მართლა გადახდა ეს, თუ ტყეში ჩაეძინა და სიზმარი ნახა.

მე-19 საუკუნის ინგლისურმა რომანმა დიდი გავლენა მოახდინა პოთორნზე. განსაკუთრებით "გოთიკური სკოლის" გამოცდილებამ, უალტერ სკოტის ისტორიულმა რომანებმა. ის ადრეულ მოთხოვნებში იგრძნობა უოშინგტონი ირვინგის გავლენა. თუმცა უნდა აღინიშნოს მისი სრული გულგრილობა თხრობის მრავალმხრივი მანერის მიმართ. ამ გაგებით მას არ შეუქმნია რაიმე ისეთი, რასაც ჩარლზ დიკენსი და უილიამ თეკერეი ნამდვილ წიგნს უწოდებდნენ.

პოთორნის მეუღლემ ვერ შეძლო ახსნა რა იფარებოდა მწერლის შავი პირბადის სიმბოლოს უკან. მეგობრები კი ირწმუნებოდნენ, რომ გარეგნული ქედუხელობის უკან მეორე პოთორნი არსებობდა. ის თავად საუბრობდა თავისი გონების უფსკრულებზე, რომელთა გაზომვა შეუძლებელი იყო. ჰენრი თოროს

მსგავსად მას ესმოდა სფეროების მუხიკა, შორეული მედოლის ხმა. პოთორნის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფარული კუთხე მის სულში, სადაც აზროვნება და მარტოობა არსებობდა. ეს იდუმალი სამალავი ასაზრდოებდა მის არსებობას. როცა ეს წყარო დაშრა, ის მოკვდა.

ზუსტად არ არის ცნობილი როდის დაიწერა პოთორნის პირველი ნაწარმოები "ფენშო", რითიც დასრულდა პოთორნის ახალგაზრდული ცდები და დასაბამი დაედო მისი როგორც რომანისტის კარიერას. მოგვიანებით ავტორმა თავად გაანადგურა ეს ნაწარმოები, რამაც ის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად აქცია. "ფენშოს" თემა და მხატვრული სახეები საშუალებას იძლევიან გავიგოთ პოთორნის ადრეული მხატვრული მანერა, რომელიც უოლტერ სკოტისა და გოთიკური რომანების ცუდ გადამდევრებას ჰგავს. დიალოგები არაბუნებრივია, პერსონაჟები არა გამომსახველობითი, თუმცა თანამედროვენი სწორად ამჩნევდნენ, რომ ამ ნაწარმოებშიც შეინიშნებოდა მწერლის ოსტატობის მომავალი თავისებურებების ჩანასახი.

პოთორნის ხელოვნების გასაგებად საინტერესოა ჩანაწერები, რასაც ის თორმეტი წლის განმავლობაში აკეთებდა. ეს ის პერიოდია, როცა დაიწერა მისი მოთხოვნები და ნარკვევი. ბევრი დაიკარგა, განადგურდა მაგრამ ზოგი, როგორც თავად ავტორმა აღნიშნა, შეიძლება იპოვოთ გაყვითლებული გაზეთის ფურცლებზე. ამ მოსწავლეობის წლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მწერლის მხატვრული გრძნობების განვითარებაში. ადრეულ წლებში იგი უპირატესობას ნარკვევს ანიჭებდა. ნარკვევებში იოლად შეიმჩნევა სტილის არათანაბარობა, რაც ალბათ იმან გამოიწვია, რომ პოთორნი ორიენტაციას აკეთებდა იმ ჟურნალების ხარისხზე, რომლებთანაც ის თანამშრომლობდა.

თავისი ჩანაწერების წიგნაკების წყალობით ავტორმა შეძლო დაყრდნობოდა მისთვის ასე სახასიათო დაკვირვებებს, ყოველივე უცნაურსა და ფსიქოლოგიურად არაჩვეულებრივს. "ადამიანი ცდილობს იპოვოს მიუტევებელი ცოდვა, და აღმოაჩენს მას საკუთარ გულში და თავის ქმედებაში" 1844 წლის ამ ჩანაწერში "იტენ ბრანდის" ჩანასახი ჩანს. სწორედ ამ წიგნაკებში ყალიბდებოდა პოთორნის წარმოდგენა ადამიანურ ურთიერთობებზე და სხვა ლიტერატურული სიუჟეტების გამოყენების საჭიროება აღარ იყო. პოთორნის მოთხოვნებში უკვე ჩანს მისი "რომენსების" თემები და სახეები. თუ "რომენსებიდან" მოთხოვნებისაკენ გადავინაცვლებთ, თავის თავში ჩაძირული დიმსდევილი აღმოჩნდება პასტორი ჰუპერი, სატანისმაგარი ჩილინგუორსი -საწამლავის

მომზადებაში გართული რაპაჩინი, სრულყოფილებისაკენ მსწრაფი ჰოლინგუორსი უგუნურ ეილმერთან გვაბრუნებს, ვინც ცოლის ხალის ამოკვეთით მისი სიცოცხლე შეიწირა. მოთხოვძებში აღწერილი ცოდვები "რომენსებში" მეორდება. ისინი არა მარტო გვეხმარებიან უკეთ გავიგოთ მისი "რომენსები", არამედ საშუალებას იძლევიან უკეთ წარმოვიდგინოთ მე-18 საუკუნის პურიტანიზმი ძოგადად. "მაისის ხე მხიარულ გორაკზე",<sup>(18)</sup> "ჭალარა მხედარი",<sup>(13)</sup> "მასკარადი ჰოუსთან"<sup>(9)</sup>. ყველა ისტორიული მოთხოვძა დაწერილია მისი პურიტანი წინაპრების ცხოვრების დრმა ცოდნის გავლენით. დიდი ნაწარმოებებიდან მხოლოდ "ალისფერი ასომთავრული" მოწმობს უინგროპების და მეზერების სამყაროს უნიკალურ ცოდნას. ჰოთორნის ისტორიული მოთხოვძა დიდი ოსტატობით გამოირჩევა. ზოგიერთ მათგანს ალბათ უკვდავება უწერია, თუმცა მათი რიცხვი არც ისე დიდია. ნოველისტიკის ჟანრის განვითარებაში მათ მნიშვნელოვანი წვლილი არ შეუტანიათ. ისინი მოგვაგონებენ უოშინგტონ ირვინგის მოთხოვძებს, რომელთაც ბევრ თანამედროვეზე მოახდინეს გავლენა. სამაგიეროდ ჰოთორნს ვერავინ შეედრება გრძნობათა გადმოცემაში, რაც ედგარ კომ ადრევე შენიშნა. სიმბოლიკის განსაკუთრებული ენის მოშველიებით, ავტორი გვაიძულებს თავისი გმირების ყველა ზნეობრივი ტანჯვა გადავიტანოთ, მღვდელ ჰუპერის მარტოობა, ახალგაზრდა ბრაუნის ტანჯვა, როჯერ მელვილის სინდისის ქენჯნა და ა.შ...

გულისა და გონების დაპირისპირება მნიშვნელოვანი თემაა ჰოთორნის შემოქმედებაში. ის ვინც მხოლოდ გონებისგან წამოსულ ბრძანებებს ემორჩილება, ირგვლივ მხოლოდ უბედურებას ავრცელებს. აქედან მოდის ეგოიზმი, იდეოლოგიური ფანატიზმი, მოძმეთა მიმართ უგრძნობლობა. თუკი ადამიანი ივიწყებს, რომ გული არის "კაცობრიობის მაგნიტური ჯაჭვის ნაწილი" (Crowley 1970: 375) ის აუცილებლად ბოროტებას თესავს და უპატივებელ ცოდვას ჩადის. სხვებისაგან განსხვავებით, ჰოთორნი მეცნიერების შესაძლებლობის გამოხატვისას ყოველთვის ჭვრებდა მასში დაფარულ საშიშროებას, რომ შეიძლებოდა მიღწევები კეთილშობილურ მიზნებს არ მომსახურებოდა. ამის დასტურია სწავლულის, დიდი ინტელექტის ადამიანის სახე, რომელიც შინაგანად ბოროტებას ატარებს. რაპაჩინი, ეილმერი, ჩილინგუორსი ამ ტიპის გმირებია მის ნაწარმოებებში.

მელვილი ჰოთორნზე წერდა, რომ აღფრთოვანებული იყო მისი "წყვდიადის ძალაუფლებით. ეს ის წყვდიადია, რომელიც ასე მაჯადოებს მე" (Mellville 1850)

პოთორნისათვის სატანა არსებობდა და ადამიანის ბუნებასთან ახლოს იყო. მას წარმოსახვითად სწამდა ცოდვის და ადამიანთა დაცემის დოქტრინა. ერთერთი მოთხოვბის გმირი მამა პუპერი შავ პირბადეს ატარებს, როგორც საიდუმლო ცოდვის ემბლემას ყველა ადამიანის გულში. ახალგაზრდა ბრაუნი დამორჩილებულია ბნელი ტყის მისტერიებს და დატყვევებულია მისით. ანგელოზის სადარი ბეატრიჩე რაპაჩინი და ჯორჯიანა ცოდვის შავ ციხეს სიკვდილით გადარჩებიან.

ნოველებიდან პოთორნის ყველაზე დადებითი გმირი ოუენ უორლანდია. "მშვენიერების ოსტატი" წარმატებას აღწევს, რადგან აერთიანებს რეალურს და ირეალურს თავის სასწაულებრივ პეპელაში, რომელიც მექანიკურია, მაგრამ ამავდროულად ცოცხალი და ორგანული, იმიტომ რომ ის სავსეა სულით. გარდა ამისა, მიუხედავად წარმატებისა ეს გმირი ადამიანური რჩება. ის კარგ ურთიერთობაშია მეზობლებთან, იცნობს საკუთარ თავს. იცის რა შეიძლება და რა არა. ბოლოს მისი პეპელა ირდვევა, რადგან ის მეტისმეტად სრულყოფილია, რათა არსებობდეს რეალობაში. უორლანდი იზღვევს თავს იზოლაციისაგან, იმიტომ რომ მას ესმის მარტოობის საშინელება.

"დაბადების ნიშანში" მეცნიერი ეილმერი კლავს თავის მშვენიერ ცოლს, ჯორჯიანას, როცა ცდილობს მისი ერთადერთი ფიზიკური ნაკლის განადგურებას. თავად ავტორი ეილმერის სრულყოფილებისაკენ სწრაფვის სურვილს თანაუგრძნობს.

როცა მწერალი გრძნობს, რომ რომანტიკული ხედვა უმტყუნებს, იყენებს უფრო ძველ, მორალურ და ფილოსოფიურ ტრადიციებს პურიტანული მემკვიდრეობიდან, რელიგიოზულობის წყაროდან. მორალის მიმართ მისი სერიოზული მიდგომა რომანტიკულ ტენდენციებს აფერმქრთალებს. როგორც ვაგონერი აღნიშნავს, პოთორნის რელიგიური და ეთიკური მსოფხედველობა მეტად იოლად მოექცა ტერმინ პურიტანულში, მაშინ როცა ის არის უბრალოდ ქრისტიანული. (Waggoner 1962: 175) ისტორიული ქრისტიანობა ემყარება რეალობის განსჯას, კეთილის და ბოროტის დაპირისპირებას, ადამიანის მიდრეკილებას ცოდვის მიმართ. ამერიკაში ეს ხედვა ემფატიკურად გამოიხატა პურიტანთა მიერ. პურიტანიზმა წარმოშვა ადგილობრივი ტერმინები და სიმბოლოები..

პოთორნის დამოკიდებულება მის წინაპრებთან წინააღმდეგობრივი იყო, რასაც ის არც მაღავდა. სიყვარული და სიძულვილი ერთდროულად. შეგრძნება

დანაშაულისა, რომ მათგან განსხვავებულია და იგივე შეგრძნება, რომ მათიანია. კრიტიკული მიდგომა მათი ცრურწმენების, სიმკაცრის მიმართ და მზადყოფნა, გამოიყენოს მათი უცნაური რწმენა და უხეში კომპლექსები, რათა პარადოქსულად წარმოადგინოს უხეში სინამდვილე. პოთორნი მართლაც შეწუხებული იყო პურიტანული ცოდვის შეგრძნებით და მის თანამედროვეებს უფსკრულის მეორე მსარეს ხედავდა. მის მსარეს მხოლოდ პერმან მელვილი იდგა. დიდი ემერსონი უარყოფდა პირველსაწყისი ცოდვის იდეას, როგორც თეოლოგიურ დოქტრინას ან მორალურ მეტაფორას (Emerson 1889: 329) პერმან მელვილი "ბილი ბადში" აღნიშნავს, რომ ბიბლიური ფრაზა "უსამართლობის მისტერია არ იყო შესაბამისი რეკომენდაცია ადამიანის ბნელი ხასიათის შესაცნობად თანამედროვე მკითხველისათვის" (Melvil 1948: 7) პოთორნი "გულის ბინძური გამოქვაბულის" ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად უარყოფდა წინააღმდეგობრივ რომანტიკულ იდეას, რომ კაცის ბუნება არსებითად კარგი და ლეთიურია. საკუთარ სულში ჩახედვისას, ეს სამაგალითო მოქალაქე და გულუბრყვილო ოჯახის კაცი შეიცნობდა, რომ იქ არ იყო ადამიანური სიბინძურე. კაცმა არ უნდა შეიძულოს მისი საძმო, თუნდაც დანაშაულებრივი, აცხადებს ის ერთერთ მოთხოვნაში. თუნდაც ხელი გქონდეს სუფთა, გული დაბინძურებული იქნება მოფარფატე ფანტომებით. ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ როდესაც ის დააგუნებს ზეცის ჭიშკარზე, დალაქავებული ცხოვრება უფლებას არ მისცემს მას შესასვლელად. უნდა მოინანიო მუხლისმოყრით და მიტევება მოვა ზემოდან. თუ არა ეს ოქროს ჭიშკარი არსოდეს გაიღება (Hawthorne 2008: 39) ამ კუთხიდან განსჯის იგი ხელოვანის ფიგურას, რომელიც წარმოადგენს თვითგანვითარების უნიკალურ, თავისუფალ, წმინდა რომანტიკულ იდეალს. კეთილისა და ბოროტის შეცნობა პოთორნისათვის ადამიანური ცნობიერების სიმწიფეს ნიშნავს.

ხელოვნებასთან და ხელოვანთან მიმართება მეტად მნიშვნელოვანია მწერლის ესთეტიკის განსაზღვრისათვის. ეს არის ადგილი, სადაც რომანტიკული და ანტირომანტიკული ტენდენციები კონფლიქტში მოდიან. ხელოვანი რომანტიზმის ყველაზე განსაზღვრული სიმბოლოა. პოთორნის შეხედულებას ხელოვანის ფუნქციების შესახებ მილიგენტ ბელი ტრანსცენდენტალურს უწოდებს, (Bell 1962: 34) თუმცა პოთორნის შემოქმედებაში იგივე ელემენტების კრიტიკაც იოლი შესამჩნევია. მის წერილებში გაბნეული უამრავი ჩანაწერის მიხედვით, ასევე ლიტერატურული ნააზრევით, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სოფია პიბოდისა და მისი ტრანსცენდენტალისტი მეგობრების მსგავსად, პოთორნი

აღიარებდა რომანტიკულ ხედვას, რომელიც ახალი ინგლისის ცნობიერებაში გერმანული იდეალიზმის ახალი ფილოსოფიით უორდსუორსისა და კოლრიჯის გავლით შემოიჭრა. პოთორნი იდეალისტი იყო, მაგრამ მისი ლეგენდების კონფიგურაცია, თხრობისა და ხასიათის დაძაბულობა, სიმბოლო და ტონი საპირისპიროს ნიშნავს. გაცნობიერებულად ის ეთანხმებოდა ხელოვნებაზე ტრანსცენდენტალისტების შეხედულებას, იმ იდეალის წარმოდგენას, რომელთანაც ხილული სამყარო არაფერია თუ არა ჰეშმარიტების არასრულყოფილი გამოხატულება. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში პოპულარული იყო პლატონისეული იდეების დოქტრინა. რომელიც ხელოვნების ნიმუშს განსჯის როგორც "ასლის ასლს", იმ რეალობის ასლს, რომელიც სუფთა სამეფოში არსებობს. პლატონისეული სტილი პოთორნის ნაწერშიც იგრძნობა. შორს წაგვიყვანდა ამის დაუინებული ალეგორიზმება მის მოთხოვნებსა და "რომენსებში", ერთი კი ცხადია, რომ რეალობასა და საგნების გარეგნულ იერსახეს შორის ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის პრობლემა იყო მისთვის, როგორც კაცისთვის და როგორც მწერლისთვის. პოთორნის განსჯით, რეალობა უფრო სულიერია, ვიდრე მატერიალური ფაქტი. პათეტიკური ილუზიით, რომ მასაც შეუძლია ჩვეულებრივად იცხოვოს, პოთორნმა პირველივე შემხვედრ სამუშაოს მოჰკიდა ხელი. 1839-40 წლებში ის ნახშირისა და მარილის მწონავად მუშაობდა ბოსტონის საბაჟოში და განსაკუთრებულად ფხიზელი ჩანდა არსებობის გაყოფილი ბუნების გამო. ალბათ იმიტომ რომ მისი ფიქრები იხლიჩებოდნენ მისი საქმეების მატერიალურობასა და შემოქმედებით მუშაობას შორის. ორი წლით ადრე მის დას შესჩიოდა: "მე დავიდალე ორნამენტად ყოფნისაგან. პატარა მიწის ნაკვეთი მინდა რომელიც ჩემი იქნება, იმდენად დიდი რომ დავდგე, იმდენად დიდი, რომ დავიმარხო. მე მინდა რადაც მოვუხერხო ამ მატერიალურ სამყაროს" (Bell 1962: 200) ის სოფიას წერდა, რომ ორი ჟურნალის გამოშვება სურდა გარეგანი და შინაგანი ცხოვრების. "რა მშრალი, სულელური ისტორია იქნება გარე ცხოვრების დღიური. გერავინ იფიქრებდა, რომ ერთი და იგივე კაცს შეუძლია ერთდროულად ორი ასეთი განსხვავებული ცხოვრებით იცხოვოს...მაგრამ ეს უხეში ცხოვრება არის ზმანება და სულიერი ცხოვრება არის რეალობა" (Bell 1962: 35). ცნობილ წერილში სოფიას ის წერდა, რომ სიყვარული გადაარჩენს მას ჩრდილების სამეფოსგან. მისი საბაჟოზე მუშაობის პერიოდი მოწმობს მწერლის მცდელობას, აღიქვას მისი დროის რეალისტური ზედაპირი. თუმცა შემდგომ ნანობდა რომ "ყოველი დღის ბევრი ბრწყინვალე

საათი მოკლა ამ უბედურ საბაჟოზე, რომელიც ასე აცარიელებდა მის გონებამახვილობას.” (Stewart 1948: 89) პოთორნს მკვეთრად იდეალისტური ხედვა არასოდეს პქონია. ბრუკფარმში ცხოვრების პერიოდში, თუმცა კი პასუხისმგებლობით ასრულებდა მის წილ სამუშაოს, ამბობდა “ჩემი რეალური ”მე“ არასოდეს ყოფილა ამხანაგობის წევრი, ეს მოჩვენებითი მოვლენა იყო. საყვირის ხმა დღის შესვენებებისა და ძროხების წველისას, კარტოფილის მარგვლა, თივის შეკვრა, მზეში შრომა პატივს მდებდა მიმედო ჩემი სახელი, მაგრამ ეს მოჩვენება არ ვიყავი მე თავად”. (Crowly 1997: 237)

ხელოვანი განსაკუთრებულ როლს თამაშობს რომანტიკულ ესთეტიკაში. მის წარმოსახვას შეუძლია შეადწიოს იმ შრეში, რომელიც პლატონისეულ "ფაქტს" ფარავს. ის მარტო არსებობს ილუზორულსა და რეალურ სამყაროს შორის და ღვთის საკუთარ სახებას ქმნის. ნოველაში "სეპტიმუს ფელტონი" სიბილ დესი ამბობს: "თუკი ყველაფერს აქვს თავისი სულიერი მნიშვნელობა, ეს ლიტერატურისთვის იგივეა, რაც სული არის სხეულისათვის, მაშინ რა არის ხელოვანის მოგალეობა?" (Hawthorne: 2008: 92) რომენსში "შვიდფრონტონიანი სახლი" პოთორნმა პოეტური ინსტინქტი განსაზღვრა, როგორც "გამჭრიახობის საჩუქრი უცნაურად შერეული ელემენტების სფეროში, სილამაზისა და დიდებულების, რომლებიც იძულებულნი არიან გაითავისონ ესოდენ საძაგელი ჩაცმულობა." (Hawthorne 1851: 41) "მარმარილოს ფავნის" ერთ-ერთ გმირს, ლანდშაფტის მხატვარს ბუნების მიმართ სიყვარული და მასთან სიახლოვე შესაძლებლობას აძლევს ისე დახატოს, რომ მისი ნახატები "უფრო უკეთესი დედამიწის რეალობად წარმოჩნდეს". (Gollin 1991: 160)

ლიტერატურული რეალიზმი ფაქტიურად ხელოვანის მართალი ხედვის მტერი იყო. როცა ავტორი წარმოაჩენს ვენსტმინსტერის სააბატოს ქანდაკებებს, მათ არცთუ კარგად შესრულებულ პორტრეტებს ასე ხსნიდა "სიმართლე რომ ვთქა, ხელოვანი გრძნობს ძალაუფლებს იმდენად, რომ გადაანაცვლოს ჩვეულებრივი ცხოვრების ასპექტების კანონზომიერება რამდენადაც შესაძლებელია შორს, ისე, რომ მსხვერპლად არ გაიღოს მსგავსების ყოველგვარი კვალი" (Bell 1962: 38). პოთორნის კომენტარები ხელოვნების შესახებ ამჟღავნებს, რომ ის უფრო მეტად დაინტერესებული იყო ხელოვანის შთაგონების გმირით, ვიდრე ხელოვნების ნიმუშის ტექნიკური ხარისხით. ის აქებდა გვიდოს, სოდომს, პერუჯინოს იმ შთაგონების ხარისხის მიხედვით, რაც მათ ნამუშევრებში ნახა. მაგალითად ის გრძნობდა, რომ პანტის და ზოგი პრერაფაელიტის ტილოები "ერთადერთი

თანამედროვე სურათები იყო, რომლებიც უფრო მაღალ მიზანს აღწევდნენ, ვიდრე ეს თვალის სიამოვნებაა. ეს ის ერთადერთია, გონების დაპყრობა რომ „შეუძლიათ” (Bell 1962: 172) მეტისმეტად ბევრი ხელოვანი მხოლოდ თვალის დასაკმაყოფილებლად მუშაობს და ვერ გამოხატავს სულის შადრევნებს. „მშვენიერების ოსტატში” ჰოთორნი წერს: "ვაი რომ ხელოვანი, თუნდაც პოეზიაში ან ნებისმიერ სხვა დარგში, არ უნდა კმაყოფილდებოდეს შინაგანი ტკბობის მშვენიერებით, არამედ უნდა მისდევდეს მოფარფატე მისტერიას, ეთერული სფეროს საზღვრის ზემოთ” (Hawthorne 1846) ის რასაც ხელოვნების ნიმუში გვათავაზობს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის რასაც ის რეალურად წარმოადგენს. ჰოთორნი აღმერთებდა მომაკვდავი გლადიატორის ქანდაკებას, რომელზეც ამბობდა "მსგავსად სხვა უმაღლესი შეფასების ნამუშევრისა... ის დიდ მოთხოვნებს უყენებს მაყურებელს. მან უნდა გამოხატოს სიმპატია მოქანდაკის მიმართ და დაეხმაროს მის ოსტატობას მთელი გულით, თუ არადა ის ბევრად უფრო ცოტას დაინახავს, ვიდრე ეს ოსტატურად დაწესებილი ზედაპირია, ის უფრო ბევრს გვთავაზობს ვიდრე გვიჩვენებს.” (Bochner 1969: 15) არავინ წაიკითხავს ლექს, არ შეხედავს სურათებს, ქანდაკებებს, თუკი არ ექნება შესაძლებლობა უფრო მეტი დაინახოს მათში, ვიდრე პოეტმა თუ მხატვარმა რეალურად გამოხატეს. მათი უმაღლესი საზომი არის აზრის გამოწვევა, რომ მაყურებელი დააფიქროს თავისი მრავალმნიშვნელოვნებით. რომში წმ. პეტრეს კათედრალის ნახვისას, “მარმარილოს ფავნის” გმირი პილდა გრძნობს, რომ ეს ეპლებია მის ზმანებებს მოიცავს, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ, დიდი ინტერვალებით შუაში, “როცა აღმოაჩენ, რომ კათედრალი თავის გავლენას ავრცელებს შენს წარმოსახვით ტაძარზე და ადგილს მიუჩენს მის ღრუბლიანი კოშკებს გუმბათის ქვეშ.” (Hawthorne 1860: 91) ხელოვანს, ჭეშმარიტი ხელოვნების თაყვანისმცემელს უკეთესი ხედვა უნდა ჰქონდეს იმასთან შედარებით, რასაც ის ხილულ ფორმაში წარუდგენს სამყაროს. პილდა ეუბნება კენიონს "შენ არ უნდა მისცე თავს უფლება, იმის რწმენა დაკარგო, რაც შეგიქმნია და გულგატებილი იყო ამის გამო. მე გამიგია, რომ პოეტი მსგავს სიძულვილს გამოხატავს თავისი ყველაზე სრულყოფილი პოემის მიმართ, მე ვშიშობ, რომ ეს საბოლოო სასოწარკვეთა და გრძნობის უკმარისობა ყოველთვის იქნება ჯილდო და სასჯელი იმათვის, ვინც ატაცებული იყო დიდი და ლამაზი იდეით. ეს ყველაფერი მხოლოდ ადასტურებს, რომ შენ შეგიძლია საგნები იმაზე მაღლა წარმოიდგინო, ვიდრე ეს მოკვდავის

ნიჭის შესაძლებლობის საზღვრებშია. იდეა გიტოვებს შენ თავის არასრულ სახეს, რომელიც პირველად შეიძლება რეალურ სინამდვილეში შეგეშალოს, მაგრამ მალევე დაინახავ, რომ ამ უკანასკნელმა თავი დაიხსნა შენი გავლენისგან". (Hawthorne 1860. 102)

უნდა აღინიშნოს, რომ პოთორნი გრძნობდა რომანტიკულ სიძულვილს ხელოვნების ნიმუშის დასრულებული ფიზიკური ფორმის მიმართ. მის მიერ უპირატესობის მინიჭება შინაგანი არსისადმი, მიუთითებდა განსაკუთრებულ განწყობაზე ისტორიული ნანგრევების მიმართ, რაც სხვა რომანტიკული კონტაქტიების გვერდით მშვენიერი, ბურუსით შემოსილი სიმბოლოსკენ მობრუნება იყო. პოთორნის მიერ გამოთქმულ აზრებში ხელოვნების შესახებ ჩანს, რომ ის ესთეტიკურ რეალობას ხშირად ტრანსცენდენტალურად აღიქვამს. ამიტომ ის ეთანხმება ხელოვნების შთაგონების შესახებ რომანტიკულ ხედვას. როცა ათვალიერებდა ვენუს დე მედიჩის უფიცის გალერეას, შენიშნა: "მოქანდაკე უნდა იყოს რელიგიოზურად გამოწრობილი და უნდა გრძნობდეს, რომ მის საკუთარ შესაძლებლობებზე ბევრად უფრო მაღლა, რაღაც ძალა მოქმედებს მის ხელებზე" (Hawthorne 1860: 47) შთაგონების მწვერვალის მისაღწევად რომანტიკოსი ხელოვანი უნდა გავდეს სპირიტუალისტურ მედიუმს ან რელიგიოზურ მისტიკოსს. ის ერთი შეხედვით ვერ ჩაწვდება ბუნების გულს და არსს. ემერსონი ამბობს, რომ "ბუნების სიმშვენიერე მხოლოდ მირაჟია, როცა შენ დილიჟანსის ფანჯრიდან იყურები (Bell 1962: 48) ხელოვნების ნიმუშის შექმნის ნიჭი ბევრად არ არის დამოკიდებული თანდაყოლილ შესაძლებლობაზე, რომელიც თითოეულის სულში ცხოვრობს. ის არარეალიზებული მემკვიდრეობაა, სანამ არ მოხდება გამოღვიძება რაღაც უმაღლესი ძალის მიერ. პოთორნი აღნიშნავს "დროუნის ხის სახეში" (5), რომ "ყველა ადამიანურ სულში არის წარმოსახვა, მგრძნობელობა, შექმნის ძალა, გენია, რომელიც გარემოებათა გამო შეიძლება განვითარდეს ამ სამყაროში, ან სისულეების ნიდაბი ჩამოიფაროს ყოფიერების სხვა მდგომარეობამდე" (Hawthorne 1932: 362) პოთორნი თავის თანამედროვეთა მსგავსად ეთანხმება ხელოვანის აღმატებულების იდეას, მის უნიკალურ ძალას ჩასწვდეს საგანთა არსს. დვთიურად შთაგონებული ხელოვანის ნამუშევრები ჯადოსნურია. პოთორნი გრძნობდა, რომ მხატვრობა სხვა დარგებზე მეტად ფლობდა ამ ზებუნებრივ ძალას. "ეს ჩემი ახლანდელი აზრია, რომ ფერწერულ ხელოვნებას შეუძლია იყოს მაგიურის მსგავსი, უფრო აღმატებული და მიუღწეველი, ვიდრე პოეზია ანდა მშვენიერების განვითარების სხვა მეთოდი" (Hawthorne 1932: 300) ოუმცა ლიტერატურასაც

შეეძლო ჯადოქრობა, მწერალი იმედოვნებდა რომ თითოეული წიგნი, რომელსაც ის კითხულობდა, “შეიცავდა ჯადოს, რომელიც აღმოაჩენდა განძს რომელიმე ჰეშმარიტების გამოქვაბულში.” (Crowley 1997: 57) პოთორნისათვის ხელოვნება არის იმ იდეალურის წარდგენა მაყურებლისათვის, რომელიც ხილული სამყაროს ფარდის უკან არის გაწოლილი. ის უპირატესობას ანიჭებს უმაღლეს რეალობას, სულიერის აღმატებულებას მატერიალურზე და ფაქტების სამყაროს უწოდებს "გარეგანი გარემოებების მორთულობას." ხელოვანს შეუძლია თვალი მოკრას ამ უმაღლეს რეალობას შთაგონების მომენტში. არასრულყოფილი ნაწარმოები შეიძლება უფრო ახლოს იყოს ხელოვანის სულთან, ვიდრე დასრულებული შედევრები. ჰეშმარიტი ხელოვანი არის უმაღლესი ძალის ჭურჭელი, სისხლძარღვი და საუკეთესო შედეგს უფრო "ბრძენი პასიურობით" აღწევს ამ თვალითუხილავი მოვლენების მიმართ, ვიდრე წინასწარგანზრახული გონების მცდელობით. ეს განსხვავებული მოსაზრებები შეგვიძლია ერთმანეთს იოლად დაგუკავშიროთ ტრანსცენდენტალიზმის ზოგადი სათაურის ქვეშ. კრიტიკოსი ჰოქსი ფეარჩაილდი მიუთითებდა: "მთავარია ინტუიციური და სულიერი ელემენტების აღმატებულობის რწმენა გრძნობად გამოცდილებაზე" (Gollin 1991: 67). რომანტიკული ტრანსცენდენტალიზმი უფრო პოეტური იყო, ვიდრე ფილოსოფიური. ამ ესთეტიკაში წარმოსახვა დაპირისპირებულია ფანტაზიასთან, რაც გულით ნაკარნახევ მორალურ ქმედებას გონებისაგან აცალებებს. პოთორნი ეთანხმებოდა ხელოვანის რომანტიკულ მდგომარეობას, რომელიც ფილოსოფიურად წარმოსახვასა და ინტუიციურ იმპულსზე იყო დამოკიდებული. მან ეს წარმატებით გამოიყენა თავის ნააზრევში, რაც ყველაზე მეტად იგრძნობა მოთხოვნაში "მშვენიერების ოსტატი".

(13) რომანტიკული ტრანსცენდენტალიზმი განადიდებდა გონებას და უკანა პლანზე სწევდა გულს. ემერსონი და სხვა ინგლისელი რომანტიკოსები წარმოსახვას განსაზღვრავდნენ როგორც ზებუნებრივთან გაიგივებულ თვისებას. ეს იდენტიფიკაცია ხელოვანს ფილოსოფიურ და რელიგიურ დირსებასაც აძლევდა. რომანტიკოსებს სჯეროდათ, რომ წარმოსახვა ზებუნებრივი ძალით ეხებოდა შინაგან სამყაროს. ეს ფორმულა პოთორნმა თითქმის გაუცნობიერებდად აითვისა ტრანსცენდენტალისტების ზოგადი გარემოცვიდან, რომელშიც ის ცხოვრობდა და მუშაობდა როგორც ხელოვანი.

ევროპაში მოგზაურობისას პოთორნის დაკვირვებები ხელოვნებაზე მიუთითებენ მის სურვილზე განასხვავოს წარმოსახვის და ფანტასტიკის ნაყოფი ერთმანეთისგან. იტალიაში ყოფნისას მან კიდევ ერთხელ უარყო ხელოვნება,

რომელიც მხოლოდ ფანტასტიკის შედეგია. ეს პრობლემა ერთგვარი სირთულით მოცემულია "მარმარილოს ფავნის" ერთერთ თავში "ესთეტიკური კომპანია". (Hawthorne 1860: 167)

არსებობს შედარებით მეორეხარისხოვანი ტრანსცენდენტალური დეტალი, რაც მნიშვნელოვანია ჰოთორნის ესთეტიკურ თეორიაში. ეს გახდავთ სარკავები და ყველა სახის ანარეკლი. ჯერ კიდევ მატისენი და კაული აღნიშნავდნენ, რომ ჰოთორნი ხშირად ირთობდა თავს იდეალური სამეფოს წარმოსახვით. კონკორდის მდინარეზე ნავით სეირნობისას იგი ტრანსცენდენტალური ექსტაზით აშტერდებოდა წყალში არეკლილ გარემოს. წყლის გლუვ ზედაპირზე სარკის სახება, შეიძლება ჰოთორნისეული წარმოსახვის სიმბოლოდ ჩავთვალოთ, რომელიც ბუნებას აირეკლავს. მეტიც, ფანჯრის მსგავსად აღებს თვალითუბილავ სამყაროს. "ანარეკლი სინამდვილეში რეალობაა", ამბობს ის, ნამდვილი მოქმედების ადგილი თვალითუბილავი რეალობის ანარეკლია. როგორც ბლეიკი წერდა, "მარადიულ სამყაროში არსებობს მუდმივი რეალობა, რასაც ჩვენ არეკლილს ვხედავთ ბუნების სიმწვანეში". (Coppens 2010) ხელოვანისათვის, სარკეს შეუძლია ახსნას ის სიმართლე, რომელიც კაცთათვის დამალულია. მასში შეიძლება მარადიული წმინდა ბუნების დანახვა. ჰოთორნის ამერიკული და ევროპული უბის წიგნაკები სავსეა ჩანაწერებით სარკეების, გუბეების ამრეკლავი ზედაპირების შესახებ, რომ აგტორს ყოველთვის შეეძლო თვალი მოეკრა სახისთვის მოჩვენებითი სამყაროს ანარეკლს იქთ. ჰოთორნის დაინტერესება სარკის მხატვრული სახით, ფსიქოლოგიურია, რადგანაც მასში პიროვნულ გაორებას და ნარცისიზმის მოქნების არსებობას მოწმობს, რის გამოც ლამაზი, განებიგრებული ბიჭი აგადმყოფურ, აპათიურ, თავის თავში ჩაკეტილ ადამიანად იქცა. მაგრამ ასეთი გენეზისი სარკის მხატვრული სახისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. ეს არის პოეტური წარმოსახვის შესაბამისი სიმბოლო, რომელსაც უნიკალური შესაძლებლობა აქვს მიუახლოვდეს მარადისობის წარსულ და აწმყოს ხედვას. ამიტომ იგულისხმებოდა, რომ სარკეები მკვდარი ადამიანების მოჩვენებებით იყო დასახლებული. მოთხოვთაში "ექიმ ჰეიდეგერის ცდა", (162) როცა ექიმის მიერ გაახალგაზრდავებული მეგობრები გახარებული ხტიან მის წინ "მაღალი სარკე ირეკლავს სამ ჭადარა, გამოფიტულ ბებერს, სასაცილოდ რომ იბრძვიან მოხუცი, მახინჯი ქალისთვის" (The Great English Short Story Writers 2008; 80) სარკე ერთადერთი უტყუარი ადგილია მსოფლიოში, სადაც ფარისევლობა შეუძლებელია. სიმართლის მოქმედი სარკე, არის ის მხატვრული

სახე, რომელსაც პოთორნი ხშირად იყენებს თავის რომანტიკულ რომანებში. "სარკეზე თვალის შევლებისას, ჩვენ ვამჩნევთ მის მოჯადოებულ ნაპირზე მოვარვარე ნახევრად ჩამქრალ ანტრაციტს...მოვარის თეთრი სხივები იატაკზე ეცემა და შუქჩრდილის მონაცემები ამ სურათში ერთი ნაბიჯია სინამდვილიდან წარმოსახვისაკენ. ასეთ დროს, ასეთი სცენის წინაშე, თუ კაცი მარტო ზის და არ შეუძლია უცნაურ საგნებზე იოცნებოს, ისინი სიმართლეს მიამსგავსოს, მან არც უნდა სცადოს რომენსის წერა." (Hawthorne 1850: 33) ყოველივე ამის შემოთავაზება კი სარკეს შეუძლია. ის არის შესასვლელი მოჯადოებულ ზებუნებრივი რეალობის სამეფოში. ხელოვანის წარმოსახვის სარკეში, როგორც პოთორნმა ჩაიფიქრა აქტუალური იდეალურად იქცა. თუმცა ის არ თვლიდა რომ მან წარმატებით მიაღწია ამ რომანტიკულ სასწაულს. "საბაჟოში" კვლავ აცხადებს, რომ მისი საკუთარი წარმოსახვა "დალაქავებული სარკეა", რადგან მას არ შეუძლია განარჩიოს სულიერი სიმართლე საბაჟოს ბნელი სუბსტანციისაგან. (Hawthoren 1850: 31)

თანამედროვე თემა ხელოვანის გაუცხოებისა, რომელიც ესოდენ აქტუალურია დღეს, მოდის სწორედ მე-19 საუკუნის აზრიდან ხელოვანის შესახებ, რომელიც განსაკუთრებული, სხვათაგან გამორჩეული ადამიანია. ან ანგელოზი, ან დემონი, მაგრამ არა ჩვეულებრივი ადამიანი. ხელოვანის მარტოსულობის თემა უფრო და უფრო დრმა გახდა რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების შემდეგ. გაღვთიურებულმა ხელოვანმა ადგილი დაუთმო სულ სხვა ადამიანს, ვისთვისაც ეს გაცემილი გაქცევა აქტუალური ადარ არის. ეს პრობლემის თანამედროვე ფაზაა, რომელსაც თითქმის მხოლოდ პოთორნმა მიაქცია ყურადღება თავის თანამედროვეთა შორის. ის ხელოვანის მარტოსულობას არ ხდიავდა როგორც პოზას. არამედ როგორც ერთსა და ბევრს შორის განლაგების რეალურ შედეგს. იგულისხმება ხელოვანი და აუდიტორია. ის გრძნობდა, რომ იდეალისტმა ფილოსოფოსებმა, ვისკენაც მიღრეკილნი იყვნენ მისი თანამედროვეები, ეს უფსკრული გააღრმავეს. ეს გახლავთ ერთერთი მთავარი თემა მის რომანტიკულ რომანში "ბლაითდეილის რომენსი". მთავარი გმირი კოვერდეილი მეტად ახლოს დგას მწერლის პიროვნებასთან. მის პიროვნებაში პოთორნის აგტობიოგრაფიული შტრიხები იგრძნობა. ის პირველი უცხო ანუ აუტსაიდერია ამერიკულ ლიტერატურაში. მაღალი მგრძნობელობის ადამიანი, რომელიც გაუცხოებულია გარესამყაროსგან და სასოწარკვეთით ცდილობს რეალურად დაიჭიროს კავშირი მასთან. გაუცხოებისათვის ბრძოლა თავად მწერლისთვისაც ხანგრძლივი პროცესი

იყო. ის არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ მისი ხელოვნება ცხოვრების განაპირო მხარეს საქმიანობა უნდა ყოფილიყო, როგორც ეს "მშვენიერების ოსტატის" მთავარი გმირის, ოუენ უორლანდის შემთხვევაში ხდება. ის არ თვლიდა დირსეულად ხელოვნებას, თუკი ის გარევნილ, ანტიუმანურ ეგოიზმს ემსახურებოდა, რაც მან სიმბოლურად გამოხატა "წინასწარმეტყველურ სურათებში". ჰოთორნმა შვიდი წელი გაატარა საზღვარგარეთ. მან ევროპის ცდუნებანი ბევრად უფრო ღრმად იგრძნო, ვიდრე უოშინგტონ ირვინგმა ან ჰენრი ლონგფელოუმ. მწერლის ემიგრაცია, ამერიკაში პრაქტიკული და ინტელექტუალური ცხოვრების ყოფნის გამოცდილების შესაბამისი იყო. ეს გახდდათ შინაგანი ექსპატრიაცია, როგორიც ჯორჯ ელიოტმა და ჰენრი ჯეიმსმა მოგვიანებით გამოსცადეს. ერთადერთი თანამედროვე, ვისაც ჰოთორნი აზრს უზიარებდა, ჰერმან მელვილი გახდდათ, რომელსაც არ უძებნია სხვაგან ნუგეში და მივიწყებულ ნიუ-იორკში ცხოვრობდა.

ჰოთორნის შემოქმედებაზე დაკვირვებისას ჩვენ შევნიშნეთ, რომ გადაწყვეტილება თავი მიუძღვნა ხელოვნებას ყველგან სახიფათოა, მაგრამ მეტისმეტად ფატალურია ახალ ინგლისში. მწერალი თითქოს აფრთხილებს ყველას ვინც ამ საბედისწერო მოვლენის წინააღმდეგ წავა, რომ ის ამერიკაში იმყოფება. "მშვენიერების ოსტატის" სოციალური მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ "ამერიკული საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრება განქორწინებულია შემოქმედებით იმპულსთან". (Bell 1962: 202) ჰოთორნი გრძნობდა უფსერულს ფიქრსა და ქმედებას შორის, რასაც ამერიკული ცხოვრება უფრო და უფრო ახვევდა თავს თავის ხელოვანებს, და რამაც 60-70 წლებში ევროპული ცივილიზაციის მიმართ ნოსტალგიის წარმოშობა განაპირობდა.

დიდი ხანი არ არის, რაც ზოგადად მიღებულია, რომ ჰოთორნი განდეგილი, რეალური სამყაროს მიმართ ინდეფერენტული ადამიანი იყო. თუმცა ბიოგრაფიული ცნობები საწინააღმდეგოს მიუთითებენ. ის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ახლოს იდგა პოლიტიკასთან და პოლიტიკოსებთან. იცოდა რა უთანხმოება არსებობდა მის დროს გულწრფელობას, იდეალიზმსა და მშვენიერებას შორის. ჰენრი ლონგფელოუსათვის მიწერილ წერილში წერდა: "ზოგჯერ თვალის საჭერებიდან თვალს მოგერავ ხოლმე რეალურ სამყაროს და ის ორი თუ სამი სტატია, რომელშიც მე ეს წამიერი შთაბეჭდილება გადმოვეცი, მეტად მსიამოვნებს, ვიდრე სხვა დანარჩენი" (Bell 1962: 198) ეს განაცხადი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წარმოსახვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის ვიდრე ყოველდღიური გამოცდილება.

**პოთორნის თითქმის მთელმა ცხოვრებამ ახალი ინგლისის პატარა ქალაქებში გაიარა, შორს ხმაურიანი პარიზიდან, ლონდონიდან, რაც ასე იზიდავდა ხელოვან ადამიანებს. სწორედ ერთერთ ასე წყნარ ქალაქში შეხვდა ის ძლიერ და მნიშვნელოვან იდეოლოგიურ მიმდინარეობას, ტრანსცენდენტალიზმს, რომელიც მე-19 საუკუნის ამერიკაში წარმოიშვა. ახალ ინგლისში ის თანამშრომლობდა გაზეთებთან, ჟურნალებთან, იყო რედაქტორი, მუშაობდა საბაჟოზე, იყო ფურიერისტული კოლონის "ბრუკფრმის" წევრი. ბოლოს მიიღო კონსულის თანამდებობა ლივერპულში, რამაც საშუალება მისცა იტალიასა და საფრანგეთში ემოგზაურა. როგორც არ უნდა ყვარებოდა თავისი კაბინეტის სიჩუმე, ის ტოვებდა მას და ხვდებოდა ახალ ადამიანებს, ახალ ტიპაჟებს, ეხებოდა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მათი პორტრეტები დატოვა კიდევ "უბის წიგნაკებში" შესაძლოა ეს ადამიანები არ იყვნენ რაიმეთი გამორჩეულნი, მაგრამ მწერალს აძლევდნენ საზრდოს, რათა დაკვირვებოდა ადამიანის ბუნებას, ემსჯელა ზნეობრივ კანონებსა და გარემოს ზემოქმედებაზე. ადამიანური და სოციალური გამოცდილება წიგნიერ და ისტორიულთან ერთად მისი შემოქმედების საფუძვლად იქცა, ასაზრდოვა მისი წარმოსახვა, რადგან პოთორნის ფანტაზია არ იყო უბრალოდ ღრუბლებში ფრენა. ფანტასტიკურ ფორმაში ის დებდა ფილოსოფიურ, სოციალურ, ეთიკურ, ესთეტიკურ საკითხებს, რაც მისი დროის ამერიკას აწუხებდა. შთაბეჭდილების სიმდიდრე, კონკრეტული ცხოვრებისეული დაკვირვებების სიმრავლე პოთორნის მხატვრული მეთოდის თავისებურებას წარმოადგენდა.**

საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იყო პოთორნის დამოკიდებულება ტრანსცენდენტალიზმთან. ედგარ პოსაგან განსხვავებით ის აღიზარდა იმ ახალ ინგლისურ ნიადაგზე, სადაც ტრანსცენდენტალისტები. მაგრამ მათ ცნობიერებაში ცოცხლობდა უფრო ძველი, ახალინგლისური ინტელექტუალური ტრადიცია, პურიტანული კალვინიზმი. "თანდაყოლილი ცოდვის დოქტრინა" მისთვის მკვდარი რელიგიური დოგმა არ იყო. მეტად ბევრ ცოდვას ხედავდნენ ისინი გარესამყაროში.

პოთორნი შორს იდგა ადამიანური "მეს" კულტისაგან. ბევრი მწერალი რომანტიკოსისგან განსხვავებით ის თავისი თხრობის ცენტრში არასოდეს არ აყენებდა განსაკუთრებულ პიროვნებას. შეიძლება ერთი შეხედვით ვიფიქროთ, რომ იგი გვერდს უკლიდა ტრანსცენდენტალისტების დოქტრინას "ენდე საკუთარ თავს", მაგრამ საზოგადოებისა და პიროვნების პრობლემა ყოველთვის მისი

ყურადღების ცენტრში იდგა. ამის დასტურია მისი რომანები "ალისფერი ასომთავრული" და "ბლაითდეილის რომანი". პირველ რომანტიკულ რომანში კონფლიქტი გმირსა და საზოგადოებას შორის წყდება არცთუ მთლად გავრცელებული რომანტიკული სქემის შესაბამისად. პურიტანული საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულება ესთერ პრინის მიმართ ნათელია. გმირი სულიერად მაღლდება, მისი დამსჯელი საზოგადოება კი განკიცხვას იმსახურებს. პოთორნი ამ პრობლემას ბევრად უფრო დახვეწილად და სიღრმისეულად უდგება. ესთერი სულის სიღრმეში ეთანხმება საზოგადოების მიერ გამოტანილ განაჩენს, რადგან თვითონაც მსგავსი სულისკვეთებით არის აღზრდილი, რითაც მისი გარემოცვა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას ძალიან დაშორდა, ის ვერ წყვეტს მასთან სულიერ კავშირს. პირიქით, გადატანილი ტანჯვა მას უფრო ბრძენს და ადამიანების მიმართ შემწყნარებლურს ხდის. ესთერი სხვა ადამიანად იქცევა. უველა უბედურის, დაჩაგრულის მრჩევლად და დამამშვიდებლად. ცოდვილიდან, იმ ადამიანების თვალში ვინც ერთდროს გაასამართლა, წმინდანად იქცა. მაგრამ ის მაინც ძალიან შორს არის ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. წმინდანი თავისი მარტობით მაღლა დგას ადამიანებზე. ცოდვილი კი თავისი დანაშაულით დაბლა, თუმცა კი ორივე მარტო. ესთერი ვერ თავისუფლდება მიღებული მმიმე გამოცდილებისაგან. მართალია საზოგადოებამ შეუნდო მას, მაგრამ მას აღარ შეუძლია მათთან დაბრუნება.

"ბლაითდეილის რომანში" პოთორნს სხვა საკითხი აწუხებს, შესაძლებელია თუ არა სრულყოფილი საზოგადოების არსებობა. მისი დასკვნა უარყოფითია, მიზეზი ამ პესიმისტური განწყობისა არის იმის შეცნობა, რომ სრულყოფილი ადამიანი არ არსებობს. შემთხვევით არ ხდება, რომ ფალანსტერების ხელმძღვანელი პოლინგუორსი "ბლაითდელის რომენსიდან" თავის მთავარ მიზნად დამნაშავეთა ხელახლა აღზრდას ისახავს. რომანის გმირი ზენობია თვლის, რომ საჭირო არ არის ანომალიებით დაინტერესდე მაშინ, როცა კაცობრიობის უმეტესობა საგსებით ნორმალური ადამიანებისაგან შედგება. ამიტომ მათზე ზრუნვა უფრო გამართლებულია. მაგრამ პოლინგუორსმა, ისე როგორც პოთორნმა, იცის, რომ ნებისმიერი დანაშაული არის იმის გამოხატვის უკიდურესი ფორმა, რაც თითოეულ ჩვენგანში ფარულად არსებობს. ამიტომ სანამ ამქვეყნად თუნდაც ერთი დამნაშავე არსებობს, არ არის გარანტია რომ არ გამოჩენდება მეორე მისნაირი, მერე მესამე, მეოთხე, მეათე და ასე შემდეგ. პოლინგუორსის მცდელობა მარცხით მთავრდება, არა იმიტომ რომ დამნაშავეთა

გამოსწორება არ შეიძლება, არამედ იმის გამო, რომ თავად პედაგოგი ვერ უძლებს ძალაუფლების მაცდუნებელ ძალას. მასში დესპოტური მიდრეკილებები ჩნდება და ამის შედეგად ჩანაფიქრში ესოდენ მშვენიერი ფალანსტერი ინგრევა. ამ მაგალითების მიხედვით კარგად ჩანს, რომ პოთორნი ფრთხილობს მეტისმეტად არ ენდოს დოქტრინას "ენდე საკუთარ თავს" და მიუთითებს მის რეფორმატორ მეგობრებს საიდან მოდის საფრთხე.

ემერსონის და სხვა ტრანსცენდენტალისტების ბევრი კონცეფცია პოთორნის ესთეტიკაში არის განხორციელებული. რასაც ემერსონი ზესულიერს უწოდებდა, ლუიზა ოლკოტი სულიერს, პოთორნისთვის ეს ზერეალობა იყო. ხელოვანი ემერსონისათვის ადამიანთა წარმომადგენელია, ოლკოტისათვის წინასწარმეტყველი, ფულერი მას სულის ბუნებრივი ცხოვრების მომდერალს უწოდებს. (Marjorie 1969: 47) პოთორნი ხელოვანი ტრანსცენდენტალისტი პოეტის მსგავსად სიმართლეს ბუნებაში დახატულს ხედავს და თავისი ხელოვნების ნიმუშს ამის მიხედვით ქმნის. რასაც ემერსონი ფიქრის დონეს უწოდებს, პოთორნი იმას წარმოსახვის და რეალობის, სინამდვილის შერევით აღწევს, სანამ მისი ცენტრალური ფიგურა ანუ ადამიანი არ შეერწყმება ბუნებას, ან არ დაუახლოვდება მას. მისი ხასიათების შექმნისას ცოდვასთან დაპირისპირებით ავტორი აღწევს გმირის ბუნების მიმართ ტრანსცენდენტალურ სიმართლეს, რომელიც უნივერსალურ სიმართლეს ემთხვევა. ასე იქმნება სულიერი სამყაროს მხატვრული სახე. პოთორნის ესთეტიკის კვლევა, ხელოვნებაზე შეხედულებების დეტალური განხილვა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა მისი მსოფლიოგელობა შეესაბამება ტრანსცენდენტალურ ესთეტიკას.

### თავი III

#### პოთორნის ომანტიკული ომანი

##### 3. 1. ოეალობა და პურიტანიზმთან მიმართება პოთორნის “ომენსში”

ნათანიელ პოთორნის ესთეტიკური შეხედულებანი სრულყოფილად არის განხორციელებული მის შემოქმედებაში და საკმაოდ ნათლად ასახავს ომანტიკული ომანის, იგივე “ომენსის” სპეციფიკას. ამის ნათელსაყოფად განვიხილავთ შემდეგ ომანტიკულ ომანებს: "ალისფერი ასომთავრული", "შვიდფრონტონიანი სახლი", "მარმარილოს ფავნი" და "ბლაითდეილის ომანი".

ნათანიელ პოთორნის ომანტიკულ ომანს "ალისფერი ასომთავრული" ბევრი მწერალი და კრიტიკოსი საუკეთესოდ თვლის. ჰენრი ჯეიმსი წერდა: "სხვა ომანებთან შედარებით ის უფრო უბრალო და დახვეწილია, სრულყოფილად აღწევს იმას, რაც მიზნად დაუსახავს, ისეთი განსაზღვრას ძნელად დაქვემდებარებული მომხიბვლელობით, როგორსაც ჩვენ მუდამ ვხვდებით იმ ოსტატის ნაწარმოებებში, რომელიც პირველად აღწევს მწვერვალს თავისებური პირდაპირობით და განხორციელების ბუნებრივობით." (James 1896: 116)

უამრავი წლები დაიხარჯა მსგავს სახეებზე და თემებზე, დაიწერა მოთხოვბათა მთელი სერია, ომელიც აღწერდა ახალი ინგლისის ისტორიის პურიტანულ პერიოდს. ყველა ეს ნაწარმოები მიუთითებს, რომ ავტორი კარგად ერკვეოდა პურიტანული ფსიქოლოგიის, სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების დეტალებში. სწორედ ამიტომ დაიწერა "ალისფერი ასომთავრული" 1849 წელს, შესანიშნავი ომანტიკული ომანი "ალამიანური ყოფიერების ერთფეროვნებაზე და დაუშრეტელ მწუხარებაზე" (Literary History of The United States 1972: 432) მე-17 საუკუნის ახალი ინგლისის ცხოვრების მთელი ამ ისტორიის განმავლობაში, დაწყებული ციხის კარის სცენიდან, ესთერ პრინის საფლავის აღწერით დამთავრებული გვაოცებს რეალობისა და ფანტასტიკის დიდებული გადახლართვა, რაც პოთორნის “ომენსის” ძირითადი დამახასიათებელი თვისება გახლავთ. მწერალი ისტორიის დეტალების ჭეშმარიტებაზე არ ამახვილებს ყურადღებას, თუმცა გუბერნატორ ბელინკემის და მისის პიბინის პორტრეტები ისტორიიდან აღებულს პგავს. წიგნში ოსტატის განსაკუთრებული აზროვნება იგრძნობა. იგი გვიჩვენებს მთელი პურიტანული მემკვიდრეობის მხატვრულ სურათს. პოთორნი არ ახვევს მკითხველს თავს რელიგიურ დოგმებს, ან

ადგილობრივი ადათ-წესების განსჯას. ეკლესია, მღვდელი, მღვდელომსახურება, სასამართლო, სამლოცველო გამჭრიახი ადამიანის მიერ არის ნაჩვენები. ყველა მოთხოვბა, იმ შორეულ დროზე, რომლის შესახებაც ავტორი მეზერთან ან ტომას პირსთან კითხულობდა ყველაფერი, რაც თავად ამოიცნო პურიტანიზმში, "ალისფერი ასომთავრულის" საფუძველშია ჩადებული. თანაც იმ უტყუარობით, რაც მხოლოდ ისტორიული არქივებისთვის არის დამახასიათებელი. თხოვბა გამოირჩევა მხატვრული სახეების სიცოცხლით, იქნება ეს ეკლესიის პირქუში დარაჯი თუ სასიამოვნო გარეგნობის ესთერ პრინი. "ბლაითდეილის რომანსში" პოთორნი წერდა, რომ მას ურჩევნია ათჯერ მოხედოს წარსულს, ვიდრე ერთხელ ჩახედოს მომავალს თვალებში. (Hawthorne 1865: 92) ალბათ ამიტომ კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ძველი პურიტანული ინგლისის თემას.

"ალისფერი ასომთავრულის" მოქმედება ხდება პურიტანულ ახალ ინგლისში, ბოსტონში. თხოვბა იწყება ციხის შენობის კედლებიდან. ესთერ პრინის ისტორია, სიუჟეტის მთავარი ძაფი არ გამოირჩევა განსაკუთრებული ორიგინალობით ან სირთულით. იგი მოგვითხოვს ქალის შესახებ, რომელსაც მისჯილი აქვს მთელი ცხოვრება გულზე ატაროს ალისფერი ასო "ა"- მის მიერ ჩადენილი ცოდვის ნიშანი. (ინგლისურიდან თარგმანში სიტყვა ადიულტერი ავხორცობას, ცოლქმრული ერთგულების დარღვევას აღნიშნავს) "რომენსის" ცენტრში დგას ფილოსოფიურ ეთიკური პრობლემა, პურიტანული საზოგადოების ანგარიშსწორება მისი მორალის დარღვევის გამო. ეს ის საზოგადოებაა, ვისთვისაც ადამიანი დაბადებამდე ცოდვილია და ამიტომ მთელი მისი ცხოვრება ამ ცოდვის გამოსყიდვას უნდა მიეძღვნას.

ამ ისტორიით მწერალი რომანის შექმნამდე დიდი ხნით ადრე დაინტერესდა. პირველად, ქალი წითელი ასომთავრულით გულზე, გვხვდება მოთხოვბაში "ენდიკოტი და წითელი ჯვარი" (8) 1837 ეს სიუჟეტი მწერლის უბის წიგნაკებშიც არის აღნიშნული. 1841 წლის 27 ოქტომბერს მწერალს დღიურში შეტანილი აქვს: "ზნეობრივი ან სულიერი სნეულების სიმბოლიზმება სხეულებრივთან: როცა ადამიანი ცოდვას ჩადის, ამან შეიძლება მის სხეულზე წყლულის გაჩენა გამოიწვიოს" (Passages from the American notebooks by Nathaniel Hawthorne 1868: 49) ეს ჩანაწერი ამ დრამის ერთერთი მონაწილის, არტურ დიმსდეილის სახის შექმნის წინაპირობაა.

პოთორნი რომანტიკულ რომანს იმ წერტილიდან იწყებს, რომელსაც მე-19 საუკუნის რომანისტები დასასრულს უწოდებდნენ. წიგნის პირველ თავში

სიუჟეტის ყველაზე მწვავე კოლიზიები უპარ უკან არის. ბოსტონში მოედანზე სამარცხევინო ბოძთან დგას ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ცოდვის ცოცხალი დადასტურებით, უკანონო ბავშვით და გულზე წითელი ასო “ა” თი. მისი დანაშაულით აღშფოთებული ბრბო რისხვას, სიძულვილს აფრქვევს. მხოლოდ ავტორი, რომელიც სცენას შემდგომი საუკუნის ადამიანის თვალით უყურებს, ესთერ პრინს ჩვილით ხელში როგორც დვთისმშობლის წმინდა ხატებას ისე ხედავს. "ალისფერ ასომთავრულში" წარსულთან დამოკიდებულებაში განსჯის ინტონაცია ჭარბობს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ობიექტურია რომანტიკული რომანის მოვლენებთან მიმართებაში, რაც ეწინააღმდეგება რომანტიზმისთვის გამორჩეულად დამახასიათებელ თხრობის სუბიექტურობას. ეს ფაქტი მწერლის გაცნობიერებული მცდელობის შედეგია, რომელმაც ამისათვის მხატვრული ხერხების მთელი რიგი გამოიყენა. მაგალითად ყურადღების გამახვილება რომანის პირველწყაროზე, თითქოს ეს მხოლოდ ჩანაწერების გადაადგილება იყო, რომლებიც საბაჟოს დამკვირვებელს ვინმე ჯონათან პიუს ეკუთნოდა. თავის დროზე ეს ხერხი პოპულარობით სარგებლობდა ლიტერატურაში. ავტორი მეტი დამაჯერებლობისთვის ნივთმტკიცებულებასაც გვთავაზობს, “ა”-ს ფორმის წითელი ქსოვილის ნაგლეჯს. პოთორნის სურს მკითხველს შთააგონოს, რომ ის ეცნობა არა გამოგონილ, არამედ ნამდვილ ისტორიას. არსებითი როლი ენიჭება კონტექსტს, რომელშიც ეს ფაქტებია მოცემული.

სიმბოლიკისა და რომანტიკული ირონიის გვერდით, რაც პოთორნის “რომენსების” მხატვრულ ფონს ქმნის, რეალისტური ტენდენციებიც არსებობს. მწერალი დიდ პატივს სცენდა მატერიალურ სამყაროსა და რეალობას, ალბათ ამიტომაც ხიბლავდა ტროლოპის ნოველები. "სოლიდური, სუბსტანციური, და იმდენად რეალური თითქოს ვიღაც გოლიათმა უზარმაზარი ლამპით გაანათა დედამიწა" (Throllope 1879: 203) ეს ფაქტი ყველაზე ხელშესახებად “რომენსის” შესაგალში “საბაჟო” იგრძნობა. თავად აგტორი შესავალ ნაწილს უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა, ვიდრე თავად ნაწარმოებს, რადგან ფიქრობდა რომ ეს ნარკეგვი უფრო მეტ ყურადღებას მიიქცევდა. გასაგებიც არის მკითხველის და მკვლევარის ცხოველი ინტერესი “საბაჟოს” მიმართ. რადგან ამ შესავალში მოცემულია მწერლის შეხედულებები ხელოვნებაზე და რომანტიკული რომანის თეორია, რომელმაც შემდგომ ხორცი შეისხა “ალისფერი ასომთავრულის” მხატვრულ სტრუქტურაში. თუმცა ეს მაინც არ არის ჯერ მკაფიოდ

ფორმულირებული ქანრის სპეციფიკის მთლიანი თეორია. ავტობიოგრაფიული ნარკვევი "საბაჟო", მოგვითხრობს პოთორნის სამსახურის შესახებ საბაჟოზე, ანუ იმ წლებზე, რომელიც წინ უძღვდა რომანტიკული რომანის შექმნას. რეალური ცხოვრებიდან აღებული თანამშრომელთა პორტრეტების აღწერა უკვე ეჭვს აღარ იწვევს ბიოგრაფიული ცნობების სისწორეში. თხრობის ტონი ხან დამაჯერებელია, ხან მსუბუქი ირონიით შეფერილი. თხრობის ობიექტებისაკენ სწრაფვა წინააღმდეგობაში მოდის სუბიექტზე მიმართულებასთან, რაც დამახასიათებელია რომანტიკული რომანისათვის. ეს ფაქტი მწერლის მხატვრული ხედვის თავისებურებას განსაზღვრავს. ამიტომ კრიტიკოსები ზოგ შემთხვევაში ყოფილობენ მიეკუთვნებინათ პოთორნი რომანტიკოსთა ჯგუფისთვის თუ არა. არც ერთ მის ნაწარმოებში ეს წინააღმდეგობრივი ტენდენცია ასე სრულყოფილად და ბუნებრივად არ ასახულა, როგორც "ალისფერ ასომთავრულ ში."

ნარკვევში პოთორნი ძირითადად ექრდნობა მოგონებებს სალემში მუშაობის პერიოდზე. მე-18 საუკუნის ინგლისელი მწერლის მანერით პოთორნი ცდილობდა ახლოს ყოფილი სიმართლესთან და მკითხველს უხსნიდა, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში "უამრავი გვერდი". მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მიზანი. ავტორისათვის აუცილებელია მკითხველის გულისაკენ მიმავალი გზა უშუალოდ მასთან მიმართვით იპოვოს. ასეთი ლიტერატურული ხერხი ემოციურ დატვირთვას ატარებს და თხრობის ლირიკული უვერტიურაა, რაც მეტწილად განსაზღვრავს რომანტიკული რომანის ძირითად ტონალობას. "ალისფერ ასომთავრულ ში" არ არის მოთხოვნილი ამბები პირდაპირი გაგებით. აქ წარმოდგენილია სამი მთავარი გმირის სულიერი დრამა. "რომენსის" კითხვა მკითხველის მხრიდან თანაგრძნობას გულისხმობს. ამიტომ იგრძნობა, რომ ავტორი მკითხველთან კონტაქტის დამყარებას ცდილობს. "საბაჟო" მთელი რომანტიკული რომანის ესთეტიკური გასადებია. ამიტომ იყო მწერლისთვის წიგნის ეს ნაწილი ასე მნიშვნელოვანი. წიგნის მეორე გამოცემის შესავალში მან უარი თქვა რაიმე შეეცვალა მასში.

ნარკვევი "საბაჟო" მშობლიური სალემის აღწერით იწყება, ძველ პორტს, დაფხავებულ ნაგმისადგომს, რომელიც ოდესდაც პირველობას იჩემებდა, ახლა ბოსტონისა და ნიუ-იორკისათვის დაუთმია ადგილი. აქ, ამ ძველ საპორტო ქალაქში, რომელიც უკვე ვაჭრებსაც აღარ აინტერესებთ, პოთორნმა იპოვა "სიძველეები, საიდუმლოებები, ფერწერული და ბნელი ბოროტება," რის

ნაკლებობასაც ის "მარმარილოს ფავნის" შესავალში უჩიოდა. ამ ადგილებში ორი საუცუნის წინ გამოჩნდა პირველი ბრიტანელი ემიგრანტი, ვინც სათავე დაუდო ჰოთორნთა გვარს. ავტორი უწყვეტ კავშირს გრძნობს თავის თავსა და წინაპრებს შორის. მისი ნაწერით ის ცდილობს წინაპართა აჩრდილები გააცოცხლოს, გადაიყვანოს მკითხველი პურიტანული სიძველის სამყაროში, სადაც ადამიანებს უყვარდათ, იტანჯებოდნენ, ძულდათ და სიცოცხლით იხდიდნენ თავისი ვნების საფასურს.

საბაჟოს სასაცილო, მხიარული მოხუცი მსახურები რომანტიკული რომანის თვითგვემისკენ მიდრეკილ პურიტანულ საზოგადოებასთან შედარებით გასოცარ კონტრასტს ქმნიან. "წარსული თაობის გაციებული ხუმრობები სიცილთან ერთად იბუშტებოდნენ და დნებოდნენ მათ ტუჩებზე" (Hawthorne 1852: 13) საბაჟოს ჩინოვნიკებს არ შეუძლიათ ჩაიდინონ "სულელური და უსინდისო საქმეები", და მაინც, როგორც ჰოთორნი ამბობს "საბაჟოს არც უკანა და არც სადარბაზო კარს არ შევყავართ სამოთხეში" (Hawthorne 1852: 11) საბაჟოზე მიღებულ გამოცდილებაზე საუბრისას ჰოთორნი მის კოლეგებზე ამბობს, რომ მათი უმრავლესობა არის "დამდლელი, მოსაწყენი ბებერი სულების გუნდი, რომელთაც ვერაფერი ლირსშესანიშნავი გერ შეკრიბეს მათი ცხოვრების გამოცდილებიდან, რაც შეიძლება შენახვად ლირდეს" (Hawthorne 1852: 14). ეს შესავალი მწერლის სატირული ტალანტითა და წერის მანერით იმ დროის პოპულარულ ჟანრს რომანტიკულ ესეეს მოგვაგონებს.

რომანტიკული რომანის შესავალი საბაჟოს შენობის აღწერით იწყება. ავტორი მკითხველის ყურადღებას სახელმწიფო გერბზე აჩერებს. "ფასადზე უზარმაზარი ამერიკული არწივის ეგზემპლარი ჩანს, გაშლილი ფრთხით, გულზე ფარით და თუ მეხსიერება არ მღალატობს, თითოეულ თათში ელვის კონის წვეტიანი ისრებგანარილი—და სარკასტულად ამატებს— "მიუხედავად მისი შეხედულებისა, არცთუ ცოტა მოქალაქე ახლაც ცდილობს შეეფაროს ფედერალური არწივის ფრთას, გულმკერდი რბილი და მყუდრო აქვს, როგორც ბუმბულის ბალიში. მაგრამ თვით საუკეთესო წუთებშიც კი იგი არცთუ ძალიან რბილია და ადრე თუ გვიან, უფრო კი ადრე, გააძვევებს მის ბარტყებს, ჩაუნისკარტებს ან დაჭრის ალესილი ისრით. აი ეს არის ჭეშმარიტი მიზეზი გაუცხოების და იზოლაციისა". (Hawthorne 1852: 3-4) აქ უკვე იჭრება ამერიკული რომანტიზმისთვის დამახასიათებელი ერთერთი მთავარი თემა. ადამიანის გაუცხოება საზოგადოების მიმართ. სახელმწიფო სამსახური ადამიანს უნერგავს

ილუზორულ რწმენას, რომელიც საბოლოოდ ღუპავს მას. როცა საბოლოოდ მოხუცდება, მოისვრიან "ცხოვრების ბნელ ბილიკზე და საკუთარი თავის ანაბარა ტოვებენ" (Hawthorne 1852: 11) საზოგადოდ რბილი და რეფლექტური მწერალი აქ საკმაოდ მკაცრად მიუთითებს ამერიკაში ფულის ძალაუფლების გამეფების შესახებ. "მე არ ვაპირებ უპატივცემულობა გამოვამჟღავნო ძია სემის მიმართ, მაგრამ ძველი ღირსეული ჯენტლემენის ოქროს ისეთი წყევლა ადევს, როგორც სატანის საგანძურს. ის ვინც ამ მონეტებს შეეხება, სადარაჯოზე უნდა იდგეს, თორემ მოლაპარაკება მის საწინააღმდეგოდ შებრუნდება და ის სულს თუ არა, ბევრ საუკეთესო სულიერ თვისებას დაკარგავს: გადაწყვეტილების მიღების უნარს, სიმტკიცეს, მამაცობას, ერთგულებას, საკუთარი თავის იმედს, ერთი სიტყვით ყველაფერს, საიდანაც ადამიანური ხასიათი იწყება" (Hawthorne 1852: 36) "საბაჟოში" მწერალი აღიარებს, რომ შემოქმედის შრომა და მისი ქმნილების ღირსება არ არის მისთვის თვითმიზანი, ის შეესაბამება იმ ადამიანთა ცხოვრებას, ვინც თავისი ყოველდღიურობით დაშორებულია სპეციფიკურ პრობლემებს და კამათს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. თავისი სამსახურის მოგონებისას, როცა საბაჟოს მთავარი მეთვალყურე იყო, ჰოთორნი აღნიშნავს, რომ "ადამიანისათვის, რომელიც ოცნებობს ლიტერატურულ დიდებაზე და კალმის საშუალებით მსოფლიოში ცნობილი ადგილის მოპოვებაზე, სასარგებლო იქნება, თუ გამოვა იმ ვიწრო წრიდან, სადაც აღიარებით სარგებლობს და დარწმუნდება რამდენად უმნიშვნელოა ამ საზღვრებს იქეთ ყოველივე ის, რასაც აკეთებს და რისკენაც ილტვის" (Hawthorne 1852: 24)

მნელი არ არის შეამჩნიო ნაწარმოებში ისტორიული ფაქტების ერთგვარი საზეიმო შემოტანა, რაც მიუთითებს ავტორის დაუინებულ სურვილზე, მიუახლოვდეს რეალობას. ისტორიული სახელები, გუბერნატორი ბელინგჰმი და ჯონ უინთორპი რომანტიკული რომანის დასაწყისშივე წნდება. უინთორპის სიკვდილის სპეციალური ციტირება მოთხრობაში მომხდარ მოვლენებს უფრო ზუსტადაც ათარიღებს, ვიდრე ეს შეიძლება ავტორს სურდა. სხვა სახელების ხსენებაც: ენდიკოტი, ბრედსტრიტი, სერ ტომას ოვერბერი, ისტორიის ბეჭედს ასვამს ნაწარმოებს. ბოსტონის პურიტანთა წვევები და ცხოვრება დეტალებში არის მოცემული. დანაშაული, დასჯის მეთოდი, პურიტანთა გართობა, მათი აქსესუარები, ქადაგებანი, ცრურწმენები... მაგრამ იმ ფაქტებთან ერთად, რაც ისტორიულად დადასტურებულია, ჰოთორნი აგებს ბევრად უფრო განსხვავებულ რეალობას, რომელიც არ შეიძლება მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტებს

ეყრდნობოდეს. ერთის მხრივ მწერალი ამტკიცებს, რომ პიუს ჩანაწერი არის "ნახევარი დუჟინი საწერი ფურცლები, რომელიც ამსუბუქებს ადამიანური დარდისა და მორალური არამდგრადობის ამბის შავ საბურვეფს". (Hawthorne 1852: 30) ეს არის პოთორნისეული მეოდი, ისტორიული სინამდვილე შეურიოს წარმოსახვას რათა შექმნას ესოდენ მეტყველი სიმბოლო.

"შვიდფრონტონიანი სახლი," რომლის მოქმედებაც დროის და სივრცის უფრო დიდ არეალზე ვრცელდება, გამოვიდა "ალისფერი ასომთავრულის" გამოცემიდან რამოდენიმე თვის მერე. ეს ნაწარმოები თითქოს ერთგვარი რეაქცია იყო წინა რომანტიკული რომანში მომხდარ საშინელ ტრაგედიაზე. ისიც დანარჩენი "რომენსების" მსგავსად, მიმართულია წარსულისკენ. თუმცა ავტორი აცხადებს რომ წიგნში მომხდარი მოვლენები არც თუ ისე დაშორებული არიან ჩვენს დროს.

პოთორნის ეს ნაწარმოები გარეგნულად საყოფაცხოვრებო, უფრო მეტად სოციალურ ყოფით რომანს ჰგავს, რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა თავად მოისურვა ის რეალისტური რომანისათვის დაეხლოვებინა. ავტორის ნებით ამ "რომენსს" ბედნიერი დასასრული აქვს, რომელიც ნაკარნახევია არა მხოლოდ მოვლენების ობიექტური მსვლელობით, არამედ მისი სურვილით, მკითხველი მორალურად კმაყოფილი დატოვოს. მიუხედავად ნათლად გამოხატული პრეტენზიულობისა, ზოგიერთი მკვლევარი ამ ნაწარმოებს "ალისფერ ასომთავრულზე" მაღლა აყენებს. პოთორნმა მას პორაციო ბრიჯთან მიწერილ წერილში უწოდა "უფრო შესაფერისი ჩემი აზროვნებისათვის და უფრო შესაფერისი ჩემთვის, როგორც მწერლისთვის" (Personal Recollections of Hawthorne 1893) რა თქმა უნდა არა ფაბულის გამო, რომელიც ორიგინალობით არ გამოირჩევა. ასე რომ ამ "რომენსისთვის" უპირატესობის მინიჭებისას მწერალს მხედველობაში პქონდა მისი ნაიგური ჭვრეტა, ყოველდღიური ცხოვრების ასახვა, რაც ამ წიგნს "ალისფერი ასომთავრულისგან" ასხვავებს და სიმყუდროვის ატმოსფეროს ქმნის. ადამიანებსა და მოვლენებზე საუბარი სრულდება იმ შინაგანი კეთილგანწყობით, რასაც მწერალი მოკლებული იყო სხვა ნაწარმოებების გმირებთან მიმართებაში. ამიტომ მიუხედავად ძველი წყველისა, ბოროტების ტრადიციული სახისა და წარსულზე პირქუში მსჯელობებისა, "რომენსი" ბედნიერების შეგრძნებით არის გაუდენთილი. პოთორნისეული სიმბოლიზმი უკვე მსუბუქ, ირონიულ, უფრო ნათელ შუქ-ჩრდილებს იკრებს, რაც ასე არ გავს წითლად მოვარავრე ასომთავრულის მძიმე სიმბოლიკას.

ჩილინგუორსის ბოროტი სამყაროსგან მეტად შორს არიან პეფსიბას ქათმები, დეივენტროპების ცისფერი ჩაის სერვიზი და ჯიხურის კარის თავზე მოწკარუნე ზანზალაკი. ამ “რომენსში” ცოტა რამ დარჩა პირქუში პურიტანული წარსულისგან. ეს წიგნი ”ლეგენდაა გარდამავალი დრუბლიანი წარსულის შორეთიდან დღევანდელ ნათელ დღეს, ფარდები ფართოდ არის გადაწეული და შიგნით მეტი მზე შემოდის“ წერდა მელვილი. (Melville 1851)

რომენსის ფიბულა აშკარად განიცდის გოთიკური რომანის გავლენას. ამას მოწმობს ცნობილი ჩანართი, ნოველა-ეპიზოდი ალისა პინჩენის შესახებ, რომელიც მჭიდროდ არის გადახლართული მისტიკურ მუსიკასთან, ძველებურ პერგამენტთან, საიდუმლო საცავებთან. პურიტანული წარსულის სისასტიკე ამ ნაწარმოებში ნაკლებად ჩანს, ეს წიგნი წარსულიდან დღევანდელ დღემდე მოღწეულ ლეგენდას უფრო ჰგავს.

რომანტიკულ რომანში “შვიდფრონტონიანი სახლი” პოთორნი ყველაზე თავშეუკავებელ ფანტაზიებშიც კი ფხიზელ რაციონალისტად რჩებოდა და თავის ბუნდოვან ლეგენდებს რეალური ცხოვრების ფაქტებისაგან ქმნიდა. ყოველივე ის, რის შესახებაც რომანტიკულ რომანში მოგვითხრობს იყო, ან შეიძლებოდა ყოფილიყო. განუსაზღვრულობა და მითიურობა განპირობებულია ფაქტების ადამიანური ცნობიერების აღქმით. არცთუ უსაფუძვლოდ პოთორნი ლეგენდის სათავეებს მე-17 საუკუნის ბოლოს მიაკუთვნებს, როცა ამერიკელებს სჯეროდათ უწმინდური ძალების, ჯადოქრობის, მაგიური წყევლის და რისთვისაც უამრავი ადამიანი დაისაჯა სიკედილით. თვით პოთორნის ერთერთი წინაპარი მონაწილეობდა ამ პროცესებში. ბოროტება არა მხოლოდ საშინელი სისწრაფით დუპაგს სუსტებს, როგორც ეს “ალისფერი ასომთავრულის” გმირის დიმსდეილის შემთხვევაში ხდება, არამედ მომავალ თაობასაც ასვამს დაღს. მეთიუ მოლის წყევლა ”დმერთი დაარწყელებს მათ ადამიანის სისხლით”, (Hawthorne 2006: 28) მე-17 საუკუნეს ეპუთნის, შედეგს კი მე-19 საუკუნეში ვხედავთ. როგორც ჩანს აბსტრაქტულ-რომანტიკული სიკეთე და ბოროტება აქ უკვე რეალურ ფორმებს იღებს. მწერალი ამ დაპირისპირების ზუსტ მიზეზსაც მიუთითებს. ეს არის დანაშაულით მოპოვებული სიმდიდრე და რომ არა ბედნიერი შემთხვევითობა, ეს მტრობა არავინ იცის როდემდე გაგრძელდებოდა. მტრულად განწყობილ ორ გვარს შორის შეყვარებულები გამოჩნდნენ და მშვიდობამ დაისადგურა.

“მარმარილოს ფავნი” მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ბოლო ნაწარმოებია. იგი დაიწერა სრულიად განსხვავებული მანერით, რაც გამოარჩევს

მას სხვა “რომენსებისაგან”. ამას თავისი მიზეზებიც აქვს. “ალისფერი ასომთავრული,” “შვიდფრონტონიანი სახლი”, “რომენსი ბლაითდეილზე” სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა და პოთორნის მხატვრული ოსტატობის განვითარების უმაღლესი წერტილია. ამის შემდეგ რვა წელი გავიდა, ავტორს ასაკი მოემატა და ეს დაეტყო არა მხოლოდ ახალი რომანტიკული რომანის თხრობის მანერას, არამედ თავად უანრსაც.

ამ პერიოდში პოთორნი უკვე რომში ცხოვრობდა და არ შეიძლებოდა უმველეს პულტურას მასზე გავლენა არ მოეხდინა. მართალია, არსებითი ცვლილებები მის მსოფლიო გეოგრაფიულობაში არ მომხდარა, მაგრამ იტალიაში ცხოვრებამ მასში ახალი გრძნობები გააღვიძეს და განსაკუთრებული კოლიზიებიც გააჩინეს “მარმარილოს ფავნში”. ავტორი შესავალშივე აღნიშნავდა, რომ ქმნიდა თავისებურად ჯადოსნურ და პოეტურ ქვეყანას, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პოთორნი “მარმარილოს ფავნში” უფრო შეზღუდული აღმოჩნდა მასალის რაოდენობის გამო, ვიდრე თავისუფალი. იტალია მეტისმეტად ბევრი აღმოჩნდა მისი წარმოსახვის ასათვისებლად. აღწერილობითი თხრობის გამო შენებულია ხასიათების განვითარება, თუმცა ზნეობრივი პრობლემები, რაც ავტორს აწუხებდა იგივე დარჩა, მხოლოდ გარემო შეიცვალა. როგორც ლათროპმა აღნიშნა ეს ქვეყანა ავტორისთვის ხილვად სიზმრად დარჩა, მომაჯადოებლად მაგრამ მიუღწევლად. (Lathrop 1897: 23) იტალიური ადგილები, საგნები, რომლებიც მის “რომენსში” სიმბოლოებად არის გამოყენებული, წარმოსახვის ნაყოფს ჰგავს, რაც მის ადრეულ ბელეტრისტიკაში ზმანებებს უკავშირდება. ოთახები, ლაბირინთები, მისტერიული პორტრეტები. როცა ქვეყანას ტოვებდა თქვა: “არცერთ ადგილს ასე ძლიერად არ დაგუჭრივარ როგორც რომს, არცერთი არ ყოფილა ჩემთვის ასე ახლო და ნაცნობი” (Passages from French and Italian notebooks of Hawthorne 1876: 216) თუმცა სურვილი აღარ გასჩენია კვლავ მიბრუნებულიყო იქ. თითქოს ამ ადგილმა ჩაყლაპა ის, როგორც შემოქმედი და არა პირიქით. მან თავისი რომანტიკული რომანი მიაკუთნა იმ შემთხვევას, რაზეც ჩვენ გვიოცნებია და ყოფილა წამიერი თუ ილუზიური. ალბათ ამით აიხსნება ნაწარმოების ზოგიერთი ნაკლი და ეს ფაქტი განსაზღვრავს მის მომაჯადოებელ ხიბლსაც.

”მარმარილოს ფავნში” რეალობასთან დასახლოებლად ავტორი რომის სკრუპულოზულ აღწერას იყენებს. ასახელებს მის შენობებს, ქუჩებს, აღწერს იტალიულ ხალხს, ახასიათებს მათ. იგონებს ისტორიულ პერსონაჟებს, ვის

სახელსაც ატარებს ესა თუ ის ადგილი. იყენებს ხელოვნების ნამუშევრებს, რომლებიც დღესაც არსებობენ. თავებსაც სპეციფიკური სახელები აქვთ “მედიჩის ბადები”, “აპენინები”, “კერუჯია”. ზოგიერთ დეტალში გვხვდება იტალიელთა ხასიათებისა და ჩვევების განხილვა. მაგალითად მაწანწალა მუსიკოსების ჯგუფი, ვის მუსიკაზეც მირიამი და დონატელო ცეკვავს. “მთელი იტალია სავსეა ასეთებით”. ავტორი მეტი დამაჯერებლობისათვის ხალხსაც ახასიათებს: “ისინი (იტალიელები) არიან საოცრად გულუხვი დაპირებებში, რაც რეალურად მცირე, მაგრამ კარგ სურვილებს გვპირდება. თითქმის შეუძლებელია მათი გამომეტყველების მიხედვით გაარკვიო შეიძლება მათ დაუჯერო, თუ არა. ერთი რამ კი ცხადია, რომ სიყალბე იშვიათად არის აუტანელი ტვირთი იტალიური ცნობიერებისთვის” (Hawthorne 1866: 186).

რომის ნანგრევთა შორის ჩნდება კოლიზეუმი, ცეზარის სასახლე, კონსტანტინეს თაღი, ტიტუსის თაღი. რომაელების ტრიუმფზე საუბრისას, ავტორი მოკლედ მოჭრის მის ისტორიულ მინიშნებას ორიოდ სახელის დამატებით. “თუ ჩვენ გვინდა გამოვიწვიოთ ინტერესი ჩვენი მოთხოვობის გმირების მიმართ, ბრძნელი იქნება გავიხსენოთ, როგორ ადგამდა ფეხს ციცერონი აი იმ ქვაზე, ან ჰორაციუსს როგორ სურდა გასეირნება აქვე ახლოს” (Hawthorne 1866: 201) ხელოვნების ნიმუშების შესახებ პოთორნი საუბრობს ექს წინა პარაგრაფში. დიდ დროს უთმობს გვიდოს “არქანგელოზის” განხილვას. ეს ისე ხდება, თითქოს მოთხოვობა მოგზაურობს რომის ნანგრევებში. მთხოვბელის კომენტარები სპეციფიკური ისტორიული ფაქტის შესახებ მკითხველის გონებას სინამდვილისაკენ მიმართავს.

მე-19 საუკუნის 40-იანმა წლებმა ამერიკულ სინამდვილეში ახალი საზოგადო და ინდივიდუალური ცხოვრების აშენების მცდელობა მოიტანა თან. 50-იან წლებში უკვე ამ უტოპიური ცდების გაზრება მოხდა. “ბლაითდეილის რომენს” საფუძვლად უდევს ბრუკ ფარმის ფურიერისტული ერთობის იდეა, რომელსაც პოთორნი ერთგარი პატივისცემით, მაგრამ საქმაოდ სკეპტიკურად ეკიდება. ახალგაზრდობის წლების მოგონებისას პოთორნი “ალიფერი ასომთავრულის” შესავალში იგონებს თავის მონაწილეობას ამ უტოპიურ წამოწყებაში.

”ბლაითდეილის რომენსი“ პოთორნის მცდელობის შედეგია, დაეწერა “ნოველის” ტიპის მხატვრული ნაწარმოები. თუ “ალისფერ ასომთავრულს” არ ჩავთვლით, ავტორს გრძელი, მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის სრულყოფილად არასოდეს მიუღწევია, გარდა იმ მეორეხარისხოვანი

წარმატებებისა, რომლითაც მუდამ გამოირჩეოდა მისი შემოქმედება. მის წიგნებს რაღაც აკლდა და მან არ იცოდა როგორ გამოესწორებინა ეს ნაკლი. ლიტერატურათმცოდნები დაობდნენ იმაზე, თუ რას მიეძღვნა “ბლაითდეილის რომენსი”. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პოლინგუორსის მიერ დამნაშავების გამოსწორების წარუმატებელი ფილანტროპიული გეგმაა, სხვები თხრობის სტრუქტურას უფრო მნიშვნელოვნად თვლიან, ზოგი კი ზენობიას რომანტიკულ სიყვარულის ისტორიას, რომლის თვითმკვლელობითაც სრულდება წიგნი. ზოგი ფურიერისტული ერთობის ისტორიას კოვერდეილის ავტობიოგრაფიულ სახეს უკავშირებს, რომელიც რომანის დაწერას ცდილობდა.

“რომენსში” ავტორს საჩვენებლად გამოჰყავს მოგზაური თოჯინების თეატრი, მასკარადი, სიმბოლური წყარო, ძველი ლეგენდა, მესმერისტი, თითქოს ის გამრთობია სცენაზე, ვისაც იმპროვიზაცია ისე უნდა გაეკეთებინა, რომ თავისი აუდიტორია შეენარჩუნებინა. კრიტიკოსთა ნაწილი აღნიშნავს რომ პოთორნის თხრობის გენიას, “თეილის” მოკლე ფორმა უფრო შეეფერებოდა. მართალია, მისმა ნაშრომებმა პოთორნს რომანის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრა, მაგრამ მკაცრად რომ ვთქვათ, საბოლოოდ უძლური აღმოჩნდა დაუფლებოდა რომანის ფორმას, “რომენსის” აღმატების აღიარების გარეშე. ამ ფაქტის დაშვება უკვე ჩანს “ბლაითდეილის რომენსში.”

სატირულ-უტოპიურ ჟანრში, მისი მიმდევრებისაგან განსხვავებით პოთორნი წარმატებული ვერ აღმოჩნდა. არ შეეძლო მიჰყოლოდა მის ორიგინალურ კონცეფციას. ბლაითდეილის ექსპერიმენტი და მისით დაინტერესებული ლიტერატურული გმირები დიდი გამომსახველობით არ გამოირჩევიან. ისინი იზრდებიან, ფერმქროალდებიან, ბუნდოვანდებიან და მოთხრობა იფანტება საკმაოდ სუსტად დაკავშირებულ სტატიკურ სცენებად. როგორიცაა მაგალითად მასკარადი ტყეში, მდიდარი სცენა თავისი კომიკური შესაძლებლობებით, ზენობიას თვითმკვლელობა, ან “ელიოტის ტრიბუნაზე” წარმოთქმულ ქადაგებათა კრებული.

მთავარი გმირი, მაილს კოვერდეილი, რომელიც ავტორის პროტოტიპია, ამბობს, რომ ის არასოდეს არ ამყარებდა ამ ცდაზე განსაკუთრებულ იმედებს. იგი ბევრად უფრო დიდი სიამოვნებით ტოვებს უტოპიურ არკადიას, ვიდრე ოდესმე მიისწრაფოდა მისკენ. “ჩემთვის დადგა დრო, გავემართო კონსერვატორებთან, ჩრდილო ამერიკული რეგიუს მწერლებთან, ვაჭრებთან,

პოლიტიკურ მოღვაწეებთან, კემბრიჯის ტიპებთან და საერთოდ იმ პატივსაცემ იდიოტებთან სასაუბროდ, რომლებიც ყოვლად ბუნდოვან, მიუწვდომელ საქმეებს ეჭიდებიან, რომელთა იდეგი სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს” (Hawthorne 1865: 167) უნდობლობა უტოპიური სოციალიზმის და მსგავსი წამოწყებების მიმართ, ყველა ამერიკელი რომანტიკოსისათვის იყო დამახასიათებელი. თუმცა ბევრი მათგანი “დაკავებული იყო თეორიული უტოპიების აგებით” (Hawthorne 1967: 58) შეიძლება სიტყვა უტოპია არასაკმარისად გამოხატავს მათი მისწრაფებების არსეს, რადგან საუბარი მიდის არა იმდენად საზოგადო ორგანიზაციის მოწყობაზე, რამდენადაც ზნეობრივ იდეალებზე, რომელიც ცალკე ადამიანში ან ადამიანთა ერთობაში ხორციელდება. ისევ და ისევ ვუბრუნდებით იმ საკითხს, რომელიც ასე აქტუალური იყო პოთორნისათვის. არსებობს თუ არა ცოდვა იმ ადამიანთა ერთობაში, რომლებიც პირველყოფილ ცხოვრების წესს დაუბრუნდნენ.

თაგში “თანამედროვე არკადია” (Hawthorne 1965: 70) პოთორნი ხატავს ფურიერისტულ ერთობას ბლაითდეილს, რომლის საფუძველში უარყოფის პრინციპი დევს. “ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებდა უარყოფა, ყვება მთხობელი, თითოეულ ჩვენგანს ესა თუ ის მიზეზი ჰქონდა, უკმაყოფილო ყოფილიყო იმ წინა საზოგადოებით, რომელშიც ცხოვრობდა და სურდა მისგან თავის დაღწევა. მაგრამ იმ საკითხზე, თუ რითი უნდა შეიცვალოს მოძველებული საზოგადოებრივი წყობა, ჩვენ ერთსულოვანი არ ვყოფილვართ. ასე რომ არ ვანიჭებდით დიდ მნიშვნელობას იმ დაწერილ წესდებას, რომელიც ჩვენი ერთობის საფუძველი იყო (Hawthorne 1865: 76). ინდა აღვნიშნო, რომ ამ განაცხადს რამდენადმე პოლიტიკური ელფერიც აქვს.

პოთორნი მალევე მიხვდა ამ იდეის უტოპიურობას, ამიტომაც როცა კოვერდეილს მეზობელმა ფერმერმა დუჟინი გოჭების ყიდვა დაავალა ათქმევინა: “ლმერთო ჩემო, ნუთუ ადამიანთა ლორების კოლტიდან იმიტომ წამოვედით, რომ გოჭებს ვსდიოთ (Hawthorne 1865: 27) ავტორი მიხვდა რომ საზოგადოების ცხოვრების წესის შეცვლა იოლი არ არის. კოვერდეილი თავიდანვე მთელ ამ წამოწყებას მასკარადად თვლის, რომელშიც სერიოზული სახით მონაწილეობენ ზრდასრული ადამიანები. ამიტომ ირონიით საუბრობს კაცობრიობის აღორძინების მაღალ მიზნებზე, რასაც ბლაითდეილის კოლონისტები ისახავდნენ მიზნად. მწარე იმედგაცრუებით იგონებს თავისი ახალგაზრდობის ილუზიებს “ჩვენ არაფერი გვაქვს სამარცხვინო იმით, რომ პაერის კოშკებს ვაგებდით. შეიძლება უკეთესია

მათ ფალანსტერი ვუწოდოთ. ჩვენ წარმოვიდგენდით საოცარ სურათებს, რომლებიც კერიის ცეცხლივით სწრაფად იქცეოდნენ ფერფლად. მე პირადად მხოლოდ ის მახარებს, რომ ოდესაც მჯეროდა ჩვენი სამყაროს გამოსწორების, მაგრამ ეს ერთერთი იმ შეცდომათაგანია, რომელსაც ადამიანები ცხოვრებაში ორჯერ არ უშვებენ. ასეთი კეთილშობილური სისუსტე მხოლოდ სუფთა და დიდსულოვან ადამიანებს ემართებათ. (Hawthorne 1865: 27)

ჰოთორნის დამოკიდებულება ბლაითდეილის ექსპერიმენტის მიმართ წინააღმდეგობრივია. იგი ქედს უხრიდა ჩანაფიქრის კეთილშობილებას, მაგრამ აკრიტიკებდა მისი რეალურად განხორციელების შესაძლელობას, რადგან დაინახა, რომ ეს მხოლოდ რომანტიკული ილუზია იყო. ხელოვანი ადამიანისათვის ფიზიკური შრომა მძიმე ტვირთია. “ჩვენი ცხოვრების ახალ პირობებში არის არა იმის საშიშროება, რომ ცუდი მიწათმოქმედი გახდე, არამედ იმის, რომ მხოლოდ მიწათმოქმედი გახდე და მეტი არაფერი. სანამ ჩვენი წამოწყება მხოლოდ თეორია იყო, ჩვენ ვტკბებოდით ოცნებით სული შთაგვებერა შრომისათვის. ის უნდა ყოფილიყო ჩვენი ლოცვა, ჩვენი ახალი რელიგია. ნიჩბის თითოეულ დარტყმას უნდა გაეშიშვლებინა სიბრძნის ფესვი, რომელიც აქამდე მზის შუქს ემალებოდა” (Hawthorne 1865: 79).

მეტად საინტერესოა მწერლის დამოკიდებულება სიმართლისადმი. დიმსდეილის ცოდვა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია “ალისფერ ასომთავრულში”, არ არის ვნების ცოდვა, არამედ მღვდლის დაშორება სიმართლესთან. ჰოთორნის მისწრაფება იყო თაყვანი ეცა სიმართლისათვის და ყველა საგანი, რასაც არ ჰქონდა დვთიური სული, აღექვა ჩრდილის მსგავსად, ადამიანთა ცხოვრებაში წონას, ფასეულობას მოკლებულად. “მას ბუნებით უყვარდა სიმართლე, ვერ იტანდა ტყუილს, რაც ცოტას თუ შეუძლია”. (Newton 1929: 24) დიმსდეილი, როგორც მღვდელი საუბრობს სიმართლეზე, თუმცა თავისივე ცხოვრებაში აქცევს მას ტყუილად, აქედან იწყება მისი გაუცხოება ჭეშმარიტებისაგან, დვთისაგან. მართალია, ხალხს ჯერ კიდევ ესმის სიმართლე მისი ბაგეებიდან, მაგრამ მისთვის, როგორც პიროვნებისათვის ყველაფერი ყალბი ხდება და მისი რეალური არსებობა საფრთხის ქვეშ დგება. ავტორი ამბობს: “ეს არის ენით გამოუთქმელი ტანჯვა, ისეთივე ყალბი, როგორიც მისი ცხოვრებაა. ის იპარაგს ჩვენს ირგვლივ არსებული რეალობის არსს და სუბსტანციას, რაც ზეციდან არის მოცემული, რათა სულისათვის საკვები და სიხარული არსებობდეს. არამართალი კაცისთვის მთელი სამყარო ყალბია, ის უგრძნობელია

და უკან იხევს თავის შეგნებაში. ასეთი კაცი იქცევა ჩრდილად ან უბრალოდ წყვეტს არსებობას" (Hawthorne 1852: 126) ერთადერთი სიმართლე, რითაც დიმსდევილის რეალური არსებობა გრძელდებოდა დედამიწაზე, იყო სულის სიღრმეში არსებული ტანჯვა, რაც გულწრფელად გამოიხატა მის გარეგნულ იერსახეში. ავტორი თავის გმირს ათქმევინებს: "ეპიტიმია საკმარისად მქონდა, მონანიება კი არა". (Hawthorne 1852: 357) რაღაც ალისფერი ასო "ა"-ს მსგავსი რომ მასაც საქვეყნოდ აღიარებდეს ცოდვილად, თუნდაც ეს სიმართლე გადაარჩენდა, მაგრამ ახლა, "ეს ყველაფერი სიყალბეა, სულ სიცარიელეა, სიკვდილია" (Hawthorne 1852: 358) დიმსდევილის პირვენებაში არსებობს ცოდვა სიმართლისა და ღმერთის წინაშე, რის გამოც იგი განიკვეთა. ამ ცოდვის გამო აღმოჩნდა იგი სიყალბეში, სიცარიელეში, სიკვდილში. მისი სიკვდილი, როგორც თავად ამბობს არის ტრიუმფალური, საზეიმო სირცხვილი, რომელიც იმ იმედს წარმოშობდა, რომ მისი სული სამუდამოდ დაკარგული არ არის. მეტად დაგვიანებულია მისი ჭეშმარიტი სიცოცხლე ამქვეყნად აღდგეს. რომანტიკული რომანის მორალსაც ალბათ ეს მიწიერი ტრაგედია წარმოადგენს. ესთერის გმირი ნაწარმოების სიმართლის მეორე მხარეა. ის ეწინააღმდეგება დვოიური დედობრიობის სახებას. "წმინდა სახებას უცოდველი დედობისა, ვისი ჩვილიც სამყაროს ცოდვების გამოსყიდვა იყო" (Hawthorne 1852: 108) "საქმე გვერდა ღრმა ცოდვის ლაქასთან, რომელმაც განსაკუთრებულად წმინდა ადამიანური ცხოვრება დაალაქავა... და გამოიწვია ის რომ სამყარო უფრო ბნელი იყო ამ ქალის მშვენებისათვის, და კიდევ უფრო დაკარგული იმ ბავშვისთვის მან რომ შვა" (Hawthorne 1852: 108-109) მოგვიანებით ესთერმა უარყო მშვენიერი საგნების კეთებიდან მიღებული სიამოვნება და დარიბებისათვის უხევში სამოსის კეთება დაიწყო, რაც მის მიერ სინანულზე მიუთითებს.

პოთორნის პრეტენზია სიმართლეზე "მარმარილოს ფავნში" მიეკუთვნება ამ სიმართლის გარეგან გამოხატულებას ხელოვნების ნიმუშებში. პირველივე გვერდებზე, როცა ოთხ გმირს ერთად კრებს, ის გვთავაზობს სიმბოლოს "ბავშვის ლამაზ ფიგურას, რომელსაც გულზე მტრედი მიუხურებია, მაგრამ თავს გველი ესხმის" (Hawthorne 1866: 16) ამ სიმბოლოში ადამიანის სულის არჩევანია გამოხატული, უცოდველობა თუ სატანის ქეშევრდომობა, სურათზე უფრო მნიშვნელოვანი აქ ავტორის კომენტარია, ეს "სიმბოლო ისეთივე დამაჯერებელია ამ მომენტისათვის, როგორიც ორიათასი წლის წინ იყო" (Hawthorne 1866: 15) მოგვიანებით მწერალი ამტკიცებს მისი სიმბოლოს უნივერსალურობას.

ლაიტმოტივი პოთორნის "რომენსში" არის დონატელოსა და პრაქსიტელეს ფავნის მსგავსება. დონატელო უცებ უკავშირდება მთავარ ჭეშმარიტებას. მაგალითად ის ამბობს "შავ სიღრმეებში ფავნმა იპოვა სული და ებრძოდა მას ზეცის შუქისათვის" (Hawthorne 1866: 53) მნიშვნელობები დონატელოსა და სხვა გმირების შესახებ, როგორც ცალკეული გასაღები, ნაჩვენებია ხელოვნებასთან კავშირში. მოთხოვის დასასრულს ერთი წინადადება არის საყურადღებო, ავტორი ყველა თავის გმირს ერთად კრებს ისე, როგორც ეს ნაწარმოების დასაწყისში ხდება და გვიხატავს მირიამს, როგორც მთავარ გმირს: "მან თავისი თავისათვის სასწრაფოდ შექმნა ახალი სფერო, რომელშიც ჰილდას ნაზი სისუფთავე, მოქანდაკის მგრძნობელობა, ჯანსაღი აზრი და გენია, დონატელოს ბუნებრივი უბრალოება მისცემს მას ბედნიერების განცდის საშუალებას" (Hawthorne 1866: 246)

პოთორნის რომანტიკულ რომანს და საერთოდ მთელ შემოქმედებას ისტორიული რემინისენსიები ასაზრდოებს. იგი რთული გასაგები იქნებოდა ახალი ინგლისის, მისი პურიტანული ზნეობის, ჩვევების, მისი იტორიისა და რელიგიური აზროვნების განხილვის გარეშე. არცერთი ამერიკელი მწერალი რომანტიკოსი არ არის ისე მჭიდრო ძაფებით მიჯაჭვული ადგილობრივ ტრადიციებს, როგორც პოთორნი. შესავალ ნარკვეგში "საბაჟო" მან გამოხატა თავისი გრძნობები ახალი ინგლისის მიმართ. ის ყოველთვის გაორებული იყო პურიტანულ საზოგადოებასთან მიმართებაში. ერთის მხრივ, თავს მათ შთამომავლად თვლიდა, მეორეს მხრივ კი სინდისის ქენჯნას განიცლიდა, რადგან ბოლომდე ვერ ეთანხმებოდა მათ მორალს. ეს საზოგადოება არა მხოლოდ უბრალო, მკაცრი ან შეზღუდულია, არამედ შეუბრალებელი სასტიკი, და პიროვნული მეს დამთრგუნველი. "ის რასაც ისინი თავისუფლებას უწოდებდნენ-წერდა პოთორნი მოთხოვიაში- "მთავარი ქუჩა"- რკინის გალიას მოგაგონებდათ" (Hawthorne 1852: 27) ავტორის ეს სიტყვები რომანტიკული რომანის პურიტანული საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი. პოთორნი არ ივიწყებდა ახალმოსახლეთა სულიერ სიძლიერეს, რწმენის სიწრფეებს, ხასიათის სიმტკიცეს, ქედუხრელობას, მაგრამ აღნიშნავდა, რომ წინაპრების რელიგიური ფანატიზმი, აზროვნების დოგმატიზმი, საკუთარი უცოდველობის უყოფმანო რწმენა, მისთვის მისაღები არ იყო: "ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გადავაგდეთ ყველა ის უსიამოვნო გავლენა, რაც ბევრ კარგთან ერთად პურიტანი წინაპრებიდან მემკვიდრეობად დაგვრჩა" (Hawthorne 1852: 41) მისი წინაპარი ჯონ პოთორნი, 1692

წელს ჯადოქრების პროცესზე მოსამართლე გახლდათ, სადაც ცხრამეტ ქალს სიკვდილი მიუსაჯეს. თავად პოთორნი წერს: “ის ისე გამოირჩეოდა სისასტიკით, რომ მათი სისხლის ლაქა ალბათ მის ძვლებსაც კი აჩნია ჩესტერ სტრიტის სასაფლაოზე, თუ უკვე სულ ფერფლად არ ქცეულან, და აქვე ამატებს, არ ვიცი ნანობდნენ ჩემი წინაპრები და დმერთს სთხოვდნენ შეწყალებას თუ არა, მაგრამ მე ამას მათ მაგიერ ვაკეთებ და დმერთს ვთხოვ, რომ ყოველგვარი წყევლა რაც ჩენს გვარს თავს დაატყდა, მოგვეხსნას.” (Winters 1938: 14) ეს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მწერლის შემოქმედებაში კარგად ჩანს.

“ალისფერ ასომთავრულ ში” პურიტანული სამსჯავროს დახასიათებისას ბაზრის მოედანზე პოთორნი ჩვეული ირონიით აღნიშნავს რომ პურიტანები პატიოსანი, მართალი და გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანები იყვნენ, რომლებსაც შეეძლოთ გარკვეულიყვნენ გზააბნეული ქალის სულ ში და გაეხსნათ მასში გადახლართული კეთილისა და ბოროტის ძაფები.

ესთერ პრინის ისტორია, როგორც სიუჟეტის მთავარი ხაზი, ორიგინალობით ან რაიმე სირთულით არ გამოირჩევა. მწერალი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს სამ ადამიანზე, რომელთაც ჩადენილი დანაშაული და საკუთარი ცოდვის სიმძიმე აწამებთ. ერთმა აღიარა და ამით თავი გადაირჩინა, მეორე არ გამოტყდა და თავი დაიღუპა. მესამემ გულის სიღრმეში დამალა თავისი ბნელი ჩანაფიქრი და დესპოტად იქცა. შინაარსის შესაბამისად, თხრობის მიმდინარეობა უფრო რომანის პერსონაჟების მიერ სხვადასხვა თვალით დანახული პრობლემების განსჯას ჰგავს, ვიდრე თხრობას. თუმცა მკითხველი არ არის მათი დანაშაულის უშუალო თვითმხილველი, მაგრამ მაინც შიშით აკვირდება როგორ ლრდის გმირებს სინანული და მიტევების წყურვილი. ცოდვის მისტერია და ავტორის მიერ პარადოქსული მიღეომა ცოდვის მიმართ ყველა რომენსში ჩანს. კითხვა რა არის საერთოდ ცოდვა აქტუალურია. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ნაკლებად ვერკვევით ბედისწერის საკითხებში შეიძლება ასეც ითქვას, რომ ადამიანი, რომელიც ამ მორალურ წესრიგს აბიჯებს არა მაინცდამაინც მონანიების გზით, არამედ ცოდვის შიშით და შეგრძნებით. შესაძლოა ის რაც ცოდვა გვგონია სულის რეგენერაციის საშუალება იყოს. შესაძლოა ადამიანს უნდოდეს თავი მიუძღვნას მაღალ იდეალებს, მაგრამ მან იცის რომ ეს იდეალი არ დევს ბუნების ჭეშმარიტებაში. მაშინ მისმა თავდაღებამ შეიძლება ბოროტებამდე მიიყვანოს. ეს საკითხები რწმენასა და დანაშაულის გამოსყიდვასთან ერთად ნაწარმოებების მორალურ პრობლემატიკაში ძალიან

აქტუალურია. ესთერ პრინის საქციელი ტრანსცენდენტალური დოქტრინის „გწამდეს საკუთარი თავის“ ერთგვარი გამოხატულებაა, მაგრამ უფრო სხვაგვარად ვიდრე ეს ემერსონს აქვს მოცემული. ქალის სიყვარული დიმსდეილის მიმართ მისი ცხოვრების თანმდევი გულწრფელი ვნება გახლდათ და ქალი სრულიად დაემორჩილა მას. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მორალური წესრიგი დაარღვია. ნაწარმოებში არ ჩანს რომ ავტორი გმობს ქალის ან მღვდლის ცოდვას. ერთადერთი ბრალდება დიმსდეილის მიმართ არის მისი სილაჩრე, თვითრწმენის უკმარისობა, არამზაობა, რომ საჯაროდ აღიაროს მისი სიყვარული. ვნება, რომელიც ამ ორ ადამიანს შორის წარმოიშვა იყო სიყვარულის შედეგი და არ წარმოადგენს მონანიების საგანს. ესთერი გულგრილად აქცევს ზურგს ახალგაზრდობას, ვნებებს, რათა წარმოაჩინოს ცოდვის მკაცრი შედეგები. რაკი მწერალთან ერთად მკითხველიც იკვლევს ადამიანთა ზნეობრივ სხეულებას, უფლება აქვს მისი გამომწვევი მიზეზიც იცოდეს. ავტორისაგან თანაგრძნობა ჩანს დიმსდეილისა და ესთერის მხატვრული სახეების მიმართ. გამოსყიდვის დოქტრინა ჩილინგვორსის გმირის მიმართ უფრო ჩანს, რომელიც სასტიკი შურისძიების მონად იქცა და თავად გახდა ბოროტების საწყისი. ეს ფაქტი ერთგვარი კომენტარია ემერსონის მხიარულ დოქტრინაზე, რომ ეს პირქუში სული განწირულია, რადგან მან დაღუპა ახალგაზრდა ქალი მასზე დაქორწინებით და მაინც ეს უკანასკნელი არ ბრაზობს მასზე, თუმცა თავადაც თვლის, რომ მღვდელი უნდა დაისაჯოს დაზარალებული ქმრის მხრიდან. დანაშაულის გამოსყიდვა ერთის მხრივ ნამდვილს ფატალიზმს ემსგავსება, რადგან შურისძიებას არასოდეს არავინ მიყავს ბედნიერ დასასრულამდე. გამოსყიდვის დოქტრინის ოპტიმისტური შემობრუნება ესთერის გმირის მხრიდან ჩანს, ან უმჯობესია ითქვას, რომ ქალი ემერსონის „წრეების“ ( მერსონ ) ოპტიმიზმის ილუსტრირებას ახდენს, მან შესცოდა, მაგრამ ამ ცოდვამ ცხოვრების უფრო დიდ გზაზე გაიყვანა. ესთერი აღმოაჩენს, რომ თავისი ცხოვრების აზრი იპოვა. სოციალური ასტრაკიზმი მას თავისუფალ დროს აძლევს დაფიქრდეს და სწორი კუთხიდან შეხედოს თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს პრობლემას. ამის შემდეგ იღება მისთვის სამყაროს ის კარი, რაც ჩვეულებრივი ქალისათვის მოიუწვდომელია. ჰოთორნმა აღწერა „ალისფერი ასომთავრულის“ მატარებელი ორიგინალური ქალი „ენდიკოტსა და წითელ ჯვარში“ რომელიც თავის სირცხვილს იმით გაუმკლავდა, რომ ლამაზად ამოქარგა „ა“ და ამაყად ატარა. ასე რომ რომენსში ავტორი საშუალებას აძლევს ცოდვას ბოლომდე

ამოწუროს თავი, პესთერის ბუნება და ხასიათი მხოლოდ სილამაზისკენ იცვლება, ის უფრო მოყვარული ხდება, უფრო ნაზი, უფრო დიდსულოვანი. ინტელექტუალურად ემანსიპირებული. ქალი მიუხედავად მისი პატარა ასაკისა, უკვე კეთილშობილი ქალის სახეს ქმნის. ფიქრები იყვნენ მისი კომპანიონები – ამბობს პოთორნი და ისინი ალბათ მეტ საფრთხეს ატარებდნენ, ვიდრე ის ცოდვა იყო, რომლის გამოც ალისფერი ასოთი დაისაჯა. პესთერი ხვდებოდა, თუ რამდენად უნდა შეცვლილიყო სოციალური სქემა, რომ ქალი დამტკბარიყო მამაკაცთან ნამდვილი თანასწორობით. ამ რომანტიკულ რომანში დევს სოციალური ინტერესი, სამყაროს მიუკერძოებელი კვლევა, რაც განასხვავებს პოთორნს სხვა ტრანსცენდენტალისტებისაგან. პურიტანული გარსამყარო წარმოდგენილია როგორც უკვე მკვდარი. პოთორნი გვიჩვენებს, რომ რელიგიოზული თავისუფლების ეს მამაცი დამაარსებლები ამ ველურ გარემოში იმთავითვე გრძნობენ საჭიროებას რომ ააშენონ ციხე და სამარცხვინო ბოძი. იდეალები, რომელიც თავიდან საზოგადოების შინაგანი სინათლე იყო, ეხლა უკვე განსჯის საგანია და ძალადობის საფუძველი ხდება. ყოველივე ამის ხაზგასმის დროს პოთორნი არ იყო პურიტანიზმის თაყვანისმცემელი, თუმცა უნდა ადინიშნოს, რომ არც მისი გამორჩეული კრიტიკოსი ყოფილა. მან პურიტანიზმის მომენტი ისტორიიდან გამოიყენა როგორც სიმართლის ასახვის საშუალება, როცა საზოგადოება უკვე იდეალების ჩარჩოებში მოქცევას ახდენს და სასტიკი ხდება. იმ დროს როცა ერთი წესების ნაკრების უარყოფა ხდება, მერე იქმნება მეორე, ახალი. თუმცა თავად პესთერის ბედში, შემდეგ კიდე უფრო ნათლად ზენობიასა და მირიამის ლიტერატურულ გმირებში გარკვეულწილად ჩანს მისი თანამედროვე ახალი ინგლისის პურიტანიზმის კრიტიკა. სამივე გმირი გამოირჩევა ლამაზი გარეგნობით, მაგრამ ცხოვრებისგან გარიყელია. საზოგადოების მხრიდან ამ დამოკიდებულების მიზეზი მათი სილამაზე ხომ არ არის და არა მათი ქცევა. რა პერსპექტივა შეიძლება პქონდეს ქალს ახალ ინგლისის პურიტანულ საზოგადოებაში. აგტორს ასეთი კითხვა უჩნდება, თუ ქალი ტრადიციულია ის იოლად შეძლებს გადალახოს ბარიერი, რასაც სილამაზე ჰქვია, მაგრამ ამავდროულად ის საშიშია, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე გარშემოყოფებისათვის. სწორედ სილამაზის გამო სამივე გმირი იძულებულია ადრეულ ასაკში უსიყვარულოდ გათხოვდეს. მამაკაცები მათ სულიერ ღირებულებებს ვერ აფასებენ.

პოთორნის რომენსების უცვლელი თემაა წარსულის მუდმივი ზემოქმედება ახლანდელზე, რაც ასევე დამახასიათებელი იყო მისი თანამედროვე მწერლების პენრი ჯეიმსის, ტომას ელიოტის შემოქმედებისათვის. ეს თემა მთავარი იდეაა რომანში "შვიდფრონტონიანი სახლი". გამონაკლისი არც "ალისფერი ასომთავრული" გახდავთ. რომენსის ვრცელი ფონი ჩამოქსოვილია მოგონებებისა და ილუზიებისგან და უინტროპის პურიტანული კოლონიის პირობით ჩარჩოშია მოქცეული. ავტორი ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ ჩვენს წინაშეა არა სამი ღვთისმოშიში, თეოლოგიის დოგმებით დატვირთული ადამიანი, არამედ დილემის წინაშე მდგარი სამი ამაყი გონი. ეს დილემა ისევე ძველი და გადაუჭრელია როგორც ყოფიერება. ამოქარგული "ა"-ს მსგავსი პურიტანული აქსესუარები ტრაგედიის გარეგანი მხარეა. ისინი ამ ეპოქის ჩვეულებებს ასახავენ. აქ მთავარია არა რელიგიური დოგმები, არამედ სინდისის ქენჯნა, ტანჯვა, რაც მხოლოდ პურიტანებისთვის არის დამახასიათებელი. ცოდვა, მისი შედეგი და აქედან გამომდინარე თვითგვემა ყველა დროში არსებობდა. "მკაცრი, ნაცნობი გამოხედვა" რომელიც ესთერს ბრალს დებს, დიმსდეილის ტანჯვა, ფარისევვლურად რომ ქადაგებს კათედრიდან, ჩილინგუროსის თვითგვემა შურისძიებისკენ რომ ისწრაფვის... ყველა ეს შეგრძნება არ არის მხოლოდ მე-17 საუკუნისათვის დამახასიათებელი, რომლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შეეცადა პოთორნი ჩაეტია მისთვის ამაღლვებელი ეთიკური და მორალური საკითხები. როცა თხრობა პურიტანული მორალით არ არის გაჯერებული, მაშინ ის ბოროტების ბუნების და ადამიანის გაუცხოების შესახებ მსჯელობას ემსგავსება. ამ კუთხით პოთორნის რომანტიკული რომანი ბევრად აღემატება მის ნოველებს. საერთო მოქმედებაში ჩახდართულია რთული ზნეობრივი პრობლემები. პოთორნი ხშირად სვამს კითხვებს მათ შესახებ, თუმცა კონკრეტული პასუხი არასოდეს არა აქვს.

წარსული "შვიდფრონტონიან სახლში" სხვადასხვა ფორმებში არსებობს. პინჩენების გვარში არსებული ლეგენდა ერთერთ მაგალითად გამოდგება. მის თანახმად, შორეულ წარსულში მცხოვრებმა მდიდარმა და გამოჩენილმა მოქალაქემ, პოლკოვნიკმა პინჩენმა დარიბ მეთიუ მოლს მიწის ნაკვეთი წაართვა. უთანხმოება გრძელდებოდა, სანამ მოლი ჯადიქრობის ბრალდებით არ ჩამოახჩვეს. პურიტანული ფანატიზმით შეგულიანებული პოლკოვნიკი პინჩენი სდევნიდა მოლს და როგორც ვარაუდობდნენ, მის დასჯაში დიდი როლიც შეასრულა. ეშაფოტზე ბებერმა ჯადოქარმა მისი მისამართით ცნობილი წყევლა წარმოთქვა "ღმერთი დაარწყელებს მას ადამიანის სისხლით" მოლის სიკვდილის

შემდეგ მის ნაკვეთზე პოლკოვნიკმა შვიდფრონტონიანი სახლი ააშენა. არქიტექტორად და დურგლად მეთიუ მოლის შვილი, ტომას მოლი მოიწვია. ახალმოსახლეობის დღეს პოლკოვნიკი მკვდარი იპოვეს. მის კისერზე მუქი წითელი კვალი ჩანდა, თითქოს დაახრჩეს, წვერი და საყელო კი პირიდან გადმონთხეული სისხლით იყო დასვრილი.

ამ სახლში მცხოვრები პინჩენები შემდეგში მსგავსი სიკვდილით კვდებოდნენ. ქალაქის მცხოვრებლები იგონებდნენ მოლის წყევლას, რომელიც ასე ამძიმებდა პინჩენთა გვარს. თუმცა ისინი არსებობას განაგრძობდნენ და ბედნიერები არ იყვნენ, მოლის მემკვიდრეები კი მიივიწყეს. მიუხედავად ამისა, თაობიდან თაობამდე მათი გზები იკვეთებოდა და მოლის შთამომავლები აგრძელებდნენ შურისძიებას, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი.

“სახლი 7 ქიმზე” იმდენად მშვიდი ისტორიაა, რომ ჰოთორნისეული კრიტიკა დოქტრინისა “გჯეროდეს საკუთარი თავის”, ან ცოდვათა გამოსყიდვის თავიდან დიდად არ იგრძნობა. რომენსის მთავარი თემა არის ხანგრძლივი შურისძიება, ბებერი მოლის წყევლა, რომელიც უზურპატორი პინჩენების ყველა თაობას თან სდევს. რა სასჯელს იმსახურებს კაცი, რომელიც თავის უდანაშაულო ბიძაშვილს მრავალწლიანი პატიმრობისათვის გაწირავს? იგი უბრალოდ აპოპლექსიით კვდება, რითაც სავარაუდოდ მოკვდებოდა უდანაშაულოც რომ ყოფილიყო და რა მოსდიოთ მის მსხვერპლთ? იოლი გასაგებია ემერსონი როგორ მიუდგებოდა კლიფორდისა და ჰეფსიბას საკითხს. კლიფორდის დის ლოიალობა, რომელიც მოთმინებით და ერთგულებით ელოდება ძმას, მის ხასიათს დიდ კეთილშობილებას ძენს. ჰოთორნი გვიჩვენებს სახლში დაბრუნებულ კლიფორდს, გატეხილს, გადიზიანებულს. ჰეფსიბას ხანგრძლივი მოლოდინი განაპირობებს მის მარტოობას, თითქმის ისეთივე საშინელს, როგორიც ციხეში ყოფნაა. ავტორი გვიჩვენებს მას როგორც გამოფიტულ შინაბერას, პირქუშს, ძველი მიმზიდველობა თითქმის არსად ჩანს. ავტორს არა აქვს სურვილი ემერსონისგან განსხვავებით ქალის ეთიკურ სილამაზეზე ისაუბროს მისი თმენიდან და ცხოვრებიდან გამომდინარე, თუმცა ისიც, როგორც მისი ძმა, უხეში უსამართლობის მსხვერპლია. ჰოლგრეივი თავისუფალია წარსულისაგან და აქედან გამომდინარე თავისუფალია ახლანდელისაგანაც. მისი პატიოსნება და ემანსიპირებულობა მკითხველს იზიდავს. რადგან ის არავითარი გავლენის ქვეშ არ არის. თვით პებიც კი, ახალგაზრდა გოგონა რომელზეც ის ქორწინდება, რომელსაც ბუნებრივი სისალისე და უმანკოება აქვს კურიოზულად სოციალური ჩანს ამ

კეთილსინდისიერ მაწანწალასთან შედარებით. რომლის ერთადერთი შიში ისაა, რომ მოუწევს სადმე ფესვები გაიდგას. რომენსი იწყება პურიტანული სამყაროს დასახლების დროიდან და მოქმედება ხორციელდება ახლანდელ დროში, კეთილმოწყობილ პინჩენების ბაღში. ამ გაწელილ დროის სივრცესთან შედარებით, “ალისფერი ასომთავრულში” მომხდარი ისტორია მხოლოდ მოკლე ეპიზოდია. მოლის ტრაგედიისაგან წარმოშობილი ბოროტება გამოიწვია წარსულის ზეწოლამ. ნუთუ ვერასოდეს ვერ გავთავისუფლდებით ამ წყეული წარსულისაგან? ამბობს მოლის შთამომავალი დაგეროტიპისტი პოლგრეივი თავის მონოლოგში. (Hawthorne 1851: 197) წიგნი უარყოფით პასუხს იძლევა. ადამიანს თავისუფალი ნება არ გააჩნია. ტრანსცენდენტალისტების ოპტიმისტური განწყობის თეზისის საწინააღმდეგოდ პოთორნი ხედავს, რომ ახლანდელი შეუბრალებელ წარსულზეა დამოკიდებული. თუმცა ეს მისტიკური ლეგენდა შეიძლება სხვაგვარადაც იქნეს ახსნილი. მეთიუ მოლი, ისევე როგორც ყველა მისი შთამომავალი, მესმერიულ ძალას ფლობდა. იმ წლებში, როცა ეს რომენსი იქმნებოდა, ამერიკა გატაცებული იყო მესმერული მაგნეტიზმით და პოთორნიც მის ძალაში დარწმუნებული გახლდათ. ამას მისი უბის წიგნაკებიც მოწმობენ. მე-17 საუკუნის მცხოვრებლებმა არაფერი იცოდნენ დოქტორ მესმერის ცდების შესახებ და ჰიპნოზში სატანის მზაკვრობას ხედავდნენ. ამიტომ ყველა ისჯებოდა, ვინც კი ამ ნიჭს გამოამჟღავნებდა. პოლკოვნიკის სიკვდილსაც შეიძლება რეალურად შევხედოთ. მსგავსი ნიშნები აქვს სისხლძარღვების დაავადებას, რომელიც კარგად ცნობილია ექიმებისათვის და მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს. ასეთი ახსნით, ლეგენდა უკვე აღარ არის ლეგენდა და ფაქტების რაოდენობად იქცევა. შეგნიშნავთ, რომ პოთორნი მხოლოდ უშვებს მსგავს მოსაზრებებს, მაგრამ მას მკითხველს თავზე არ ახვევს, რადგან ის რომანტიკულ რომანს წერდა, რომლის მთელი მხატვრული სისტემა განუსაზღვრელობას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ბუნდოვანებას მოითხოვს. ლეგენდა მისთვის ფაქტებზე მნიშვნელოვანია. მოკლედ რომ ვთქვათ, წარსულის ფენომენი ამ რომენსში არ არის მხოლოდ ლეგენდა ან ფაქტები. ის მოიცავს პინჩენების გვარის ცხოვრების ასსამოც წელს საუკუნენახევრის განმავლობაში. პოთორნი შეეცადა წარსულისათვის მიეცა ფორმა, რათა მას ნაწილობრივ სიმბოლური, ნაწილობრივ კი კონკრეტული მოხაზულობა მიეღო. მას სურდა დაეტვირთა გმირები ამ წარსულით და დემონსტრირება მოეხდინა მისი ყოველდღიური ზემოქმედებისა ამ ადამიანებზე. ალბათ აქვთ წარმოიშვა შვიდფრონტონიანი

სახლის იდეა, რომელიც რომენსში ადამიანთა საცხოვრებელზე უფრო მნიშვნელოვან რაღაცას აღნიშნავს. სახლი სიმბოლო ნაწარმოების პირველივე გვერდებზე ჩნდება, შემდეგ ეს მხატვრული სახე ფართოვდება, იზრდება დეტალებით, რომლებიც საკუთარ მნიშვნელობას იძენენ, ყოველივე ეს ერთად აღებული, ერთიან, პარმონიულ მთლიანობას წარმოადგენს. წარსულის ფენომენი აქტუალურია “მარმარილოს ფავნშიც”. რომაული სამყაროს ნანგრევები რომენსში ციფილიზაციის მთელ წარსულს იპყრობენ და იტალიის ხედი ბუს კოშკის უმაღლესი მწვერვალიდან არსებითად მთელი ადამიანური ცხოვრების მსოფლედველობაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური “მარმარილოს ფავნში” კვლავ ცოდვის თემაა. მთავარი გმირი მირიამი იმეორებს იგივე პრობლემას, რაც ესთერს და ზენობიას აქვთ. ნაწარმოები შესანიშნავად გამოხატავს პოთორნის რწმენას, რომ ზოგიერთი ჩვენი არატრადიციული პირობებისაგან თავისუფალ იმპულსებს მივყავართ პრაქტიკული მორალურობისაკენ. მაგრამ წიგნის მთელი ფილოსოფია კონცენტრირებულია დონატელოში, ბუნების ამ შესანიშნავ ქმნილებაში, რომელიც ცხოვრებას იწყებს ცხოველის მსგავსი უმანკოებით და რომელიც განვითარებასთან ერთად იმპულსური მკვლელი ხდება. “წრების” დოქტრინის ყველაზე ნათელი ილუსტრირება აქ ხდება. აქ ვხედავთ პოზიტივის ევოლუციას გამომდინარეს ცოდვისგან და არა ცოდვის მონანიებიდან. მაგრამ თუ დოქტრინა სრულყოფილია და მტკიცე, ჩვენს თეოლოგიას მაშინ კარგი გადახედვა ჭირდება და პოთორნი გვთავაზობს ცოდვის კონცეფციის ლოგიკურ ცვლილებას: ”გამოდის რომ ცოდვა, რომელსაც ჩვენ ვთვლით საშინელ შავ ლაქად ამ სამყაროში, მხოლოდ ადამიანური შეცნობის ნაწილია, ისევე როგორც მწუხარება, რომლის გავლითაც ჩვენ ვისწრაფვით უფრო მაღალი და უფრო სუფთა სამყაროსაკენ ვიდრე ჩვენია? იმისათვის ხომ არ დაეცა ადამი, რომ ჩვენ მიგვეღწია უფრო მაღალ სამოთხემდე ვიდრე მისი იყო? (Hawthorne 1860: 233) თავს, რომელშიც მირიამის უცნობ მდევარს კლავენ, ”უფსკრულის პირას“ (Hawthorne 1860: 203) ეწოდება. იგი იწყება წარმოსახვითი უფსკრულის პირზე და მთავრდება ნამდვილთან. ორივე ადამიანური ცნობიერების სიღრმისეული გაგების სივრცის სიმბოლური ექვივალენტია. როცა ოთხი მთავარი გმირი ფორუმთან დგანან, კენიონი ყვება უძველეს ლეგენდას უფსკრულის შესახებ, რომელიც უეცრად გაიღო აქ და დაიხურებოდა მხოლოდ რომის უდიდესი განძის მსხვერპლშეწირვისას. ის ირწმუნება: “წარმოიდგინეთ დიდი, ბნელი, ნაპრალი,

თვალუწვდენელად ღრმა, ნახევრადფორმირებული მონსტრებით, საშინელი სახეებით, ბუნდოვნად რომ მოსჩანან მასში და წარმოიდგინეთ იმ მოქალაქეების შიში, ვინც შიგნით ჩაიხედავს" (Hawthorne 1866: 203) მირიამი უფსკრულს, როგორც მეტაფორას ისე აღიქვამს: "მე წარმომიდგენია, რომ ყველა პიროვნება იხედება მასში სასოწარკვეთისა და სულით დაცემის დროს". (Hawthorne 1866: 203) უმანკო პილდა ამ იდეის წინააღმდეგია, რადგან "ის არასოდეს იხედება მასში" (Hawthorne 1866: 203) მაგრამ მირიამი აფრთხილებს, რომ ის მისთვისაც გაიხსნება. ამავე თავში მოქმედება კულმინაციას აღწევს, მეგობრები ტარპეის კლდეზე დგანან და იმ მოღალატებზე ფიქრობენ, რომლებსაც აქ დასჯის მიზნით ტოვებდნენ. ყველანი მიდიან, მაგრამ მირიამი რჩება დონატელოსთან ერთად და პილდაც შეუმჩნევლად მობრუნდება, რათა მათ შეუერთდეს. მოჩვენება ჩნდება და "შავი ორმო" ყველასთვის აღებს პირს. დონატელო ხელს კრავს მირიამის მწვალებელს და კლდიდან გადააგდებს. ეს ფაქტი გახდა მიზეზი დონატელოს პირველი შეხებისა ცნობიერების შავ უფსკრულთან და პილდას პირველი გამოცდილებისა რეალობისათვის თვალის გასასწორებლად. ამ მომენტიდან სამივეს ტანჯავს ნანახი. ადამიანური ბედნიერების მსუბუქი შრის ქვემოთ საშინელი დანაშაული იმაღება, რაც გმირების ცხოვრების ტრანსფორმაციას იწვევს.

საზოგადოდ აგტორმა ცოტა იზრუნა იუმორისათვის თავის ნაშრომში. მისი აზრით წიგნმა არ უნდა შექმნას მხიარული შუქი. პერლის ცელქობების გარდა "ალისფერ ასომთაგრულში", ცოტა რამ თუ გზხვდება იუმორისტული. თავის კოშკში მონანიებისათვის მყოფი დონატელო იღიმება, როცა ლაპარაკობს, რომ არ გამოაჩენს მის ყურებს კენიონისათვის მოდელირების დროს. ავტორი იყენებს იუმორს, რათა დახატოს თავისი წარმოსახვითი ხასიათები. მირიამი გაუკონტროლებელ, ფეთქებად გონებამახვილობას ფლობს, რაც მის საუბარს იუმორისტულ ელფერს აძლევს თვით დიდი ტანჯვის დროსაც კი. როცა ის კენიონს გარმარილოს სალონში ხვდება და უხსნის მის საშინელ ფიქრთა დინებას, კენიონი ამბობს "ეს ძალიან ნაღვლიანია მირიამ" (Hawthorne 1860: 71) და ავტორი გვიჩვენებს ქალის იუმორს, რომელიც კენიონის სერიოზულობას მოკლე, არაბუნებრივი სიცილით არღვევს. "დიახ რათქმა უნდა, მეც ასე ვფიქრობ" (Hawthorne 1860: 71) ან მირიამი პილდას გამოქანდაკებული ხელის ყურებისას და მისი პიროვნული დამოუკიდებლობის განსჯისას ღიმილით წყვეტს კენიონის ნაღვლიან ფიქრებს "კარგი, შეიძლება მან გაიხსნას დახვეწილი მაჯა ...ამ

შემთხვევაში შენ შეიძლება იმედი გქონდეს" (Hawthorne 1860: 155) დონატელოს იუმორი განსხვავებულია. რომენსის პირველ ეტაპზე მას შეუძლია დიდებული ხუმარა იყოს არა ინტელექტულური გონებამახვილობის მქონე, არამედ ცელქი და მხიარული. მისი ყურადღება მირიამის მიმართ გვაგონებს მისი სპანიელისადმი სიყვარულს და ესეც სხვა სახის იუმორს წარმოშობს. კენიონის იუმორი დახვეწილი და მოსაწონია, მაგრამ ის ნამდვილი დამკვირვებელია, ვინც შეიძლება გაერთოს ნიმფისა და შადრევანის ისტორიით ან ჰილდას მარტივი გამოსვლებით რწმენის შესახებ, რაშიც ის "მშვენიერ აბსრდულობას ხედავს" (Hawthorne 1860: 133) ჰილდა სხვა გმირებთან შედარებით მოკლებულია იუმორის გრძნობას. ეს განსაკუთრებით რომენსის დასაწყისში იგრძნობა. იქნებ ამის გამოც, ის რეალობიდან ცალკე გამოყოფილი გვეჩენება. ჰოთორნი მთხოვნელი, კენიონის მსგავს იუმორს ფლობს და რამოდენიმე მომენტში ეს თვალნათლივ ჩანს. მაგალითად როცა კომენტარს აკეთებს ცოცხალი ან მკვდარი ბერების სუნის, უცხვირო ქანდაკებების ან ცერემონიების შესახებ. მწერლის მიერ ყველაზე ორიგინალურად გამოყენებული სატირა "ბლაითდეილის რომენსში" ჩანს. ბრუკფარმის ექსპერიმენტმა, რომელშიც ჰოთორნმა მონაწილეობა მიიღო, საშუალება მისცა ავტორს ექსცენტრული, უჩვეულო და თვალისმომჭრელი ხასიათები გამოეყენებინა მისი რომენსისთვის. მაგალითად ლიბერალი ინტელექტუალების მანერების შესწავლა, მათი იდეების კომიკური სახის ჩვენება. ან როგორია ინტელექტუალური ქალის გრძნობები, რომელიც რეცხავდა ჭურჭელს, აკეთებდა ფაფას. იმავდროულად იგი თანამედროვე ქალი იყო და თავისი პროგრესული იდეები უნდა ჩამოეყალიბებინა ამ საქმიანობის დროს.

### 3. 2. პოთორნის რომანტიკული რომანი, წარმოსახვისა და რეალობის გადაკვეთის ადგილი

ნარკვევში “საბაჟო”, პოთორნი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ მისი მონათხოვი სანდოა, რომ ჯონათან პიუს ძველი ხელნაწერი და რელიქვია, წითელი ქსოვილი ოქროსფერი ნაქარგის ნარჩენით “ა” დღემდე მის ხელთაა და შეუძლია ნებისმიერ მსურველს წარუდგინოს. უკვე შესავალში პირველივე სცენა, უკვე დამახასიათებელია რომანტიკული რომანისათვის. როცა პოთორნი მისი მონათხოვის მიხედვით შემთხვევით გულზე მიიდებს დროთა განმავლობაში ჩრჩილებისგან შეჭმულ წითელ ნაჭერს, მოეჩვენება, რომ რაღაც ფიზიკურად წვავს. "მკითხველს შეიძლება ჩემზე გაეცინოს, მაგრამ მას უჭვი არ უნდა შეეპაროს ჩემი სიტყვების სიმართლეში. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ასო დამზადებული იყო არა წითელი ქსოვილისგან, არამედ გავარვარებული რკინისგან. მე შევკრთი და უნებურად იგი იატაკზე დავაგდე." (Hawthorne 1852: 32) აქვე პოთორნი ისევ იყენებს სარკეს, როგორც საშუალებას, რათა დაადასტუროს წარმოსახვის ძალა საგნების შიგნით არსებული სულიერი სიმართლის გასამჟღავნებლად. "სარკე ყოველთვის არის ფანჯრის ან კარის მსგავსი რამ სპირიტუალისტურ სამყაროში შესასვლელად .სარკეზე თვალის შევლებისას, ჩვენ გამჩნევთ მის მომნუსხველ კიდეზე მოგარვარე ალს, ნახევრად ჩამქრალ ანტრაციტს. მთვარის თეთრი, მოციალე სხივები იატაკზე და მთელი შუქრდილების გამეორება, საშუალებას იძლევა ერთი ნაბიჯი გადაკდათ სინამდვილიდან წარმოსახვისაკენ. ასეთ დროს, მსგავსი სცენის წინაშე, თუ კაცი მარტო ზის და არ შეუძლია იოცნებოს უცნაურ საგნებზე, მიამსგავსოს ისინი სიმართლეს, მან არც უნდა სცადოს რომენსის წერა ... ყოველივე ამას გვთავაზობს სარკე, შესასვლელი მოჯადოებულ, ზებუნებრივი რეალობის სამეფოში. სარკე, რომლის ერთი შეხედვით უგრძნობ ზედაპირზე, ხილული სამყაროს ჩრდილები ციმციმებენ, ადამიანს რეალური სამყაროსგან

სინამდვილისგან ათავისუფლებს. საბოლოოდ, წარმოსახვა ხელოვნების სარკემ უნდა აირეპლოს, თუ ხელოვანი იმედოვნებს, რომ რომანტიკულ რომანს დაწერს.” (Hawthorne 1852: 36)

“ალისფერ ასომთავრულში” მოცემული ახალი ინგლისის მთელი ისტორია, დაწყებული ციხის კარის სცენიდან, ესთერ პრინის საფლავის აღწერით დამთავრებული, მკითხველს ატყვევებს რეალობისა და ფანტასტიკის დიდებული გადახლართვით, რაც ესოდენ დამახასიათებელია რომენსისათვის. მწერალმა თითქოს ხარკი გადაუხადა ახალი ინგლისის პურიტანულ წარსულს და მისი წინაპრების ფანატიკურ ბრძოლას ეშმაკების, დემონების და ბნელი ძალების წინააღმდეგ. რომენსი დატვირთულია რომანტიკული ლეგენდებით და იმ პერიოდის თქმულებებით. მწერალს ყველა ეს ისტორია აინტერესებდა, რადგან ძალიან აწუხებდა ერთერთი მისი წინაპრის, მოსამართლე ჰოთორნის მონაწილეობა “სეილემელი ჯადოქრების” სასამართლო პროცესში. ჰოთორნის გმირებიც სინამდვილის და წარმოსახვის აღრევის შედეგია. ამ ორი ხსენებული საწყისის შერწყმა, მის ყველა რომენსში გვხვდება. როცა ესთერი სამარცხვინო ბოძთან დგას, მწერლის თქმით, “მასში თითქოს რაღაც მომნუსხველი, ჯადოსნური იმალებოდა, რომელიც ქალს განაცალკევებდა სხვა ადამიანებისაგან და განსაკუთრებულ წრეს ქმნიდა მის ირგვლივ” (Hawthorne 1852: 202-203). ეს მომქნები თავისი არსით ორაზროვანია და ეკუთვნის რომანტიკულ რომანში არსებულ როგორც რეალურ, ისე ზებუნებრივ სფეროებს. რეალურ პლანში, ალისფერი “ა” გმირს საზოგადოებისგან იზოლირებულს ხდის, რადგან ამიერიდან გარევნილი ქალი დასჯილი აღმოჩნდა მკაცრი კანონების და ახალი ინგლისის ფარისეგლური ზნების შედეგად. იმავდროულად, როგორც რომენსის შემდგომი მოქმედების განვითარება გვიჩვენებს, ამ ქსოვილისგან შეკერილი ასოს მოქმედება ზებუნებრივიცაა. იგი ესთერს ეხმარება თანაქალაქელების კეთილდირსეული გარეგნობის უკან მათი ის ცოდვები დაინახოს, რასაც გულში ატარებენ. ავტორი არაზეგულებრივი განათების თეორიის წყალობით, რომელიც რეალურ სამყაროს სასწაულების ქვეყანასთან აკავშირებს, თითქოს თავად მკითხველს აძლევს უფლებას გადაწყვიტოს მართლა იყო ალისფერი ასომთავრული ჯადოსნური, თუ ესთერმა, რომელმაც მძიმე ტანჯვის გზა გაიარა, უნარი შეიძინა გარეგნულად დაფარული ადამიანის ხასიათის თვისებები შეემჩნია. ლიტერატურული არსებობს მოსაზრება, რომ რომანტიზმის წარმოშობისას, ფანტასტიკურისა და რეალურის პარალელიზმის პრინციპი ფანტასტიკური ფორმების განვითარების

საერთო კანონს წარმოადგენდა. “ალისფერი ასომთავრულის”, როგორც რომანტიკული რომანის ანალიზი შეგვახსენებს ავტორის მიღრეკილებაზე გამოიკვლიოს ადამიანის ქვეცნობიერების ის სფერო, რომელიც ზებუნებრივ სამყაროს ეხება. სხვადასხვა გარემოებებში მისი გმირები თავიანთ ტანჯვას უკავშირებენ უცნაურ მოვლენებს ცაში თუ მიწაზე. მაგრამ იქვე იგრძნობა პოთორნისეული ირონია და თიური ძალის ჩარევის რწმენის მიმართ.

ზებუნებრივ მოვლენებთან მიმართებაში, ავტორი არასოდეს ამბობს რაიმეს დარწმუნებით. ის უბრალოდ სვამს იმ მარადიულ კითხვებს, რომელზეც პასუხის გაცემა ძალინ ძნელია. რომანტიკულ რომანში იგრძნობა ავტორის სიფრთხილე, და თიური აზრის მიმართ დრმა რწმენა გამოამჟღავნოს. ამიტომ მხოლოდ ბუნდოვნად მიგვანიშნებს, რომ ესთერის დასასჯელად მის სამოსზე დამაგრებული სამარცხვინო ალისფერი ასომთავრული თითქოს დიმსდეილის მკერდზე გამოისახება, მაგრამ წიგნის თხრობის სტილი, ავტორის განწყობილება ამ ხილვის უაზრობაზე მიუთითებს და მკითხველს აიძულებს იფიქროს, რომ ეს ყველაფერი სულიერად ავადმყოფი ადამიანის ჰალუცინაციებია. ასე იქცევა სიმბოლო სინამდვილედ. გაცოცხლებული მოჩვენებები და გმირების ფანტაზიის ნაყოფი მსუბუქად, უხმაუროდ მოძრაობებს რომანტიკული რომანის ფურცლებზე, რაც გვაფიქრებინებს რომ ახალ ინგლისს ესაზღვრება მეორე ქვეყანა "რომლის ტერიტორია შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რადგან ვერცერთ რუკაზე ვერ ვნახავთ" (Hawthorne 1952: 36). რომანში არის ორი ორაზროვანი მომენტი, რაც მღვდელზე ზემოქმედებას ახდენს: “ა”-ს მსგავსი მეტეორის გამოსახვა ცაზე და ალისფერი “ა”-ს ნიშნის გაჩენა მღვდლის მკერდზე, რასაც ავტორი მის გონებრივ მღვმარეობას მიაწერს. როცა ტანჯული ცოდვილი მკერდს იშიშვლებს ეშაფოტზე, პოთორნი ზუსტი აღწერისაგან თავს იკავებს. შემდეგ კი სხვადასხვაგარ ახსნას იძლევა. რაც ზოგადად ორაზროვანია, შეიძლება უარყო, შეიძლება დაადასტურო. ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტით მღვდლის სულიერი განცდა და მდგომარეობა აღინიშნება. იყო ეს ნიშანი თვალით ხილული თუ არა, ორივე შემთხვევაში მკითხველის გადასაწყვეტია. პოთორნის მიერ პერლის აღწერას, რომელიც მგელს ეფერება, შეიძლება ამგარადვე დაგინახოთ. სინამდვილისა და წარმოსახვის აღრევა ავტორს იმ მოქანდაკეს ამსგავსებს, რომელიც ქანდაკების ჩრდილის საშუალებით მეტს ამბობს, ვიდრე თავად რეალური ქანდაკებით.

"შვიდფრონტონიანი სახლის" შესავალში პოთორნი შეცადა თეორიულად გაეაზრებინა საკუთარი ესთეტიკური პოზიცია. იგი აღნიშნავს: "რომანტიკული რომანი, როგორც ხელოვნების ყველა ნაწარმოები მკაცრად ემორჩილება მის კანონებს. თუკი ის ზოგჯერ დალატობს სიმართლეს და ცვლის ადამიანურ გრძნობებს, მაშინ შეუწყნარებელ შეცდომას ჩადის. მაგრამ ასეთი რომანის შემქმნელი მაინც არ არის გასაკიცხი, რადგან გარკვეულ გარემოებებში არ შეიძლება გამოიხატოს სრული სიმართლე ... მწერლის მისწრაფებაზე, ან წარმოსახვის თამაშზე ბევრი რამ არის დამოკიდებული" (Hawthorne 1851: III) თავისუფლება მატერიალურ სინამდვილესთან მიმართებაში და მის მიერ ამორჩეული გარემოებანი რათა ადამიანური გრძნობების სიმართლე გამოხატოს, ორგანულად უკავშირდება რომენსში დაყენებულ საერთო პრობლემას. "მისი მონათხოვი—ამბობს პოთორნი— რა თქმა უნდა რომანტიკულია, რადგან ავტორი ცდილობს წარსული ახლანდელს დაუკავშიროს. მკითხველის წინაშე ცოცხლდება ძველი თქმულება და ბუნდოვანი ბურუსივით ეფარება დღევანდელ ნათელ დღეს, მაგრამ თუ მკითხველს არ მოსწონს ეს ბუნდოვანება, ნუ შენიშნავს მას, ნუ განიცდის, როცა ლეგენდის მსუბუქი ღრუბელი ფერწერულობის მისაღწევად გარს ეხვევა ნაწარმოების გმირებს." (Hawthorne 1851: IV) ძველი ლეგენდებიდან ახლანდელ დროში არსებული პრობლემები იჩენს თავს. ავტორი გვიჩვენებს როგორ კვეთდა თაობიდან თაობამდე ორი გვარის მემკვიდრეობა გზები ერთმანეთს. მოლების შერისძიება წიგნში რომანტიკული ელფერით არის შემოსილი. მათ გააჩნდათ ადამიანის მონუსხვის ჯადოქრული უნარი და მისი აზრების წაკითხვა შეეძლოთ. ამ ფაქტის დამადასტურებელი ლეგენდა ალისა პინჩენის შესახებ რომენსში ცალკე ნოველად არის ჩართული. პოლკოვნიკის იდუმალებით მოცული სიკვდილის ამბავასაც აქვს რაციონალური ახსნა. მიუხედავად ამისა, ლეგენდისათვის დამახასიათებელი ბუნდოვანება რომენსის პირველივე გვერდებზე ჩნდება და მის დასასრულამდე არ იფანტება. რომენსის მხატვრულ სისტემაში პერსონაჟების მცირე აქტივობა და გარექმნებების ნაკლებობა კომპენსირებულია განსაკუთრებული ატმოსფეროთი, რომელიც რომენსისათვის ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია და რომელიც რეალური ფაქტებისა და წარმოსახვის აღრევის შედეგად წარმოიშობა. ამასთან ერთად მოქმედების ჩარჩო მოძრაობს და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ იმ მოვლენებს, რომლის თანამედროვეცაა მთხოვნებელი, არამედ ასწლეულების

წინანდელ ამბებსაც. მოქმედი პირების რიცხვში ის ადამიანებიც ფიგურირებენ, ვინც კარგა ხანია დასტოვა სააქაო.

რომენსში ჩართული ალისა პინჩენის ისტორია გოტიკური რომანებიდან არის აღებული. მისტიკური მუსიკა, ძველი პერგამენტი, სამალავები, რომანის სიუჟეტის განვითარება, თავად მოლის და პინჩენების მტრობის ისტორია, მოსამართლე პინჩენის მელოდრამატული სიკვდილი მისი ადრეული, შედარებით სუსტი რომანების გმირების ამბავს მოგვაგონებს.

“მარმარილოს ფავნის” უნიკალურობა, ისევე როგორც სხვა რომენსების, წარმოსახვის და სინამდვილის ადრევის შედეგია და ეს შერწყმა ბევრად უფრო რთულად არის შესრულებული ვიდრე სხვა ნაწარმოებებში. ეს სირთულე უკვე გაორებულ სათაურშიც ჩანს — "მარმარილოს ფავნი ანუ მონტებენის რომენსი". პრაქსიტელეს ფავნი და მონტებენის გრაფი რეალური სახეებია. ქანდაკებას მატერიალურად ხელშესახები ისტორიული მნიშვნელობა აქვს და გრაფიც რეალურად ჰქონდება. რომანტიკულ რომანს ლაიტმოტივად გასდევს ქანდაკებასა და გრაფს შორის მსგავსება. ამდენად გასაოცარი არ არის, რომ ნაწარმოებში ავტორი თავის ხელოვნების სრულყოფას სინამდვილისა და წარმოსახვის შერევით აღწევს. ამ რომანტიკული რომანის პარალელი შეიძლება გავავლოთ მოთხოვნების მიზანით "მშვენიერების ოსტატი", რომელშიც ოუენი საოცარ პეპელას ქმნის. რომაული ნანგრევების სიძველე რომენის მწერლისთვის აუცილებელ აჩრდილებს წარმოშობს და ავტორიც რომენის დასაწყისშივე ეყრდნობა ამას, როცა გალერეაში ოთხ გმირს ახასიათებს: "ჩვენ ვუყურებთ ამ საგნებს, ამ ნათელ ცას, ლურჯ შორეულ მთებს, ნანგრევებს, უტრუსკულს, რომაულს, ქრისტიანულს, პატივსაცემს თავისი ანტიკური წარსულით და მსოფლიოში ცნობილი ქანდაკებების ნაკრებს სალონში იმ იმედით, რომ მკითხველს მოვახვედრებთ შეგრძნების იმ მდგომარეობაში, რაც ყველაზე ხშირად რომში შეიძლება განიცადო. მძიმე მოგონებების შეგრძნება რომელიც ჩვენს ინდივიდუალურ საქმეებს და ინტერესს სანახევროდ რეალურად აქცევს, აქ ყველაზე მეტად იგრძნობა ვიდრე სხვაგან" (Hawthorne 1860: 16) თხოვთა შეიძლება ჩამოიქსოვოს "ერთმანეთში დახლართული პაეროვანი და არასუბსტანციური ციური ძაფებით, რაც გამრუდებულია ადამიანური გამოცდილებით" (Hawthorne 1860: 17) ალბათ ასეთი იდეა პქონდა გონებაში ავტორს, როცა ერთ თავს დაარქვა "ფრაგმენტული წინადაღებები" (Hawthorne 1860: 119) და მეორეს "მითები".

(Hawthorne 1860: 21) ვ 2 ამ იდეით და არა ფხიზელი გონებით, მითიური ელფერი ეძლევა თავად გრაფის წარმომავლობასაც, იგივე კავშირი ჩანს მომენტში, როცა პილდა რომიდან მოულოდნელად გაქრება და ამბობს, რომ დრო გაატარა დიდებულ, აწ უკვე გარდაცვლილ ხელოვანებთან, რომლებსაც ასე აღმერთებდა. პოთორნი ბევრ მის მიერ დადგენილ პარამეტრებს ადგილს უცვლის, გადააქვს კატაკლიმბებში, კოშკებში, სახელოსნოებში, გალერეებსა თუ კათედრალებში, ტყეში თუ მთებში. სიზმრის მსგავს, მთვარით განათებულ უფსკრულის პირას, თუ ზმანების მსგავსი კარნავალის უწესრიგო მხიარულების შუაგულში. ავტორი თითქოს თავადაც ლივლივებს უფსკრულის პირზე ლურჯ სივრცესა და სიმაღლეში, საიდანაც ძლივს ჩანს რეალობა, იმიტომ რომ ამდენი ზმანებების მერე "ისინი იმ შეფერილობას იდებენ, რომელიც მხოლოდ ზმანებებს ეკუთვნის". (Hawthorne 1860: 130) თუმცა კი აღნიშნავს, რომ "ნამდვილად არსებობს რომში ჩაბუდებული ბუნების ჩარჩო, არა ზმანებათა მიწა, არამედ ისტორიის ფართო ფურცელი ...ჩვენი თხრობისას არ შეიძლება არ მივმართოთ ისტორიას, რადგან რომში თვით მტგერიც კი ისტორიულია, აუცილებლად არსებობს ჩვენს გვერდით და შერეულია ჩვენს მელანთან" (Hawthorne 1860: 130)

პოთორნის ოთხი გმირიდან თითოეულში იგრძნობა სინამდვილისა და წარმოსახვის შერწყმა და რაკი ავტორი ამბავს იწყებს დონატელოს მსგავსებით პრაქსიტელებს ფაგნთან, სხვა გმირების ურთიერთობა დონატელოსთან, როგორც ფაგნთან კარგი დასაწყისი იქნება ხასიათების შესწავლისათვის. სამი გმირი ერთდროულად ძრწუნდება დონატელოსა და ფაგნის საოცარი მსგავსებით. მირიამი სახელს ვერ არქმევს თუ რა მომხიბვლელობა დევს ამ იდეაში. პილდასთვის ეს თავსატეხია, რომელიც მას არ ძალუმს ამოხსნას. კენიონი თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს ფაგნის არსებობის საჭიროებას. "ბუნებას ჭირდებოდა და ახლაც ჭირდება ეს მშვენიერი ქმნილება, რომელიც კაცისა და ცხოველის შუაში დგას..." (Hawthorne 1860: 24) დონატელო გართობის მიზნით, კენიონის თხოვნით იგივე პოზაში დგება ფაგნის გვერდით და კიდევ ერთხელ ადასტურებს საოცარ მსგავსებას მასა და ქანდაკებას შორის. ამის შემდეგ ავტორი აღწერს არა დონატელოს, არამედ ფაგნს, გრაციოზულობა, სილამაზე, მომხიბვლელობა, იუმორი, სენსუალობა, სიხალისე, სილადე, სიმართლე. "უბრალოების გამო ამ ქმნილებათა დახასიათებაში ყველაფერი გენიალურია. ისინი ტყეებში ცხოვრობენ და ადამიანურ სულთან ნათესაობა აკავშირებთ." (Hawthorne 1860: 22) ალბათ პოეტი იგონებს იმ პერიოდს, როცა ადამიანის

სიახლოვე ბუნებასთან და მისი მეგობრობა თითოეულ ცოცხალ არსებასთან უფრო ინტიმური და ძვირფასი იყო" (Hawthorne 1860: 22) ამ განაცხადის შემდეგ, მეორე თავში, რომელსაც "ფავნი" ჰქვია, ავტორი ყურადღებას ამახვილებს დონატელოს ხასიათზე. ამ ხერხით ის ამ მსგავსებას წიგნის ლაიტმოტივად აქცევს. პირველად ქანდაკებას აკვირდება, შემდეგ კი ახალგაზრდა კაცის ხასიათს. "ძნელი იყო ახალგაზრდა კაცის ხასიათში გარკვევა" (Hawthorne 1860: 25) ის საუბრობს მის ბუნებასთან სიახლოვეზე, უმანკოებაზე. დონატელომ თავისი ასაკი არ იცის, რის გამოც მირიამი იუმორით აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი დედამიწაზე ფავნის უკვდავების ნიშანია. ამ რომანტიკულ რომანში პოთორნი შეეცადა დაეხატა ადამიანის სულიერი ტრანსფორმაცია. პირველად დონატელოს მაგალითით, შემდეგ ჰილდას, მირიამის, კენიონის სახეცვლილებით. ასე ეხლართება ერთმანეთს სამი პარალელური ფაბულა. პირველ და ბოლო თავებს ერთნაირი სათაური აქვს: "მირიამი, ჰილდა, კენიონი და დონატელო". (Hawthorne 1860: 15, 275) დონატელოს კავშირი ფავნთა მოდგმასთან ნაწარმოებში მითის განვითარების საშუალებას იძლევა. პოთორნი სრულ თავისუფლებას აძლევს მკითხველს მიიღოს ან უარყოს ეს მითები, როგორიც გახლავთ მაგალითად მინიშნება დონატელოს ფავნის მსგავს ყურებზე, ან პასაჟი, როცა ის ცხოველებს მათ ენაზე უხმობს. მირიამის წარსულის შესახებ საუბრის დროს ავტორი გვთავაზობს წინააღმდეგობრივი ინფორმაციის ნაკრებს, რაც ორაზროვნებას ძენს ქალის წარსულს. ასევე ბუნდოვანია პოთორნის მიერ მოცემული განმარტება, რომელიც წარმოსახვის ნაყოფია სად უნდა ყოფილიყო ჰილდად მისი გაქრობის დროს. უნდა აღინიშნოს რომ ავტორი ნაკლებად წარმატებულია რეალურად დახატოს ჰილდას პორტრეტი, განსხვავებით მირიამისაგან. მგრძნობიარე მკითხველისათვის კენიონის გმირი მოწონებას იმსახურებს. ის კითხულობს მონტენერის ოჯახის ძველთამველ დოკუმენტებს, თუმცა მას ტომასკოს ლეგენდები უფრო მოსწონს. მოქანდაკე კენიონს განსაკუთრებულად სიამოვნებს დონატელოს ხასიათის და წინაპრისული ნაკვთების ანალოგია. ამ მომენტშიც ხდება წარმოსახვის და სინამდვილის შერევა, მიღებული სიმბოლო წამახული ფავნის მსგავსი ყურები ნამდვილად დამაფიქრებულია მკითხველისათვის. ეს არის ორაზროვანი იდეა, რომელიც უცვლელი რჩება მთელი რომენის განმავლობაში. ნათანიელ პოთორნი ამ მეთოდით წარმოსახვას იუმორს ურევს, რათა სინამდვილის ალბათობა გაზარდოს. ეს იუმორი იმართება სხვათა დამოკიდებულებით, ისე როგორც პოთორნი ღებულობს გრაფისა და ფავნის

მსგავსებას. ეს იდეა პირველად გვხვდება მხიარულების სცენაში, როცა მირიამი ხმამაღლა კითხულობს, მერე მუშავდება რომენსში, დასკვნაში და ადგენს ფავნისათვის ადგილს ფანტასტიკისა და რეალობის შუა ტერიტორიაზე.

“ბლაითდეილის რომენსი” რამდენადმე განსხვავებულია დანარჩენი რომანტიკული რომანებისაგან, რასაც უპირველეს ყოვლისა მოწმობს კომპოზიციური თემატური ხაზის არ არსებობა მასში. მაგრამ ეს არის არა ნაწარმოების მხატვრული სისუსტე, არამედ განსაზღვრული ესთეტიკური ამოცანების შედეგი, რასაც მწერალი იზრახავდა, რათა თავისებური ფსიქოლოგიური კოლიზიებით დატვირთული რომანტიკული რომანი შეექმნა. ჩვენ ვერასოდეს დავრწმუნდებით ბოლომდე რომენსის გმირი კოვერდეილი სინამდვილეში ნანას ამბავს ყვება, თუ იმაზე საუბრობს, რაზეც ოცნებობდა. ეს გაორება სინამდვილის აღქმაში ალეგორიულად გამოხატვულია თავში “მასკარადი”, (Hawthorne 1865: 238) რომელიც ბლაითდეილის მცხოვრებლებმა მოაწყვეს. მეტაფორული ფიგურების ფერიული ფერხულის აღწერის შემდეგ, ტყის პირას გროვდებიან არკადიელი მწყემსები, ზდაპრული სამყაროს პერსონაჟები, პურიტანები, რაინდები, რევოლუციური არმიის ოფიცრები, კუდიანი ქალი, რომელიც მათთან ერთობოდა. თითქოს ავტორს სურს გვიჩვენოს, რომ ყველა ეს მოჩვენება მისი შავი ხელოვნების ნაყოფია, ამ სურათის მერე, რომელიც უწმინდური ძალების შაბაშს მოგვაგონებს, მოთხოვობიდან “ახალგაზრდა ბრაუნი”, კოვერდეილი მოულოდნელად ამჩნევს ფერმერ ფოსტერს, რომელიც რომენსში სინამდვილის, რეალური სამყაროს უხეში სიმბოლოა, მაშინვე ქრება ყოველგვარი რომანტიკული ფანტასტიკა, რამეთუ “თვით ოცი ალქაჯიც ვერ გამოიწვევდა ვერანაირ ილუზიას, ფანტასტიკურს, ზებუნებრივს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო, როცა გვერდით ხეზე მიყრდნობილი, თავის განუყრელ ლურჯ ქურთუაში გამოწყობილი, მოკლე ჩიბუხის წევით იდგა საიდას ფოსტერი და ამ სცენას ნამდვილი იანკის ეშმაკური ორაზროვანი დამცინავი სახით შეჰქერებდა”. (Hawthorne 1865: 245)

რეალობისა და ირეალურის დაპირისპირება ჩანს ბურჟუაზიული ქალაქის სურათის აღწერაში, რომელიც კოვერდეილმა დატოვა და ბლაითდეილის ილუზორულ სამყაროს მიაშურა. “როცა ქალაქის ქუჩებში დავდიოდით, გვეჩვენებოდა რომ მაღალი სახლები გვაწვებოდნენ და გვსრესდნენ, რაც ხელს უშლიდა ჩვენს გულისცემას. თვით თოვლიც უწვევულოდ საცოდავი ჩანდა, ჭუჭყიანი, სიბინძურით გაუდენთილი. ნორჩი ფიფქები ციდან თითქოს მხოლოდ

იმიტომ ვარდებოდნენ, რომ ვინმეს მაშინვე გაესრისა ბუნების ეს უსუფთავესი ქმნილება ტრადიციების ძველი ქუსლით". (Hawthorne 1865: 16)

მოცემულ რომანტიკულ რომანში ინტერესს იმსახურებს სცენების სტრუქტურა. ავტორი მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას უფრო მეტად გმირების ურთიერთდამოკიდებულებაზე აკეთებს და არა ქმედებაზე. კრიტიკოსი მილიჯენტ ბეჭი აღნიშნავს, რომ მისი ნაწარმოებების სათაურებში ზმნა არ ფიგურირებს. ავტორი, როგორც ეს მისი წერილებიდან ჩანს, მნიშვნელოვან ჩანაფიქრს დებს სათაურებში და ამის მიხედვით გარკვეულ თხრობით მეოთხს გვთავაზობს. მის რომენსში ხშირად გვხვდება უმოძრაო, სტატიკური სცენები. ხასიათები ნაჩვენებია მხოლოდ სცენებში, მოქმედებაში და ურთიერთდამოკიდებულებაში. შინაგანი მდგომარეობა სიმბოლიზირებულია გარეგნული ეფექტებით. ფაქტიურად სცენების განვითარება ქმნის რომანტიკულ რომანს. თითოეულ სცენაში ავტორი აერთიანებს სხვადასხვა დეტალებს, რათა სიმართლე გადმოგვცეს. ამ გაერთიანების ნათელ მაგალითად გამოდგება "ალისფერი ასომთავრულის" მეორე თავი "ბაზარი". (Hawthorne 1852: 47) მწერალს სურს მკითხველს უჩვენოს, როგორი ადამიანია ესთერი იმათვის, ვინც მას ხედავს და გვიჩვენოს მისი სახე ამ ჭრილში. ეს არის პატარა სცენა ჩასმული დიდში ხუთი ქალის მონაწილეობით. თითოეული მოკლედ არის დახასიათებული აგტორის მიერ. მაგალითად: "ორმოცდათი წლის ქალბატონი უხეში სახის ნაკვთებით", (Hawthorne 1852: 47) რომელიც ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა თუ ხუთივე ერთად გამოიტანდნენ განაჩენს. ისინი ესთერს ასე იოლად არ გაუშვებდნენ. მეორე საუბრობს მდვრელის მწუხარებაზე ასეთი სკანდალის გამო, მესამე მატრონა ამჯობინებს ქალს დამდა შუბლზე ჰქონდეს. მხოლოდ ახალგაზრდა ქალი, ბავშვით ხელში, იაზრებს, რომ ალისფერი ასომთავრულის მტანჯველი ტკივილი მუდამ იქნება ესთერის გულში. ყველაზე მახინჯი და შეუბრალებელი ესთერს სასიკვდილოდ იმეტებს. ამ ხუთიდან მხოლოდ ერთი იჩენს სიბრალულს. დანარჩენები მსაჯულებზე უფრო მკაცრნი არიან. მათი კომენტარებით ავტორი გვაცნობს თემებს, როგორც ფაქტებს. ცოდვის თემა, ალისფერი ასომთავრული სამოსზე, ტკივილი გულში და სიკვდილი. საბოლოოდ ეს ვიწრო წრე ესთერს იმდენად სრულყოფილად განკვეთავს საზოგადოებისაგან, რომ ის საერთოდ იზოლირებული რჩება. შემდეგ მოდის დეტალების შესანიშნავი წყობა, მაგალითად ეშაფოტის განლაგება ეკლესიის კარნიზის ქვემოთ ისეთ ეფექტს ქმნის, რომ პურიტანთა გონებაში კანონის და რელიგიის ერთიანობა

ცხადი ხდება. ბაქანი ეშაფოტის თავზე ლვთისმსახურთათვის და მსაჯულთათვის არის ის პოზიცია, საიდანაც მათ შეუძლიათ ზემოდან გადმოხედონ ტანჯულ ცოდვილებს.

პოთორნი ხაზს უსვამს კავშირს ადამიანის გარეგან ბუნებას და შინაგან სამყაროს შორის. როცა იგი პეიზაჟებზე საუბრობს, ხშირად ტრანსცენდენტალისტების ყაიდაზე წარმოადგენს კაცსა და ბუნებას შორის შესაბამისობას. ავტორი გვიჩვენებს ესთერის თითქოსდა ხელახლა დაბადებას ცოდვაში, რის შედეგადაც ის ტყის ველურ ბუნებას ეკუთვნის, სადაც მის გონება თავისუფალია და შეუძლია უმისამართოდ იხეტიალოს. ის გვიჩვენებს მის ამორჩეულ ადგილს სანაპიროზე "რომელიც ტყით დაფარულ გორაკებს უყურებს." (Hawthorne 1852: 158) ქალი საცხოვრებლად ირჩევს ხეებით დაფარულ ადგილს. ტრანსცენდენტალისტების ენით რომ ვთქვათ, თითქოს მან თავად ააგო თავისი სამყარო ბუნების გარეშე. პერლიც ბავშვურად აშენებს მის საკუთარ სამყაროს. ფიჭვის ხეებს პურიტანების სახელებს არქმევს, მახინჯ სარეველებს მათი შვილებისას. ყოველთვის იგონებს მტრის სახეს, რომელთანაც საომრად მიეშურება. პერლი, რომელსაც მოწონს ეს ველური ბუნება, აღმოაჩენს, რომ ტყე მას კეთილგანწყობით პასუხობს. ის თავაზიანად უწვდის ხელს მეგობრულ ცხოველებს, ყვავილებს, ახლო ურთიერთობაშია ბუნებასთან (Hawthorne 1852: 190) ამ სცენაში ავტორმა გვიჩვენა ბუნების გარეგნული შესაბამისობა კაცის შინაგან სულთან. პერლი არ ექვემდებარება მორალურ კანონს და ანტიკურ ბუნებას შეესაბამება. მზის შუქის ნაკადი, ალისფერი ასომთავრულის მსგავსად არის სინათლის წერტილი, რომელიც ჩრდილებს აღრმავებს, რადგან ისიც ასევე მათი სიყვარულის გარეგანი გამოხატულება. როცა დიმსდეილი ტყიდან ბრუნდება, მიუხედავად მომაკვდინებელი ცოდვისა, თითქოს განზრახ მიდის დათმობაზე თავის თავთან, რაც აქამდე არასოდეს უქნია, გარე ბუნება იცვლება, ბილიკი უფრო ველური ჩანს, ნაცნობი საგნები განსხვავებული. ავტორი ამბობს: "მღვდლის ნებისყოფამ, ესთერის ნებამ და ბედისწერამ გამოიწვია ეს ტრანსფორმაცია (Hawthorne 1865: 236) აქ ჩანს, რომ ავტორმა რამოდენიმე გზით შემოგვთავაზა კაცსა და ბუნებას შორის შესაბამისობა,, ტრანსცენდენტალურად დაასურათა კაცი, რომელმაც შექმნა მის მიერ ხილული გარეგანი სამყარო თავისი შინაგანი ნებით.

პოთორნი სამჯერ კრებს თავის თთხ მთავარ გმირს ეშაფოტთან, როგორც სასჯელის და მონანიების სიმბოლოს. თითოეული ხასიათის მიმართება

ეშაფოტთან და ერთმანეთთან ამ სამი სცენის მოქმედებაშია მოცემული. ამ სიმბოლური სურათების შესწავლა, აღბეჭდავს მათი გავლენის მნიშვნელობას გონიერაზე. პირველ სცენაში ამაყი ესთერი სასჯელს მონანიების გარეშე იდებს. მღვდელი ფერმკრთალი, შეწუხებული სახით მის თავთან აივანზე დგას. იქვეა მოტყუებული ქმარი, ჩილინგუორსი ჩაშავებული სახით. პატარა პერლი ხელებს დიმსდეილისაკენ იწვდის. ეს ხდება ზაფხულის დილას. მეორე შუადამის სცენა დასუსტებულ არტურ დიმსდეილს გვიჩვენებს, რომელიც სასჯელს სინანულის გარეშე იდებს. ფინალური სცენა არჩევნების დღეს წარმოგვიდგენს სულიერად გამარჯვებულ, უკანასკნელად მონანიე მღვდელს, რომელიც ეშაფოტზე კვდება. ესთერი აქაც ჩანს. პერლი ჩვეულებრივი ბავშვი ხდება და ჩილინგუორსი მარცხდება. ეს სცენები, ტყის სცენა და სცენა გუბერნატორის სასახლეში აძლიერებს ცოდვის ძირეულ სიმბოლოს, ალისფერი “ა”-ს მნიშვნელობას. ორივე სცენაში ოთხივე გმირია წარმოდგენილი, მხოლოდ ჩილინგუორსი აკლია ტყის სცენას. თუმცა მან იცის, რომ ასეთი შეხვედრა შედგა. გუბერნატორის სახლში, ამობურცულ სარკეებში სამკერდესა და მუზარდში ალისფერი “ა” პროპორციების გარეშე დიდდება და პერლის სიცელქეც მრუდდება, მსგავსად პურიტანთა არაკეთილგანწყობილი აზროვნებისა და განსჯისა. ტყის ნაკადულში, რომელიც საზღვარია ორ სამყაროს შორის, პერლის გაბრაზებული სახე მის მრისხანებას გამოხატავს. ავტორის მინიშნება ასეთია, მართალია ეს ქალაქი მრუდე აზროვნებით გამოირჩევა, მაგრამ ხსნა არც ტყეში არ არის.

შემდეგი რომანტიკული რომანის, “მარმარილოს ფავნის” საბოლოო სტრუქტურა ისევეა ჩამოყალიბებული, როგორც ალისფერი ასომთავრულის, მაგრამ კიდევ შეიძლება დამატებით რაღაც ითქვას სცენების განვითარებაზე. სცენებში ცვლილებების სქემა აღნიშნავს, როგორ მოძრაობს ავტორი ადგილიდან ადგილზე, რათა მკითხველს მოქმედების მნიშვნელობა აჩვენოს. ორმოცდაათ თავში სათაურებში არ არის ზმნები, ძირითადად გმირების, ხელოვნების ნიმუშების, ან ადგილების სახელებია მოცემული. მხოლოდ თორმეტი მათგანი გამოხატავს შემთხვევას. უკვე აღვნიშნეთ, რომ მწერალი რომენსისთვის საგულდაგულოდ ქმნის სცენებს, ჰოთორნი ცლილობს ადამიანის სული ბუნების ენით გამოხატოს. “მარმარილოს ფავნში” ის სპეციალურად იწვევს სამ მხატვარს, რათა მათი შინაგანი მე მუშაობის პროცესში გამოამჟღავნოს და შინაგანი სამყარო სახელოსნოში აჩვენოს. დონატელო მართალია მხატვარი არ არის, მაგრამ ის ადამიანია. კოშკი, სადაც ცხოვრობს, თითქოს მისი სულის

მოძრაობას გამოხატავს. იგი ანტიკურ ბუნებას და საერთოდ ბუნებას გაუთნის. პოთორნს შემოაქვს სპეციფიური სიმბოლური დეტალები, რათა მისი სიმართლე დაადასტუროს. მირიამის ხელოვნება მისი სულიერი მოძრაობის გარეგანი გამოხატულებაა. მის სახელოსნოში, ნახევრადბნელ თთახში, ყოველი ესკიზი გამოხატავს შურისმაძიებელ ქალს მამაკაცის მიმართ. როგორიც არ უნდა იყოს მოტივი, ქალი თავად იტანჯება ამისაგან. ის ამბობს: "ეს არის მახინჯი ფანტომები, რომლებიც გონებას მპარავენ, არა საგნები რომელსაც მე ვქმნი, არამედ საგნები, რომლებიც მაჯადოებენ მე" (Hawthorne 1860: 61). მაყურებელი იქვე აღმოაჩენს ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ნახატებს "რომლებიც ქალს სულიერებას ანიჭებენ" მირიამის პორტრეტებს ყოველთვის "ღრმა სევდის დაღი აზის. მისი ავტოპორტრეტიდან იყურება ღრმა, შავი, თვალები შავი, სქელი თმა, მდიდრული სევდიანი სილამაზე, რითიც გაჟღენთილია მისი სახელოსნო." (Hawthorne 1860: 65)

განსხვავებით მირიამისაგან, პილდას ხელოვნების ნიმუშები ორიგინალურობით არ გამოირჩევა, ამ ფაქტით ავტორი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ამ ორ პიროვნებას შორის განსხვავებას. ის შესანიშნავ ასლებს აკეთებს. ჩანს, რომ იჭერს "შუქს, რომელიც ძველმა ოსტატმა დატოვა ორიგინალზე" (Hawthorne 1865: 78) პილდა თავის ეთერულ სამყაროში ცხოვრობს და ანთებულ ლამპარს ინახავს სიბნელის თავზე. მისი შედევრი, რომელსაც საკუთარი ავტოპორტრეტი წარმოადგენს ასლია. ის წინასწარმეტყველებს ბერტრიჩ ჩენჩის წამებულ უმანკოებას. მისი ნახატები, მისი ცხოვრების მსგავსად, მოკლებულნი არიან "რეალობას, რაც მხოლოდ რეალურ ცხოვრებასთან სიახლოვეში მოდის, წლებთან და გამოცდილებასთან ერთად. მან უნდა განიცადოს ბნელი ძალადობის შეხება, რაც მისცემს მის ესკიზებს იმ ცვლილებას, რაც ჭირდებათ" (Hawthorne 1865: 74) პილდას თავისი უმანკოების წყალობით შესანიშნავი შინაგანი ხედვა გააჩნია, რისი წყალობითაც ის ბრწყინვლედ იღებს შედევრების ასლებს.

კენიონის ხასიათი ყველაზე კარგად ალბათ მის სახელოსნოში მუშაობის პროცესში იხსნება. "სადაც ხელოვანის შემოქმედებითი ძალა დეფორმირებულია...სიტყვით" (Hawthorne 1865: 148) აქ მკითხველს შეუძლია ნახოს პილდას თეთრი ხელი, თითქმის მირიამის მსგავსი კლეოპატრა და დონატელოს დაუსრულებელი ბიუსტი, რომელიც სულის ევოლუციის გამოცანის განსასჯელად გამოდგება. მოქანდაკე კენიონი, მარმარილოში სამგანზომილებიან ხატებას

გვთავაზობს, რაც ჩვენს თვალშინ იღებს ფორმას. ერთდროს ტყის ქმნილებებთან მოთამაშე დონატელო თავისი მითიური პარმონიით უფრო მეტად ველურ ბუნებას ეკუთნის, სადაც თვით ჩიტებიც კი ცნობენ მას, როგორც ნათესავს.

“ბლაითდეილის რომენსის” თხრობის განვითარების მანძილზე, ავტორი უფრო და უფრო ინტერესდება კოვერდეილის, როგორც დამკვირვებლის სტატუსით. ამ პრობლემას მისთვის ლიტერატურული და მორალური დატვირთვა აქვს. უპატიებელ ცოდვას ჩადის ის, ვინც გამოცდილებით, დრმა ინტელექტის საშუალებით ადამიანის გულზე ძალადობს. “ბლაითდეილის რომენსში” ნათლად ჩანს, რომ პოთორნი შეგნებულად ატარებს ექსპერიმენტს თავის მსოფლედველობაზე. განმეორებით აღწერს მთხოვნელ კოვერდეილს. როგორც თავისი პოზიციიდან გამომდინარე დამკვირვებელი, ჩვენი მთხოვნელი უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი პოეტია. ის საკმაოდ ეგოისტურია, პრეტენზიული, გულგრილი და ზომიერად ირონიული. კოვერდეილი ელოლიავება მის შინაგან აზრს ადამიანებისა და საგნების შესახებ. არის რადაც უკანონო და წინააღმდეგობრივი მის ირგვლივ. ის ცხოვრებას შეფარვით ჭვრეტს. მიშელ დუნი მას voyer უწოდებს. (ადამიანი ვისი ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა ეროტიკული სცენების ხედვით კმაყოფილდება) ხშირად წითლდება და ცოტა მფრთხალიც არის. ავტორი, რომელმაც დაჯილდოვა ეს გმირი პირველ პირში მთხოვნელის პრივილეგირებული პოზიციით, ვერ სვამს კითხვის ნიშნის ქვეშ მის საქციელს და ვერც უფლებას აძლევს უფრო დრმად ჩაერიოს მის მოქმედებაში. პოთორნი მისთვის ჩვეული მეთოდით მკითხველს სტატიკურ სცენებში ახედებს, ტოვებს ადგილს მკითხველისათვის მოთხოვნაში, საიდანაც ჩვენ ვამჩნევთ სცენებს და გუყურებთ. საინტერესოა დამკვირვებლის პოზიციების ცვლა. ჩვენ ვაკვირდებით გმირებს ახლო ხედიდან, ზოგჯერ უფრო შორიდან. ჩვენ ვხედავთ მათ თეატრალურად ჩარჩოში ჩასმულს, პანსიონატის უკანა ფანჯარაში, ისე როგორც კოვერდეილი აპვირდება მათ მოპირდაპირე შენობის ზედა ოთახიდან.

მკითხველი საგნებს განსხვავებულად უყურებს. იგი დამოკიდებულია კოვერდეილის ჯანმრთელობასა თუ ხასიათის მდგომარეობაზე. როცა ის ავადაა და ციებცხელება აქვს, მისი აღქმის უნარი გამახვილებულია, რადაც ავადმყოფური, პათოლოგიური ჩანს მის პირვენებაში. იგი მოჯადოებული იყო ზენობიას სექსუალურობით, მაგრამ შემდეგ თავს უფლებას აძლევს უწოდოს მას “კუდიანი ჯადოქარი” (Hawthorne 1865: 55) და აინტერესებს ზენობიას ცხოვრებაში “ქალის არსებობის მთავარი მოვლენა თუ იყო რეალიზებული”. (Hawthorne 1865:

56) გამოჯანმრთელების შემდეგ ავტორი მიგვანიშნებს, რომ მისი ავადობა რაღაც სიკვდილის მსგავსი იყო, მისი გამოჯანსაღება კი ხელახლა დაბადების ტოლფასი. ის რეალობაში ხელახლა დაიბადა, უკვე შეეძლება უშიშრად და უშეცდომოდ გაანალიზოს ფურიერისტული ერთობა და მისი მცხოვრებლები, რადგან მას მართლაც შეუძლია დირსეული გამჭრიახობით გაუმკლავდეს საგნებს, მოვლენებს, თუ სიღრმისეულად არა, სწორად მაინც ხედავს მათ. ის ცდილობს ჩაიხედოს სხვების თვალებში და სხვათა თვალით დააკვირდეს სამყაროს, რათა შეადაროს რას ხედავს თავად და რას ხედავენ სხვები. კოვერდეილი უარყოფს პოლინგუროსის ლიდერობას, როცა აცნობიერებს, რომ ეს უკანასკნელი მისი მეგობრებისგან ითხოვს უარი თქვან უფლებაზე, საკუთარი თვალითაც დაინახონ და აზრი გამოთქვან.

კოვერდეილის პოზიცია მოთხოვობაში, “მოგვაგონებს ქოროს კლასიკურ დადგმაში, რომელიც პიროვნული მნიშვნელობის გაუცხოების შესაძლებლობას ჰგავს” (Hawthorne 1865: 116) მისი ურთიერთობა სხვა გმირებთან გამოიხატება სიმპატიით, რასაც ის მათ მიმართ გრძნობს, რადგან ხედავს, რომ მათმა შესაძლებლობებმა თავისი თავი ამოწურა. ნაწარმოების ბოლოს გულგრილი დამკვირვებლისათვის გადაუწყვეტელი დილემმა თავად ამბის თხრობაში ჩანს. “ეს იყო ნაღვლიანი და სახიფათო, ჩავჩურჩულე ჩემს თავს, იყო მეტისმეტად ახლო ნათესაობაში ვნებებთან, შეცდომებთან და იმ ინდივიდების წარუმატებლობასთან, ვინც საკუთარი წრის შიგნით დგას, რომელშიც მე თუ შევაბიჯე, ეს იქნება დაუპატიჟებელი სტუმრობა, თვითმარქიზმი და იმ რისკის ტოლფასი, რომლის შეფასება მე არ შემიძლია” (Hawthorne 1865: 240)

ეს არის მტკიცე მორალურობა, რაც პოთორნს მთელი რომენსის განმავლობაში აინტერესებს და აწუხებს. მართალია მკითხველიც დაინტერესებულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პოთორნი ალბათ უკეთეს რომანს დაწერდა თუ ნებას დართავდა მის დამკვირვებელს დაენახა ის, რისი დანახვაც შეეძლო, ნაცვლად იმისა, რასაც ამოწებდა დაკვირვების მორალური თვალსაზრისით. ამ რომენსში პოთორნი ეწინააღმდეგება დილემმას, რასაც განაპირობებს მისი მორალური მსოფლეოდგლობა. ის როგორც მწერალი დეტალურად შეისწავლის მის გმირებს მაგრამ არა აქვს შესაძლებლობა მათთან ერთად გაიზიაროს მათი არასრულყოფილი პუმანურობა, შეიმუცნოს საკუთარი მსგავსება მათ გამოცდილებასა და ბედისწერასთან.

### 3. 3 თხრობის სტრუქტურა და სიმბოლოები პოთორნის რომანტიკულ რომანში

რომანტიკული რომანის ფორმაზე დაკვირვება პოთორნის რომენსების ორიგინალურობას ადასტურებს. “ალისფერი ასომთავრული” აგებულია რომანტიკული პოეტიკის საფუძველზე. ნაწარმოები მდიდარია სიმბოლოებით, არსებობს მოსაზრება, რომ ის ერთერთი პირველი სიმბოლიკური რომენსია ამერიკულ ლიტერატურაში. მეტაფორისაგან განსხვავებით სიმბოლო ცვლილებას აღწერს მეტი სიდრმით და ძალით. გარდა საგნებისა, ადამიანებიც ანუ წიგნის გმირები შეიძლება აღქმული იქნან როგორც სიმბოლოები, მაგალითად არტურ დიმსდეილი თავისი ღრმა ტკივილით და განცდებით სიმბოლურად გამოხატავს სიმართლის ნამდვილ ღირებულებას და ირონიას მისი მიუღწევლობის გამო. პოთორნისეული ტექნიკის ერთერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რითიც იგი ასე ეფექტურად ტვირთავს მკითხველს, არის მისი მოთხრობის ატმოსფეროს შექმნისათვის გარემოს განლაგება. რომენსში “ალისფერი ასომთავრული” მთელი ამბავი ხდება პატარა კოლონიალურ ქალაქ ბოსტონში და მის შემოგარენში. ქალაქის გარეთ მდებარე შავი ტყე ძლიერი სიმბოლოა ბოროტებასა და ამორალობასთან მიმართებაში. მთხრობელი როცა ტყეზე საუბრობს, აღწერს საცალფეხო ბილიკს, რომელიც შედის “პირველყოფილ ტყეში, ეს ტყე ისე მჭიდროდ გაეკროდა გარს, ისეთი ბნელი და სქელი იყო შენს ირგვლივ”, ესთერის წარმოდგენაში ეს ტყე მორალს უკავშირდება, “რომლის უდაბურ ლაბირინთში ამდენი იხეტიალა” (Hawthorne 1852: 164) აგტორი ხშირად მიმართავს რომანტიკულ სიმბოლიკას. რომანტიკული რომანის დასაწყისი და დაბოლოება წითელი და შავი ფერის სიმბოლოებით არის აღნიშნული, სიყვარულისა და სიძულვილის ფერებით. ნაწარმოები იწყება ორი სიმბოლოთი: ციხე- “ცივილიზაციის შავი ყვავილი”( Hawthorne 1852: 45) და იქვე ციხის კართან აყვავებული ვარდის ბუჩქი, ნაზი, ვარდისფერი ყვავილებით, ციხე პირველივე გვერდზე განასახიერებს ადამიანზე მალადობის ფაქტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ახალი

დასახლებაა, თავად ციხე უკვე აღბეჭდილია ამინდის ლაქებით და რაც კიდევ უფრო პირქუშს ხდის მის ფასადს, ქალაქიც ნაცრისფერია მის მცხოვრებლებთან ერთად “რომელთაც არასოდეს უნახავთ ახალგაზრდობა” (Hawthorne 1852: 46) თითქოს ეს ქალაქი იმდენად ჰგავს იმ პირქუშ ტყეს, რომელიც გარს აკრავს რომ შთანთქმულია მისგან. ავტორი ციხის შესასვლელთან ველური ვარდის ბუჩქს ამოზრდის, თითქოს ცდილობს სინათლე შემოიტანოს ხის შენობის წინ შეგროვილი პურიტანების პირქუშ და ჩაჟამულ სურათში. ვარდები, რომელიც ციხის კართან ”უხსოვარი დროიდან იზრდება”, მშვენიერების, სიცოცხლის პოეტური სიმბოლოა, რომლის განადგურება არც ისე იოლია. ნაზი ყვავილები ჩრდილავენ ადამიანური ურთიერთობების არაბუნებრივობას, რაც თავად ადამიანებმა განაპირობეს და რომლის შედეგიც ესთერ პრინის ნაღვლიანი ისტორიაა. ”რამდენადაც ეს ბუჩქი იმყოფება ჩვენი თხრობის ზღურბლზე, რომელიც სათავეს იღებს უბოროტეხი შესართავიდან, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვრჩება, მოვწყვიტოთ ყვავილი და მკითხველს შევთავაზოთ. ჩვენ ვიმედოვნებთ რომ ის იქნება სიმბოლო სხვა, მშვენიერი, ცხოვრების გზაზე გაზრდილი გასულიერებული ყვავილისა. ეგებ მან შეძლოს შეამსუბუქოს ამ მოთხრობის ბნელი დასასრული ადამიანურ სისუსტესა და სირცხვილზე” (Hawthorne 1852: 46). ამ სიმბოლოებით ასევე აღინიშნება რომენსის ძირითადი კონფლიქტი პურიტანთა მკაცრ მორალს და სიყვარულის თავისუფალ გრძნობას შორის. ნაწარმოების კითხვისას გვაგონდება მწერლის სიტყვები მისი მხატვრული აზროვნების სიმბოლიკური სახეების მნიშვნელობის შესახებ: ”მე არ შემიძლია გამოვყო იდეა იმ სიმბოლოსგან, რომელშიც იგი თავის თავს ასახავს” (More 1904) რომანის ეპილოგში დიმსდევილისა და ესთერის საფლავის აღწერისას კვლავ წითელის და შავის სიმბოლიკა მოცემული. შავ მინდორზე წითელი ასო “ა” გიზგიზებს. წითელ ფერს პურიტანები ჯოჯოხეთის ალად თვლიდნენ, სატანისეულ წყეულ ცეცხლად. რომენსის გმირის წყალობით იგი ბრძოლისა და სიყვარულის ფერად გადაიქცა, სულიერი სიძლიერის, ან ანგელოზის აღმნიშვნელ ასოდ. სიმბოლიკა რომენსის ბოლომდე აქტუალურია. ბოსტონის იდუმალ ცოდვილთან შეხვედრისას ესთერის გულზე ასო “ა” წითლად გაიბრწყინებს. იგივე “ა” ჩნდება დიმსდევილის შიშველ მკერდზე, როგორც საიდუმლო ცოდვის სიმბოლო. ნაწარმოები და მისი სათაური ”ალისფერი ასომთავრული” ფერს, შუქს, ჩრდილოვან ფიგურებს გვთავაზობს და ყოველივე ეს განსხვავებულადაც არის გამოყენებული რომენსში. პოთორნი შუქის საშუალებით მისი ხასიათების

დანიშნულებას და კონტრასტული სცენებს გამოხატავს მოთხოვბის სტრუქტურაში. დიმსდეილის სიფერმკრთალე, რომელსაც ხშირად ახსენებს, უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე უბრალოდ სახის ფერი, ის მიგვანიშნებს "სულის ბნელ საიდუმლოებაზე". ამ შემთხვევაში კონტრასტიც არის გამოყენებული, როცა შთაგონების სიცხე იწვის მის ლოყაზე, სახეს სიკვდილის ფერი ანარეკლი დასთამაშებს. ესთერის პირველი გამოჩენისთანავე ფერზე კეთდება აქცენტი, წითელი ამოქარგული ასო "ა", წითელი ტანსაცმელი და ოქროსფერი ძაფის ბრწყინვალება. ჰოთორნი საუბრობს ქალის "ღრმა, შავ თვალებზე, მზის შუქის ანარეკლზე, რომელიც შავ მბზინვარე თმაზე ციალებს". (Hawthorne 1852: 50) ისინი, ვინც მას ადრეც იცნობდნენ, ელოდნენ, რომ ქალს ნახავდნენ შეკყრობილს, უბედურების ღრუბლით დაბრულებულს. ახლა კი გაოცებული და შეცტუნებული უყურებენ როგორ ანათებს მისი მშვენიერება. (Hawthorne 1952: 50) წითელი ქსოვილი ჩილინგურსის თითის მითითებით თითქოს კიდევ უფრო მკვეთრ წითელ ფერს ღებულობს და ცხელდება. მისი სამოსი ჩვეულებისამებრ პირქუშია, "მისი ფერმკრთალი ლოყები მხოლოდ ზოგჯერ ხდება მუქი წითელი." (Hawthorne 1952: 216) გმირის ასეთი აღწერა ხაზს უსვამს მის იძულებით ეპიტომიას. მისი თმის პირქუში, ნაცრისფერი თავსაბურავი გარეგნულად შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს. ტყეში ესთერი იძრობს თავსაბურავს და თმები "მუქი, სქელი, მის ბეჭედზე იყრება, შუქით საგსე მისი თვალების სხივი, პირის ირგვლივ მოციალე ნაზი დიმილი, ახლა ლოყებზე ვარვარებს, რომელიც ამდენსანს ფერმკრთალი იყო" (Hawthorne 1952: 176) მომენტალურად რომენსის გმირი წარმოგვიდგება მშვენიერ, დიდებული გარეგნობის ქალად, რის უფლებასაც მას ტყეში ყოფნა აძლევს. თუმცა პერლის დაუინგბული თხოვნით, ის კვლავ იბრუნებს ალისფერ ასოს, იკრავს თმას თითქოს "ამ ასოში იყოს დამდუბელი, დამფერფლავი შელოცვა, ჯადო. მისი მშვენიერება, მისი ქალობის სითბო და სიმდიდრე მიდის, კვდება მსგავსად გამქრალი მზის შუქისა და ნაცრისფერი ჩრდილი კვლავ ეცემა მას" (Hawthorne 1952: 198)

ჩილინგურსი ესთერს პირველად ახსენდება როგორც "ფერმკრთალი, გამხდარი სტუდენტი დაბინდული თვალებით". (Hawthorne 1952: 54) თუმცა ამ თვალებს ადამიანის სულში ჩახედვის ძალა ჰქონდათ. ეშაფოტთან მდგარ ჩილინგურსს, რომელიც ესთერის დასჯის საყურებლად არის მოსული, ძლიერი ემოციისგან სახე ჩაშავებული აქვს. მისი თვალები საოცრად ელავენ, იმის მცდელობით, რომ ესთერის საიდუმლო ამოიცნო. როცა ის დიმსდეილს

აკვირდება, მისი სახის ნაკვთები ცვლილებას განიცდის. "მისი მუქი სახის ფერი უფრო პირქუში და ბნელი ხდება. ღიმილი, რომლითაც როჯერი ზოგჯერ ცდილობს ნიდაბი აიფაროს და ჭეშმარიტი სახე დამალოს, მის სახეზე დამცინავად იფეთქებს ხოლმე და ზოგჯერ წითელი შუქი ციალებს მის სახეზე, რომელიც დროდადრო თვალებიდან ანათებს, თითქოს მისი სული ცეცხლშია და მის მკერდში ვარვარებს." (Hawthorne 1952: 147) ბოლო სურათში ჩილინგუორსი დგას "ცარიელი, სულელური სახის გამომეტყველებით," თითქოს სიცოცხლე დასრულდა. მართლაც მიზანი აღარ არსებობს და ჯოჯოხეთის შუქიც ქრება.

პერლს და ალისფერ ასომთავრულს ესთერისგან ბოძებული ერთნაირი ბრწყინვალება აქვთ. "ბავშვის დაბადებისთანავე ახალი სიცოცხლის თეორმა და წმინდა სხივებმა წაიღეს მუქი წითლის, ოქროსფერის დრმა ლაქები. ცეცხლის ალის ბრწყინვა, შავი ჩრდილი". (Hawthorne 1952: 80) მართალია "ღრუბლის მსგავსი სასოწარკვეთა და პირქუშობა არის ამ ბავშვი, მაგრამ განათებული ბავშვური ხასიათის დილის მსგავსი ბრწყინვალებით" (Hawthorne 1952: 81) მისი შესანიშნავი კაბა და აქსესუარები, მისი მშვენიერების დიდებულება "კოტეჯის შავ იატაკზე ქმნის ბრწყინვალე ციალის წრეს მის ირგვლივ" (Hawthorne 1852: 80) როცა გუბერნატორის სახლში თავისი მდიდრული მშვენიერებით გაბრწყინებული პერლი გამოჩნდება, ავტორი აღნიშნავს, რომ "მასში და მის ირგვლივ ცეცხლია" (Hawthorne 1852: 89) მისი მუქი წითელი ველვეტის ტუნიკა "ამოქარგული ფანტაზიითა და აყვავებული ოქროს ძაფით, მას ყველაზე კაშკაშა, პატარა ცეცხლის ენად აქცევს, რომელსაც ოდესმე უცვეკია დედამიწაზე (Hawthorne 1852: 89) ასეთი ემფატიკური ანალოგია ალისფერ ასომთავრულსა და პერლს შორის ესთერის ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია. არჩევნების დღეს გამოწყობილი პერლი გავს "პეპლის ფრთის მრავალფეროვან ბრწყინვალებას ან კაშკაშა ყვავილის ფურცლიდან გადმოხატულ სილამაზეს" (Hawthorne 1852: 197) ან "ბრილიანტის ციმციმს, რომელიც ანათებს და ციალებს (Hawthorne 1852: 197) მაგრამ პერლის ხასიათს მთელი მისი ბრწყინვალების მიუხედავად, აქვს "მძიმე ლითონის ბრწყინვა, რომელსაც მხოლოდ მწუხარება თუ შეარბილებს" (Hawthorne 1852: 197).

პოთორნი ასევე წარმატებით იყენებს შუქს თხრობითი სტრუქტურის განვითარებისთვის. წიგნის პირველი სცენა გაზაფხულის დილას იწყება. ბნელი ციხის კარებიდან და მარტოხელა ვარდის ბუჩქიდან. ნათელ დილას მზის შუქი ჩნდება ქალაქის შავ ჩრდილში, შემდეგ მთვლემარე ბავშვი გამოყავთ "დღის

ნათელ შუქზე, ციხის ნაცრისფერი ბინდიდან." (Hawthorne 1852: 48) ის აღისფერი ასომთავრულით განათებულ ესთერს გამოყავს როგორც "ესამართლობა, გამოთრეული მზის შუქზე" (Hawthorne 1852: 49) აქ ერთგვარი შეუსაბამობა ჩანს, ერთის მხრივ საჭიროა სიმართლე ყველამ გაიგოს, მაგრამ როცა ადამიანები თავის თავზე იდებენ ასეთ გასამართლებას, ეს უკვე დაუშვებელია. ცხელი შუადღის მზე წვავს ესთერს და შუქს პფენს მის სირცხვილს. ეს ის ქალია, ვინც კერიის წყნარი ცეცხლის გვერდით უნდა იჯდეს. ამ მზის შუქზევე გამოდის გუბერნატორი, ღვთის მსახურ ჯონ უილსონთან ერთად, ვისი ქადაგებაც ამ სიმბოლოს ახალ შიშს ძენს, რადგან მისი შეფერილობა ჯოჯოხეთის ორმოს ალებიდან არის წარმოშობილი. ისინი, ვინც ესთერს თვალს ადევნებს, როცა ის კვლავ ქრება ციხის კარს მიღმა, ფიქრობენ რომ აღისფერი ასომთავრული "მოვარვარე ცეცხლის ალის მსგავს სხივებს ისვრის ციხის ბნელ გასასვლელში" (Hawthorne 1952: 63) ასე რომ პირველი დიდი სცენა იწყება და მთავრდება ციხის სიბნელეში და გაშლილია მზის კაშკაშა შუქზე.

სცენას გუბერნატორის სახლის დერეფანში განსხვავებული განათება აქვს. სახლის ვითომ მხიარული ინტერიერი მატყუარაა. ფანჯრებიდან შემოსული მზის შუქი ციგ, საომარ საგნებს უცემა. აბჯარს, მუზარადს, გამობერილ სარკეებს, რომლებიც ადიდებენ აღისფერ ასომთავრულს ყოველგვარი პროპორციის გარეშე და პერლის სიცელქეს ისე ირეკლავენ, რომ ბავშვი კი არა, ეშმაკი გეგონება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს მუზარადიდან და აბჯრიდან არეკლილ შუქზე, რომელიც მკაცრ პურიტანებს გვახსენებს.

თავისი განსაკუთრებული განათება აქვს შუადამეს ეშაფოტის სცენას. "ბნელი დამე დაფარულია განურჩეველი დრუბლის საფარით, რომელიც ცის მოელ სივრცეს ახშობს ....ბნელი ნაცრისფერი შუადამე" (Hawthorne 1852: 128) მოჩვენების მსგავსი ბებერი გუბერნატორი თეთრი ჩაჩით და საღამური პერანგით ფანჯრიდან იყურება. სხვა ფანჯარაში კუდიანი ქალის ლამპა ანათებს. შემდეგ კვლავ სიბნელე დგება. ნელნელა პერლისა და ესთერის ფიგურები იკვეთება ამ სიბნელეში. ისინი მღვდელთან ერთად ეშაფოტობან დგანან. დიმსდევილს არ შეუძლია დღისით იქ დადგომა, ამიტომ მხოლოდ უმაღლესი სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან სამივენი ერთად. "ამ სამყაროს დღის შუქმა ჩვენი შეხვედრა არ უნდა დაინახოს... მღვდელი თავისი შერყეული გონებით ფიქრობს, რომ აღისფერ ასო "ა"-ს ცაზე გაელვებულს ხედავს (Hawthorne 1852: 141) როცა ჩილინგუორსი ჩაივლის, ამ სცენის განათება განსაკუთრებით კონტრასტულია ადრეულ

სცენებთან შედარებით. გავიხსენოთ, რომ ამ ეპიზოდში დიმსდეილი ერთგვარად დასცინის მონანიებას, სიმართლეს სიყალბედ აქცევს, ისე, რომ თავად თითქმის შეშლილობამდე მიღის. მისი შეშლილი ხარხარი პერლს აოცებს. შესაბამისად ასეთ სიტუაციაში მეტეორის გამოჩენა ყველაზე შესაფერისი განათებაა.

ტყის სცენას განსხვავებული ტიპის განათება აქვს. როცა ესთერი და პერლი ტყეში შედიან, "მოთამაშე მზის შუქი ბილიკზე ციმციმებს," (Hawthorne 1852: 159) მაგრამ როცა ისინი უახლოვდებიან ქრება, დედაშვილის უკან მრუმე ნაღვლიანი ჩრდილი რჩება, პერლი ცდილობს მზის შუქის დაჭერას, მაგრამ ესთერი ვერ ბედავს ხელის გაწვდენას, რათა ხელისგულში მოიქციოს ის. დაბურულ ტყეში წყვილისთვის ძნელია გაიაზრონ ერთმანეთის სხეულებრივი თუ ქმედითი არსებობა. ისინი ეფარებიან ჩრდილიან ტყეს და სალაპარაკოდ ჯდებიან. ამჯერად ტყის წყვილიადი უფრო ძვირფასია, ვიდრე ოქროსფერი შუქი. მხოლოდ აქ, მცირე ხნით წარმოგვიდგება არტურ დიმსდეილი თავისი ჭეშმარიტი სახით, რადგან მხოლოდ ესთერი ხედავს მას. ეს არის მცირე ეპიზოდი. ყველა სხვა შემთხვევაში მღვდელი ყალბია ღმერთისა და კაცის წინაშე. შესაბამისად, დიმსდეილის ამ წუთიერ ბუნებრიობაში, ჰოთორნი ნებას რთავს ველურ, მკრეხელურ ტყის ბუნებას, წყვილს მზის შუქის ნაკადი დააფრქვიოს, როგორც ზეცის მოულოდნელი გადიმება "სიხარულის მომნიჭებელი თითოეული მწვანე ფოთლისათვის, ყვითელი, მკვდარი ფოთლების ოქროსფრად გარდამქმნელი და დიდებული ხეების ნაცრისფერი ზროს გამნათებელი". (Hawthorne 1852: 176) საგნები, რომლებიც ამდენსანს ჩრდილებს ქმნიდნენ, ახლა სინათლეს ასხივებენ. "სიყვარულისთვის ყოველთვის უნდა იყოს მზის შუქი, რომელიც ისეთი ბრწყინვალებით აკსებს გულს, რომ მან შემდეგ გარესამყარო ააგსოს" (Hawthorne 1852: 177) პერლიც მზის შუქის ზოლზე დგას, მაგრამ ნაკადულის მეორე მხარეს და როცა საბოლოოდ მიდიან, ჭალა რჩება "მარტო ბნელი, ბებერი ხეებით. ეს არის ბუნების ღიმილი სიყვარულისადმი". მაგრამ როგორც ავტორი აღნიშნავს ეს მხოლოდ წამიერია, რადგან აქ არის პერლი და ალისფერი ასომთავრული. ანუ ჯერაც არსებობს საზოგადოების ნაწილი და კანონი, რომელსაც ისინი უნდა დაემორჩილონ.

ახალი ინგლისის დდესასწაული შეფერილია ინდიელებით, მეზღვაურებით. თვით პირქუში პურიტანებიც კი უფრო მხიარულ სამოსში არიან ნაჩვენები, ვიდრე ჩვეულებრივ. მზის შუქი დიდხანს ციალებს იარაღზე, აბჯარზე, და პერლიც ხტის და ციალებს "ბრილიანტის მსგავსად." მისტერ ჰიბინსი

იგონებს, რომ ალისფერი ასომთავრული, რომელსაც მზის შუქზე ყველა ხედავს, "ვარვარებს, როგორც ცეცხლი სიბნელეში (Hawthorne 1852: 172). "მერიდიანიდან მცირედ გადახრილი მზე მღვდელს ანათებს და სიძვეთოეს ძენს მის ფიგურას, რომელიც სამყაროსგან განცალკევებით დგას. და მის ვედრებას მარადიული სამსჯავროს საკურთხეველზე დებს" (Hawthorne 1852: 219) ასეთია პირქუში ლეგენდა "შემსუბუქებული მხოლოდ ერთი მარად გაცისკროვნებული მოვარვარე სინათლის წერტილით, უფრო პირქუშით ვიდრე ჩრდილია: შავ მდელოზე წითლად აგიზგიზებული "ალისფერი ასომთავრული". (Hawthorne 1852: 222)

"მარმარილოს ფავნში" ისე როგორც "ალისფერ ასომთავრულში", ავტორმა კიდევ ერთხელ წარმატებით გამოიყენა შუქის ეფექტი. "შუქი ყველა მხრიდან ანათებს ინტერიერს და ბურავს მას ცოცხალი დიდებულებით". (Hawthorne 1852: 54) როგორც ფერები გარდაქმნიან ჩვეულებრივ დღის შუქს სიმდიდრის და დიდებულების სასწაულად, პოთორნი ამგვარად ავითარებს მის ხასიათებს შუქისა და ფერის საშუალებით. მირიამი ყველაზე ბრწყინვალე და ფერადოვანია სხვა გმირებთან შედარებით. ის პოთორნის პირქუში მშვენიერების მქონე ქალთა რიცხვს ეკუთნის. მის შესახებ ავტორი ამბობს, რომ "მის ბუნებას ფერთა სიმრავლე აქვს". (Hawthorne 1866: 33) ან ვხედავთ "ფერმკრთალი ცრემლებით დალაქავებული სახით, ხასიათით, რომელიც მეხის წვიმასავით ჩამოივლის და მზის შუქს ისევ ტოვებს (Hawthorne 1860: 266) ქალი მოგვაგონებს შუქის იმ ერთერთ სახეობას, რომელიც "სასწაულს იწვევს და აიძულებს ანათოს ჩვენს წინაშე" (Hawthorne 1860: 11) მისი ჩირადდნის ციალი კატაკლიმბებში მის სერიოზულ სახეს ფენს ნათელს, რაც "ეწინააღმდეგება სიცილის სხივს მის შავ თვალებში" (Hawthorne 1860: 48) მაგრამ ქალის დაწერილებითი აღწერა არ არის მოცემული, სანამ ავტორი დონატელოს არ აჩვენებს მირიამის ავტოპორტრეტს. პოთორნმა წინასწარ განჭვრიტა ეს შემთხვევა, რათა მირიამის მშვენიერება მიეტანა მკითხველამდე. ეს პორტრეტი გვიჩვენებს სახის ფერს "არც ვარდისფერი ყვაოდა, არც ფერმკრთალი იყო, შავი თვალები გაოცებდათ თავისი სიღრმით. არავითარი ვულგარული ბრწყინვალება სხვა ქალების შავი კულულებისა, მის შავ სქელ თმებს გვირგვინად რომ ადგა მის თავს უფრო მუქი დიდებულება ჰქონდა." (Hawthorne 1860: 65). დონატელოს ექსტაზის დანახვისას, როცა ის სურათს უყურებს "სიამოვნების ლიმილი აბრწყინებს მის სახეს, თუმცა მისი თვალები ზიზღსაც ასხივებენ. როცა ნათელ, ბუნებრივ დიმილს ხედავს მის სახეზე, დონატელოს სურს ეს დიმილი სურათზეც ანათებდეს" (Hawthorne 1860:

67) პოთორნი ქალის ხასიათის განხილვის დროსაც ინარჩუნებს ბუნდოვანს, იდუმალ მომენტს. ახატვინებს ავტოპორტრეტს ქალაქგარეთ, კილაში "მზის შუქის სხივი ციალებს და ანათებს მისი სახის ფერმკრთალ მუქ მშვენებას" (Hawthorne 1860: 99) აქ "ის განათებულია შინაგანი ალით, მის ლოყებს მოვარვარე ცეცხლი ავსებს და მის თვალის გუგებში ცეკვავს" (Hawthorne 1860: 107) მაგრამ მირიამს კვლავ უბრუნდება შავი ემოცია, როგორც კი მისი მოდელი ტყის ცეკვას შეწყვეტს. მომენტალურად ირდვევა მზის შუქი, რასაც ის დონატელოში პოულობს. ეს მომენტი თითქოს მიანიშნებს, რომ ქალის "თეთრი ხელი ერთხელ დალაქავებული იყო მუქი წითელი ლაქით" (Hawthorne 1860: 125) ის ფიქრობს, რომ "ცოდვამ დაალაქავა დონატელოს მხიარული ბუნება სიშავით" (Hawthorne 1860: 199) მწუხარება აძლიერებს მის ქვებს დმერთის ყოვლისშემძლეობის შესახებ და ჰილდას ეუბნება რომ მოცემული მომენტისათვის ეს ძალიან ძნელია მისთვის. სისხლიანი დანაშაული მის ურთიერთობას დონატელოსთან ამყარებს, მაგრამ მერე "ველური ექსტაზი გაქრა და ჩაიძირა ცეცხლის მკვდარ ფერფლში, რომელიც ერთ დროს ასე ძლიერ ანათებდა" (Hawthorne 1860: 223) მკვლელობის შემდეგ ქალი გამოჩნდება კენიონის სალონში ძალიან ფერმკრთალი და შავებში ჩაცმული. შემდეგ იმედი, რომ დონატელოს კვლავ უყვარს, აფერადებს მისი ლოყების სიფერმკრთალეს, როდესაც მირიამი კენიონს გამოეცხადება კარეტით, გაზის ლამპის შუქი ანათებს მის სახეს. მხატვარი ხედავს მას მდიდრულ სამოსში და ამჩნევს მის საბოლოო ცვლილებას, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია მის მკერდზე დაბნეული ძვირფასი გემით, "რაც სამხრეთის ცის ვარსკვლავის მსგავსად წითელი ციალით ანათებდა. ეს ფერადი შუქი თითქოს მის ბუნებაში მოვარვარე ვნებებს გამოხატავს, რაც დაკრისტალდა მის მკერდზე და ეხლა ციმციმებდა უფრო ბრწყინვალედ, ვიდრე ოდესმე, მისი გულის ემოციის შესაბამისად" (Hawthorne 1866: 209). კარნავალის დროს მირიამი ჩნდება "ერთერთ იმ ბრწყინვალე კოსტუმში, რომელიც უხვად ღვიოდა მუქი წითელით და გაწყობილი იყო ოქროსფერი ნაქარგით" (Hawthorne 1866: 244) ოუმცა მისი ლიმილი მელანქოლიურ თვალებს ანათებდა. კენიონი ხვდება, რომ "მისი ნიღაბის უკან ფერმკრთალი ცრემლით დალაქავებული სახე იმაღება." (Hawthorne 1866: 270) როგორც ვხედავთ, პოთორნმა ფერადი შუქით წარმატებით შეძლო დაეხატა ცვალებადი, ყოველთვის იდუმალი ქალის სახე.

დონატელოს უყვარს "კურთხეული დღის შუქი" (Hawthorne 1860: 38) და ეშინა სიბნელის. იგი ასოცირდება "ერთ ბრწყინვალე სხივთან, რომელიც

ახერხებს იციალოს და იცელქოს მირიამის ჩრდილიანი ოთახის კედლების გარშემო" (Hawthorne 1860: 64) იგივე მზის შუქის სხივი ქალაქგარეთ ვილაში მოძრაობს მირიამის პირქუშ მედიტაციებში. ცავის დროს "ის ასხივებს მხიარულებას მთელი მისი ცოცხალი, მოძრავი პიროვნებით. (Hawthorne 1886: 136) მაგრამ უცნობის გამოჩენა გრევის შადრევანთან, დონატელოს ცხოველური სიბრაზით აღანთებს "ვეფხვის მსგავსად, ველური ნაპერწყალი ანათებს მისი თვალებიდან (Hawthorne 1860: 187), მისი სიყვარული მირიამისადმი უმაღლეს გრძნობას გამოხატავს და მის სახეს აცისკროვნებს. მკვლელობის შემდეგ კი უკვე "ბრაზი გარგარებს მის სახეზე და ანათებს მისი თვალებიდან." (Hawthorne 1860: 203) თუმცა "აქ უკვე ინტელექტის შუქი ირეკლება, რომელიც ვნებამ წარმოშვა მასში (Hawthorne 1860: 123) მოგვიანებით მის პიროვნებას "შუქი სქელი ღრუბელი ამძიმებს, ხასიათი პირქუშდება ცოდვის შეცნობითა და მწუხარებით" (Hawthorne 2004: 124) კენიონი ამ ტრაგედიის შემდეგ ერთხელ ისევ ხედავს ველურ ანარეკლს დონატელოს თვალებში "ტყეში შემთხვევით შემოფეოებული მგლის მსგავსს" (Hawthorne 1860: 19) მაშინ, როცა მირიამის სახელს ახსენებს. ცოდვის შეცნობის მერე მისი ცხოვრება იცვლება. ის იმ ბიჭს გავს, რომელმაც ძველი ჭეშმარიტება აღმოაჩინა რომ "დრო მიფრინავს მაგრამ თავის ჩრდილს უკან ტოვებს." (Hawthorne 1860: 7) საბოლოოდ კენიონის შემოთავაზებით, რომ მშვიდობა შეიძლება კაცობრიობის სამსახურში მოვიდეს "მისი სახე ნათდება ვარსკვლავების ქვემოთ" (Hawthorne 1860: 64) დონატელოს პიროვნებაში ანტიგური ფაგნის თვისებები ცეცხლის შუქს ჰგავს და არა მზისას, რაც მას ადამიანურ ქმნილებად აქცევს. მაგრამ ეს შუქი მას მხოლოდ სინანულის განცდის შემდეგ დაუბრუნდა, სინანულის და რწმენის, რადგან ის ზეცის წინააღმდეგ იბრძვის თავისი ახალაღმოჩენილი სულით.

ჰილდას, "თეთრებში ჩაცმულ წესიერ გოგონას" (Hawthorne 1860: 70) ავტორი ჰილდა მტრედს უწოდებს. მის უმანკოებას არავითარი ეჭვი და ჩრდილი არ ადგება. "ღია ყავისფერი კულულებით, ჯანსაღი სახის ფერით, მისი სახე მშვენიერი და ელდის მომგვრელია, თითქოს შინაგანი ფიქრი და გრძნობა ამოდის ზედაპირზე, ანათებს და ისევ შიგნით სულს უბრუნდება." (Hawthorne 1860: 83) ეგონებოდათ, რომ "ჰილდა ხილული იყო მისი სულის მზის შუქით" (Hawthorne 1860: 83) "თეთრი მტრედები და თეთრი ფიქრები მისი კომპანიონები არიან" (Hawthorne 1860: 144) ის ნახევრად იდეალური ქმნილებაა. როგორც მირიამი ამბობს, "ჰილდა არ ცხოვრობს ჩვენს მოკვდავ ატმოსფეროში და ძნელი იქნება

მისი გულის მოგება ისე, როგორც თეთრი ჩიტის შეცდენა და ჩამოტყუება ცის მზიანი თავისუფლებიდან" (Hawthorne 1860: 155) კენიონიც ასევე ხედავს "ჰილდას ბუნების თეთრ, მოკაშქაშე სისუფთავეს, როგორც ცალკე სუბსტანციას." (Hawthorne 1860: 168) მკვლელობის შემდეგ, თეთრი ჰილდა დამწუხებული ზის. "მისი გონება, ბუნებრივი სიცოცხლის სიყვარულით მზის შუქის ასე მსგავსი, მოძრაობს ფიქრიდან ფიქრამდე" (Hawthorne 1860: 254) მაგრამ ვერ ჰოულობს დასაყრდენს, რაღაც ეხლა მირიამის ბნელი საიდუმლო აქვს შესანახი. როცა ჰილდა პირადად ეჯახება სატანის არსებობას სამყაროში, "თითქოს ისეთმა ბნელმა დრუბელმა შეიკრა პირი დილის შუქზე, რომ აღარ გეგონება თუ მზის შუქი არსებობს მის თავზე ან უკან" (Hawthorne 1860: 132) ჰილდას საშინელი მარტოობა ცივი საპატიმროა, რომელიც "ნაცრისფერ ბინდბუნდში იფარებს მას" (Hawthorne 1866: 134) ავტორს სურს დაგვანახოს, რომ უმანკოება სხვისი დანაშაულის გამო იტანჯება, რამაც მის თეთრ სამოსს სისხლის ლაქა დააჩნია. სატანამ "ისე ფართედ გაშალა მისი შავი ფრთები, რომ ჩრდილი მიადგა უმანკოებასაც და დანაშაულსაც" (Hawthorne 1866: 243) ეს არბილებს და პუმანურს ხდის ჰილდას. ბოლოს, როცა ის ბრუნდება, "მხიარულების სხივი აქვს თვალებში". კენიონი რომელსაც "არ დაპნათის პოლარული ვარსკვლავი თავზე, არც ლამპის სხივი უნათებს სახლის ფანჯრიდან, ისურვებდა ჰილდა ყოფილიყო მისთვის გზისგამკვლევი, მრჩეველი, მეგობარი, თავისი თეთრი, სპეტაკი სიბრძნით, რომელიც ციური სამოსივით ევლება გარს. მან უნდა უჩვენოს გზა კენიონს შინისაკენ" (Hawthorne 1866: 280)

ავტორი კენიონს დამკვირვებლის და მთხოვობელის პოზიციისათვის იყენებს, რომელსაც შეუძლია მოიწონოს ან არ მოიწონოს სხვა გმირების ქმედებები და მათი ინტერპრეტაცია მოახდინოს. რომენსში მასთან მიმართებაში იგრძნობა ფერისა და შუქის ნაკლებობა. მისი "დია ყავისფერი წვერი და ნაცრისფერი ზედა" ერთხელ იხსენიება ავტორის მიერ. ის ხშირად აღნიშნავს, რომ "იკარგება სიბრძნეში" (Hawthorne 1866: 265), ამიტომ ჭირდება "თეთრი სიბრძნე", რისთვისაც ის ევედრება ჰილდას დაქორწინდეს მასზე.

უცნობი ამ რომანტიკული რომანის შავი გმირია, ბნელი, გაბურმებნული, წვერიანი მოჩვენების აზრები მიგვანიშნებს, რომ ის საუკუნეთა სიბრძნეში მოძრაობდა და მზის შუქს ელოდებოდა. ჰილდა და წამიერად გამოჩნდება და კვლავ ზურგს აქცევს ჩირაფდნებს. "იმ ქმნილების მსგავსად, ვისთვისაც შუაღამე უფრო სასიამოვნოა, ვიდრე შუადღე" (Hawthorne 1860: 44) ის

მირიამის მდევარ აჩრდილად იქცევა. მხოლოდ ერთხელ იცვლის ფერს, "ფერმკრთალდება ფერფლისფრად", როცა მირიამი სთავაზობს რომ გადარჩენისათვის ილოცოს. ის იბანს "მის ყავისფერ, ძვლიან ბრჭყალებს გრევის შადრევანში შეშლილის მსგავსად და იხედება შიგნით, თითქოს რომის დიდი სასმელი ჭიქიდან აუცილებლად დალაქავდება შავად ან სისხლისფრად" (Hawthorne 1860: 187) პოთორნის ფერთა გამა საშუალებას აძლევს მკითხველს დაინახოს თუ რაოდენ საშიში და საშუალებელია ის.

პოთორნი გარკვეული სცენებისათვის რამოდენიმე სახის განათებას იყენებს. მიწისქვეშა შუქი, ნახევრად ოქროსფერი, მთვარის სხივები, ბუს კოშკის განათება, მოხატული ფანჯრიდან მომდინარე შუქი, ზეციური, კარნავალის შუქი, მზის სხივების განსხვავებული ნათება. თავში "მიწისქვეშა რემინისენსიები" (Hawthorne 1860: 32) ავტორი ახეტიალებს თავის გმირებს "ჩირადდნის შუქზე, ზმანების მსგავს სუბსტანციაში, რომელშიც უკლესის რიგებისა და სენაკების რემინისენსიები რიალებენ. ორივე მხარეს ჩირადდნის შუქზე თეთრი ფერფლი ჩანს" (Hawthorne 1860: 38)

ეს არის "სიბნელის ლაბირინთი, მათი ჩირადდნების დაბინდული შუქი მასიურ სიბნელეს ებრძის და ამჟდაგნებს აჩრდილს, რომელიც კატაკომბების ცარიელი სიბნელიდან გამოჩნდა" (Hawthorne 2004: 39) იდუმალი არსება არ ჩანს, მაგრამ სიკვდილის სუნი მოსდევს თან. ის თითქოს მირიამის ცხოვრების მარადიული აჩრდილია. სატანის მოციქული, რომელიც გარემომცველი სიბნელისგან იბადება. შუქის ეფექტით პოთორნი თავისი გმირების შინაგანი მდგომარეობის დახასიათებასაც ახერხებს. მირიამის "ჩრდილებიან ოთახში ყველა დარაბა დახურულია, მხოლოდ ერთია სანახევროდ დია, რომელშიც უმზეო ცის ნაწილი მოჩანს." (Hawthorne 1860: 57) მისი სახელოსნოს იდუმალი წყვდიადი, მის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. პილდას სამყოფელში პირიქით, ყოველთვის მზის შუქით განათებული საკურთხეველი მოჩანს, სადაც ის მარადიული ლამპის ალს ინახავს. თეთრი მტრედების გუნდი ფრთხიალებს და ღუღუნებს მისი კოშკის თავზე. მათი ვერცხლისფერი ფრთები თითქოს ანათებენ პაერის სუფთა გამჭვირვალებაში. (Hawthorne 1860: 70) ეს ის ატმოსფეროა, რომელიც პილდას სულის თეთრ შუქს შეესაბამება. დონატელო ქალაქარეთ ვილაში ცხოვრობს, სადაც "ფიჭვები სქელ ტოტებს ისე მაღლა წევენ, რომ მწვანე კუნძულებს მოგვაგონებენ, ჩრდილს რომ ისვრიან ტორფზე. აქ ანემონები და იასამანი ყვავის. თეთრი, გარდისფერი ყვავილები იდეალურ პეიზაჟს ქმნის,

რომელიც თითქოს პოეტის გონიერამ დააგეგმარა. აქ მზის ჩასვლა ოქროსფერია, შადრევანი ციმციმებს, მწვანე და ლურჯი ხვლიკები მზეზე თბებიან და დონატელო, რომელიც ჯერ არ იცნობს ცოდვას, ლალია და ხალასი როგორც თავად ეს ბუნება. (Hawthorne 1860: 94)

მთვარის შუქზე სეირნობისას მეგობრები ეზოდან უყურებენ "შუქით სავსე ცას, რომელსაც მუქი წითელი, მეწამული ელფერი დაკრავს. ეს შუქი ასხივებს სასახლის არქიტექტურულ ორნამენტებს, ფანჯრებს. ტრევის შადრევანი ციალებს და ცახცახებს მთვარის შუქზე. წყალი ესხმება დიდ მარმარილოს აუზს და კამკამა, მოცახცახე ნაკადით ავსებს მას. სამი მეგობრის ჩრდილი ამ წყალში იძირება". (Hawthorne 1860: 180) თაღებში სიბნელეა და შავი ფერი მეფობს. კოლიზეუმის ყველაზე მაღალ კედელთან ზის კომპანია და ტკბება მთვარის შუქჩრდილებით, აწმუოს მხიარულების პირქუში მოგონებებით. იდუმალი უცნობი, "გოტიკური საშინელების" მსგავსად შემოდის "მშვიდობიან, მთვარით განათებულ სურათში". (Hawthorne 1860: 197) სახეზე შუქი ანათებს. როცა შემობრუნდება მხატვრების წინაშე, წამიერად კონტროლდაკარგული მირიამი უკუიქცევა "თაღის ღრმა სიბნელეში". (Hawthorne 1860: 198) ფორუმის შემოგარენთან, უფსკრულის დიდი, ბნელი, თვალუწვდენელად ღრმა ნაპრალი აღებს პირს. მირიამი ფიქრობს, რომ "ყველა ადამიანს მოუწევს ჩაიხედოს მასში სასოწარკვეთის, სულიერი დაცემის ღროს" და პილდას პირდება, რომ მისთვისაც გაიღება ასეთი უფსკრული. რადგან უფსკრული არის "უბრალოდ ერთერთი გასასვლელი იმ შავი ორმოსი, რომელიც ჩვენს ქვემოთ წევს" (Hawthorne 1860: 204).

ბუს კოშკში განცალკევებული მონტებენის გრაფი სხვა შუქით არის დახატული. "ნაცრისფერი ხავსიანი კოშკი, ნაცრისფერი და ყვითელი, დაღლილი კიბეები, ბნელი ოთახები..." (Hawthorne 1860: 46) დონატელო ძალიან მარტოსულია. კენიონი უუბნება მას რომ "მისი ბნელი საფეხურებით და ბნელი საპატიმროს სენაკებით კოშკი გავს ბევრი ცოდვილი სულის სპირიტუალისტურ გამოცდილებას, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება სუფთა ჰაერისთვის და ზეცისთვის იბრძვის" (Hawthorne 1860: 47) დონატელოს ოთახში "ნაცრისფერი თაბაშირის თავისქალა თეთრი მარმარილოს ბალიშზე ისგენებს" (Hawthorne 1866: 50), ფანჯრიდან ქვემოთ იტალია შეიძლება დაინახო "ღმერთის ფართო მზიანი ღიმილის ქვემოთ" (Hawthorne 1860: 51) პატარა ბუქები პრიალა,

მწვანე ფოთლებით ერთადერთი მწვანე საგანია აქ, რომელიც ცდილობს გაიზარდოს კლდის ნაპრალში. დონატელოს მარნიდან ამომავალი მზის შუქი, "ახალგაზრდული იმედების ჰაეროვან სიტკბოებას ფლობს, რომელსაც ვერავითარი რეალობა ვერ დააკმაყოფილებს" (Hawthorne 1860: 12) მკრთალი ოქროსფერი ლიქიორი უფრო მეტად მორალურ ტკბობას იძლევა, ვიდრე ფიზიკურს. იგი არ იყიდება ფულზე და არ შეიძლება მისი გადატანა.

ეკლესიის სურათებისგან მომდინარე შუქი, მკვეთრ კონტრასტია მოხატული მინის შუქთან. ძველი მხატვრების დახატული ფრესკები ცოცხალი სულის სიმბოლოების მსგავსად ვარვარებენ, იმიტომ, რომ "უფალი თავად ანათებს მათში". (Hawthorne 1860: 104) კენიონი ამბობს: "ქრისტიანული რწმენა, არის დიდი კათედრალი დათიურად მოხატული ფანჯრებით და აქედან შემომავალი შუქის თითოეული სხივი ამჟღავნებს ენით გამოუთქმელი დიდებულების ჰარმონიას. (Hawthorne 1860: 108)

წმინდა პეტრეს ტაძრის შიგნით საოცარი სინათლეა, რაც "ახალი ქმნილების საოცარ უვაჭრს" კიდევ უფრო აძლიერებს. "ის შესანიშნავია, ყოველმხრივ რელიგიური, რწმენის დიდებული სიმბოლო, ფერადი მარმარილოს იატაკი და გუმბათი მდიდრული, დიდებული მზის შუქით არის ავსებული. გაუხუნარი საუკუნეების შემდეგ, მისი სიდრმე ზეცას მოკვდავთა ამბავს აგებინებდა და სულს ეხმარებოდა უფრო მაღალი და გრცელი სფეროს მიღწევაში". (Hawthorne 1860: 156) ჰილდა, რომელიც ჯერ კიდევ "მახეშია გამჭული ამ უგემოვნო ცრურწმენებით", იხრება "ოქროსფერი შუქისკენ, რომელიც მაღალი საკურთხევლის წინ იღვრება". ქალი იჩოქებს "მარადი ლამპის ქვეშ, რომელიც კეთილისა და ბოროტის ბრძოლის სურათზე სხივებით ანათებს არქანგელოზის სახეს" (Hawthorne 1866: 179) მის მწუხარებაში იმედი იწყებს ციმციმს, როცა მზის შუქს ხედავს დასავლეთის ფანჯრებში. ის გრძნობს, რომ კათოლიკებს აქვთ პრივილეგია დატოვონ "ჯვრის ფერხთით შავი ტვირთი და წავიდნენ, აღარც ცოდვა აქვთ, აღარც წუხილი. ცხოვრობენ ისევ უცოდველობის სიმსუბუქეში" (Hawthorne 1866: 161) ჰილდა დატოვებს "ბნელ მონათხრობს მღვდელთან და პურიტანთა ასული მსოფლიოს კათედრალთან ზეციურ შუქის სხივს იჭერს. (Hawthorne 1866: 137) კენიონი თვლის, რომ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მოხატული ფანჯრები. ჰილდასთვის კი ამდენი ფერთა სიმდიდრე შეუსაბამობაა. დიდებული ბუნდოვანება უფრო მისაღებია.

ბრწყინვალე ფერებით არის დახატული კარნავალი კორსოში. იტალიური ცის გრძელი ლურჯი ზოლი მხიარულებას დაჭნათის, აივნებს გადმოუფენიათ "კაშკაშა, დიდებული ხალიჩები, ნათელი აბრეშუმები ოქროსფერი ძაფებით, სხვადსხვა შეფერილობით მოციალე გობელენები." (Hawthorne 1860: 255) პერცოგის კარება "სამი ოქროსფერი ლაქით უკან" (Hawthorne 1860: 257) საცოდავად ჩამომჭკნარი ყვავილების თაიგულები, დაბინძურებული "რომის ჭუჭყით, ტალახში ჩაუგდიათ და გადაუგდიათ მსგავსად იმ გატეხილი გულისა, რომელმაც ხელიდან ხელში გაიარა ცხოვრების ჭუჭყიან შარაგზაზე" (Hawthorne 1866: 258) ჭრელმა მსახიობებმა "თხელი ზმანებასავით" ჩაიარეს. პოთორნის მიერ შუქის გამოყენების სახესხვაობა არცერთ რომენსში არ არის ისე კარგად ილუსტრირებული, როგორც "მარმარილოს ფავნში". შუქი ანათებს მის ხასითებს და ახასიათებს მათ.

რომენსში "შვიდფრონტონიანი სახლი" თავად სახლი არის რომანტიკული რომანის ცენტრალური სახე, სიმბოლო, რომელსაც მრავალფუნქციური მნიშვნელობა აქვს. ყველა მოვლენას, რაც ამ ნაწარმოებში ხდება, პირდაპირი ან არაპირდაპირი შეხება აქვს სახლთან. თავად პოთორნი დიდ ყურადღებით ეკიდებოდა ყველა წვრილმანს, რითაც პინჩენების ძველი სასახლის სახე იქმნებოდა. ფილდსთან მიწერილ წერილში ის წერდა: "ამ წიგნის ბევრი გვერდი აუცილებელი ეფექტის მიღწევისათვის დეტალების ისეთ ზუსტ სრულყოფილებას მოითხოვს, როგორსაც პოლანდიელი ოსტატების ტილოებზე ვხედავთ... გასაკვირია, რამდენად სულჩადგმული და მნიშვნელოვანი ხდება პროზაული საგანი, მაგალითად თიხის ქოთანი, თუ მას სრული სიზუსტით გამოვსახავთ. პოლანდიელებმა, იცოდნენ უბრალო საგნების სულში ჩაწვდომა და აიძულებდნენ მათ აესახათ და გაეხსნათ ადამიანის სულიერი სამყარო." (Fields 1881: 29) ამისკენ ისწრაფოდა პოთორნიც. შვიდფრონტონიანი სახლის სახებას უნდა აესახა და გაეხსნა ადამიანის სულიერი სამყარო. ჩაუმული, გამოფიტული, დამპალი კედლები, პირქუში ქიმები, საგვარეულო პორტრეტებით დამშვენებული ბნელი ოთახები, უზარმაზარი ბუხარი და სავარძელი, რომელშიც ერთიმეორის მიყოლებით კვდებოდნენ პინჩენები, ყოველივე ეს სუნთქავს თაობის ტრაგიკულობით, პინჩენებისეული ცოდვის სიმძიმით. "ამ პატივცემული შენობის იერსახე, ჩემზე ყოველთვის ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ადამიანის სახე. მის კედლებზე მარტო

უამინდობის ან მზის კვალს ვერ დაინახავდით, ისინი იმ ადამიანთა ცხოვრებაზე და ბედის უკუღმართობაზე მეტყველებდნენ, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობდენენ” (Hawthorne 1851: 213) ეს სახლი მის მცხოვრებლებს თავის ნებას კარნახობს. მისი კედლები ციხის კედლებს ჰგავს. აქ მცხოვრები ვერასოდეს გავლენ ფართო სამყაროში, ვერ იპოვიან საერთო ენას ადამიანებთან. სახლი წარსულის სიმბოლოა, რომელიც მკვდარ ტვირთად აწევს ახლანდელს.

თანამედროვე ცხოვრება პოთორნის მიერ სიმბოლურად ასახულია რკინიგზაში, სადაც წარსულის სამყაროდან აღმოჩნდებიან პეფსიბა და კლიფორდი. აგრეთვე დაგეროტიკულ პორტრეტებში, რომელსაც პოლგრეივი აკეთებს. პორტრეტები გამოხატავენ მწერლის დამოკიდებულებას რეალიზმთან, როგორც ჭეშმარიტი ფაქტის უტყუარ ხელოვნებასთან. ისინი გვანან ცოცხალ ხელოვნებას, მაგრამ პოთორნის რომანტიკული განწყობით ეს არ არის ხელოვნება. ავტორი აღნიშნავს, რომ სურათებს, ქანდაკებებს ან ადგილებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ მის ნაშრომში. ის აღიარებს- “ჩემი განზრახვა არ არის უფრო შორს წავიდე აღწერებში, ისედაც საკმაოდ შევცოდე ამ მიმართებით” (Hawthorne 1851: 523) პოთორნი “მარმარილოს ფავნის” შესავალში ამბობს, რომ მას არა აქვს განზრახვა იტალიური მანერები და ხასიათები აღწეროს (Hawthorne 1860: VIII) იგი ნაშრომში მოძრაობს ნაგრევების დიდებულებაში, რომელიც მისთვის განუსაზღვრელად რომანტიკულ ატმოსფეროს ქმნის. მიუთითებს ხან ერთ, ხან მეორე ისტორიულ ძეგლზე, ან აქცენტს აკეთებს რომელიმე ერთზე, რათა სიმბოლურობა მიანიჭოს და მკითხველს საშუალება მისცეს წარმოსახვა ისე გაავარჯიშოს, როგორც ეს თავად გააკეთა პრაქსიტელეს ფავნთან მიმართებაში და ის რომანტიკული რომანის მთავარ სიმბოლოდ აქცია. რომენსში თვით ის ადგილებიც, სადაც ცხოვრობენ თუ მუშაობენ ადამიანები, მათი მაცხოვრებლების ხასიათს განსაზღვრავს. თითოეულ ამ სივრცეს გააჩნია თავისი დამაკავშირებელი გასასვლელი გარესამყაროსთან. მირიამის სახელოსნო, მოჯადოებული ოთახის მსგავსია, რომლის მსგავსი ხშირად გვხვდება მწერლის სასიყვარულო წერილებსა და უბის წიგნაკებში. მარტოსული, მგრძნობიარე, ინდივიდის შეწუხებული გონებისათვის, ეს ის ადგილია, სადაც უცნაური, საყვარელი ფანტაზიები ჩნდებიან, რომელთაც ძნელად თუ მიაკუთვნებთ რეალურ გარესამყაროს. იგი უფრო მეტად პოეტის მოჯადოებული წარმოსახვის ნაყოფია. ეს ადგილი ნავთსაყუდელია მირიამის შიშებისა და სევდიანი

მოგონებებისათვის. ამ ოცნებათა ადგილზე, მისი ხელოვნება ფორმას აძლევს ზმანებებს. პოთორნის ადრეულ ხელოვან მეოცნებეთა მსგავსად, ქალი საკუთარი ფანტაზიების მსხვერპლია. თავის ნამუშევრებზე ის ამბობს "არა საგნები, რაც მე შევქმნი, არამედ საგნები რასაც მე შეპყრობილი ვყავარ." (Hawthorne 1860: 61) ამ მომაჯადოებელ სახეთა შორის არის "კატაკომბების მოჩვენება", მირიამის ავტოპორტრეტი, რომელზეც აშკარად არის აღბეჭდილი "მის გულში არსებული ცოდნის ინტიმური დეტალები". (Hawthorne 1860: 67)

"ბლაითდეილის რომანის" სიმბოლოები მარტივი და ეფექტურია, რაც მომხიბვლელობას აძლევს მოთხოვნებას და აძლიერებს მის ფსიქოლოგიას— მაგალითად პირბადები, მასკარადები, რათა მოტივისა და რწმენის ორსახოვნება შემოგვთავაზოს. მესმერიზმი, რათა სულისა და ემოციურად დამაჯერებელი ხრიკების ორბუნებოვანება შემოიტანოს, კერის ცეცხლი, რათა გვაჩვენოს მხიარული, გენიალური, ემოციური ცხოვრება, რომელიც ირონიულად უსხელტება ხელიდან ბლაითდეილიანების ცივ იდეოლოგიას. აქ ასევე გვხვდება პასტორალური, მხატვრული გაფორმება, დეკორაციები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ეს რომანტიკული რომანი პასტორალური იდილიებით მდიდარ ლიტერატურას გაუთვნის.

ავტორი ნაყოფიერად იყენებს ტრანსცენდენტალურ სიმბოლიზმს მისი ნააზრევის გადმოსაცემად. კრიზისი პოთორნის მიერ ხელოვნების საზღვრების გაგებში ჩანს ზენობიას ლეგენდაში "ვერცხლისფერი პირბადე" (Hawthorne 1865: 127) ეს გახდავთ თეოდორის (იგივე კოვერდეილის), ამბავი, გინც კოცნით უნდა გაათავისუფლოს მონობისგან პირბადიანი ქალი (პრისცილა), ისე, რომ არ შეიხდოს პირბადის ქვეშ. მეტისმეტად სკეპტიკური და ცივი თეოდორი ჯერ პირბადის აწევას მოითხოვს. პირბადიანი ქალი რჩება მონობაში და გმირი განწირულია ინანოს მისი ყოფმანი მთელი მისი დარჩენილი ცხოვრება.

საინტერესოა, როგორ თხოვობით სტრატეგიას იყენებს პოთორნი რომანტიკული რომანისათვის. როგორც ლიტერატურათმცოდნე მიშელ დიუნი ადნიშნავს "ალისფერ ასომთავრულში" ავტორი მეტადიეგეტიკურ თხოვობით მექანიზმს იყენებს, მაგრამ არა პირდაპირი გზით. მაგალითად მეორე თავში ესთერი ცდილობს სახალხო დამცირებისგან მიღებული ფსიქოლოგიური სტრესი წარსულ ცხოვრებაზე ფიქრით გააითლოს. რეალისტურად ესთერის მოგონებები შეძლება გავიგოთ როგორც თხოვობითი ექსპოზიცია. ჩვენება, აღწერა, რათა მკითხველმა გაიგოს, როგორ გახდა ესთერი უკანონო ბავშვის

დედა. მეორეს მხრივ, ქალის მიერ გამოწვეული რემინისენცია, დაუცველი, ლამაზი გოგონას ისტორია, რომელიც ზებუნებრივი ძალის მფლობელ ასაკით უფროს მამაკაცზე გაათხოვეს, შეიძლება განვიხილოთ როგორც გუთური რომანის ელემენტი.

“ალისფერი ასომთავრულის” შესავალში "საბაჟო", ერთი საინტერესო პასაჟი ჩნდება, რომელსაც მიშელ დიუნი პარადიეგეტიკურ თხრობით სტრატეგიას უწოდებს. აქ ავტორი მოგვითხობს, რომ "ესთერის ამბის მთავარი ფაქტები დადასტურებული და ნებადართულია ჯონათან პიუს დოკუმენტით". (Hawthorne 1852: 31) ეს ადამიანი ადგილობრივი მემატიანე იყო და ჯერ კიდევ პოთორნის მოსვლამდე მუშაობდა საბაჟოში. მოგვიანებით, რომენსში, მთხოობელი ზოგჯერ პიუს შეფასებას იყენებს, რათა დაამოწმოს დიეგეტიკური მოვლენა. როცა ცოდვილი მღვდლის, დიმსდეილის მომხრეები უარყოფენ მის მიერ ჩადენილი გარყვნილების აღსარებას, ან რაიმე ნიშნის არსებობას მის მკერდზე, მთხოობელი საკამათოდ პიუს ხელნაწერს იყენებს მათი ვერსიის წინააღმდეგ, თუ რა მოხდა სამარცხინო ბოძის სცენის დროს. "სარწმუნო ნივთმტკიცება, რასაც ჩვენ ძირითადად ვეყრდნობოდით, ინდივიდუალური პირების ზეპირი ჩვენებიდან შედგენილი ძველი თარიღის ხელნაწერი. ზოგიერთი კარგად იცნობდა ესთერ პრინს, სხვებმა კი ეს ამბავი მისი თანამედროვე მოწმეთაგან მოისმინეს." (Hawthorne 1852: 61) პიუს ხელნაწერი ასევე შეიცავს ხილულ მოწმეთა მოგონებებს ესთერზე, როგორც "ძალიან მოხუც, მაგრამ არა მიხრწნილ ქალზე, დიდებულსა და მარტოსულზე (Hawthorne 1852: 33) "ეს ქალი უნდა წასულიყო ქვეყნიდან, როგორც მოხალისე მედდა, რაიმე განსხვავებულად კარგი უნდა ეკეთებინა, თუნდაც ის, რომ რჩევები მიეცა ადამიანებისათვის ყველა სიტუაციაში, განსაკუთრებით გულის საქმეებში." (Hawthorne 1852: 33) სულ ეს არის, რაც ჯონათან პიუს ჩაიწერა, ანუ რაც ადამიანებს ახსოვთ. და მაინც ესთერმა არ დატოვა ახალი ინგლისი, ის და დიმსდეილი არ დაბერებულან ერთად დვთისგან კურთხეულ ქორწინებაში. მთხოობელის მიხედვით, ეს არც შეიძლება იგულისმო, რადგან თხრობაში მოცემულია არა უბრალოდ ალბათობა, არამედ პიუს მეტადიეგეტიკური თხრობა. რომანტიკული რომანის პირველი გვერდებიდანვე ავტორი ცდილობს აღწერას არქაული ხასიათი მისცეს: "ხის შენობა უკვე ჩამუქდა, მისი ფასადი მოძველდა და კიდევ უფრო პირქუში გახდა, მძიმე მუხის კარს ანჯამაზე ისეთი ჟანგის ფენა ედო, რომ გეგონებოდა მთელ ახალ სამყაროში ამ ციხეზე ძველი არაფერიათ. თითქოს ის ასეთი დაიბადა, ძველი,

როგორც დანაშაული" (Hawthorne 1852: 45) არქაულობაც აგრეთვე რომანტიზმისთვის დამახასიათებელი ერთერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

"ალისფერი ასომთავრული" ყველაზე წარმატებულ ნაწარმოებად არის აღიარებული. მასში სრულად არის განხორციელებული რომანტიკული რომანისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან თვისება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორი შესავალში ამბობს, რომ ნაწარმოების "მთავარი ფაქტები რწმუნებული და უფლებამოსილი იყო საბაჟოს ჩინოვნიკის პიუს დოკუმენტით". რომანის დასკვნაში ავტორი ამ ფაქტს იმეორებს, რითაც სქემის სარწმუნობას ამტკიცებს. პოთორნმა თითქოს მხოლოდ წარმოსახვა მოიშველია, რათა ესთერ პრინის ისტორია დაემუშავებინა. რომანტიკული რომანის მთავარი დირსება მდგომარეობს მისი მხატვრული სტილის სრულყოფასა და ერთიანობაში. ეს არის ავტორის მხატვრულად ძლიერი ქმნილება, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის ფილოსოფიურ, სოციალურ-ეთიკურ და ესთეტიკურ წარმოდგენებს ცხოვრებასა და ადამიანზე. "ალისფერი ასომთავრული" არის ახალი ესთეტიკური ქადაგების აღსრულება, ამერიკის არცთუ შორეული წარსულის პოეტიზირება, ახლგაზრდა ქვეყნისათვის ესთეტიკურად ამაღლებული სიძველის მიცემა, რომლის ნაკლებობასაც ასე განიცდიდნენ პოთორნის თანამედროვე მწერლები.

ავტორში, როგორც მთხოვნელში თითქოს ორი ადამიანი თავსდება, რომლებიც სხვადასხვაგვარად უყურებენ ერთსა და იმავე მოვლენას. ერთი მათგანი ამ მოვლენების თანამედროვეა, პათეტიკურად აღმწერი და მე-17-18 საუკუნის ამერიკელის პოზიციიდან მათი შემფასებელი. მეორე პოთორნის თანამედროვეა, მე-19 საუკუნის წარმომადგენელი, განმანათლებელთა იდეებზე აღზრდილი, შორს მყოფი შავი ცრურწმუნებისგან და წარსულის ზემოქმედების რწმენისგან, ცოტათი ირონიული, ანალიზისა და განზოგადოებისაკენ მიდრეკილი. ამ სახით რომენსში ორი მონაცემეობითი თხოობის დონე წარმოიშობა, რომლებიც ერთმანეთთან ფაქტების საშუალებით არის დაკავშირებული. პოთორნის ორ რომანტიკულ რომანში ჩანს ინტონაციის რიტმულობის ლიტერატურული ანალოგია. ერთი არის ალისა პინჩენის ისტორია "შვიდფრონტონიან სახლში" და მეორე ზენობიას ლეგენდა "ბლაითდეილის რომენსში". თემატურად ამ უკანასკნელს უმაღლესი მნიშვნელობა აქვს. მას მოჰყვება რომენსის შინაარსის ორი მთავარი ხაზი. ეს არის "კუთვნილების" ფსიქოლოგიური გაგება და მისი დიამეტრიკულად საპირისპირო სიყვარული,

რომელიც შედგება ასიმილირების სურვილისგან და არის შემოსაზღვრული რომანტიკული სუბიექტურობის პირობით.

ზენობიას მონათხრობში პირბადიანი ქალბატონის შესახებ თხრობა იწყება თეოდორას სანაძლეოთი, რომ ის აღმოაჩენს პირბადიანი ქალის პიროვნებას. პირბადის სიმბოლო აღწევს რომანის მთლიანობაში. აქ ალბათ მკითხველი გაიხსენებს პოთორნის ადრეულ მოთხრობას “მდვდლის შავი პირბადე”. პირბადის სიმბოლიზმის ცვლილება შავიდან თეორისაკენ არის გადამწყვეტი, რაც ნიშნავს რომ პირბადის მნიშვნელობა ცოცხლობს არა გრძნობებში ან ცოდვის გაცნობიერებაში, არამედ უფრო მეტად სუბიექტური განმარტოების პირობებში, რომელიც აცალკევებს თითოეულ ინდივიდუალურ ფორმას ყველა სხვისაგან. ეს არის პირობა, რომელიც ქმნის, როგორც პოთორნმა უკვე შეამჩნია თავის ადრეულ მოთხრობაში, იძულებულ დიალექტიკურ ურთიერთობას გმირსა და სხვებს შორის

მხოლოდ სუბიექტური განმარტოება, რასაც პირბადის ტარება გულისხმობს მის სუბიექტზე არის თავისთავად წამება, ადამიანი ეძებს სხვა საშუალებას, რათა თავიდან აიცილოს იგი. ამიტომ პირბადიანი ლედი სთავაზობს თეოდორს არჩევანს ასწიოს “ეს იდუმალი პირბადე, რომლის ქვეშაც მე ვარ ნაღვლიანი და მარტოსული პატიმარი იმ ტყვეობაში, რომელიც ჩემთვის სიკვდილზე უარესია” (Hawthorne 1865: 113) ქალი თხოვს თეოდორს “მაგრამ სანამ აწევ მას, მე გთხოვ მთელი ქალწულებრივი თავმდაბლობით, დაიხარო და აღბეჭდო შენი კოცნა პირბადეზე იქ, სადაც ჩემი სუნთქვა არხევს მას და ჩემი ქალწული ტუჩები შეხვდებიან შენსას და იმ წამიდან თეოდორე შენ იქნები ჩემი და მე შენი და აღარ იქნება პირბადე ჩვენს შორის და მთელი ბეჭნიერება დედამიწის და მომავალი სამყაროსი იქნება შენი და ჩემი ერთად” (Hawthorne 1865: 87) ასეთი ფიცის არსი იქნებოდა გამომჟღავნება მისი ყველაზე წმინდა გრძნობებისა, რაც როგორც პირბადიანი ქალბატონის სიტყვები გულისხმობს მხოლოდ რწმენის გავლით შეიძლება მოხდეს. როგორც პირბადიანი ქალი ხსნის, თეოდორს სხვა არჩევანიც აქვს, ასწიოს პირბადე, სანამ აკოცებდეს, თუმცა ეს არის თავის დამორჩილება აუტანელი ნაღველისათვის. გული ცოტცხელებით ეძებს იმ სხვას, ვინც დაკარგა. საინტერესოა რა მნიშვნელობას ატარებს კოცნამდე პირბადის აწევა. თუ პირბადე არის სუბიექტური უფსკრული, რომელიც ყოვს მათ კოცნამდე, მაშინ პირბადის აწევა ძალადობის შესაბამისია. შინაგანი ბუნების იდუმალება ასეთი მოქმედების შემდეგ მნიშვნელობას კარგავს. პირბადის

აწევით თეოდორი ანგრევს მის ბედნიერებას, ცვლის შესაძლებლობას, რომელიც რწმენას დაუბრუნებდა მას, რაც ესოდენ აუცილებელია ნებისმიერი სუბიექტური ერთობის ჩამოყალიბებისათვის. მისი სურვილი აღწევს რომენსის მთლიანობაში კოვერდეილის ცნობიერების გავლით. იგრძნობა ფსიქოლოგიური უპირატესობა მისი საიდუმლო მოტივების ან დამოკიდებულებების ცოდნით. კოვერდეილისეული ცნობიერება რაღაც თავსმოხვეული ვნებით არის დატვირთული, რომელსაც სხვისი ბუნების კვლევა აინტერესებს. ასეთი ცნობიერებისთვის სხვისი გაცნობა ხდება უცნაურად დაკავშირებული სექსუალური კუთვნილების საკითხთან. აქ ჩანს ეროტიზმი სექსუალური ურთიერთობის გამოცდილებაში, რომლითაც შემდეგ ყალიბდება ფსიქოლოგიური კუთვნილება. რომანტიკული რომანის ერთ ადგილზე თხრობისას კოვერდეილი თავად აღნიშნავს ანალოგს სექსუალურ და ფსიქოლოგიურ კუთვნილებას შორის. ქალთა უფლებებზე კამათის შემდეგ, რომელიც ელიოტის მიერ კათედრაზე წარმოოქმული ქადაგების დროს ხდება, ის პრისცილასთან ერთად მარტო აღმოჩნდება, რასაც მოსდევს ზენობიას წასვლა ჰოლინგუორსთან. “ეჭვი არ არის, რომ ეს იყო მკრეხელობის მსგავსი, როცა ვეცადე აღმოვჩენილიყავი მისი ქალწულებრივი მისტერიის საზღვრებში, მაგრამ რადგან ის აღმოჩნდა გვერდზე მიგდებული თავისი ამხანაგების მიერ, რომელთაც უზრუნველად მისცეს დაცემის უფლება, მე ვერ შევეწინააღმდეგე იმ იმპულსს, რათა მხოლოდ ერთხელ შემეხედა მისი ამობრუნებული ფურცლების ქვემოთ” (Hawthorne 1865: 125) ეს არის კოვერდეილის ურთიერთობა ზენობიასთან, რაც ყველაზე კარგად გამოხატავს სურვილის ფლობის ძალასა და ბუნებას. ზენობია თავადაც გრძნობს ამას, ეს გამოხატულია განსაკუთრებულ შემოხედვაში, ყურების მანერაში, რადგან ხელვა ასოცირდება ცოდნასთან, შეიძლება ასოციაცია გაჩნდეს, რომ uaieris ფსიქოლოგიას აქვს რაღაც საერთო საერთო კოვერდეილთან. ზენობიას აინტერესებს რის აღმოჩენას ცდილობს მამაკაცი მასში, კოვერდეილი პასუხობს რომ ქალის ცხოვრების იდუმალება იპყრობს. ეს მისტერია როგორც წინა პასაჟში ჩანს, ეხება ზენობიას ქორწინებას, ანუ იყო თუ არა ის ვინმეს საკუთრება სექსუალურად თუ ფსიქოლოგიურად.

დიეგეტიკური თხრობითი სტრატეგიის მაგალითი ნათლად ჩანს რომენსში “შვიდფრონტონიან სახლი”. ცამეტი თავი სრულად მოიცავს ამ თხრობის სტილს. მაგალითად თავი “ალისა პინჩენი”, (Hawthorne 1851: 202) სადაც თხრობა დიეგეტიკური გმირის ჰოლგრეივის მიერ სრულდება. ეს თავისებური ნაწარმოები, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ცუდად ჯდება

რომანტიკული რომანის ტრადიციულ ჩარჩოებში. მასში ცოტა პერსონაჟებია, თითქმის არ ხდება აქტიური მოქმედება. ავტორის მიერ მოცემული ხასიათები არ ფლობენ შინაგან დინამიკას. პენრი ჯეიმსი ამ წიგნის პერსონაჟების შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ისინი "ისინი უფრო ფიგურებს გვანან, ვიდრე ხასიათებს, უფრო პორტრეტებს, ვიდრე პიროვნებებს". (James 1879) მაგრამ ფაბულის სიღრმე და ეს პორტრეტულობა გამომდინარეობს თხრობის საერთო მხატვრული პრინციპებიდან. პოთორნის კიდევ ერთი თანამედროვე, მე-19 საუკუნის შუაწლების პოპულარული კრიტიკოსი, ედვინ უიპლი მიუთითებდა მწერლის შემოქმედების თავისებურებაზე, რომელიც უაცრად გამოჩნდა "შვიდფრონტონიან სახლში". ეს იყო ავტორის მიდრეკილება, ადამიანები იმ კანონთან ურთიერთდამოკიდებულებაში დაინახოს, რომლის ზემოქმედებასაც ისინი იღუსტრირებენ. (Whipple 1866: 231-232) სწორედ ამ კუთხიდან ხედავს მკვლევარი ადამიანის ხასიათის გამოხატვის სპეციფიკას რომენსში და მართალიც არის. ხასიათები და სიუჟეტები სრულიად ემორჩილება "საერთო კანონებს".

"მარმარილოს ფაგნში", ისე როგორც "ბლაითდეილის რომანში" მეტადიეგეტიკური თხრობა ხშირად არის გამოყენებული, რათა ავტორმა შემოიტანოს გუთური სასწაულები ისე, რომ დიეგეტიკური თხრობა შეინარჩუნოს. მირიამი მაგალითად მეგობრებს განუმარტავს მის ადრეულ ურთიერთობას მისტიკურ უცნობთან "უცნაური სერიოზულობის იერით მთელ სახეზე, მხოლოდ საწინააღმდეგოს მეტყველებს მის შავ თვალებში გამკრთალი სიცილის ანარეალი. მან სული გაცვალა რომანული ფრესკების მხატვრობის დიდი ხნის წინათ დაკარგულ შეუფასებელ საიდუმლოში" (Hawthorne 1860: 48) მკითხველი ამგვარად ემორჩილება მოჩვენებით შეფასებას ამ ხასიათების წარსულის შესახებ. რადგან ეს მიდგომა არ არის ჭეშმარიტი, მირიამი სხვა ვარიანტსაც გვთავაზობს, "რომ ის ეკამათება მას, რომ მიაღწევს დიდებას და კმაყოფილებას თუ მოაქცევს მას ქრისტიანულ რწმენაზე. (Hawthorne 1860: 48) სამწუხაროდ ის ცუდი მოკამათეა. არცერთი ამ სიუჟეტებიდან არ ემსახურება იმას, რის განვითარებასაც პოთორნი ცდილობს, მხოლოდ აბუნდოვანებს თხრობის მთავარ ხაზს. მირიამს თითქოს არა აქვს რაიმე მოვალეობა უცნობის მიმართ, თუმცა ის დათრგუნულია და უძლური ჩანს ბოლო მოუღოს ამ კავშირს. ეს მეტადიეგეტიკური თხრობანი არ იძლევა განმარტებას რა გადახდათ გმირებს მანამდე, არ ეხება მთხრობელის მთავარ დიეგეზის. იგივე ტექნიკა ხორციელდება მე-17 თავში, როცა ოთხი გმირი დამით კოლიზეუმში შედის. ((Hawthorne 1860: 193) კენიონი პირველი აკეთებს კომენტარს

სცენის ისტორიულ და ესთეტიკურ განზომილებაზე იმ სტილით, რომელიც ჩანს პოთორნის უბის წიგნაკებში. ეს არის ეპიზოდი ბენვენუტო ჩელინის ბიოგრაფიიდან. როგორც კენიონი ამბობს, ჩელინი წერს, რომ "მისი ნაცნობი ჯადოქარი ხატავს მაგიურ წრეს იქ, სადაც ახლა შავი ჯვარი დგას და მილიონობით დემონს იძახებს... ეს მოჩვენებები ამ სისხლიანი ამფითეატრის მუდმივი მაყურებლები არიან" (Hawthorne 1860: 197) ჩელინის ეს სენება მისტიკურ გამოსახულებას უმატებს სცენას. აქაც ეფექტი არის ძლიერი და უეცარი. პილდა პასუხობს "მე ვხედავ მოჩვენებას ახლა" (Hawthorne 1860: 197) ეს მოჩვენება რა თქმა უნდა მირიამის იდუმალი მდევარია. თუმცა ფავნს არ ჯერა, რომ ეს არსება დემონი ან მოჩვენებაა ძველი რომიდან, მაგრამ ფაქტია, მას მაინც სატანისეული გავლენა აქს მირიამზე. იგივე სტრატეგიას ინარჩუნებს მწერალი თავში "მირიამის სახელოსნო", იყენებს რა მეტადიეგეტიკურ თხრობით საშუალებებს მირიამის ზოგიერთ ნახატთან მიმართებაში. ეს არ არის დასრულებული ნამუშევრები, უბრალოდ ჩანახატებია ბიბლიურ თემაზე: იაელი ლურსმანს რომ აჭედებს სისერას ტაძარში, ჯუდითი ჰოლოფერნის თავით, ჰეროდეს ქალიშვილი იოანე ნათლისმცემელის თავით" (Hawthorne 1860: 60) მირიამი ფიზიკურად არავის კლავს აწმუოში. ის მორალურად სუფთა ადამიანია და ალბათ არც არავინ მოუკლავს ადრე. მაინც ოსტატის წარმოსახვა და ესკიზები მიანიშნებს, რომ "ქალის ხელი დალაქავებული იყო სისხლით" (Hawthorne 1860: 61) მე-5 თავში იგულისხმება რომ ამ დიეგეტიკურ თხრობაში ვიღაცას მოკლავენ, რომ მსხვერპლი იქნება კაცი და მირიამს ეს ამბავი შეეხება. (Hawthorne 1860: 52) ამისათვის მეტადიეგეტიკური თხრობა მთავარ თხრობას ერთვის. უფრო ვრცლად მეტადიეგეტიკური თხრობა ჩნდება იმ თავებში, რომელიც ემსახურება სიმბოლიკური კავშირის ჩამოყალიბებას დონატელოსა და ანტიკურ ფავნს შორის, რაც რომანტიკულ რომანს პირველიდან ბოლო თავამდე ფერადოვნებას ანიჭებს. კენიონი შენიშნავს ძველ ფრესკებს, რომლებიც "გამოხატავდნენ არკადიის სცენებს, სადაც ფავნები, ნიმფები, სატირები, ერთობოდნენ მოკვდავ ახლგაზრდა კაცებთან და ქალებთან" (Hawthorne 1860: 114) და შენიშნავს მსგავსებას დონატელოსა და ფავნის ფიგურას შორის. მთხრობელი რა თქმა უნდა არ ამბობს, რომ დონატელო რეალურად ფავნია ან თუნდაც მათი შთამომავალი, მაგრამ მკითხველი მაინც გრძნობს რომ ამ მსგავსებას დიდი დატვირთვა აქვს რომანტიკულ რომანში. ეს ასოციაცია ძლიერდება შემდეგ თავში "მონტებენის საგვარეულო." (Hawthorne 1860: 25)

რომენსში მოცემულია მეტადიეგეტიკური ლეგენდები. მაგალითად ტომასოს მიერ ბაბუამისისაგან გაგონილი ამბავი "ტყის მბრძანებლის შესახებ, რომელიც ტყეებში დაღიოდა და ხეებიდან და შადრევნებიდან უმშვენიერეს ასულებს იძახებდა" (Hawthorne 1860: 31-32) შემდეგ თავში "მითები" (Hawthorne 1860: 35) დონატელო ამბობს, რომ მისმა წინაპარმა ფავნმა აქ, მის სასახლეში მოიყვანა ადამიანის ქალიშვილი, ვინც მას ძალიან უყვარდა და ვისზეც დაქორწინდა. კენიონი ამ ამბავს "მომაჯადოებელ არაკს" უწოდებს. თვით ფრესკებზე გამოსახულ ისტორიებში, ადამიანი, ბუნება და ზებუნებრივი ამ მოკლე მონათხოვებში ერთმანეთს გადაკვეთს. ასე გამოისახება ატმოსფერო, არა ფაქტისმიერი, არამედ მისტერიული და რამდენადმე ეროტიკულიც. რასაც პოთორნი დიდი ხელოვნებით იყენებს თავის დიეგეტიკურ თხოვებაში. უფრო ვრცელი მეტადიეგეტიკური თხოვება მოსდევს დონატელოს მიერ მოთხოვებილ "ტკბილი, მველი ამბის" სახით წინა მაგალითს. ეს მითი საუკუნის, ან ათასი წლის წინანდელია, შეიძლება სულაც ქრისტიანობამდელი. ქრონოტროპი ძალიან გავს ზღაპრის დასაწყისს "იყო და არა იყო რა" რაინდსა და წყლის ასულს ერთმანეთი შეუყვარდათ.... ნიმფა გაქრა შადრევანში სისხლის ლაქით წარბზე და რაინდი მთელი ცხოვრება გლოვობდა მას. (Hawthorne 1860: 38) ეს ქრონოტროპი მოიცავს მირიამისა და დონატელოს ამბავს, რომლებიც მცირე ხნით ტკბებოდნენ კურთხეული, არაცივილიზებული ერთობით და მერე ერთად გაიზიარეს სისხლით დალაქავებული დანაშაული. მათ ეს ვნებები გადაიტანეს იტალიაში და არა "ნათელ და პრიმიტიულ დღის შუქზე" (Hawthorne 1860: 8) პოთორნი ბრძნულად მოიქცა რომ დონატელოს მეტადიეგეტიკური თხოვების ეს მშვენიერი გოთიკური ინტონაციები გადაიტანა ისტორიულად შორეულ ქრონოტროპში. ამ თვალსაზრისით დონატელოს მონათხოვები ნიმფასა და რაინდზე ტიპიური მაგალითია პოთორნის მიერ მეტადიეგეტიკური თხოვების გამოყენებისა "მარმარილოს ფავნში".

"ბლაითდეილის რომენსში" თხოვების სტრუქტურა განსხვავებულია. ცენტრში დგანან პერსონაჟთა ჯგუფი, რომელთა შორის გამოირჩევა რომანტიკული ლიტერატურული გმირი, ლამაზი ზენობია, გამომსახველობითი ხარისხი ამ ქალის და მეორე გმირის, პრისცილასი მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე "შვიდფრონგონიან სახლში" ან თვით "ალისფერ ასომთავრულში". ამ შემთხვევაში ეს გმირები სოციალური მდგომარეობის გამოსახატავად ალეგორიის ფუნქციას ასრულებენ. ულამაზესი ზენობია, ბრწყინვალე გონებით, განათლებით

და თვალისმომჭრელი სილამაზით და პრისცილა, ფერმქრთალი, სუსტი, მორიდებული. დებად მათ ავტორი არა მხოლოდ სიუჟეტის საჭიროების, არამედ ალეგორიული როლების შესაბამისად წარმოგვიდგენს. საბედისწერო იდუმალება მოსავს უესტერველტის მხატვრულ სახეს, რასაც სხვა პერსონაჟების რეალისტური მონახაზი აწონასწორებს. ფერმერ საილეს ფოსტერისა და განსაკუთრებულ მოხუცი მუჟდის, ზენობიასა და პრისცილას მამის, რომლის მხატვრული სახე გროტესკის გამოყენებით არის შექმნილი. ამ რომანტიკული რომანის სოციალური ფონი უფრო ვრცელია “ალისფერი ასომთავრულისგან” განსხვავებით, სადაც მოქმედება მონცავს მონოლითურ პურიტანულ საზოგადოებას. “ბლაიონდეილის რომენსისთვის” დამახასიათებელია ეპიზოდების ცვალებადობა, რაც სოციალური ყოფის არაერთგვაროვნებაზე მიუთითებს. კოვერდეილის მყუდრო საცხოვრებელიდან სცენა იცვლება იდეალისტების ასკეტური ბანაკის სურათით, ფარდის უკან მჯდომი ქალის იდუმალი სეანსებით და ალბათ რომანტიკული ნაწარმოების კონტექსტისათვის მოულოდნელი ეპიზოდით ბინძურ სასაუზმეში, სადაც თავად პაერიც კი მოწამლულია ბანალური ყოველდღიურობის სასოწარკვეთილებით. პოთორნმა საკმაოდ ბევრი სიახლე შემოიტანა რომ ამ ურთულეს უანრთან მიმართებში. ეს შიგა ტრანსფორმაცია პასუხობდა სოციალური განვითარების დინამიკას. მწერალი იყენებდა რომანტიკული თხრობის სტრუქტურას, მაგრამ არა როგორც სტატიკურს. მისთვის ეს მოძრავი ფორმებია, რომელთა განვითარებაც შესაძლებელია, რათა კარგად ახსნას ცხოვრებისეული პრობლემატიკა ლიტერატურულად. მათი განხორციელების მცდელობას მივყავართ თავად ფორმების და თხრობის სტრუქტურის მოდიფიკაციამდე. ამ რომენსში არის ორი მეტადიეგურიკური თხრობა. პირველი ჩნდება მე-13 თავში “ზენობიას ლეგენდა.” (Hawthorne 1865: 127) ამ შემთხვევაში დიეგეტიკური გმირის ზენობიას წარმართულ თხრობას რვა გასაცნობი პარაგრაფი უძღვის წინ, რომლებიც აულიტორიას ამზადებენ მისი გამოსვლისათვის. მეტადიეგურიკური თხრობა მოსდევს ჩართულ თავს “გერცხლის პირბადე” (Hawthorne 1865: 10) და ხაზს უსვამს ზენობიას თხრობის ეფექტს სხვა დიეგეტიკურ გმირებზე. მეორე მეტადიეგურიკური თხრობა მოიცავს რომენსის 22 თავს და განსხვავებულია პოლგრეივის თხრობისაგან და ზენობიას დეკლამაციისაგან. ამ თავს პქვია “ფაუნტლერი” (Hawthorne 1865: 213) და დაწვრილებით გადმოგვცემს ზენობიას, პრისცილას და ბებერი მუდის მონაცემებს. ერთის მხრივ, ორივე მეტადიეგურიკური თხრობა უფრო მეტად

მოგვაგონებს პოლგრეივის ალისა პინჩენს, ვიდრე პიუს ანგარიშებს და ხსნის მოვლენებს დიეგეტიკური აწმყოს რეალისტურ სამყაროში, მაგრამ ინარჩუნებს გუთური მეტადიეგეტიკური წარსულის საზღვრებს. ეს თხრობითი ხერხი გახდა მიზეზი ჰენრი ჯეიმსის პროტესტისა წიგნის მიმართ. "ჩვენ ფეხქვეშ მყარ მიწას ვგრძნობდით ჩვენი დაკვირვებიდან ჩვენი ხედვიდან გამომდინარე" (James 1879: 135).

ჯეიმსი წინააღმდეგია ამ გუთური ელემენტებისა, რაც არ უნდა ირიბად იყოს გამოყენებული. მისი მკაცრი მიღგომა ამ საკითხის მიმართ გვიჩვენებს იმ პრობლემებს, რის წინაშეც იდგა პოთორნი რომენის შექმნისას. ეს იყო სიძნელე, დაუცვა ზომიერება რეალისტურ, ფსიქოლოგიურად სიმართლის მსგავს ყოველდღიური ალბათობის შექმნისას. მან გასაოცარი თავისუფლებით შემოგვთავაზა გუთური რომანტიკული თხრობის იდეა. ზენობიას შემოთავაზებული მეტადიეგეტიკური თხრობა აღწერილია არა როგორც "სპექტრალური ლეგენდა", არამედ "ფანტასტიკური პატარა ისტორია" და "მოჩვენებათა ისტორია." ზენობიას მეტადიეგეტიკურ თხრობაში პოთორნი ნებას აძლევს "მისი ტვინის ქმნილებებს, ითამაშონ თავიანთი ფანტასმაგორიული სიცელქით და არ გამოაფინონ ისინი რეალური ცხოვრების აქტუალურ მოვლენებთან შედარებით" ზენობიას თხრობითი ტექნიკის შედეგი არის გუთური მოტივების გაცნობა, რომ კეთილშობილი ლედი მონობაშია. მისი თხრობა შესაბამისად უარყოფს ფაბულის სიუჟეტის სხვაგვარ განვითარებას. "პირბადე ფარავდა ყველაზე ლამაზ სახეს სამყაროში" (Hawthorne 1865: 131) შესაძლოა სახე იყო ყველაზე სახიზღარი და საშინელი. მაგალითად გვამის თავის მსგავსი, მონსტრული სახება, გორგონა მედუზას გველისმსგავსი ლოკონებით და ერთი დიდი წითელი თვალით შუბლის ცენტრში" (Hawthorne 1865: 131) თუმცა სანამ მოგვიანებით არ აღმოჩნდება, რომ პირბადე ფარავს მხოლოდ ფერმქრთალ საყვარელ სახეს (Hawthorne 1865: 136) ავტორის მიერ გამოყენებული ყველა ეს გოთიკური შესაძლებლობა შეიძლება ჩაითვალოს უფრო ნაწარმოების ფონის შესაქმნელად ვიდრე სტრუქტურის. ზენობიას მონათხრობი საშულებას არ იძლევა რომელიმე სხვა პოტენციური ფაბულა სრულყოფილად განვითარდეს. ეს ყველაფერი მის მონათხრობში პირდაპირ შემოდის, რათა მსმენელის წარმოსახვაში და პოთორნის მკითხველში გოთიკური ანარეკლი შეიქმნას.

"ბლაითდეილის რომენსში" პარალელები ზენობიასა და კოვერდეილის მოთხოვნათა შორის გამყარებულია სხვა მნიშვნელოვანი მეტადიეგეტიკური თხრობით. ამის მაგალითია თავი 22 "ფაუნტლერო." "ხუთი და ოცი წლის წინ,

ამ ამბის ეპოქაში, ერთ შუა შტატში ცხოვრობდა კაცი, ვისაც გუწიდებთ ფაუნტლეროის. კაცი მდიდარი, ბრწყინვალე გემოვნების და გულუხვი" (Hawthorne 1865: 218) თხრობის მანერა ბევრ რამეს მიგვანიშნებს. ამობრუნებული ინვერსიული წინადადების სტრუქტურა მიუძღვის ზმურ ფრაზას "იქ ცხოვრობდა" განუსაზღვრელი ადგილის მდებარეობას აღნიშნავს "ერთერთი შუა შტატი" აშკარა მინიშნება "ამ ამბისა" მოწმობს შესავალს გამოგონილი თხრობისა. ეს ნიშნები დამტკიცებულია თხრობითი მეტალეფსისით, "ვისაც ჩვენ გუწიდებთ ფაუნტლეროის" მსგავსად ზენობიას გადაწყვეტილებისა, მის გმირს თეოდორე დაარქვას და ჰოთორნის გადაწყვეტისა, მის გმირს უეიკფილდი დაუძახოს. კოვერდეილის არჩევანი ამ შემთხვევაში მოწმობს მის თხრობით თავისუფლებას. შესაძლოა ეს თავისუფლება ამართლებს მას გოთიკური ეგზოტიკისადმი მიღრეკილებაში. კოვერდეილი უესტერველტს თავის მეტადიეგატიკურ თხრობაში გვაცნობს არა სახელით, არმედ მეზობელთა საჩივრით, რომ ის იყო "ჯადოქარი, ვისი ძალაუფლების საზღვრებიც განსაზღვრული იყო ერთის მხრივ ტარტაროზის წყვდიადის სიღრმით, მეორეს მხრივ ასტრონომიული სამყაროს მესამე სფეროთი" (Hawthorne 1865: 220) კოვერდეილი თავადაც გრძნობს, რომ ასეთი ცრურწმენები აბსურდულია. მას ურჩევნია მისი მონათხობი ზებუნებრივ ელემენტებს საერთოდ არ მოიცავდეს. მაგრამ სიმართლე აიძულებს მას ასე მოიქცეს მესმერიზმის ფორმით მაინც. "მისი ბუნება იმ დროისათვის ნაკლებ გასაგები იყო, ვიდრე ახლა, როცა ამ სახის სასწაულები ისე გაცვდა, რომ ნასიამოვნები ვიქნებოდი, თუ საერთოდ გამოვტოვებდი ამაზე საუბარს ჩემს მონათხობში" (Hawthorne 1865: 194) ისევ "ყოველდღიური შესაძლებლობების" რეალისტური სამყარო აძლევს სიგრცეს ლიტერატურის რომანტიკულ სფეროს. ზენობიას პირველად ფაუნტლეროის მიტოვებულ ბავშვს უწოდებენ. ესთერ პრინის მსგავსად იგი ადრევე დარჩა უდედოდ. მის მსგავსადვე რომანტიკულ გმირად გაიზარდა, "ვნებიანი, ნებისყოფიანი, მბრძანებლური" (Hawthorne 1865: 194) ზენობიას ეგზოტიკური ქცევის შესახებ კოვერდეილის თხრობაში ინფორამცია ირიბად შემოდის. "ჩურჩულებდნენ საიდუმლო ქორწინების შესახებ მომაჯადოებელ, სრულყოფილ, მაგრამ უზნეო ახალგაზრდა კაცთან" (Hawthorne 1865: 222) ვინ არის ეს კაცი, მართლა ესტუმრა თუ არა ფაუნტლეროის, ჩვენ არ ვიცით. კოვერდეილი ამ კითხვებს მკითხველისთვის ტოვებს. შემდეგ იგი უკვე ნაკლებად მორიდებულ ტონს იღებს, რათა თქვას რომ "ნაწილი ზენობიას ახლანდელი ცხოვრებისა

მოთხობილ იქნება შემდეგ თავებში." (Hawthorne 1865: 222) ასევე აკეთებს განაცხადს, რომ "პრისცილა მას გაჰყვა ბლაითდეილში" აქ არ ჩანს პრისცილა იდუმალი მიზეზით წავიდა, თუ უგულო თეოდორმა ითამაშა გარკვეული როლი მის ცხოვრებაში. ტონის შეუცვლელად კოვერდეილი შემდეგ პარაგრაფს ასეთი წინადადებით იწყებს: "ერთ საღამოს, პრისცილას წასვლიდან ერთი თვის მერე, როცა მუდი ფაუნტლეროი მარტო იჯდა ოთახში, კიბეზე ნაფეხურები გამოჩნდა." (Hawthorne 1865: 223) კოვერდეილი ამტკიცებს, რომ ეს ნაფეხურები ზენობიას ეკუთნოდა. ზოგჯერ კოვერდეილი ტოვებს რეალისტის პოზას, რათა აქტიური მთხობელის როლი მოირგოს.

კოვერდეილის მეტადიეგეტიკური თხობის საშუალებით ჰოთორნმა განვითარა თავისი გმირები ხორცი შეასხა მისი ფაბულის განვითარებას, მოიმარაგა ინფორმაცია გადამწყვეტი, მოგვიანებითი სიუჟეტის განვითარებისათვის და შეუმჩნევლად შემოიტანა შესაბამისი გოთიკური ბუნდოვანება.

## დასკვნები

1. ამერიკულ ლიტერატურაში რომანტიკული რომანის, როგორც ჟანრის რეალიზება სრულყოფილად ნათანიელ ჰოთორნის შემოქმედებაში მოხდა. მისი "რომენსი" თავისებურებებით გამოირჩევა. გარდა ლიტერატურული ფორმისა, იგი ასევე ფსიქოლოგიური, კულტურული ფენომენია. "რომენსისათვის" რომანტიკული და პოეტური თვისებების მინიჭებით, ჰოთორნმა შეძლო დაეკავშირებინა ისტორიული ფაქტი და მხატვრული ლიტერატურა, რეალობა და წარმოსახვა.
2. რომანტიკული რომანის მწერალი თავისუფალია სინამდვილის რეალისტური ასახვის პრინციპებისგან, ჰოთორნისათვის რომანტიკული რომანის სფერო ის

ნეიტრალური ტერიტორიაა, რომლის საშუალებით ბევრად უფრო რთული ეფექტი მიიღწევა, ვიდრე უბრალოდ მკითხველში ემოციის გამოწვევაა. მის ნაწარმოებებში მოცემული აღწერილობითი პასაჟები კონცეპტუალურ და ფსიქოლოგიურ საზღვარს ადგენენ, სადაც ავტორი გმირების მოქმედებას გადმოგვცემს. “რომენსი” მწერალს დიდ თავისუფლებას აძლევს, და არჩევანს უტოვებს წარმოსახვა გააკონტროლოს მაღალი მორალის საშუალებით. პოთორნისეულ “რომენსში” მოვლენები, ხასიათები, სახეები უჩვეულოა, ზოგჯერ ფანტასტიკურიც. ამასთან ეს ყველაფერი იმგვარი ოსტატობით უკავშირდება ერთმანეთს რომ ცხოვრებისეულ სიმართლეს მაინც დამაჯერებლად გამოხატავს. სინამდვილის პირდაპირი ასახვა, როგორც ეს ჩვეულებრივ რომანში ანუ “ნოველში” ხდება, გაცილებით იოლია, ვიდრე გამონაგონის, შექმნილის დატვირთვა რეალობით, რაც ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებად ითვლება. “რომენსი”, როგორც ხელოვნების ნიმუში, მკაცრად ექვემდებარება საკუთარ კანონებს, რომელთა თანახმად ადამიანის გულის სიმართლიდან ოდნავ გადახრაც კი მიუტევებელ ცოდვად ჩაეთვლება, ამიტომ რომენსი ნოველთან შედარებით რთულ ფორმად ითვლება.

